ჩუკაგ ჯიჯინაძე

ნაღიარევი ოქროს ეთეჯები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

84I р7—4
 Э 551

ძვირფასო მკითხველო, გარწმუნებთ, რომ რევაზ ჭიჭინაძის ამ წიგნის წაკითხვისთვის გახარჯულ დროს დაკარგულად არ ჩათვლით. თქვენ გელით ცნობისწადილიანი მოგზაურობა უაღრესად საინტერესო სამყაროში, თქვენთვის იდუმალ დროსა და სივრცეში, შეხვედრები თავისებურ ადამიანებთან.

წიგნი, ამავე დროს, შემეცნებითი ხასიათისაა. ავტორი მარტო იმას კი არ აგვიწერს, რაც განუცდია, თავისი თვალით უნახავს და საკუთარი ყურით გაუგონია მთიანი ალთაის გზა-ბილიკებზე, არამედ იმასაც, რაც მატიანეებში, ფოლკლორულ კრებულებში ამოუკითხავს, ერთი სიტყვით, ჩვენ ვგრძნობთ მთიანი ალთაის მკვიდრთა სულს, გონებით ვიცნობიერებთ მათი ყოფის არსს.

ამ წიგნის ავტორი ნადირობის დიდი ტრფიალი გახლავთ, ჭეშმარიტი მონადირე კი უპირველესად ბუნების დიდი ტრფიალიცაა, რაინდი და ნადირ-ფრინველთა ქომაგი

მართალია, ეს წიგნი კონკრეტულ სივრცესა და გარემოში მოგზაურობაა, კონკრეტულ ეთნოგრაფიულ მასალას, გეოგრაფიას, ლეგენდებს, მითოლოგიურ მონაცემებს ეყრდნობა, მაგრამ მასში მთავარია ის, რაც ყველა ქვეყნისა და ერის შვილთათვის ძვირფასი და არსებითია — ეს ადამიანთა აზრიანი, ამაღლებული, მაღალზნეობრივი დამოკიდებულებები გახლავთ, დამოკიდებულებები ურთიერთთან და ბუნებასთან.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი ბარეორ ჩვენს თანამემამულეს გაუყენებს მშობლიურ გზა-ბილიკებს და მთელი გულით შეაგრძნობინებს იმ დიად და ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ ბუნება ჩვენშია და ჩვენ ბუნებაში ვართ...

ჯუმბერ თითმერია

4702170201—244
Ч————————266—88
М601 (08) 88

ISBN 5—529—00172—6

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988

— ამ ქვეყანაზე მხარეა ერთი
ალთაი ოქროს ქედებიანი.
„ქოგუთეი“

ცისფერ ნისლში გახვეული მთის მაღალი ქედები, მოწმენდილ ცაზე თეთრად მოკაშკაშე თოვლიანი მწვერვალებით, კლდეებს სამართებელივით რომ ჭრის, ისეთი მდინარეები, ფირუზისფერი ტბები, უკიდეგანო წიწვიანი ტყეები — კედარისა და სოჭის ფისის თავბრუდამხვევი სუნით რომაა გაჟღენთილი.

ხეობები და ალპური საძოვრები ლურჯი წყალიკრეფიებით, ოქროსფერი შროშანებით, წითელი და შინდისფერი ყაყაჩოებითაა მოქარგული, ალაგ-ალაგ ტიგის მაღალ ბალახში ცხენკაცი თავისთავად რომ დაიფარება.

ეს მთიანი ალთაია[1]. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი თვალწარმტაცი კუთხე, უმდიდრესი მხარე.

თითქოს თვით განგების მიერაა შექმნილი ეს საოცარი

[1] ალთაი ჩინურად და მონღოლურად ოქროს მთას ნიშნავ

მხარე თავისუფალი და ღონიერი ხალხის მხიარული, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

მთიანი ალთაის ოლქი მდებარეობს რუსული ალთაის მთებში, რომელსაც ასე ეწოდება გეოგრაფიულ, ალპინისტურ და მონადირულ ლიტერატურაში მონღოლეთის (ან გობიის) ალთაისაგან განსხვავებით. რუსული ალთაი აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ისაზღვრება დასავლეთის საიანებით, ჩოხაჩევისა და საილუგემის უღელტეხილებითა და ტაბინ ბოგდო-ოლას მთების კვანძით. დასავლეთით და ჩრდილოეთით მდინარე ირტიშითა და ალთაისპირა სტეპებით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ის ერთვის კუზნეცკის ალათაუს უღელტეხილებს.

ადმინისტრაციულად მთიანი ალთაის ოლქი ალთაის მხარეში შედის და მონღოლეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკებს ესაზღვრება.

მთიანი ალთაის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა შერეულია. ძირძველი მოსახლენი ალთაელები არიან. ისინი მთიანი ალთაის თურქულენოვანი უძველესი მოსახლეებია. რევოლუციამდე იყოფოდნენ რამდენიმე ჯგუფად და საგვარტომო სახელით იწოდებოდნენ. ალთაის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში იყვნენ ტელენგიტები, ტელესები, საკუთრივ ალთაელები ანუ „ალთაი-კიჟი“ და ნაწილობრივ ტელეუტები; ჩრდილოეთ ნაწილში: ტუბალარები, ჩელკანები, კუმანდელები. საერთო სახელწოდება მათ არ ჰქონდათ. სამხრეთელ და ჩრდილოელ ჯგუფებს შორის აღინიშნებოდა დიდი განსხვავება მეურნეობაში, კულტურასა და ყოფაში. მათგან პირველნი ძირითადად მესაქონლე მომთაბარენი იყვნენ, მეორენი — ტაიგის მონადირეები. ჩამოთვლილი ჯგუფები, კუმანდელების, რომლებიც ალთაის მხარის კრასნოგორისა და სოლტონის რაიონებში ცხოვრობდნენ, და კემეროვოს ოლქში მცხოვრები ტელეუტების გარდა, შედიან მთიანი ალთაის ოლქის შემადგენლობაში, რომლის ფარგლებშიც ალთაელებად წოდებული მათი ერთიან ერად კონსოლიდირება მოხდა. ოლქის მოსახლეობის უმრავლესობა რუსებია, რომლებმაც ალთაის მთებში XVIII საუკუნის შუა ხანებში დაიწყეს ჩასახლება.

აქ, ოკეანისაგან ამ დაშორებულ მხარეში, კლიმატი მკვეთ-

რად კონტინენტურია, ზაფხულში ცხელა და ზამთარში ძალზე ცივა.

მთელი ტერიტორია ულამაზესი მდინარეებითაა დასერილი. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ადრე, თურმე, ამ მიდამოებში არ იყო მდინარეები. ბალახიც კი არ იზრდებოდა. იყო კლდეები და სიცხისგან დახეთქილი მიწა. როგორ ეცხოვრა, როგორ ეარსება ადამიანს? რით შეენახა საქონელი, რითი გამოეკვება თავი? ცოცხალი არსება უწყლოდ ვერ გაძლებდა. ჰოდა, განუმეორებელი ძალის, გამჭრიახი გონებისა და უკეთილესი გულის კაცმა სარტაკპაიმ, რომელიც დღენიადაგ გაჭირვებული ხალხის ბედნიერებაზე ფიქრობდა, მოისაზრა გაეჩინა მდინარეები. საჩვენებელი თითი ძალუმად გაუსვა მიწას და მაცოცხლებელ წყლად წამოვიდა მდინარე ყადნი — მთიანი ალთაის მთავარი მდინარე, გაუსვა მეორე ადგილას და აჩუხჩუხდა ბია, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მაშინ სარტაკპაიმ დააჭირა ცერა თითი ერთ-ერთი მთის ძირას და მის ნათითარზე გადაიშალა მოლივლივე ტბა. აქედან სარტაკპაიმ ყველა მიმართულებით გაუსვა თითი და ყველა მიმართულებით დაიწყო დენა ულამაზესმა მდინარეებმა.

ასე დაიქსელა თურმე მთიანი ალთაი მაცოცხლებელი მდინარეებით.

მარადდათოვლილ მთა ბელუხადან მოექანება თვალწარმტაცი ყადნი, რომელსაც გადარეული არგუთი ერთვის. არკიტი—ეს სიტყვა ალთაურად ნიშნავს დიდი ტყავის ტომარას, რომელშიც დამყავებულ რძეს და კუმისს ინახავენ, ხოლო ტინების ტომარაში მყინვარებიდან მომდინარე არგუთის წყალი სწორედ რძესავით თეთრია, რომლის ტალღებიც მთიანი ალთაის ოლქს ჰკვეთს სამხრეთიდან ჩრდილოეთით, საოცარი სილამაზის მწვანეწყლიანი ბია ყადნის მარჯვენა შენაკადია. მრავალ ლეგენდათა შორის არის ისეთი ლეგენდაც, რომელიც შემდგომში ჩვენ დაგვჭირდება და ამიტომ მოგვყავს ის აქ: „სახელწოდება ბია და ყადნი თარგმანში ნიშნავს „ბატონს და ქალბატონს“: ბიას და ყადნის დინების მიმართულება იმით აიხსნება, რომ ქალსა და კაცს სურდათ ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ, რომელი რომელს გაუსწრებდა. ყადნი შეეცადა, გაესწრო ბიასთვის, მაშინ შეურაცხყოფილმა კაცმ,

ბიამ, მას გზა გადაუჭრა. იგი სათავეს ოქროს ტბიდან ალთინ-კოლიდან იღებს და რწყავს მთიანი ალთაის აღმოსავლეთ ნაწილს თავისი შენაკადებით — დებედითა და ნენიათი და მის სისტემაში შემავალი ჩოლუშმანითა და ბაშკაუსით.

ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყიანი და მთიანი ტუნ-დრაა, რომელიც ციმბირის ველის ტაიგას უერთდება. აქ მბრძანებლობს ციმბირის სოჭი, ციმბირის კედრის ფიჭვი — ეგრეთ წოდებული ციმბირის კედარი, ამას ეროვის მცირე-ფოთლოვანი ჯიშები: ვერხვი, იშვიათად არყის ხე, ხშირად სოჭ-ნაძვის, ალთაიში „ჩერნად" ცნობილი ტყეები. ნაძვი ამ მხარეში იშვიათად გვხვდება, მეტწილად მდინარეთა ხეობებში.

აქ ბლომადაა ტყის სხვადასხვა ბალახეული: მარიამსხალა, ენდრონიკა, გვიმრა, ტილჭირი, ანგელოზა, წივანა. ხავსიანი ტყეები, დამახასიათებელია დიდნალექიანი რაიონებისათვის 700 — 800 მეტრის სიმაღლეზე, ზევით კი იწყება კედარ-სოჭის ტყეები. ზევით და ზევით ეს ტყეები დაბლდებიან და მეჩხერდებიან. ჩრდილოეთ ალთაის მთის მწვერვალებზე კე-დარისა და რბილწიწვიანას მეჩხერი ტყეებია. ალთაის ჩრდი-ლო-აღმოსავლეთისა და ცენტრალური მთიანი პლატოები (1800—2000 მეტრ სიმაღლეზე) დაფარულია მღიერი — ხავ-სიანი ტუნდრითა და ქონდარა არყით, ტირიფითა და ღვიას ბარდებით.

სხვაგვარია სამხრეთ-დასავლეთის მცენარეული, ველის, ტყის, სუბალპური და ალპური მდელოები. მთის ძირებში ფართოდაა გავრცელებული ვაციწვერა-ქუჩისა და ნაირბა-ლახა მდელოების ველები, რომლებიც ერთვიან დასავლეთ ციმბირის ტრამალებს. უდაბნოს შვრია, ფრინტა, კესანე, ნემსიწვერა, ზამბახი; ველის ბუჩქნარები: ქაფუნა, ველის ნუში ანუ ქონდარა ნუში და სხვა. სამხრეთ კალთებზე და მთის ფართო ხეობებში (ჩუისა და კურაის ველებზე) უხვა-დაა გლერძა, აბზინდა, მარწყვაბალახი და ზოგიერთი მაღალ-მთიანი სახეობები: ედელვაისი, ალთაური ია და სხვა. უფრო ზევით ჟოლო, მოცხარი, ცხრატყავა. მაღალი ბალახებიდან: ტილჭირი, დიყი. სუბალპური და ალპური მდელოები გამო-ირჩევა მრავალფერი ნაირბალახეულით: ფრინტა, ალპური

წართხალი, უძოვარა, რომლებიც ყვავილობისას მკვეთრი ფერების ასპექტს წარმოშობენ. დაბალბალახა ალპურ მდელოებზე სჭარბობს ალპური ია, ყაყაჩო, ფურისულა, ნაღველა და სხვა. უფრო ზევით, 3.000 მეტრის სიმაღლეზე, ერთიანი მცენარეთა ფენა აღარაა, კლდეებსა და ნაშვავებში მხოლოდ ცალკეული ყვავილთკვალი გვხვდება.

ეს ულამაზესი ტყეები სავსეა ნადირით. მათი მრავალფეროვნება მართლაც იშვიათია. ალთაის თითქმის ყველა ტყეში ბევრია შველი, ჩუის ჭალებში უამრავია ძერენეი — მთის ანტილოპა, მდინარეების—ყადნის და ჩოლუშმანს—შორის მდებარე ტაიგაში ბლომადაა ცხენირმები. იასატარის სათავეებში არხარების ფარები დადიან, ყადნის სათავეში და ტელეცის ტბასთან მრავალი მარალი და კეთილშობილი ირემია, ალთაისა და საიანის მოსაზღვრე ქედებზე ჩრდილოეთის ირმები დაეხეტებიან, ციცაბოებზე მდებარე ხშირი ტყეები ჭაბარღების თავშესაფარია, დაბლა ტყიანებში ბლომადაა ტაიგის მპრძანებელი აიუ-დათვი, მგელი, ფოცხვერი, იშვიათად გვხვდება წითელი მგელი და თოვლის ჯიქი, ტყუილად როდი ქვია ერთ-ერთ, მარადდათოვლილ მთას ირბის-ტუ—ჯიქის მთა, დაბოლოს, ყველაზე მიუვალ კლდეებში ციმბირული ტაუტეკეს — მთის თხის სადგომებია.

ამათ გარდა, მრავლადაა მხტომელი მიწის კურდღელი და თეთრი კურდღელი, ჩვეულებრივი და ალთაური ვირზაზუნა, ბურუნდუკი და კოლინოკოსი, კიდევ ალთაური თხუნელა, ციყვი და წავი, მუშკი და სიასამური, მელა და ყარაყუმი, სამურავი და ციმბირის კვერნა, ამერიკული წაულა, ენოტის მსგავსი ძაღლი და ონდატრა.

ასევე მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო: ხმელნისკარტა და ინდური ბატი, მონღოლური კაკაჩა და ბატასინი, სოღო და როჭო, ჟრუნი და გნოლთეთრა, კალოს ბატი და ალთაური სონღული, სავათი და სავათტურფა, ალთაური მაღალმთიანი ინდაური და ტუნდრის გნოლთეთრა, შურთხი, წერო და წითელმუცლა ბოლოცეცხლა, გედი და იხვი, ტყისქათამი, კვირიონი და მთის არწივი.

სამაგიეროდ, საოცრად ღარიბია ალთაი ქვეწარმავლებით, მისთვის დამახასიათებელია ერთადერთი შხამიანი გველი „შიტომორდნიკი“.

მდინარეებსა და ტბებში ჭარბობს უგემრიელესი კაპოეტი, ტაიმენი, ჭანარი, უსკუჩი, ოლაბუტა, გოჭალა, ღორჯო, ნელმა, ქარიყლაპია, ქორჭილა, ჩებაკი, სოროგა, ხაპარჭინა, ციმორი, ძალიანი, თართი, ჩიქვი და მრავალი სხვა.

მე მგონი, შეუძლებელია ტბები ახსენო და ორიოდე სიტყვა არა თქვა აქაურ ტბებსა და მდინარეებზე.

ბევრი მთის ტბა მინახავს, რომელშიც ასახულია ცისფერი ცა და დათოვლილი მთები, მაგრამ, მერწმუნეთ, ყველა ისინი გაუფერულდნენ, როცა მწვანეწყლიანი მდინარე ბიას სათავე ვნახე. ხშირი ტყით დაბურულ მთებში ოთხმოცი კილომეტრის სიგრძეზე გაწოლილა ალთინ-კოლის (ოქროს ტბა) ტბა. დღე-ღამის განმავლობაში ტბა რამდენჯერმე იცვლება. აქეთ-იქიდან მდებარე ხეობებიდან შემოჭრილ დილის მზის სხივებში ტბა ჟოლოსფერია, თითქოს ტყის ყაყაჩოები მოუბნევიათო, მოწმენდილზე შუადღისას — ცისფერი, შებინდებისას — კუპრივით შავი, მთვარიან ღამეს კი ოქროს ზოდივით კაშკაშებს. უამინდობაში, ღრუბლის თეთრი ქულები რომ დაცურავენ, ქარში თეთრფაფარა ტალღები დარბიან, წყნარ ამინდში გარს შემოჯარული მთები იყურებიან შიგ და გაოცებას ეძლევიან თავიანთი სილამაზის გამო.

ამ ტბის გარშემო ყველაფერი უფრო ნაზია, ვიდრე სხვა ადგილებში, ზღვის დონიდან ასეთსავე სიმაღლეზე, ასე მაღალი მთების ხეობებში, მაგალითად, ჩუის ალპებში ან ყადნის ქედზე. აქ, ამ ტბის შემოგარენში, მეტი სიმწვანეა, მცენარეთა სამყარო უფრო მდიდარი, მრავალფეროვანია და კლდეებსაც ისეთი მკაცრი იერი არა აქვთ, როგორც იქ.

ალთინ-კოლის ტბის საშუალო სიღრმე 174 მეტრია, მაქსიმალური კი 325 მეტრს უდრის.

ჩრდილო-დასავლეთით ტბა ვიწროვდება და ნაჯახის პირივით ერჭობა მთებში. აი, აქ, ქვებზე ჯახებითა და ზათქით იბადება ბია. მისი ზურმუხტისფერი დინების სიგანე ორას მეტრს აღწევს. პროფესორი ვ. ვ. საპოჟნიკოვი აღნიშნავდა, ეს ციმბირის ლამაზმანი „ერთობ მაგონებსო ლურჯ რონას იმ ადგილზე, სადაც ის სათავეს იღებს ჟენევის ტბიდან“. მაგრამ ციმბირის ამ სწრაფი და მძლავრი მდინარისათვის, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ არ უმღერიათ პოეტებს და

ოქროს ტბას, რომელმაც ბია შვა, ჯერჯერობით ცოტა მოგ-ზაური იცნობს.

დიდხანს ვერ ვაცილებთ თვალს ამ წარმტაც სანახაობას, ურიცხვი საღებავის სიმდიდრეს. ოქროსა და ლაჟვარდში ბრწყინავს ლალი და ფირუზი, ზურმუხტი და ამეთვისტო, ტოპაზი და ბადახში. ვინ იცის, მერამდენედ მოვდივარ, დარსა თუ ავდარში, დილით თუ საღამოს და მაინც სულ მინდა მის მახლობლად ვიყო. ახლაც მათი სილამაზისაგან გაოგნებული ვუსმენ ჩვენს მასპინძელსა და მეგზურს ვალერი ჩაპტინოვს:

— შორეულ წარსულში შიმშილობა მოედო თურმე ალთაის. საშველი არსაით ჩანდა, შიმშილისაგან ძალაგამოლეული, დასნეულებული ხალხი სივდებოდა და იხოცებოდა. მშიერ ხალხს გადარჩენილი ნადირ-ფრინველი ტყეებიდან გადაიხვეწა. რისი შეჭმაც კი შეიძლებოდა, აღარაფერი გადაურჩა მხეცადქცეულ ადამიანს. ტყე-ღრეს მოდებული ხალხი საშველს ეძებდა, ლანდადქცეულები დალასლასებდნენ ლუკმის საშოვნელად, საშველი კი არა და არ ჩანდა. ერთმა შიმშილისაგან ძალაგამოლეულმა ალთაელმა ცხენისთავისხელა ოქრო იპოვნა. გულში იმედის შუქი ჩაუდგა, ძალა მოემატა, ბრჭყვიალა, კეთილშობილი ლითონი გულში ჩაიხუტა და გზას გაუდგა. შემოიარა ალთაის ყველა ხეობა, სადაც კი ხალხი ეგულებოდა, მაგრამ ცხენისთავისხელა ოქროში ერთი მარცვალი ქერიც კი არავინ მისცა. მაშინ გამწარებულმა ალთაელმა ყველაზე მაღალი მთიდან წყევლა-კრულვით ხევში გადაისროლა ცხენისთავისოდენა ოქრო. ერთბაშად ყოველი მხრიდან იხუვლა წყალმა, ქვეშ მოიქცია გლეხის მიერ ნატყორცნი ოქრო და ტბად გაიშალა. — ამთავრებს ვალერი.

მას შემდეგ ტბას ოქროს ტბა (ალთინ-კოლი) ჰქვია. მთას კი, რომლიდანაც ოქრო გადმოაგდეს — ოქროს მთა (ალთინ-ტუ).

მიუხედავად ამ შესანიშნავი ლეგენდისა, ტბა ყველა გეოგრაფიულ რუკაზე ტელეცის ტბადაა წოდებული.

მაგრამ ამ „ოქროს ტბას“ ხასიათი ყოველთვის ოქროსი როდი აქვს. ხანდახან ზღვასავით იქცევა. ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქარების დროს მისი ტალღები სამმეტრანახევარ სიმაღლეს აღწევს. და ეს ერთბაშად, მოულოდნელად

ხდება: მოწმენდილ ცას შავი, ხოლო ტბის ზედაპირს თეთრი ცხვრები შეესევა ხოლმე. ერთბაშად აცივდება, იწყება წვიმა ან თოვა, აქაფებული, დუქმორეული ტალღები ყალყზე შემდგარ თეთრ ბედაურებს ემსგავსებიან. ასეთ დროს მას ყველა უფრთხის.

იანვარ-თებერვალში თითქმის მთლიანად იფარება ყინულით, დიდი სიცივეების დროს ყინული ტბაზე ისე ტყვრება ხანდახან, რომ მისი ქუხილის გამოძახილი ახლო-მახლო სოფლებში სტუმრად ჩამოსულ უცხო კაცს ფეთიანივით წამოაგდებს ზეზე.

წყალი გათბობას მხოლოდ ივლისში იწყებს და ისიც 20-40 მეტრის სიღრმემდე. უფრო ღრმად, წლის ყოველ დროს მისი სითბო 4 გრადუსს არ აღემატება.

ზოგჯერ სპეციალისტები ტელეცის ტბას, ალთაის ბაიკალს, ან პატარა ბაიკალს უწოდებენ. ამ დროს მათ მხედველობაში აქვთ არა მარტო სილამაზე, არამედ წყლის შემადგენლობაც. ტბის ყველაზე დიდი შენაკადი მდინარე ჩელუმმანია, ამის გარდა, სამოცდაათამდე მდინარე და ნაკადული ერთვის ტბას. იქიდან კი, მხოლოდ ერთი, მდინარე ბია იღებს სათავეს.

— ლეგენდა ლეგენდად და 1633 წელს დანჯღრეული, ბრტყელძირა ნავებით მდინარე ობის სათავეებისაკენ დაიძრნენ მამაცი ტომსკელი კაზაკი მოგზაურები პეტრე სობანსკის მეთაურობით, — გვეუბნება ვალერი ჩაპტინოვი. ტომსკის ციხე-ქალაქიდან გასულებს მარცხნივ პირქუში ტყეები, ხოლო მარჯვნივ დაუსრულებელი მდელოები და ველები მიაცილებს. შიშისმომგვრელ მდუმარებაში გაწოლილა დიდი უცნობი ქვეყანა. სადღაც, იშვიათად თუ დაინახავ მარტოხელა მომთაბარის კარვიდან ამომავალ კვამლს, დროდადრო ბუჩქნარებში გაიელვებენ ცხენოსნები, რომლებიც ცხენთა რემებს მიერეკებიან სტეპებისა და ტყეთა სიღრმეში, უცნობი ხალხისაგან თვალსაფარავში, და ისევ უკაცრიელი დუმილი ისადგურებს.

სადაც მდინარეები ბია და ყადნი ერთვიან ერთმანეთს, სობანსკიმ თავისი კაზაკებითურთ მოინდომა ციხე-ქალაქის აშენება, მაგრამ იქ დაბანაკებულმა მომთაბარე ტელეუტებმა

ისრებით იფრინეს ბრტყელძირა ნავებით მოსული დაუპატიჟებელი სტუმრები.

სობანსკიმ თავისი კაზაკებითურთ ბიას სათავისაკენ განაგრძო ცურვა. დიდის წვალებით გადალახა ყველა ჭოროში და მოგზაურობის დაწყებიდან მეთერთმეტე კვირას მიადგა მთებს შუა მოქცეულ ტბას. ტბის პირას ტელესების მომთაბარე ტომი ბინადრობდა და სობანსკიმ ტბას ტელეცის ტბა დაარქვა. ბინადართ ხარკი დაადო და ტომსკში დაბრუნდა, ამთავრებს ამბის თხრობას ვალერი და ბუნების სილამაზისაგან გაოგნებულთ სიხარულის ღიმილით შემოგვცქერის. უხარია, ბედნიერია თავისი კუთხის სილამაზით, რომელიც მნახველს ესოდენ ხიბლავს.

კიდევ კარგა ხანს გავცქერით გასაოცარ ტბასა და მის მიდამოებს, მერმე მანქანებისაკენ მივდივართ. წარამარა მესმის ექვთიმე იურჩიკისა და ევგენი იუდინის ხმა „...Чёрт побери, какая божественная красота, чёрт побери“.

ქალაქ გორნო-ალთაისკის სასტუმროში ვართ: გადაწყდა, სანადიროდ ხვალ მივემგზავრებით. დღევანდელი დღე თავისუფალი გვაქვს და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა მოვასწროთ, ქალაქის დათვალიერებაც, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნახვაც და ჩვენს აურაცხელ კითხვებზე გაცემული პასუხების ჩაწერაც...

იმისათვის, რომ მოგზაურობის მთელი სილამაზე და ხიბლი გაიგოს მკითხველმა, საჭიროა იცოდეს, თუ რა არის, რას წარმოადგენს მთიან ალთაიში კაიჩი. კაიჩი მომღერალი ანუ ორლარიან საკრავზე (ტოპშურზე) დევგმირებზე შეთხზული სადიდებელი სიმღერების შემსრულებელია.

საერთოდ, ზეპირსიტყვიერება ალთაიში მეტად მრავალფანროვანია. ხალხს, რომელსაც დამწერლობა საუკუნეების მანძილზე არ გააჩნდა, არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა პოეტური ხალხური საგმირო ეპოსი, ფანტასტიკური და ცხოველთა ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებები, სიმღერები, ანდაზები, გამოცანები, რომლებიც, როგორც წესი, ღამ-ღამობით კარვებში ან მონადირეებისა და მწყემსების კოცონებთან სრულდებოდა. კაიჩი სიმღერას საღამოს იწყებდა და გამთენიისას ამთავრებდა. თუ თქმულება დიდი იყო, მეორე საღა-

მოს ისევ განაგრძობდა კაიჩი წინაღამეს დაწყებულ სიმღერას.

ალთაიში ცოტა როდი იყო ისეთი თქმულება, რომლის შესრულებასაც კაიჩი რამდენიმე ღამეს ანდომებდა.

საგმირო თქმულება ფოლკლორის უთვალსაჩინოესი ჟანრია და დახელოვნებული კაიჩის მოსასმენად ხალხი შორეული აილებიდან ჩამოდიოდა.

პატარ-პატარა საყოფაცხოვრებო ზღაპრებსა და ლეგენდებს მეზღაპრეები (ჩიერჩიერკჩები) მუსიკის თანხლების გარეშე ჰყვებოდნენ. ისინი არანაკლები სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ მსმენელთა შორის.

ბუნებრივია, განსაკუთრებული პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა ის ნაწარმოები, რომელშიც უბრალო მწყემსები და მონადირეები შემდეგში დევგმირებად ქცეულნი, ამარცხებდნენ ბოროტ ბაიებსა და დაუხდობელ ხანებს, ათავისუფლებდნენ დაბეჩავებულ ხალხს მონობისაგან.

ალთაური ჰეროიკული პოეტური ეპოსის იდეური მიმართულება რამდენადმე ერთგვაროვანია, რადგან იმ საზოგადოებაში იქმნებოდა, სადაც ხანგრძლივი დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა. ძველთაძველი ხალხური ზეპირსიტყვიერება ასახავდა ამ ბრძოლას და, ამავე დროს, სწორედ ამ ბრძოლაში იყენებდნენ მას, როგორც იარაღს.

თავის მხრივ, ზაისანები, ბაიები და შამანები ცდილობდნენ, პოეტური საგმირო ეპოსი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ; ამახინჯებდნენ, ცვლიდნენ ტექსტს, ადიდებდნენ თავიანთი კლასის წარმომადგენლებს. ასე იშვა ფეოდალების „გმირობის“ სადიდებელი ზოგიერთი ნაწარმოები.

ალთაურმა ენამ არ იცის მითების, ლეგენდების, თქმულებების ცნებათა ლექსიკური გამიჯვნა. მათ ყველას ერთი სახელი ჰქვია: „კუუჩინდარი“, რაც „მოთხრობას“ ან „მონათხრობს“ ნიშნავს. მაგრამ თუ გულდასმით დავაკვირდებით მათს ჟანრულ შიდასტრუქტურას, დავინახავთ თითოეულის სპეციფიკურ თავისებურებას. უდავოა ერთი რამ, ყოველი „კუუჩინდარი“ მითოლოგიური შინაარსისაა. პირველყოფილი საზოგადოების ამ თავისებური ხელოვნების ცენტრალურ ფიგურად გვევლინება მითიური პერსონაჟები. „კუუჩინდარი“

ზეპირი თქმულებებია, რომლებშიც ბუნებისა და სიცოცხლის მოვლენებს გამუდმებით ხვდებოდა პირველყოფილი ადამიანი. ისინი ხორცს ისხამდნენ მითიურ სახეებში, რაც ეხმარებოდა მას გარემო სამყაროს აღქმასა და ესთეტიკური გემოვნების დახვეწასა და განვითარებაში. შეუცნობლის შეცნობაში, ბუნების სტიქიურ ძალებთან ბრძოლის ხერხების ძიებაში.

ალთაურ მითოლოგიაში არიან ისეთი დევგმირები, რომლებიც დავიწყებას არ ეძლევიან საუკუნეების განმავლობაში და ლეგენდად ქცეული მათი სახელები ხალხს დღესაც პირზე აკერია. ასეთია, მაგალითად, სარტაკპაი.

მითები და ლეგენდები, რომლებიც მეტყველებენ ამ გმირის სახის უძველეს წარმოშობაზე, რამდენიმე ამათგან აღსანიშნავია გადმოცემები იმაზე, თუ სარტაკპაიმ თავის შვილთან ერთად როგორ გააჩინა მდინარეების: ყადნის, ბიას, ბაშკაუსის, ჩელუშმანის კალაპოტები და შექმნა ოქროს ტბა.

იმაზე, თუ სარტაკპაიმ როგორ გასწია მთა სოგონატუუ და შექმნა მთა ბეშპეკი.

იმაზე, თუ სარტაკპაიმ შვილთან ერთად როგორ ააგო ხიდი მშფოთვარე ყადნზე. იმაზე, თუ სარტაკპაიმ როგორ დაითანხმა მზე და მთვარე, რათა მათ ცაში აეთრიათ შვიდთავა ურჩხული — დელბეტენიი.

მითები დედამიწაზე სარტაკპაის მიერ დატოვებულ კვალზე.

მითები სარტაკპაის მონღოლეთში ყოფნაზე.

მითები სარტაკპაის სიკვდილზე.

ყველა ამ მითში მოთხრობილია ამ ლეგენდარული გმირის არნახული გმირობების ამბავი. მთელი მისი მოქმედება ემსახურება ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას, ეხმარება ხალხს. მის საგმირო საქმეებს კეთილი საწყისი უდევს საფუძვლად. სარტაკპაის თითით შეეძლო მდინარის კალაპოტი იქით გადაეყვანა, საითაც ეს ხალხს სჭირდებოდა. შეეძლო ისრით გაეპო მთები და კლდეები, აეშენებინა ხიდები ბობოქარ მდინარეებზე.

სარტაკპაი — მშენებელი, სარტაკპაი — შემოქმედი, დაუღლელი შრომისმოყვარე! მან ცას ელვა მოსწყვიტა, ნაპრალში ჩაამაგრა და ასე გაანათა დედამიწა. სარტაკპაი იყო დევგმი-

რი, როგორც მოხუცები ჰყვებიან, — სადაც ის გაივლიდა, აქ ყველგან, მიწაზე თუ ქვებზე, ტიტანის მიერ წარუშლელ კვალს ტოვებდა. მთიან ალთაიში ყველგან შეხვდება ადამიანი სარტაკპაის ნამყოფ ადგილებს. „აი, ის აქ ისვენებდა, აქ მისი ნაკვალევია, აქ იჯდა, აქ ნადირობდა“ და ა. შ.

ალთაელთა ხალხურ საწესჩვეულებო პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ალკიშს“, რაც პირდაპირ თარგმანში კეთილმოსურნეობას, დალოცვას ნიშნავს.

ალკიშს ადამიანის საზოგადოებრივი საქმიანობის ყველანაირ პირობებში მიმართავდნენ, იგი დაკავშირებულია საკულტო, საწარმოო და საოჯახო საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებთან. ალკიშების სპეციფიკაა — ცხოვრების გამოცდილების განზოგადება.

ალკიში — ხალხური პოეზიის უძველესი, არქაული ჟანრია, სიტყვის მაგიურ ძალას დაყრდნობილი, რომელიც მიზნად ისახავს თხოვნის თუ კეთილმოსურნეობის გზით მიაღწიოს წარმატებას შრომაში, ცხოვრებაში, მატერიალურ უზრუნველყოფაში, მშვიდობიან და საბრძოლო საქმეებში. წარმატებას, როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე მთელი კოლექტივის (გვარის, ტომის) ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ალკიშების ძირითადი დანიშნულებაა — გააუმჯობესონ ადამიანის ცხოვრება.

თემატურად ისინი შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. საკულტო ან გვაროვნული ალკიშები. ისინი ეძღვნება ტოტემებს — წინაპაროა სულებს, ალთაის მთების პატრონებს (ტტუ ეეზი), ტაიგის, მდინარეების, ტბების, ცეცხლის და ა. შ. პატრონებს.

2. საწარმოო ალკიშები დაკავშირებულია ადამიანების სამეურნეო საქმიანობასთან, ნადირობასთან, მესაქონლეობასთან, რეწვასთან და მიმართულია საქონლის, ნადირის, ფრინველის, ტაიგის მფარველებისადმი.

3. საოჯახო-საყოფაცხოვრებო ალკიშები განეკუთვნება საოჯახო-საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებს, როგორიცაა ბავშვის დაბადება, საქორწინო რიტუალი, სტუმრის დახვედრა და გაცილება და სხვ.

აი, როგორ მოიმადლიერებენ ალკიშები გვარის, ტომის მთავარ მფარველ „ეეზის“ „ალთაის სულს“.

შენს მთებზე დავდივართ,
შენი მდინარეებიდან და ნაკადულებიდან
ვსვამთ წყალს,
შენთან ჩახუტებულნი ვათენებთ, ალთაი,
შენზე ვსახლობთ და ვცხოვრობთ.
ჩვენო ძვირფასო ავგაროზო, მდიდარო ალთაი!
ჩვენო ნათელო, მზიანო ალთაი!
თეთრ საქონელს მიეც საძოვრები.
ამრავლე მათი დაბადება, რიცხვი,
არარად აქციე ზარალი ჩვენი.

ალთაი — ეს სამშობლოა. ალთაის თავის თავში აქვს მოქცეული გვარის, ტომის, მფარველის საკულტო ღვთაება. მასში შეიძლება აღიძრას რისხვა და შერისხვა. ამიტომ მონადირეებმა, როცა რეწვისათვის ემზადებიან, შემდეგ კი უკვე ნადირობიდან დაბრუნებულებმა „ალთაის პატრონზე“ მხოლოდ კარგი უნდა ილაპარაკონ, ასიამოვნონ მას, ეცადონ, რომ რაღაც გაუთვალისწინებელი მოქმედებით არ განარისხონ იგი. მასთან სანადიროდ მზადების დროს იცავდნენ გარკვეულ რიტუალს.

როცა ნადირობაზე ლაპარაკობდნენ, დაუშვებელი იყო ზედმეტი ყოყოჩობა, ხუმრობა, უადგილო სიცილი, კვეხნა, მონადირენი ერიდებოდნენ ერთმანეთთან კინკლაობასა და ჩხუბს.

რეწვაზე გასვლის წინ სრულდებოდა ცეცხლთაყვანისმცემლობის წესები, რასაც თან ახლდა ალკიშები.

ამის შემდეგ მონადირეები დალოცვას შესთხოვდნენ საცხოვრებლის პატრონ-მფარველს და გაუდგებოდნენ გზას. ტყეს რომ მიუახლოვდებოდნენ, ქუდებს მოიხდიდნენ და მუხლმოდრეკილნი შესთხოვდნენ „ტაიგის სულ-პატრონს“:

ადრე აქ დადიოდნენ ჩვენი მამები,
ახლა ჩვენ, მათი ახალგაზრდა მარცვლები, მოვედით,
გვაჩვენე შენი ნადირ-ფრინველნი.

სამონადირეო ალკიშები, საკულტო ალკიშებისაგან განსხვავებით, გაცილებით ლაკონური და კონკრეტულია. მათი

შესრულებისა და დანიშნულების სპეციფიკა დაკავშირებულია სამონადირო რეწვასთან, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ნანადირევის მოპოვება. როცა მონადირეები ისეთი მაღალი მწვერვალების უღელტეხილებზე ავიდოდნენ, როგორებიცაა სიმულტი, კულადი, კაიარლიკი, კადრინი (ონგუდაის რაიონის რეგიონი), მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ისინი ამ მთის „პატრონს“ მიაგებდნენ პატივს, ცდილობდნენ, მათი გული მოეგოთ შესაწირავებითა და ლოცვით. ისინი უღელტეხილზე ამოსულ ხის ტოტებზე ამაგრებდნენ ქსოვილის ბაბთებს (დალამა) და წვავდნენ არჩინს, რათა უღელტეხილიდან განედევნათ ბოროტი სულები. შემდეგ კი ალკიშები მიმართავდნენ მთის „პატრონს“:

„დიდმა ტაიგამ, დე, გაგვიხსნას უღელტეხილი,
მდინარეებმა გვიჩვენონ ფონი,
ჩემმა ალთაიმ მოგვაგებოს ნაკადულები
და გზანი ჩვენი იყოს დალოცვილ...

რა თქმა უნდა, სამონადირეო წეს-ჩვეულებები სხვადასხვაგვარია, იგი დამოკიდებულია. ნადირობის სახეობაზე, მონადირეების მიერ დასასვენებელი ადგილის შერჩევაზე და ა. შ. მაგალითად, აუცილებელია წმინდა ხის წინაშე ჩვეულებრივ კედრი. „გამასპინძლების“ რიტუალის შესრულება. ხეს უმასპინძლდებიან ტალკანით ან მონადირის სხვა რამ საგზლით. წმინდა ხის გამასპინძლებას თან სდევს ასეთი მიმართვა:

შენს კენწეროზე დე, ფრინველნი ათევდნენ ღამეს,
ჩვენ იმის ძირას გაგვითენდეს მშვიდობის დილა.

ამის შემდეგ თავმონადირე ღვინოს მოასხურებდა სადგომს და მიმართავდა ტაიგის პატრონს ალკიშით: „მოგვეც მშვიდობა და იღბალი, მოგვეც ნადავლი, მოგვაკვლევინე ციყვი, ჩოკ!“ ხშირად მონადირეთა სადგომებში გაიგებდით შოორის ჰანგებს ან ხორხისმიერ სიმღერას — კოომეის, აგრეთვე თქმულებას გოლიათებზე ტოჰშურის აკომპანიმენტით. მონადირეთა სადგომებში „ტაიგის პატრონის“ საამებლად მიჰყავდათ მუსიკოსები და საგმირო ამბავთა მთქმელები. მონადირეებს სჯეროდათ, რომ „ტაიგის სულ-პატრონს“, ამა

თუ იმ ადგილის მფარველს უყვარს მუსიკის, თქმულებების მოსმენა და სამაგიეროდ ილბლიან ნადირობას დაუბედებდა მათ. ამ უძველეს წეს-ჩვეულებათა ტრადიციებიდან დღემდე შემონახულია ბევრი რამ, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ალთაის ტომებს შორის, რის მოწმეც ჩვენ თვითონ არაერთხელ გავხდით.

მონადირეთა კოცონებთან და სადგომებში ნათქვამი ზღაპრებისათვის მთქმელი გულუხვად ჯილდოვდებოდა. ყოველი მონადირე მას თანაბრად უყოფდა თავის ნადავლს.

ალთაელ მონადირეებს აქვთ ტაბუ-აკრძალვები, რაც ავალდებულებთ, მხეცები არ ახსენონ თავიანთი სახელებით. მაგალითად, დათვს ეძახიან ბაბუას (ტაადაკ), მგელს — გრძელკუდა ბიძას (უზუნ კუირუკ ტააი), ციყვს — ძვლიან თავს (სოოკ ბაშ), სიასამურს — შავ მორბენალს (ყარა იუგურუთ) და ა. შ.

ალთაელი მონადირეების რწმენით, არ შეიძლება ცეცხლზე დაწვან ბეწვი, ფრინველის ბუმბული, ნადირის ძვლები. ეროდგან როგორც კი იგრძნობენ ნადირ-ფრინველები ამ სუნს, დაემალებიან მონადირეებს, ხოლო „სული-პატრონი" შეიძლება ამით განრისხდეს. ამას გარდა, ცეცხლი, რომელიც წვავს ნადირს და ფრინველს, შეუძლებელს ხდის ამგვარი წესით განადგურებული ცხოველის აღდგენას. მონადირეთა წარმოდგენით, ნადირთა ძვლების, თავის ქალის, თვალების და ა. შ. შენახვა ხელს უწყობს მათს აღორძინებას.

აღსანიშნავია, რომ ალთაელი მონადირეები ნადირს არ ესროდნენ თვალსა და ყურში: გადმოცემით, ამით შეიძლებოდა მონადირეს უსიამოვნება შემთხვეოდა: დაბრმავებულიყო ანდა დაყრუებულიყო, ასეთი უბედურება მისი ოჯახის რომელიმე წევრსაც შემთხვეოდა. დათვზე ნადირობისას და ნანადირევის განაწილების დროს არსებობდა ქცევის განსაკუთრებული ეთიკა, და აგრეთვე, ცრურწმენა. პირველ რიგში მოკლულ დათვს ამოამტვრევდნენ კბილებს, იმისათვის, რომ კბენა აღარ შესძლებოდა, დასთხრიდნენ თვალებს, იმისათვის, რომ მას ვეღარ დაენახა ხალხი, ამოთხრილ თვალებს ტაიგის მხარეს გადაყრიდნენ, სჯეროდათ რა, რომ ღვთაებრივი ალთაი ამ თვალებს სხვა ნადირს მისცემდა, ხანდახან

თვალებს რომელიმე მონადირე გადაყლაპავდა, იმ მიზნით, რომ დათვებს მასში თავიანთი თავი დაენახათ ან არაფერი დაეშავებინათ მისთვის. მიიჩნევდნენ, რომ ის, ვინც თვალებს გადაყლაპავდა, გამბედავი, ყოვლისმხედველი და ყისმათიანი მონადირე იქნებოდა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ უძველესი მონადირეების მაგიური წარმოდგენები მთლიანად და სავსებით დაკავშირებული იყო ნადავლთან, მის მოპოვებასთან.

სამონადირეო ლეგენდები და თქმულებები მიგვანიშნებენ, რომ მათი დანიშნულებაა ტაიგის „პატრონის" გულის მოგება, რათა იღბლიანი ნადირობა დაებედოთ მონადირეებს. მოვიყვანთ მაგალითს:

„ცხოვრობდა ორი ძმა. ერთს ერქვა კოსტოჩი — ანუ ნათელმხილველი, მეორეს — კაიჩი — მთქმელი. ისინი ძალზე მდიდრულად ცხოვრობდნენ, რადგან ყოველთვის იღბლიანად ნადირობდნენ. ტაიგის პატრონი მათდამი კეთილად იყო განწყობილი.

ერთხელ, სამონადირეო სეზონის დროს მონადირეთა სადგომში კაიჩი ტყეთა სულებზე ჰყვებოდა ზღაპარს. ამ დროს მათთან გამოცხადდა თვით ტაიგის მპყრობელი „ეეზი"; შეუმჩნეველად დააჯდა მხრებზე კაიჩის და ყურადღებით დაუწყო მოსმენა. როცა მთქმელმა თხრობა დაასრულა, სულიმპყრობელი გამოეცხადა მათ და თქვა: „როგორ გავერთე მოსმენით! ახლა ჩემი კვიცი მკვდარიაო!"

ნათელმხილველმა, რომელიც ყოველივე ამას ხედავდა და ესმოდა, ის ვერ გაიგო, რომელ კვიცზე ლაპარაკობდა „ეეზი".

დილით ძმები წავიდნენ თავიანთი ხაფანგების დასათვალიერებლად, მათ უამრავი და ძვირფასი ნადავლი დახვდათ, ხოლო ერთ ხაფანგში მკვდარი კოდალა იპოვნეს. ნათელმხილველი მაშინღა მიხვდა, რომ სწორედ ეს გახლდათ ტაიგის პატრონის „კვიცი".

ჩრდილოეთელ ალთაელებს (შორცებს, კუმანდელებს, ჩელკანებს) აქვთ ანალოგიური ლეგენდები და თქმულებები, რომლებიდანაც ნათელი ხდება, რომ მონადირის ბედ-იღბალი დამოკიდებულია მთქმელის ხელოვნებაზე, იმაზე, თუ

რამდენად ენატკბილად აამებენ ტაიგის პატრონს — ნადირთა მფარველს.

ტაიგის პატრონს, თითქოს და მთქმელის ხელოვნებით მონუსხულს, ავიწყდება თავისი ხელქვეითები — სამწყსო და თავისი მფარველი „პატრონის“ ყურადღების გარეშე დარჩენილი ნადირი მონადირეების მსხვერპლი ხდება. ზოგჯერ კი ნასიამოვნები ტაიგის „პატრონი“ მონადირეებს ხანდახან თვითონ უგზავნის საჩუქრად ნადირ-ფრინველს კარგი სიმღერისა თუ ზღაპრის მოსმენის გამო.

ერთ-ერთ თქმულებაში, რომელიც შორტებთანაა ჩაწერილი, ნათქვამია: „მონადირე შორტთან, როცა ის საღამოს ტყის ბალაგანში კობიზზე უკრავდა, მივიდა წითური კაცი და ბოლომდე დიდი ყურადღებით მოუსმინა. ხოლო წასვლისას უთხრა: „ხვალ ისევ მოვალ“. მეორე დღეს ის მართლაც მოვიდა, ისევ დატკბა მისი მოსმენით და მერმე გაუმხილა იღბლიანი ნადირობის საიდუმლო, აჩვენა მთიდან ხეობაში ის ერთადერთი გამოსასვლელი, საიდანაც გამოდიოდნენ სიასამურები. მონადირე ჩასაფრდა იმ გამოსასვლელში, დახოცა იმდენი სიასამური, რამდენიც უნდოდა და უზომოდ გამდიდრდა“.

ანალოგიური თქმულება აქვთ მდინარე ბაიგოლის სანაპიროზე მცხოვრებ ჩელკანელებს. ჩელკანელების თქმულებებისამებრ მონადირეები ტყეთა პატრონების ყურადღებას შოორზე[1], აგრეთვე ირმების მოსატყუებელ მონადირის ბუკზე დაკვრით იმადლიერებდნენ. ამ ხმებით მოხიბლული ტყის „პატრონები“ მონადირეთა სადგომების გარშემო იკრიბებიან, ხოლო ნადირი მფარველის ყურადღების გარეშე რჩება და ადვილად ებმება მონადირის მიერ დაგებულ მახეში.

ამ თქმულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტყის სულები უძველეს მონადირეებს ადამიანების მსგავსი სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მათ ესმით ადამიანის ლაპარაკი, უყვართ ზღაპრების მოსმენა, დიდ სიამოვნებას ანიჭებთ მუსიკა.

დროთა განმავლობაში ლეგენდებსა და თქმულებებში

---

[1] შოორი — სალამური, სტვირი.

სულ უფრო შესამჩნევი ადგილი ეთმობა რეალურ ამბებს. მათში მითოლოგიური, ფანტასტიკური საწყისი ნელ-ნელა ქრება.

ალთაიში უამრავ ლეგენდას და თქმულებას მოისმენთ რეალურ გმირებზე, მთქმელებზე, მოჭიდავეებზე, შამანებზე. მთქმელები დაწვრილებით აღწერენ მათს გარეგნობას და იმასაც კი მიუთითებენ, თუ რომელი საგვარტომოდან (სეოკიდან) იყვნენ ისინი.

არსებობს, აგრეთვე, უამრავი ლეგენდა და თქმულება ალთაელი ტომების გენეალოგიაზე. აი, ერთი მათგანი:

„ეს იყო დიდი ხნის წინათ. კაცმა, რომელსაც ტოკპოკი ერქვა, იშვილა ბიჭუნა და დაარქვა სურას-კისკა. როცა გაიზარდა, დაქორწინდა და ეყოლა ხუთი ვაჟი. მათი სახელების დარქმევაზე მამამ დიდი ლხინი გამართა და უამრავი ხალხი მოიპატიჟა.

გაიმართა სახელების დარქმევის რიტუალი. თითოეულ ვაჟიშვილს მისცეს ხორცის ნაჭერი, რომელიც ცხენის სხეულის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენდა.

იმას, რომელსაც — შიგანის ქონი — ყაზი მისცეს, ყაზიყიფჩაღი დაარქვეს, რომელსაც სწორი ნაწლავი — კარტა ერგო, კოტონშ-ყიფჩაღი დაენათლა, რომელსაც ჯიდაო-დეალი ერგო, დეალჩი-ყიფჩაღი დაარქვეს, მეოთხემ კანჭები — ტაკიმ შეჭამა და ტანგა-ყიფჩაღი შეერქვა, ხოლო მეხუთე შვილმა არ ინება ხორცის იმ ნაწილის შეჭმა, რომელიც მას ერგო და ამიტომ უსახელოდ დარჩა. მან დატოვა თავისი საგვარტომო და უგზო-უკვლოდ დაიკარგა“, — მოგვითხრობს ლეგენდა.

ჩვენი გულღია, მხიარული მასპინძლები და მეგზურები ვალერი ჩაპტინოვი, ბარაჩაკ მენდეეოვი, ტე-ტე-ტკე ბაიდანოვი და მუდამ მხიარული, მართლაც დევგმირული აღნაგობის ალექსი კურაკინი რიგრიგობით გვიყვებიან თავიანთი საყვარელი მხარის სხვადასხვა ამბებს. სიმღერა მაინცდამაინც არც ერთს არ ეხერხება და ამიტომ ჩიერჩიერკჩის ფორმას ირჩევენ. გარდა ამისა, არც ტოპშური წამოუღიათ და არც ის გვაძლევს ხელს, რომ ყოველი ღამე გავათენოთ,

ამიტომ ჩვენი ჩიერჩიერკჩები, როგორც კი დროს იხელთებენ, მაშინვე შეუდგებიან თავიანთ საქმეს...

რაღა დაგიმალოთ და, პირველად, როგორც მონადირეებს, ძალზე საეჭვოდ და დამცინავად დაგვიწყეს ცქერა. ამის მიზეზი კი ჩვენი გლუვლულიანი სანადირო თოფები გახლდათ.

— კი, მაგრამ, ეს თოფები რისთვის წამოიღეთ, ნეტავ? — ღიმილით გვეკითხება ბარაჩაკ მენდეეოვი და თან სიბრალულით შემოგვცქერის.

— როგორ თუ რისთვის, სანადიროდ! — პასუხობს ჩვენი თავმონადირე ექვთიმე იურჩიკი.

— რისთვის? რისთვის? — ჩაეკითხა ბარაჩაკი და ახლა გაოცებით შეავლო თვალი. როგორც კი დაგინახეთ, თქვენც შემებრალეთ და ჩემი თავიც, რადგან მომავალ სანადირო დღეებს წინასწარ დაკარგულად ვთვლიდი.

— მე, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა შევათვალიერე, ჩემი ნაქები „ბრაუნინგი".

— ჰო, მაგრამ რაზე უნდა ინადირო მაგით? — არ გვეშვება ბარაჩაკი.

— იხვზე, ბატზე... — დაიწყო ექვთიმემ ჩამოთვლა. მაგრამ ამ დროს ბარაჩაკსა და აქამდე ჩუმად მყოფ დანარჩენებს ისეთი ხარხარი აუტყდათ, რომ ჩვენ დაბნეულნი მივაჩერდით ერთმანეთს. ვალერი ჩაპტინოვმა ხელის აწევით ანიშნა, გაჩერებულიყვნენ და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა. არ კი გეწყინოთ, მაგრამ ჩვენში ნამდვილი მონადირეები ფრინველს არასოდეს ესვრიან, ხოლო ვისაც თოფის ტარების უფლება აქვს, ეგრეთ წოდებულ მანძილა თოფებით არიან შეიარაღებულნი. ჩიტების დევნა ვაეკაცის საქმე არ არის, — ასე იტყვიან ჩვენში.

როგორც შემდეგ ვნახეთ, სოფლებთან მდებარე ტბეზა სავსე იყო გარეული იხვებით, რომლებსაც კაცისშვილი ხმას არ სცემდა.

— გარდა ამისა, მთაში ნადირი ახლოს არ მიგიშვებს, შორ მანძილზე კი ეგ თოფები არაფრის მაქნისია. — ჩაილაპარაკა ტე-ტე-ტკემ.

— ეგ არაფერი, თოფებს მოგიტანთ, — შეგვპირდა ვალერი ჩაპტინოვი, — ხოლო ჩიტებზე ნადირობას დაანებეთ

თავი, აქ ტაიგის მბრძანებელს აიუს (დათვი) უნდა შეხვდეთ, მარალები და ტეკები დათოფოთ, ვინ იცის, ეგებ ირბისიც შეგეყაროთ.

იმის დამამტკიცებელი ეპიზოდების მოყოლამ თუ სპორტულად რამდენად საინტერესოა გაფრენილ ფრინველზე ნადირობა, ვერავითარი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, პირიქით, ისე გვიყურებდნენ, აშკარად ეტყობოდათ, რომ ფიქრობდნენ — ამ საცოდავებს არ სცოდნიათ ნამდვილი ნადირობა და ეგ არისო...

იმავე საღამოს მოგვიტანეს მილიციის სამმართველოდან ძველი რუსული შაშხანები და ვაზნები, ჩვენი თოფები კი სასტუმროში დავტოვეთ. უთენია ფეხზე ვიყავით ყველანი, თითო ფინჯანი ცხელი ყავა დავლიეთ, მსუბუქად ვისაუზმეთ, მანქანებში ჩავსხედით და გეზი ჩუის ტრაქტისაკენ ავიღეთ. ჰაიმას რაიონულ ცენტრს გავცდით და მდინარის ყადნის სანაპიროს გავყევით.

ჩუის ტრაქტი ერთ-ერთი თავისებური და ყველაზე ლამაზი გზატკეცილია ჩვენს ქვეყანაში. ამ ტრაქტით, შორეულ წარსულში, როცა ის ჯერ კიდევ მთის ბილიკი იყო, ალთაის ძირითადი მოსახლენი გადადიოდნენ ერთი სადგომიდან მეორეში, კავშირი ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან და ტომებთან. გადიოდა საუკუნეები და ბილიკს ცვლილებები არ განუცდია, მთელი მთიანი ალთაი უგზოობის მხარეს წარმოადგენდა.

ჩუის ტრაქტის მატიანეში, როგორც სარკეში, ისეა ასახული მთიანი ალთაის ისტორია.

ჩუის ტრაქტს უზარმაზარი სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა აქვს.

ჩუის ტრაქტს ტყუილად როდი ეძახიან მთიანი ალთაის მთავარ არტერიას. ის მთიან ალთაის ჩრდილოეთიდან სამხრეთით სერავს, გადის მის ძირითად დასახლებულ პუნქტებზე, უზრუნველყოფს ოლქის რაიონებისა და სოფლების კავშირს ცენტრთან. იგი მთიანი ალთაის ეკონომიკის განვითარების მატერიალურ ბაზას წარმოადგენს. ტრაქტი უშუალოდ აკავშირებს ოლქს ციმბირის სარკინიგზო და საწყლოსნო გზებთან.

ამ ტრაქტზე გადის მონღოლეთის სახალხო რეპუბლი-

კასთან ჩვენი ქვეყნის სავაჭრო გზები. ახლო მომავალში ნოვოსიბირსკ-ბარნაულ-ბიისკის ტრაქტი მთიან ალთაის დააკავშირებს ავტომაგისტრალით მოსკოვი-შორეული აღმოსავლეთი, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩუის ტრაქტის სამეურნეო მნიშვნელობას.

ჩუის ტრაქტით გაიარეს მთიანი ალთაი პირველმა მკვლევარებმა, აქედან იწყებოდა ჩამოსახლება რუსი გლეხებისა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ალთაელების მიერ მოწინავე კულტურისა და დამწერლობის ათვისებას. ამ ტრაქტით შემოვიდა ალთაურ სოფლებში პირველი წიგნები, გაზეთები. ჟურნალები. გაიჭიმა ტელეფონის, რადიოს, ელექტრონის პირველი მავთულები, ამ ტრასით შევიდნენ მთიან ალთაიში პირველი ავტომობილები, ტრაქტორები, კომბაინები.

ჩუის ტრაქტით მთებისა და ჭორომებიანი მდინარეების გავლით, ტაიგიან მთიან ალთაიში შეაღწია მარქსისტულ-ლენინურმა რევოლუციურმა მოძღვრებამ, დიდმა ოქტომბერმა და ლენინის სახელმა, რომელმაც ალთაელ ხალხს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა.

სამოქალაქო ომის დროს ჩუის ტრაქტი იქცა წითელი პარტიზანებისა და წითელარმიელთა გმირული ბრძოლების ადგილად, თეთრგვარდიელთა რაზმებისა და კულაკთა ბანდების წინააღმდეგ, როგორც წითელარმიელები და პარტიზანები, ასევე თეთრგვარდიელები ისწრაფვოდნენ დაეკავებინათ ტრაქტის გასწვრივ დასახლებული მთავარი პუნქტები და თავიანთი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ ყოველთვის. ამ წლებში მონღოლეთისა და ჩინეთისაკენ გარბოდნენ კონტრრევოლუციონერები, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ელემენტები, გაურბოდნენ რევოლუციურ მართლმსაჯულებას. ჩუის ტრაქტის ხელში ჩაგდება პარტიზანებისათვის ნიშნავდა — გზა გადაეღობათ ამ კონტრრევოლუციონერი ლტოლვილებისათვის, რომლებიც ისწრაფვოდნენ გაეღწიათ მონღოლეთში, რათა იქ ისევ მოეკრიბათ ძალა და დაეწყოთ ახალი ლაშქრობა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

რევოლუციამდე ტრაქტი მთის ბილიკს წარმოადგენდა, სადაც დასაპალნებულ ქარავნებს ყოველ წუთს ემუქრებოდა

ქარაფებში გადაჩეხვის საფრთხე. პირველი რუსული ცნობები ტრაქტის შესახებ მიიღეს 1788 წელს, როცა ვაჭრები ჩუის დაკლაკნილი საცალფეხო ბილიკებით თავიანთ საქონელს მდინარე ჩუის სათავეებისაკენ ეზიდებოდნენ. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იწყება პირველი ცდები ტრაქტის მთიან ნაწილში საურმე გზის გასაყვანად. საურმე გზა ტრაქტის დასაწყისში სოფლებამდე ჩერგამდე და შებალინომდე უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გადიოდა. 1902 წელს ჩატარდა საკმაოდ დიდი სამუშაოები ამ საცალფეხო ბილიკების საურმე გზად გადაკეთებისთვის, და დაამთავრეს კიდეც. იმ დროს ეს გზა ასეთი მიმართულებით — ბიისკი-სტარაია ბელოკურიხა-ალტაისკოე-ჩერგა-შებალინო-ონგუდაი-კოშ-აგაჩი გადიოდა და ძველს „ლევობერეჟნის“ ეძახდნენ.

1913 — 1914 წლების ზაფხულის პერიოდში მთიან ალთაიში საძიებო სამუშაოებს ატარებდა ექსპედიცია, ცნობილი რუსი მწერლის ვიაჩესლავ იაკობის ძე შიშკოვის ხელმძღვანელობით. მათ უნდა მოეძებნათ მონღოლეთისაკენ უმოკლესი გზის საუკეთესო ვარიანტი. ვ. შიშკოვის საძიებო პარტიამ შეისწავლა და შეადგინა ტრაქტის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რუკების ვარიანტები. კითხვაზე, როგორ გაეყვანათ ტრაქტი — პასუხი იმხანად გაუცემელი დარჩა.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის გამო სამუშაოები შეწყდა, შიშკოვი თავის ჯგუფთან ერთად ტომსკში დაბრუნდა, სადაც ორი წლის განმავლობაში შეგროვილი მასალების დამუშავებას ეწეოდნენ.

ვ. ი. შიშკოვის ექსპედიციას ჩუის ტრაქტის მშენებლობა არ დასცალდა, მაგრამ მწერალმა თავისი ალთაური ჩანაწერებით, მოთხრობებით, ნოველებით და მოგონებებით ხელთუქმნელი ძეგლი აუგო ხალხს, რომლის წმინდა სულშიც ჩაიხედა, გასაგები გაიგო, ფაქიზი სიყვარულით შეიყვარა და თავისი სიცოცხლის მრავალი წელი მოახმარა ამ წარმტაცი და მკაცრი ბუნების, კეთილი და კეთილშობილი რაინდი ხალხის ცხოვრების აღწერას.

ის გულდასმით ეცნობა ამ მხარის ბუნებასა და ხალხს. მთიანი ალთაის დიდებული სილამაზე დათოვლილი მთათა მწვერვალებით, გადარეული ყადნით, მქუხარე წყალვარდ-

ნილებით, უკიდეგანო ტყეებითა და ცისფერი ხეობებით ატყვევებს მწერალს. იგი გააკვირვა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებისა და ყოფის თავისებურებამ. თენგინის ტბის მახლობლად მას მოუწია ეროვნული ტოის (ქორწილს) დასწრებოდა. ტოი ჩატარდა როგორც დიდი ეროვნული დღესასწაული. თვითონ ვ. ი. შიშკოვის სიტყვებით, მაშინ ის თითქოს დრომ თემურ-ლენგის თანამედროვეთა შორის გადაისროლა, გაუხედნავ ცხენებზე შეჯიბრმა, გოლიათების ჭიდაობამ, თამაშობებმა და სიმღერებმა, საღამოს კი ვარსკვლავებით ავსებული ტბის სანაპიროზე დანთებულმა უზარმაზარმა კოცონებმა, ცეცხლზე შემოდგმულმა ხორცით სავსე ხელშემოუწვდენელმა ქვაბებმა მანამდე განცდილ ყოველგვარ შთაბეჭდილებას გადააჭარბა.

მთიანი ალთაის შესანიშნავ ბუნებასთან ერთად მწერალმა შეძლო დაენახა ალთაელების მძიმე, შავბნელი ცხოვრება, რომელიც შესანიშნავად აღწერა ნარკვევში „ჩუის ტრაქტით“.

ვაჭრებს, რომლებიც ჩუის ხეობაში ვაჭრობდნენ, ხალხმა „ჩუელი მყვლეფელები“ შეარქვა და მათზე ასეთი ანდაზა გავრცელდა: „ჩუელებთან სიმართლის პოვნა იგივეა, გველს ფეხები უპოვნოო“. შიშკოვმა ვაჭართა მხეცური ბუნება და სიხარბე გასაოცარი სიზუსტითა და სიმართლით დაგვიხატა მოთხრობებში („ჩუის ნამდვილი ამბები“), რომლებიც 1913 წელს დაიწერა. ამავე დროს ჩუის ტალღების გადარეულ სრბოლაში მწერალი ხედავდა ალთაელი ხალხის ნათელ მომავალს, სჯეროდა უკეთესი ცხოვრების დადგომისა. მისი სიტყვები ძალუმად და დამაჯერებლად ჟღერს: „შესდექ, ჩუია, შესდექ! შეხედე, აღმოსავლეთი ვარდისფრად შეიღება. დღე დგება, ღამე დასრულდა... ცოტა კიდევ და შენი ტალღები ახალ სიმღერას იმღერებენ, იმღერებენ ახალ ნამდვილ ამბებს — ნათელსა და ბედნიერს. დიახ, აღარ განმეორდება წარსული, დიახ, ის ვეღარ დააბნელებს მომავალს“.

მწერლის წინასწარმეტყველება ახდა. ახლა ახალ სიმღერებს მღერის ჩუის ტალღები, მის სანაპიროზე გაშენდა ახალი სოფლები, ყველგან კიაფობენ ელექტრონათურები. ცისფერ ტელეეკრანებს მისხდომიან ალთაელი გლეხები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმ მრავალრიცხოვან პრობლემათა შორის, რომლებიც უნდა გადაწყვეტილიყო, ერთ-ერთი უპირველესია გზათა მშენებლობა. გზების გაყვანა უზარმაზარ წინააღმდეგობათა დაძლევას მოითხოვდა. მთათა ქედების საუღელტეხილო გადასასვლელების ხევების კაპიტალურ მოსწორებას, კლდეთა აფეთქებასა და გაწმენდას და მთის უამრავი მდინარის ფონის დაძებნასა და გადალახვას.

ალთაის სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტი ჯერ კიდევ 1920—1921 წლებში ცდილობდა ტრაქტის სამგზავრო ნაწილის ზოგიერთი სამუშაოს ჩატარებას, მაგრამ ამის განხორციელებას ბანდიტიზმი უშლიდა ხელს.

1922 წელს დაარსებულმა ბიისკის სახელმწიფო ნაგებობათა განყოფილებამ შეადგინა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო მდინარე ყადნზე კორკეჩუს ბომიდან სოფელ ინიამდე სამი, თითოეული 40.000 მანეთის ღირებულების, ბორნის აგება. აგრეთვე 160.000 მანეთის ღირებულების დამბებისა და წყალსარიდი არხების გაკეთება. მაგრამ სახსრების უკმარისობის გამო სამუშაოები მთლიანად ვერ შესრულდა. მდინარე ჩუიზე აშენდა ხიდი, სოფელ ვერხ-კომარიმდე ტრაქტი მეტნაკლებად გასუფთავდა და წესრიგში მოიყვანეს მისი სამგზავრო ნაწილი. ამიტომ ითვლება 1922 წელი ჩუის ტრაქტის აღდგენითი სამუშაოების დაწყების თარიღად.

1923 წელს სამუშაოები განახლდა. სახსრები გზათა სახალხო კომისარიატმა გამოყო. დღედაღამ ისმოდა ამონალითა და სხვა ფეთქებადი ნივთიერებებით ჩამოზვავებული უზარმაზარი კლდეების კვნესა და გრიალი. ახალგაზრდა რესპუბლიკის ბატონ-პატრონები, რომლებსაც ბარი, წერაქვი და ნიჩბებიც კი არ ყოფნიდათ, გმირულად ებრძოდნენ ბუნებას.

ვინ მოთვლის, რამდენი მიწა, ქვა, ღორღი გაიტანეს, გაასუფთავეს გზა. ზაფხულის პერიოდში მდინარე ყადნზე აშენდა 3 ბორანი, რომელთაგან თითოეულს 12 საზიდრის გადაყვანა შეეძლო. ადრე არსებული ბორნები თეთრგვარდიელმა ბანდიტებმა მოსპეს, ორმაგი ტროსები დაწყვიტეს და ბორნები გადარეულმა ყადნმა კლდეებს შეალეწა.

1922 წლის 26 მაისს ჩუის ტრაქტი, სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სახელმწიფო მნიშვნელობის ტრაქტად გამოცხადდა.

* * *

...ერთმანეთს ენაცვლება სააგარაკო დასახლებები და პიონერთა დასასვენებელი ბანაკები, ტურისტული ბაზები და პატარ-პატარა სოფლები. ასწლოვანი კედარის, ნაძვის, რბილწიწვიანას ხეივნებში მიიკვლევს გზას ჩვენი მანქანები. მდინარე ყადნი ხან გვეკარგება, ვშორდებით, ხან კი პირდაპირ მის ნაპირზე მივქრიკართ. ბარე ორჯერ, სამჯერ გავაჩერებინეთ მანქანა, სასწაულებრივი სილამაზის მდინარეა ყადნი, სულ გვინდა რომ ვუყურეთ...

— ყადნ ალთაურად ქალს ნიშნავს და მისი სილამაზის გამო დაარქვა, თურმე, ხალხმა ეს სახელი, — გვეუბნება ბარაჩაკ მენდეეოვი, — ლამაზსა და ვერაგ ქალს. ყადნში შესვლა არ შეიძლება, იგი არავის აპატიებს უცხოს ტანის შეხებას. ვინც კი შევიდა, ყველა მოახრჩო.

მე უნდობლად ავუქნიე ხელი, ალბათ, ცურვა არ იცოდა იმ ხალხმა, აი, შევცურავ და, ვნახოთ, რას მიზამს ეგ თქვენი ლამაზი და ვერაგი ქალი-მეთქი, მაგრამ ვალერიმ და დანარჩენებმაც ისეთი შეშინებული თვალებით შემომხედეს, ცოტა არ იყოს, წამიხდა ნირი.

...ყადნის ტალღათა ხმაურში მესმის ბარაჩაკის ხმა:

— ლეგენდასაც აქვს თავისი, სხვებისათვის გაუმხელელი საიდუმლო, მით უმეტეს, თუ ამ ლეგენდას სიყვარული უდევს საფუძვლად.

ჰოდა, მთიანი ალთაის მარადდათოვლილ მთა ბელუხაღან იშვა ულამაზესი მდინარე.

ახლადშობილ მდინარეს, ციმბირული კედარის, არყის, რბილწიწვიანასა და ნაძვის სურნელი დაჰყვა. რომელთაც მარადდათოვლილი ბელუხას გულში უდგათ ფესვები, ფერი კი რაღაც საოცარი, მთიანი ალთაის ცისფერი.

საოცრად ცივი და მიუკარებელია იგი. ფიცხი და ძლიერია მისი ტალღები, ვინც კი გაბედა მასში შესვლა, არავინ დაინდო, ყველა მოაშთო და გამორიყა.

მაშინ ხალხმა ყადნ — ქალი შეარქვა მას. ლამაზი, მაგრამ ვერაგი ქალი, რომელიც თავისი სილამაზით იზიდავდა ყველას თავისკენ, მერე კი სასტიკად უსწორდებოდა.

ლეგენდა, აბა, რის ლეგენდაა, თუ აუხსნელი არ დარჩება. საიდან, როგორ, ანდა, ვისგან გაიგო ყადნმა, რომ თავისი დაბადების ადგილიდან შორს, ძალიან შორს, სამ უღელტეხილსა და გაუვალ ქალებს მიღმა, ქალაქ ბიისკთან, არსებობდა მეორე თვალწარმტაცი მდინარე ბია, რომელიც სათავეს ოქრის ტბიდან იღებდა. აი, სწორედ ეს მდინარე შეუყვარდა ყადნს და, სიყვარულისაგან გახელებული, დაეშვა მასთან შესახვედრად.

შვილის უზნეობით განაწყენებულმა დედა ბელუხამ თითქოსდა მამა ბაბირგანი დაადევნა მას და ყველა ღონეს მიმართა ყადნის შესაჩერებლად, მაგრამ შლეგად ქცეული შეყვარებული არაფერს დაგიდევდა, გაარღვია მთები და კლდეები, გადალახა ჭალები და მდელოები, ზათქითა და ზრიალით მიექანებოდა წინ. ზოგან ხვრელს და ნაპრალს პოულობდა, ზოგან კი ძალით გაჰქონდა თავისი. ზოგან ქანცმილეული, ალაგ შხეფებად, ჩანჩქერებად, ალაგ ნაკადულებად ქცეული მაინც წინ მიიწევდა დაჟინებით.

ყველაზე მეტად ტერენტინის უღელტეხილთან გაუჭირდა, ძალა მოიკრიბა ონგუდაის — ათ ღმერთს შესთხოვა შველა და იმანაც შეიწყნარა ხელი მიჯნურის ღაღადისი, გზა გაუხსნა და აქ ყადნის მფარველი ღმერთის პატივსაცემად სოფელი ონგუდაი იშვა.

ყადნმა ჩაითავდალმართა და თავდავიწყებით დაეშვა თავქვე, გამწარებული მამა კვალდაკვალ მოსდევდა, მაგრამ გაშმაგებულს ვეღარ ეწეოდა. აქ, ამ ულამაზეს ხეობაში, ყადნის სანაპიროზე კიდევ ერთი სოფელი მარჯროკ—მსრბოლავი გული აღმოცენდა.

მთელი გზის მანძილზე მიუკარებელი და ცივია დღესაც ყადნი ყველასათვის... ვერც ერთი კაცი ვერ ბედავს მასში შესვლას, — არავის ტანს არ იკარებს, ბიაზე უზომოდ შეყვარებული და თუკი შებედავენ, ვაგლახ, სამუდამოდ რჩებიან მის ცივ ტალღებში. — განაგრძობს ბარაჩაკი...

ჰოდა, დაეშვა თავქვე, გაივაკა, მაგრამ წინ ტყიანი ბორ-

ცვი გადაეღობა, ყადნმა ჯიქურ დააჯახა ტალღები, მაგრამ ვერას გახდა, მაშინ ორ ტოტად გაიყო, სუსტი ადგილები გაარღვია, კუნძულადქცეულ პატარა ხმელეთს ორმხრივ შემოუარა. აი, აქ ეს ორ არხად ქცეული მისი მრბოლავი ტალღები სატრფოსკენ წინ გაწვდილ ხელებსა ჰგავს, საოცრად თეთრს, სილურჯე რომ დაჰკრავს ხოლმე წვრილი ძარღვებისა.

კუნძულს ირგვლივ შემორკალული მკლავები ისევ შეერთდა, შეერთდა და გავაკებულზე გაწვა. ყადნს წინ. სულ ახლოს უკვე ესმოდა საოცნებო ბიის ტალღების ხმაური...

ერთი გაბრძოლებაც და ქალაქ ბიისკის მახლობლად შესვდა სიყვარულით განაწამები ყადნი ბიას და ჩაეკრა.

ჩაეწნენ და ჩაენაცვლნენ ერთმანეთს ისე, რომ მათგან ლეგენდაღა დარჩა.

— ო, ბი-ა, ო, ბი-ა, ო, ბი-ა, ჩურჩულებდნენ ყადნის ტალღები...

ამ დღიდან, აქ, ორივემ დაკარგა თავისი სახელი და ერთ დიდ, სულ სხვა მდინარედ — ობად იქცნენ, ხოლო მათ შესართავთან დგას სულ მუდამ ნისლმოხვეული, დამარცხებულ რაინდივით თავჩაქინდრული პატარა მთა, რომელსაც ხალხი შვილს დადევნებულ, გაქვავებულ მამა ბაბირგანს უწოდებს.

ღიმილით ამთავრებს ნაღვლიან ლეგენდას ბარაჩაკ მენდეკოვი.

ჩვენი მანქანები კი ჩუის ტრაქტით მიჰქრიან საოცარი ყადნის სანაპიროს გასწვრივ.

— მთიანი ალთაის ტერიტორიის დასახლებას უძველეს ხანაში შუა აზიიდან წამოსულმა ხალხმა დაუდო სათავე — გვეუბნება ვალერი ჩაპტინოვი, — სადაც ადამიანის ცხოვრებისათვის ადრე წარმოიქმნა ხელსაყრელი პირობები. უძველესი ხალხები ალთაისაკენ პამირისა და ტიანშანის მთათა ჯაჭვს მოჰყვებოდნენ და აქედან ნელ-ნელა სახლდებოდნენ ციმბირის სხვა მიწებზე.

შუა და ცენტრალურ აზიაში ახლანდელთან შედარებით იმ პერიოდში კლიმატი უფრო ნესტიანი და რბილი იყო. აქ უხვად მოდიოდა წვიმები, მოჰქუხდა მრავალი მდინარე,

ხოლო დაბლობებში ერთ დროს ერთმანეთზე გადაჯაჭვული ტბებიდან ახლა საცოდავი ნარჩენებიღაა დარჩენილი. შუა აზიისაგან განსხვავებით, თითქმის მთელი ციმბირი დაფარული იყო სქელი ყინულის ქერქით. მთელს ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში უძველესი ადგილი, სადაც ადამიანი ცხოვრობდა, მთიანი ალთაია. ადამიანების უძველესი საცხოვრისი მდინარე ულალინკას სანაპიროზე 1961 წელს აღმოაჩინა ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ალექსი პავლეს ძე ოკლადნიკოვმა, ახლა დადგენილია, რომ მთიან ალთაიში 40 ათასი წლის წინ კი არა, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, არამედ დაახლოებით 150 ათასი წლის წინ ცხოვრობდა ადამიანი.

ულალინკას სადგომებზე იპოვნეს ადამიანის ხელით უხეშად დამუშავებული უამრავი ქვის იარაღი, რომლებიც ძალიან ჰგავდა შუა აზიელთა იარაღებს. ულალას მონაპოვარი ახლა მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი. ადრე ითვლებოდა, რომ ალთაი, ისევე როგორც მთელი ციმბირი, უძველეს წარსულში უკაცრიელი იყო, რომ პირველყოფილ ადამიანს მხოლოდ სამხრეთის, ჩვენი პლანეტის თბილი ტერიტორიების ათვისება შეეძლო.

პირველმკვალავებმა აქედან, ალთაის მთებიდან, მთებისა და ხევების გავლით მიაღწიეს თანამედროვე ქალაქებამდე — ომსკამდე, ნოვოსიბირსკამდე, კრასნოიარსკამდე და ციმბირის სხვა ადგილებამდე.

ულალას მონაპოვრები კიდევ იმითაა საინტერესო, რომ ადამიანი ქვის იარაღებს ამუშავებდა არა მარტო ხელით, არამედ ცეცხლის მეშვეობითაც. დამუშავებისათვის ვარგის ქვებს ცეცხლში ახურებდნენ და შემდეგ ან წყალს ასხამდნენ, ან წყალში აგდებდნენ გახურებულს. ქვა ნატეხებად სკდებოდა, რის შემდეგაც მისგან აკეთებდნენ საჭირო სამუშაო იარაღებს. სწორედ მონაპოვარ სხვა ქვის იარაღებს შორის ულალაზე აღმოჩნდა ასეთი „ნაწრთობი“ ქვებიც.

მთიანი ალთაის უძველესი ადამიანები მონადირეები იყვნენ. ისინი კოლექტიურად ნადირობდნენ უზარმაზარ ცხოველებზე მამონტებსა და თავისი მძვინვარებით განთქმულ ციმბირის ხშირბეწვიან მარტორქებზე. დღესაც პოულობენ

მთიანი ალთაის ტერიტორიაზე ამ ცხოველების ძვლებს, რომელთა ნაწილიც ოლქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ამ ცხოველების გარდა, აქ იყო უამრავი გარეული ცხენი და ხარი, ანტილოპები, კულანები, მთებში — თოვლის ცხვრები (არხარები), კეთილშობილი ირმები და სხვა. ამ ცხოველების ხორცს საკვებად, ხოლო ტყავს ტანსაცმლისა და საცხოვრებელი სადგომისათვის იყენებდნენ. საკვებად, ხორცის გარდა, სხვადასხვა მცენარეებსა და ძირხვენებს იყენებდნენ. წლის თბილ პერიოდში ისინი ტოტებით ან ცხოველთა ტყავებით გადახურულ კარვებში ცხოვრობდნენ. მაგრამ მათი ყველაზე მოსახერხებელი საცხოვრებელი ადგილი იყო გამოქვაბულები, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში ბუნებრივ, მოხერხებულ თავშესაფრად ემსახურებოდა მათ. ასეთი გამოქვაბულები მთიან ალთაიში ძალზე ბევრია. უსტ-კანის გამოქვაბული, რომელიც უსტ-კანიდან ოთხი კილომეტრითაა დაშორებული მდინარე ჩარიშის ხეობაში, სადაც ჯერ კიდევ 30 ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ და წვიმის, თოვლისა, ქარისა და მხეცების თავდასხმისაგან იფარავდნენ თავს. უსტ-კანის გამოქვაბულის ფართო შესასვლელი საშუალებას იძლეოდა ხეობის შორი მანძილის დასაზვერად. იქიდან თავისუფლად ადევნებდნენ თვალს მამონტების, მარტორქების, გარეული ხარებისა და ცხენების ჯოგებს. გამოქვაბულები მტრულად განწყობილი ტომებისაგან თავდაცვის მოხერხებულ საშუალებასაც წარმოადგენდნენ. უსტ-კანის გამოქვაბულში ქვის 520 საგანია ნაპოვნი, მართალია, ისინი უფრო გვიანდელია, ვიდრე ულალის გათხრებზე ნაპოვნი საგნები და საკმაოდ უხეშადაა დამზადებული, მაგრამ, მათ მაინც ეტყობათ უფრო განვითარებული ადამიანის ხელი. ამ გამოქვაბულში ნაპოვნი საგნების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აქ ღონიერი და გამბედავი მონადირეები ცხოვრობდნენ. ამას მოწმობს გამოქვაბულში ნაპოვნი ცხოველთა უამრავი ძვალი (17 სახეობის ცხოველისა და 12 სახეობის ფრინველისა), მათ შორის: გამოქვაბულის აფთრის, მარტორქის, მურა დათვის, მელიის, მაჩვის, ყარყუმის, არხარის, ძერენეის (მთის ანტილოპა), იაკის, გარეული ცხენის, კულანის და სხვა ცხოველების ძვლები. გან-

საკუთრებულ ინტერესს იწვევს ხვეულრქიანი ანტილოპის ძვლები, რომელიც მთიან ალთაიში მამონტებსა და მარტორქებზე ადრე განადგურდა. ხვეულრქიანი ანტილოპა ამჟამად მხოლოდ აფრიკის სავანის მშრალ და ცხელ ადგილებში ბინადრობს.

„უსტ-კანელ“ უძველეს მონადირეებს ქვის ახალმა იარაღებმა საშუალება მისცა, ხისგან შუბის ტარები დაემზადებინათ, გაეთალათ სარები სამონადირეო ორმო-მახისათვის, დაემუშავებინათ ტყავები და შეეკერათ ტანსაცმელი.

შრომის იარაღების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო ადამიანების მიერ ახალი სივრცეების ათვისებას, მათს სხვადასხვა ადგილას დასახლებას, მოსახლეობის ერთმანეთისაგან იზოლირებულ ჯგუფებს შორის ურთიერთობის დამყარებას. ამ ურთიერთობას ნათელყოფენ უსტ-კანის გამოქვაბულისა და შუა აზიის გამოქვაბულებში ნაპოვნი ქვის იარაღების მსგავსება. გარეულ ცხოველებზე დადევნებულ უძველეს მონადირეებს შეეძლოთ თავისუფლად გადასულიყვნენ შუა აზიის, ყაზახეთის ველებზე, დასავლეთ ციმბირის დაბლობში და უკან, ალთაიში დაბრუნებულიყვნენ.

ალთაის ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანების სადგომები აღმოჩენილია სოფლებთან უსტ-სემეში, სროსტკიში, ფომინსკოეში, ბეკტემიროვსკოეში, ურაჟაინიში, უსტ-კანში და სხვ. მთელი ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ხალხი გვაროვნული წყობით ცხოვრობდა. მთავარი როლი ქალს ეკუთვნოდა. პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებაში ის იყო ცეცხლის (კერის) დამცველი, აგროვებდა საკვებ მცენარეულს, ამზადებდა საჭმელს, ზრდიდა ბავშვებს და გვარის დომინანტიც დედისა იყო.

მთიანი ალთაის უძველესი ხალხის მაღალი კულტურის ამსახველია პაზირიკის კულტურა. ეს სახელწოდება მიიღო ადგილმდებარეობისაგან, რომელიც ულაგანის რაიონის სოფელ ბალიკტუილთან მდებარეობს. პაზირიკის ყორღანები მკვიდრი ხალხის სამარხებია. ისინი განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII—III საუკუნეებს. ამ კულტურის სამარხები პირველად 1865 წელს უსტ-კანის რაიონის სოფელ კატანდასთან გაითხარა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პაზირიკის ეპოქის ყორღანების გათხრებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. პაზირიკის ყორღანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით, კონსტრუქციითა და დაკრძალვის წესით. უბრალო საფლავები ქვების გროვას წარმოადგენს ან ქვებით შემოწყობილი რგოლის ფორმა აქვთ. გვხვდება საშუალო ზომის ნაყარი და ბოლოს უზარმაზარი ქვის, მდინარის ქვებისა და ღორღისაგან აღმართული ყორღანები. დიდი ყორღანების რგოლის დიამეტრი ზოგჯერ 100, ხოლო სიმაღლე 4-5 მეტრს აღწევს. ერთი ყორღანის ასაგებად საშუალოდ იხარჯებოდა 3500 კაცდღე, თუ არ ჩავთვლით გამწევ ძალას. დიდი რაოდენობის გრუნტის ამოღება, რამდენიმე ასეული მორის ღამსადება, ასეულობით კუბური მეტრი ქვისა და ღორღის მიტანა მეტად დიდძალ მუშახელს მოითხოვდა. საშუალოდ, ყველა გამოკვლეული დიდი ზომის საფლავი გაძარცული აღმოჩნდა. პირველი მძარცველები იყვნენ ჰუნები, რომლებიც მთიანი ალთაის ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკუნეებში გამოჩნდნენ. ამის შემდეგ ეს ყორღანები XVIII საუკუნეში გაძარცვეს. მძარცველებს აქედან ოქროსა და ვერცხლის ხელოვნების ნიმუშები და ბევრი სხვა ძვირფასი ნივთები წაუღიათ. ქვის ნაყარის ქვეშ საფლავის ორმოებია, რომელთა ფსკერზეც იდგმებოდა ექვსამდე მეტრი სიგრძისა და ხუთამდე მეტრი სიგანის ძელური. ძელური შიდა მხრიდან სუფთად გარანდული რბილწიწვიანას მორებისგან კეთდებოდა. პირველი ძელურის შიგნიდან ხანდახან იდგმებოდა მეორეც, რომელიც ფიცრის იატაკით საფლავის საკანს წარმოადგენდა. ზემოდან ძელური ოთხიდან რვამდე მწკრივის მორების ჭერით იხურებოდა, შემდეგ რამდენიმე ფენა არყის ხის ქერქით იფარებოდა, ზედ მიწა ეყრებოდა და ყოველივე ამას ქვებს აყრიდნენ.

იმ შორეულ წარსულში გარდაცვლილებს გარკვეული ადათით მარხავდნენ. მორების ძელურის სამხრეთით კრძალავდნენ განსვენებულს, რომელიც სარკოფაგში — რბილწიწვიანას ან კედარის ორი უზარმაზარი გულამოღრეტებული მორისაგან იყო გაკეთებული. მიცვალებულს თან ატანდნენ ოჯახურ ნივთებს და საუკეთესო ტანსაცმლით მარხავ-

დნენ, მამაკაცებს — საბრძოლო იარაღით, ქალებს — თავიანთი სატუალეტო ნივთებით. საკანში დგამდნენ ლამპარს, დაბალ მაგიდა-ლანგარს საჭმლისათვის, ბალიშებს — დასაჯდომად, უტოვებდნენ საჭმელს და სამუშაო იარაღებს, ხოლო თიხისა და ხის ჭურჭლებში რაღაც სასმელებს. ეთელი ეს დაკრძალვის წეს-ჩვეულება დაკავშირებული იყო რწმენასთან, რომ იმქვეყნიური ცხოვრება გრძელდება. ამიტომ გარდაცვლილებს ამარაგებდნენ ყოველივე აუცილებლით, რაც მათ დასჭირდებოდათ იმქვეყნიური მგზავრობისთვის. გზა კი, მათი რწმენით, დასავლეთით, სადაც მზე ჩადის, იქ მთავრდებოდა. ტომის მკვდარ ბელადთან ერთად მარხავდნენ მის ცოლს, ხოცავდნენ მის საჯდომ ცხენებს და იქვე მარხავდნენ მთელის აღკაზმულობით, აგრეთვე, ატანდნენ ტანსაცმელს, იარაღსა და საკუთარ ნივთებს.

მუდმივი გამყინვარების წყალობით ყორღანებში კარგად შემოინახა მრავალრიცხოვანი ხისა და ტყავის ნაწარმი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ბეწვეულის ტანსაცმელი, ცხენის გვამები და ბალზამირებული უამრავი მიცვალებული.

პაზირიკის სამარხების უამრავი მონაპოვარი მთიან ალთაის შუა აზიის, კავკასიისა და შავი ზღვისპირეთის უძველესი კულტურის ცენტრების გვერდით აყენებს. ეს მონაპოვრები ადასტურებს, რომ მთიანი ალთაის უძველესი მაცხოვრებლები იმ კულტურული ღირებულების შემქმნელნი იყვნენ, რომლებიც დამსახურებულად დამკვიდრდნენ მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

მთიანი ალთაიდან გადაჰქონდათ ძვირფასი ბეწვეული და ოქრო. სამაგიეროდ, შემოჰქონდათ შუა აზიიდან იშვიათი ქსოვილები და ხალიჩები, ძვირფასი ქვებისაგან ნაკეთები სამკაულები, მძივები და სხვ. ინდოეთის ოკეანიდან — ძვირფასი ნიჟარები. სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ჩინეთთან, საიდანაც შემოჰქონდათ აბრეშუმის ქსოვილები.

მთიან ალთაიში მისდევდნენ მეცხენეობას, მესაქონლეობას, მეცხოველეობას, მეცხვარეობას. ცხენს იყენებდნენ არა მარტო როგორც საიმედო სატრანსპორტო და საომარ საშუალებად, არამედ როგორც საკვებსაც. მისი რძისაგან ამზადებდნენ კუმისს.

ტანდაბალი ჯიშის ცხენების გარდა, ალთაელებს გამოჰყავდათ დიდი, ღონიერი ცხენებიც. ასეთი ცხენები განსაკუთრებით ფასობდა აღმოსავლეთში. ჩინელები თვლიდნენ, რომ ეს კეთილშობილური ცხოველები ღვთაებრივი წარმოშობისა იყვნენ და მათ გამორჩეულ მარცვალს აჭმევდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, უძველესი ალთაის მცხოვრებლები მეცხვარეობასაც მისდევდნენ. ნაპოვნია ცხვრის მატყლისაგან დამზადებული მრავალი სახის ნაწარმი: საცვლები და შავი ქეჩები, ცხენის უნაგირის ნაბდის გადასაფარებლები და საოფლეები, ადამიანის ტანსაცმელი. გარდა ამისა, ყავდათ ძროხები, აზავერები, ქათმები.

მთიანი ალთაის უძველესმა მცხოვრებლებმა იცოდნენ ხის სახლების შენება, მაგრამ ყველაზე გავრცელებული იყო თექის მოძრავი კარვები, რადგან ისინი ძირითადად მესაქონლეები იყვნენ და, როგორც წესი, სეზონურად მომთაბარეობდნენ.

უძველეს ალთაელთა ტანსაცმელი შეხამებული იყო ადგილობრივ კლიმატსა და ცხოვრების პირობებთან. ცნობილი და მდიდარი ხალხი ატარებდა სიასამურის, ყარყუმისა და ციყვის ძვირფასი ბეწვეულის ტანსაცმელს. ქუდები ორი სახის ჰქონდათ: ტყავისა და ქეჩის სარჩულიანი მუზარადის ტიპის საბრძოლო თავსაბურავები, და ყოველდღიური ნაბდის წოწოლა ფართეფარფლიანი ქუდები. მამაკაცები, ისევე როგორც ქალები, ატარებდნენ რბილი ტყავის მაღალყელიან ფეხსაცმელებს. ეს ფეხსაცმელი მყესის ძაფებით იკვრებოდა. გარედან ყელი მორთული იყო სწორკუთხოვანი ჭადრაკული მოზაიკურად განლაგებული ბეწვეულის პატარ-პატარა ნაჭრებით.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მათი ოჯახური ნივთებიდან აღსანიშნავია თასები, ლითონის ჭურჭელი და სპეციალური ზედადგარიანი სპილენძის, ეგრეთ წოდებული „სკიფური“ ქვაბები საჭმლის დასამზადებლად. ავეჯი ისაზღვრებოდა პატარა მოსახსნელთავიანი მაგიდებით. სახურავს ოვალური ფორმა ჰქონდა და მაგიდა ლანგრის მოვალეობას ასრულებდა. მაგიდას გარშემო სოხანეზე დაგებულ ტყავებზე შემოუსხდებოდნენ ხოლმე.

პაზირიკის ერთ-ერთ ყორღანში დასაკრძალავი საკნის კედლებზე გაკრული იყო შალის ნოხი. მძარცველებს ნოხის დიდი ნაწილი აუგლეჯიათ და წაუღიათ. დარჩენილი ნაგლეჯით აღდგა ნახატი. ფერადი შალის ნოხზე ასახული უნდა ყოფილიყო რქიანი სფინქსი — ნახევრად ადამიანი, ნახევრად ჩიტი. სფინქსი უკანა თათებზე დგას, ხელში ჩიტი უჭირავს. თავზე, ქუდის გარდა, დატოტვილი რქები ადგას, კუდიც რქების მსგავსადაა გაფორმებული. ამავე ყორღანიდან ამოიღეს უზარმაზარი ნოხი, რომლის სიგრძე 6,5 მ, ხოლო სიგანე 4,5 მეტრამდეა. ეს ნოხი რომელიღაც დიდგვაროვანს ეკუთვნოდა. იგი გადაფარებული იყო ოთხთვალაზე, რომელშიც ოთხი ცხენი იყო შებმული. ნოხი დიდებულადაა შენახული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სულ რამდენიმე წელია, რაც მიწაში დევსო. მსოფლიოს ეს უძველესი ნოხი ხელოვნების დიდებულ ნიმუშს წარმოადგენს და არაფრით არ ჩამოუვარდება ირანის შუასაუკუნეების ნოხებს. ნოხზე გამოსახულია მთიანი ალთაის ტომთა ბელადი. ამას ადასტურებს აღვირი, მისი მოსართავები, ცხენის დაღი, გაკრეჭილი ფაფარი და დაწნული კუდი.

აღმოჩენილია აგრეთვე ხაოიანი ნოხი, რომელიც უძველეს ხანაში ძალზე ძვირად ფასობდა. ცნობილია, რომ რომის იმპერატორმა ნერონმა ანალოგიური ხაოიანი ნოხის შესაძენად 4 მილიონი სენტერცია, ე. ი. 315 ათასი მანეთი დახარჯა. პაზირიკის ნოხის ზომა 1,83×2 მ-ია. ამ ნოხში 250 ათასი ნასკვია. რაოდენ შრომატევადი იყო ამგვარი ნოხის დამზადება, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: თუ გამოცდილი ხელოსანი დღეში 2-3 ათას ნასკვს დაამზადებს, მაშინ ამ ნოხის შესაქმნელად დაახლოებით წელიწადნახევარი იქნება საჭირო.

სხვადასხვა ყორღანებში ჩინური ქსოვილების აღმოჩენა [illegible] -მ დროისათვის ალთაის საკმაოდ ინტენსიურ ურთიერთობაზე ჩინეთთან. თუმცაღა, უფრო ძველ ხანას [illegible] ალთაელების კულტურული ურთიერთობა წინა [illegible]. ამაზე [illegible] ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი [illegible] ქსოვილები. ამ ხანის უძველესი წინა[illegible] ქსოვილები მთიანი ალთაის გარდა არსად არ გვხვდება

ბა. ამრიგად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის პაზირიკის კულტურის ფენის ყორღანში მათი აღმოჩენა უდიდესი მეცნიერული ღირებულებისაა. მანამდე აბრეშუმის უძველეს ქსოვილებად ითვლებოდა ჩინური ნაწარმი, პაზირიკის ყორღანის წინააზიური აბრეშუმის ქსოვილები კი მათზე 4-5 ასწლეულით უფრო ძველია.

საინტერესოა პაზირიკის ოთხთვალებიც. ისინი ორი სახისაა: 1. მასიური, ძალიან მძიმე საზიდრები, რომლებიც გამიზნული იყო მძიმე ტვირთის გადასაზიდად, 2. მსუბუქი, რთული კონსტრუქციის ფორანი. მას 150 სანტიმეტრი დიამეტრის ჭრაკალრიცხოვანმანებიანი ოთხი თვალი აქვს. დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულებისაა ამ ყორღანებში ნაპოვნი უნაგირები. ისინი არა ჰგვანან თანამეუნაგირეებს, არა აქვთ ხის კეხები. ესაა ერთმანეთზე დამაგრებული ირმის ბეწვით გატენილი ტყავის ორი გარდიგარდმო ბალიში, რომელიც შუაში ზემოდან შემოკერილი ტყავის ქამრით მაგრდებოდა ცხენის ზურგზე. ამ ტყავის სარტყელზე დამაგრებული იყო მდიდრულად შემკობილი სამკერდე და საძუე. ეს ერთ-ერთი ყველაზე ადრეული უნაგირია. მაგრამ სხვა, უფრო გვიანდელ ყორღანებში გვხვდება უნაგირები უკვე მაღალი ტახტათი — ხის განბჯენებით.

დასაჯდომი ბალიშების გასალამაზებლად ზედ ქარგავდნენ სხვადასხვა კომპოზიციურ ფიგურებს: ფასკუნჯისმაგვარ ფრინველს, რომელსაც მთელი ლოსი (ცხენირემი) აუტაცნია ჰაერში, ცხვრის ყელში კბილებით ჩაფრენილ ჯიქს, ლოსზე შემომხდარ ვეფხვს, რქიან ლომს, რომელსაც კბილებში გარეული თხა უჭირავს; ნახევრად ლომისა და ნახევრად არწივისმაგვარ ურჩხულს, რომელიც გლეჯს მთის ცხვარს; არწივ-ურჩხულს, თავს რომ დასხმია ლომ-ურჩხულს.

თუმცა, ამ ყორღანებში აღმოჩენილ მონაპოვართა შორის ყველაზე ნიშანდობლივია სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ხეზე და ძვალ-რქაზე მხატვრული კვეთის, ტყავზე ჭრის უნიკალური ნიმუშები: ოქროს სამკაულები, სუფთად ჩამოსხმული და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს საყურეები, რომლებიც ბევრად არ ჩამორჩებიან ოქრომჭედლების მიერ შესრულებულ ყველაზე საუკეთესო ნიმუშებს.

აღსანიშნავია, რომ ცხოველების გამოსახულებებში თიოქმის მარტოოდენ ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლებს ვხვდებით. ეს კი უდავო დადასტურებაა მთიანი ალთაელების უძველესი ხელოვნების თვითმყოფადობისა.

იშვიათად გვხვდება თევზების გამოსახულებები, ზოგჯერთ მათგანში იცნობა ღლაბუტა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, თევზები იმდენად პირობითადაა გამოსახული, რომ შეუძლებელია მათი ჯიშის გარკვევა. ის საოცრად მცირეოდენი ადგილი, რომელიც შინაურ ცხოველებს ეთმობათ მთიან ალთაელთა ხელოვნებაში, იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ხელოვნების ჩასახვა და განვითარება იმ შორეულ წარსულში ხდებოდა, როცა ნადირობას ძირითადი ადგილი ეკავა.

ხეზე სამუშაოდ იყენებდნენ სხვადასხვა სახის იარაღებს: დანებს, სადგისებს, ციბრუტებს, სატეხებს, ნაჯახებსა და ეჩოებს. ხერხი, როგორც ჩანს, მათ არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ სახარატო დაზგა, ისევე, როგორც საქსოვი დაზგა, რაზეც მეტყველებს ადგილობრივი წარმოების ქსოვილთა უამრავი ნაშთი.

აქაური ძველი ეპოქის ადამიანების უმთავრეს საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა მოკლე ისრებიანი მშვილდები, რკინის მახვილები, შუბები, სქელტყავგადაკრული ფარები.

გარკვეულ პერიოდში ჩვეულებად ჰქონდათ მოკლული მოწინააღმდეგისათვის თავზე სკალპის აძრობა. ამას ადასტურებს ბრძოლაში მოკლული ბელადის გვამი. მისი თავის უკანა მხარეს ქალაში აღმოჩნდა საბრძოლო ჩაქუჩის დარტყმით გამოწვეული სამი ნახვრეტი. კანი, წინიდან შუბლს ზემოთ ერთი ყურიდან მეორემდე, გადასერილია და უკან ისეა გადაძრობილი, რომ თავის ქალა უკან კისრამდეა გაშიშვლებული.

როგორც წესი, ყველა დაკრძალული ადამიანის გვამი მუმიფიცირებულია თავისებური წესით. მიცვალებულს აცლიდნენ არა მარტო თავის ტვინსა და შიგნეულს, არამედ კუნთებსაც, რომლის ნაცვლად მცენარეულობას ან ბეწვს უდებდნენ. ყველა ჭრილობა, ხანდახან თვალებიც კი ამოიკერებოდა მყესის ძაფებით. ერთ-ერთ ყორღანში დასაფლავებული

ქალის გვამთან, რომელიც დასაფლავებულია ტომის ბელადთან ერთად, აღმოჩნდა მრავალლარიანი არფის ტიპის საკრავი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ტომის ბელადებს ჰყავდათ მომღერლები ან მოცეკვავეები. ნანახია აგრეთვე თავისებური დაირისმაგვარი დოლი.

პაზირიკის სამარხებში, გაოცებას იწვევს ოქროს უზარმაზარი კონცენტრაცია, რაც შეიძლებოდა შეექმნათ მხოლოდ მთიან ალთაელთა სამხედრო თავდასხმებს. ისინი თავიანთი მთის ჩასაფრებებიდან თავს ესხმოდნენ ტერიტორიულად უახლოეს მეზობლებს — ოქროს მაძიებლებს კალბინის ქედზე (სამხრეთ-დასავლეთით), ჩრდილოეთ ყაზახეთს (დასავლეთით), კუზნეცკის ალთაურ მდიდარ საბადოებს, ზემო აბაკანის აუზში და ენისეიზე მცხოვრებთ (აღმოსავლეთით). ამას გარდა, თვით ადგილებზე მიკვალული ოქროც გროვდებოდა ალთაელ დიდებულთა წრეებში.

პაზირიკის ეპოქამდე ოქროთი მდიდარ ამ რაიონებს გაჩაღებული ჰქონდათ ვაჭრობა შუა აზიის სამხრეთთან, მაგრამ ამ ტრადიციულ ვაჭრობას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ალექსანდრე მაკედონელმა. ვაჭრობა ამ რაიონთა შორის შეწყდა. ოქროს დაგროვებამ იკლო. ალთაისა და ახლოშდებარე რაიონების ოქრო მხოლოდ მოპოვების რაიონშიღა რჩებოდა.

ეს იყო დრო, როცა წარმოიშვა შრომის საზოგადოებრივი გაყოფა, ე ი. მესაქონლე ტომების გამოყოფა. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებამ, შრომის ახალმა იარაღებმა საფუძველი დაუდო წარმოების უფრო ფართო მასშტაბებით განვითარებას. ამასთან დაკავშირებით იზრდება მამაკაცის როლი. არსებული საგვარეულო თემი რღვევას იწყებს, იქმნება პატრიარქატი. მთიანი ალთაის შესწავლილ ყორღანებში, ულაგანის რაიონის გარდა, ბაშადარში, ტუეტეში, კატანდაში, ჯაზოტორში, უზუნ-ტალეში, კურაიში, ბოროტალეში და სხვა ადგილებში კარგახანს არსად ჩანდა ალთაური დამწერლობის კვალი. ამის გამო მიაჩნდათ, რომ „პაზირიკელებს“ არ გააჩნდათ იგი. მაგრამ სულ ახლახანს ზაილინის ალთაუს მთისწინეთში ქალაქ ალმა-ათის (ესსიკ) მახლობლად აღმოჩნდა პაზირიკის დროინდელი (VII—

V ს. ჩვ. წ. ა.) გაუძარცვავი ყორღანი. გათხრების შედეგად სამარხიდან ამოიღეს ოთხი ათასზე მეტი ოქროს სამკაული. იქ დასაფლავებული იყო ახალგაზრდა მეომარი. თავზე მ-ს თხის გამოსახულებიანი ოქროს ჩაფხუტი ეხურა, წელზე ფართო ოქროს ქამარი ერტყა. საფლავში ეწყო ოქროს მახვილი და ვერცხლის ორი თასი, ერთ-ერთ მათგანზე იყო ძველი თურქულის მსგავსი (XVI—XVII სს. ჩვ. წ. ა.) წარწერა 28 რუნული ნიშნით. აი, რა ეწერა ვერცხლის თასზე: „ხანის შვილი ოცდასამისა მოკვდა. ისიაკლის (ხალხის) სახელი და დიდება". ეს ნაპოვნი მეტყველებს, რომ ალთაელ ტომებს, შესაძლოა ჰქონდათ დამწერლობა, მაგრამ ის ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რომლებზეც იყო ანალოგიური წარწერები, გაძარცულია. უზარმაზარ ყორღანებში არაჩვეულებრივად მდიდრული დაკრძალვის წეს-ჩვეულება მოწმობს, რომ ამ დროს ყალიბდებოდა შეძლებულთა დიდკაცობის ფენა, რომელსაც ალთაის ისტორიის შემდგომ ეტაპზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა. მაგრამ ეს აურაცხელი კულტურული სიმდიდრე, რომელიც ხალხის შრომით იყო შექმნილი, მხოლოდ მდიდარ ტომთა ცნობილ წარმომადგენელთა საკუთრებას წარმოადგენდა. ამაზე თვალნათლივ მეტყველებს იმავე პერიოდის პატარ-პატარა ყორღანების გათხრები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება მდიდარი ბაების საფლავებისაგან თავიანთი სიღატაკით. ამ რიგითს საფლავებში, მიცვალებულის გვამის გარდა იყო იარაღი, საჭმელი და ცხენი, მაგრამ, როგორც წესი, ერთი ცხენი, ჩვეულებრივი, ძალიან უბრალო აღკაზმულობით. სხვა არაფერი, მით უმეტეს მდიდრული, მათში არაფერი იყო. მაშინ, როცა მთელი ამ მდიდარი შესანიშნავი კულტურის შემქმნელები, მთელი ამ მსოფლიო მნიშვნელობის ძვირფასეულობის ავტორები სწორედ ეს რიგითი მშრომელები იყვნენ — ადამიანები, რომლებიც გამოირჩეოდნენ ესოდენ მაღალი ოსტატობით. ხელი არ მიუწვდებოდათ თავიანთ ძვირფას ნამუშევრებზე.

ამრიგად, პირველყოფილი თემური წყობილება აქაც ამთავრებდა თავის არსებობას.

რკინის საუკუნის დასაწყისი დაკავშირებულია კლასე-

ბისა და სახელმწიფოს წარმოშობასთან ცენტრალურ აზიაში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ცენტრალური აზიის ველებზე დაარსდა ჰუნთა ტომების პირველი მსხვილი სახელმწიფო გაერთიანება.

ტერიტორიას, რომელზეც ცხოვრობდნენ ჰუნები, ჩინეთში ეკავა მდინარე ხუანხეს დინების ზემო და შუა დინების უდიდესი ველები. ამ მდინარეს მაშინ ჰუნურად იაშილ-ოგიუზი ერქვა.

ჰუნთა ჩრდილოეთ საზღვრებში შედიოდა ალთაი და იმიერბაიკალიც. მთიან ალთაიში ჰუნთა ყოფნას ადასტურებს კოშ-აგაჩის რაიონში გათხრილი სამარხები. მათში ნაპოვნია მრავალი ნივთი, რომლებიც ჰუნებს მიეკუთვნებათ. ცხოვრობდნენ რა უძველეს წარსულში ჩინეთის ბარის რაიონებში, ჰუნები მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ. ისინი მეომარი ხალხი იყო, იცავდნენ რა თავიანთ დამოუკიდებლობასა და კულტურას, ხშირად ეომებოდნენ ჩინელ მმართველებს.

ჩინელებთან გაუთავებელ ომებში ჰუნებმა იმ პერიოდში შეაჩერეს ჩინელ ფეოდალთა დაპყრობითი ლაშქრობები დასავლეთისაკენ, ამით მათ იხსნეს შუა და ცენტრალური აზიის ბევრი ხალხები დაპონებისაგან, რომელთაც მიეცათ საშუალება შეექმნათ თავიანთი სახელმწიფოები.

აი, როგორ აღწერდნენ თანამედროვეები ჰუნთა ცხოვრებას: „ისინი ერთი საძოვრიდან მეორეზე გადადიან თავიანთი საქონლით, შინაური ცხოველებიდან ჰყავთ ცხენები, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ეწევიან აქლემების, სახედრებისა და საუკეთესო ჯიშის ცხენების მოშენებას. მომთაბარეობენ ერთი ადგილიდან მეორეზე იმის მიხედვით, თუ სად ეგულებათ საუკეთესო საძოვრები და წყლები. იკვებებიან შინაური საქონლის ხორცით და იმოსებიან ტყავის, შალის, ბეწვეულის ტანსაცმლით“.

ჰუნები საკვებად იყენებდნენ ყველსა და რძეს. მათს მეურნეობაში ნადირობასა და თევზაობას მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. მიუხედავად იმისა, რომ მესაქონლეები იყვნენ, იცოდნენ მიწათმოქმედებაც. კერძოდ, თესავდნენ ფეტვს. მიწათმოქმედების იარაღებიდან იყენებდნენ კავს, რკინის

ნაპვალს, ქვის მარცვალსახეს. ჰუნებში ფართო განვითარება ჰპოვა მეტალურგიულ-ობამ. საცხოვრებლად ჰქონდათ თექის კარავები, მოფენილი შალის ქეჩებით. ჰუნები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ ლაშქრობებსა და საბრძოლო წვრთნას. მათს უმთავრეს საბრძოლო იარაღებს შეადგენდა მშვილდ-ისარი, ხმალი და შუბი, ხოლო ჯარის მთავარ სახეობას წარმოადგენდა ცხენოსანი არმია. თავიანთ დასახლებებს ამაგრებდნენ ორმოებითა და მიწაყრილებით. ჰუნთა მძარცველურ ომებს თან სდევდა დამარცხებულთა ტყვედ ჩაგდება და მონად წაყვანა. ჰუნთა საზოგადოებას სათავეში ედგა უმაღლესი ბელადი — შანიუაი. მისი ბელისუფლება მემკვიდრეობითი იყო. ჰქონდათ რთული სახელმწიფო აპარატი, რომელიც ძირითადად ბელადის ნათესავებისაგან შემდგარი დიდებულებისაგან შედგებოდა. რიგით მესაქონლეებს დაკისრებული ჰქონდათ მძიმე გადასახადები, რომელთა გადაუხდელობას თავისუფალი მომთაბარე შეიძლებოდა მონად ექცია. ჰუნებს თავიანთი დამწერლობა ჰქონდათ. მეზობელ ხალხებთან ომებითა და შინაბრძოლებით დასუსტებული ჰუნთა სახელმწიფო ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დაიშალა. მან 400 წელს იარსება. ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ისინი აღმოსავლეთ, შემდეგ კი ცენტრალურ ევროპაში გამოჩნდნენ.

ჰუნების დარჩენილი ნაწილი გაიყო ორ დიდ ტომებრივ ჯგუფად, რომლებიც ატარებდნენ სახელწოდებას „ტელე“ და „ტიუკიუ“. ესენი უძველეს თურქთა ჩამომავლები იყვნენ. წინაპრები საბჭოთა კავშირის ყველა თანამედროვე თურქი ხალხისა, მათ შორის ალთაელებისაც. ტერმინი „ტიურკ“ წარმოიშვა „ტიუკიუ-საგან, რომელმაც მატიანეში მიიღო სახელწოდება „ტიურკიუტ“. უძველესი თურქებიდან ალთაელთა პირდაპირ შთამომავლობაზე მიუთითებს მთელი რიგი ალთაური გვარებისა და ტომების დასახელებები. მაგალითად, სახელწოდება „ტელე“ ალთაელებს შემორჩათ ისეთ გვარებში (სეოკებში) როგორიცაა: „ტელეუტი“, „ტელენგიტი“, „ტიელესი“, ხოლო ძველთურქული ტომის „ტიერგეშის“ სახელი შემონახულია ტუბელართა (ალთაელთა ერთ-ერთი ტომის) გვარის სახელწოდებაში. ალთაის ტერიტო-

რიებზე აღმოჩენილი უძველეს თურქთა სამარხებიც ალთაელების თურქთა პირდაპირ ჩამომავლობაზე მეტყველებს. ასევეა ალთაელთა ენა. ყოველივე ეს, და მრავალი სხვა რამ, რაც ალთაელებში შემონახულია თითქმის მეოცე საუკუნემდე, მოწმობს, რომ უძველესი თურქული მოდგმის ხალხი ალთაელების წინაპრები არიან...

სოფელ მაიმადან ათი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი სიბალკა. აქედან მარცხენა სანაპიროზე თუ გადავალთ, გზა მიგვიყვანს აისკის ტბაზე, სადაც 1919 წლის 23 ნოემბერს მთიანი ალთაის პირველი პარტიზანული დივიზიის მეცხრე პოლკმა დიდი ბრძოლა გადაიხადა თეთრგვარდიელებთან. ამ ბრძოლის დროს დაიღუპა პოლკის შტაბის უფროსი ს. მ. ლეონტიევი, ტყვედ ჩავარდა და კოლჩაკელებმა წამებით მოკლეს პოლკის უფროსი ვოლოსნიკოვი. ტყვედ-ჩავარდნილი ი. ლებედევი, ი. გრიბოვი, ი. შვეცოვი დახვრიტეს, ხოლო ა. გურინი, ვ. ბონდარევი, ნ. პონომარიოვი ცოცხლად ჩაყარეს ყინულქვეშ მდინარეში. საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადებული გმირები დაკრძალულნი არიან სოფელ აიაში, სადაც 1955 წელს ობელისკი აღმართეს.

აისკის ტბა, რომელიც ძაბრისებრ ღრმულში არყის ტყის ულამაზეს ტევრში მდებარეობს, მთიანი ალთაის ერთ-ერთი ულამაზესი ტბაა. იგი სუფოზურ-კარლსტური წარმოშობისაა. სიგრძე-სიგანით დიდი არაა, მაგრამ სიღრმე 11 მეტრამდე აღწევს. წყალი სუფთა და გამჭვირვალეა. სანაპიროზე განლაგებულია დასასვენებელი სახლი „ხიმიკი“ და პიონერთა ბანაკები.

სოფელ სოუზგას იქით, მთის კალთებზე, განლაგებულია მთიანი ალთაის მთის მებაღეობის ექსპერიმენტული ბაზის მეხილეობა-მეკენკრეობის საცდელი სადგური. აქ ყოველწლიურად ორ მილიონამდე ხილისა და კენკრის ნერგი გამოჰყავთ. აქედან ნერგები დიდ პარტიებად იგზავნება ოლქისა და მხარის საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ბაღებში. საფოსტო ამანათებით ეგზავნებათ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში და საზღვარგარეთ.

სოფელ სოუზგასა და ამ საცდელ-სამეურნეო სადგურის შუა გზაზე დგას XIII—XV საუკუნეების ცხე, რომლის

ნარჩენებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა აღმოჩენილი. თანამედროვე ტრაქტი ნაწილობრივ კვეთს დღემდე შემორჩენილი ამ უძველესი ციხის კედელს.

ტრაქტის 127-ე კილომეტრზე, მთა სინუხასთან, მდებარეობს სოფელი მანჟეროკი (ალთაურად მარჯროკ), რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებშია დაარსებული. ამჟამად აქ არის მთიანი ალთაის ერთ-ერთი მსხვილი ავეჯის კომბინატი. სოფლიდან 1,5 კილომეტრის დაშორებით, ფიქვნარი ტყის იქით, მდებარეობს მარჯეროკის ულამაზესი ტბა. ფოთლოვანი და წიწვნარით შემოჯარულ ტბას ამშვენებს მწვანე როზეტებზე მოცურავე თეთრი ყვავილები, რომელიც საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ამ მცენარის ოცდაათი სახეობიდან ყველაზე იშვიათი სახეობაა.

მარჯროკიდან ტრაქტი აღმართს მიჰყვება, ხშირი ფიქვნარის შემდეგ ეშვება ქვემოთ, სადაც მწვანეში ჩაფლული პიონერთა ბანაკის თეთრი სახლებია. 1966 წელს აქ ჩატარდა მონღოლეთ-საბჭოთა ახალგაზრდობის ფესტივალი. ამ ფესტივალს მიეძღვნა კომპოზიტორ ვანო მურადელის პოპულარული სიმღერა „მანჟეროკი“.

აქ ამ შემოგარენში უყვარდა ყოფნა ახალგაზრდა ვასილ შუკშინს. მარჯროკში დეიდასთან ამოსულ ვასილს შემოვლილი ჰქონდა აქაური ყველა კუთხე-კუნჭული. ეს ღვთაებრივი სილამაზე იქცა მისი შესანიშნავი ნოველების, მოთხრობების, რომანების, სცენარების დვრიტად. აქ, ამ პატიოსან, მშრომელ და ვაჟკაც ხალხში, მკაცრ და მომხიბვლელ ბუნებაში ქმნიდა თავის შესანიშნავ ქმნილებებს.

ალთაი მდიდარია მინერალური წყლებით. ზოგიერთი მათგანი ძვირფასი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ალთაელები მათ „არჟან სუს“ ეძახიან. ერთ-ერთი წყარო, რომელსაც „შოფრის წყარო“ ჰქვია, სწორედ ტრაქტზე მდებარეობს. წყალი დიდი რაოდენობით ორვალენტიან რკინას ვერცხლს და სპილენძს შეიცავს. რკინის შემცველობა ამ წყალში გაცილებით მეტია, ვიდრე ისეთ საქვეყნოდ ცნობილ წყლებში, როგორიცაა ესენტუკი, ბორჯომი, იჟევსკი.

„შოფრის წყაროდან“ ხუთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი იზვესტკოვი, საიდანაც შეიძლება გა-

დასვლა ყადნის მარცხენა სანაპიროზე. აქ საკმაოდ დიდ სიმაღლეზე, მდინარის გაყოლებით თითქმის სამი კილომეტრის მანძილზე გრძელდება ტალდინის გამოქვაბულები.

უსტ-სემეში ტრაქტი ორად იყოფა: გზა პირდაპირ მიდის სანატორიუმ „ჩემალისკენ“, ხოლო ჩუის ტრაქტი მკვეთრად უხვევს მარჯვნივ და რკინაბეტონის ხიდით გადადის ყადნის მარცხენა სანაპიროზე. აქ მგზავრი ეთხოვება მდინარე ყადნს, რომელსაც მხოლოდ 200 კილომეტრის გავლის შემდეგ შეხვდება ისევ. მანამდე კი ტრაქტი მდინარე სემას მიუყვება. პირველი სოფელია კამლაკი, რომელიც გზის გასწვრივ თითქმის 4 კილომეტრზეა წაგრძელებული.

169-ე კილომეტრზე მდებარეობს მთიანი ალთაის ერთ-ერთი უძველესი სოფელი ჩერგა. 1761 წელს აქ ბიკატენის ციხეში მომსახურე მაიორი ეიდენი აღნიშნავდა, რომ ალთაელები თესდნენ ქერს, ცხოვრობდნენ იურტებში.

ადრე ჩერგა საკურორტო ადგილად ითვლებოდა, აქ ბიისკიდან, ბარნაულიდან და ტომსკიდანაც კი ათეულობით ოჯახები ჩამოდიოდა დასასვენებლად.

გადმოცემით, ერთხელ მთაში მონადირემ მარალი დაჭრა. შექანდა ნადირი, მაგრამ არ წაქცეულა. ჭრილობის მიუხედავად. წინ გაქანდა. მონადირე კი, რომელიც უკვე თავისად თვლიდა ირმის ძვირად ღირებულ რქებს, ქანცგაცლილი მიარღვევდა თოვლს...

სისხლისგან იცლებოდა ქორბუდა. ალაგ-ალაგ ჩერდებოდა და ეცემოდა...

სისხლის კვალში ჩამდგარი მონადირე ყოველ მის ნაწოლს იმედით უღიმოდა, სულ მალე დაეწევინ...

ამ დროს, დაკოდილმა ნადირმა მიაღწია არეან სუს ცხელ მდინარემდე და შევარდა შიგ...

სანამ მონადირე მთიდან დაბლა დაეშვებოდა, ნადირს შეუხორცდა ჭრილობა, გამოვიდა წყლიდან და შეეფარა ტყიანს.

მონადირეს დაბლა, კლდის ძირში საოცარი სურათი წარმოუდგა. შუა ზამთარში ცხელი წყლის სანაპიროზე გაფურჩქვნილიყო ყვითელი შროშნები, იღვიძებდა შოთხვი, წითელ იორდასალმებს თავზე ფუტკრები დაპბზუოდნენ...

ამ მაცოცხლებელ წყაროში მონადირემ გამხმარი კაპოეტი გადააგდო, და ჰოი, საოცრებავ! თევზმა ფარფლების ქნევით გაცურა, შემდეგ წყალში წავის ტყავი ჩააგდო. გაცოცხლებულმა წავმა დაყვინთა და კაპოეტს გამოუდგა... :

როგორა ჰგავს ეს ლეგენდა თბილისურს.

ალთაის მთებში უამრავი სიცოცხლის წყაროა, და ალთაელთა მტკიცე რწმენით, იქით მიფრინავს დაჭრილი ფრინველი, მირბის ტყვიით დაკოდილი ნადირი, მიიჩქარის ავადმყოფი ადამიანი — ყველა მათგანს არჟან სუ ძალასა და სიცოცხლეს აძლევს!

თანამედროვე ჩერგა მემარალეობის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურ საკარმიდამოს წარმოადგენს. აქ არის საშუალო სკოლა, სამედიცინო პუნქტი, სანატორიუმის ტიპის პროფილაქტორიუმი, რომელშიც ისვენებდნენ და მკურნალობდნენ მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები, რამდენიმე მაღაზია, კულტურის სახლი.

შევდივართ ვიუტაში. ეს სოფელი 1847 წელს დაარსდა. მისი მოსახლეები იყვნენ ტელეუტები (თერთმეტი ოჯახი), რომლებიც კუზნეცკის ოლქის სოფელ ბაჩატანიდან ჯვრ სოფელ კოკში და ულალაში ჩამოსახლდნენ, შემდეგ კი — მიუტაში. აქ, ისევე როგორც ბევრ სხვა დასახლებულ პუნქტებში, პირველ რიგში პატარა ეკლესია აშენდა. ჩუის სავაჭრო გზაზე მიუტა იქცა პირველ სოფლად, სადაც 1856 წელს გაიხსნა პირველი სამრევლო სკოლა, აქ სწავლობდნენ მონათლული (მართლმადიდებელი) ალთაელი და რუსი ბავშვები. იმ დროისათვის მიუტა უფრო მნიშვნელოვანი სოფელი იყო, ვიდრე შებალინო.

სოფელი შებალინო იმავე წლებშია დაარსებული. პირველად აქ გაჩნდა ვაჭარ შებალინისა და პოპოვის დაჩემებული მამულები, რომლებიც კედარის, კაკლის, ბეწვეულისა და სქონლის შესყიდვას ეწეოდნენ. აღებ-მიცემობის განვითარების კვალდაკვალ ძლიერდებოდა შებალინო. იქმნებოდა ბაზისკელი და ადგილობრივი ვაჭრების საწყობები და სავაჭრო ფარდულები. დასაწყისში მონღოლეთის სავაჭრო გზაზე შებალინო იყო პირველი პუნქტი, შემდეგ კი ამ პირველობას ის სოფელ ონგუდაის უთმობს. თანამედროვე შებალინო

რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია და ხორცის, რძისა და მატყლის მსხვილი მწარმოებელია. რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში მთიან ალთაიში შებალინო იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი. 1917 წლის 29 დეკემბერს აქ შეიქმნა გლეხთა დეპუტატთა საბჭო. მისი ორგანიზატორი იყო ბოლშევიკი ვასილი ივანეს ძე პლეტნიოვი. დეპუტატთა საბჭოს თავისი საქმიანობა მძიმე პირობებში უხდებოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს ეწეოდა თეთრგვარდიელებთან, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ რევოლუციურად განწყობილ ყველა მცხოვრებს. არაადამიანური სიმკაცრე, მასობრივი დახვრეტები, ძარცვა და ძალადობა იყო კონტრრევოლუციონერთა რეჟიმის დამახასიათებელი თვისება ალთაიში. ყარა-ყორუმელთა ჯალათის ლუკაშევიჩის მიერ აქ 160-მდე ადამიანი დაეპატიმრეს, სცემდნენ და როზგავდნენ, თხრიდნენ თვალებს, ცოცხალ-მკვდრებს ყრიდნენ სარდაფებში, სცემდნენ ქალებსა და მოხუცებს. ამერიკელი გენერალი გრეგსიტიც კი იძულებული გახდა ეთქვა, რომ გაუძნელდებოდა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე დაესახელებინა რომელიმე სახელმწიფო, სადაც შეიძლებოდა განეხორციელებინათ მასობრივი მკვლელობანი თანაც ასე იოლად, მშვიდად, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. ეს ხდებოდა ციმბირში კოლჩაკის ბატონობის დროს.

შებალინოში სამოქალაქო სასაფლაოზე განისვენებენ ჯალათ სატუნინის მიერ დახვრეტილი ულალის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, ფოსტის უფროსი, წითელგვარდიელები, საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობნი.

შებალინოდან ექვსი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს დეკტიოვის მეირმეობის მეურნეობა, რომელიც 1927 წელსაა დაარსებული. აქ რამოდენიმე ათასი მარალი და 1933 წელს უსურიის ტყეებიდან გადმოყვანილი ხალებიანი ირემია.

მთელი გზა შებალინოდან სემინის უღელტეხილამდე ულამაზეს სანახაობას წარმოადგენს. მთები, ტყეები, მაღალი ბალახეული, ფერთა მრავალფეროვნება, კაშკაშა მზე და უღრუბლო ცისფერი ცა განუმეორებელ სურათებს ქმნიან.

გზაზე გვხვდება სოფლები: კუმალირი, შემდეგ ტოპუჩეი, რომელიც ზღვის დონიდან 1125 მეტრზეა. XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ტოპუჩეიში ვაჭრების სოკოლოვისა და მიხაილოვის კედარის კაკლის საშრობები და ბეღლები იდგა. ტოპუჩეიში რუსების დასახლებამდე ალთაელების სულ 5 ოჯახი ცხოვრობდა, რომლებიც ვაჭრების ბეღლებს დარაჯობდნენ და საქონელს უვლიდნენ. მაგრამ უკვე 1897 წელს კომლთა რიცხვი 42-მდე ავიდა. კედარის კაკლის შესყიდვის ეწეოდნენ არა მარტო რუსი ვაჭრები. გლეხობა კაკალს აგზავნიდა ბიისკში, ტიუმენსა და ნოვგოროდში.

ტოპუჩეის გარეუბნიდან იწყება სემინის უღელტეხილის, ცხრაკილომეტრიანი აღმართი. მთის კალთებზე დაბალი კედრებია შეფენილი. უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან 2200 მეტრია. ესაა ჩუის ტრაქტის ყველაზე მაღალი წერტილი. მარცხნივ დგას ობელისკი, რომელიც რუსეთში ალთაის ნებაყოფლობით შესვლის აღსანიშნავადაა აღმართული. აქედან იშლება ტერენტინის ქედის თოვლიანი ქუდების შესანიშნავი სანახაობა.

უღელტეხილიდან ტრაქტი ეშვება დაბლა მდინარე ურსულის ხეობაში, რომელიც უძველესი დროიდან მომთაბარე ალთაელთა სადგომად ითვლებოდა. თუმცა მათი მომთაბარეობის რადიუსი პატარა იყო: ზაფხულობით ისინი ახლოს მდებარე ხეობებში გადადიოდნენ საქონლით, შემოდგომისათვის კი უკან ბრუნდებოდნენ.

1870 წელს ალთაის თემის ბიისკის ოლქის ნიჟნი კამენსკის გლეხებმა შეიტანეს თხოვნა ურსულის ხეობაში, ტუეკტუში დასახლების შესახებ. მერე კი ოვითნებურად დაიწყეს დასახლება. ამგვარად, 1872 წელს აქ საცხოვრებლად გადმოვიდა პირველი ოთხი რუსი ოჯახი. ამ დროისთვის აქ რამდენიმე ათეული ალთაელთა აილები იდგა. რუსების ჩასახლების შემდეგ ტუეკტუმ სწრაფად დაიწყო ზრდა. ახალმოსახლეთა ყურადღებას იქცევდა შესანიშნავი ბუნებრივი პირობები: საძოვრები და სათიბები, უზარმაზარი ტყის მასივები, სადაც უამრავი ნადირი ბინადრობდა. მესაქონლეობასთან ერთად ხალხი ნადირობასაც მისდევდა, ამზადებდა კედარის კაკალს.

ურსულის ხეობა უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, ტუეკტუ მთიანი ალთაის იმდროინდელი გეოგრაფიული და ადმინისტრაციული ცენტრი ჩანს. ამას მოწმობს ამ სოფლის შემოგარენში არსებული უამრავი არქეოლოგიური ძეგლები—ყორღანების, ქვის ქანდაკებების, სვეტების, ხელოვნური სარწყავი ნაგებობების არსების (სუაკები) სახით.

1954 წლის ზაფხულში მთიან ალთაიში მუშაობდა სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ექსპედიცია პროფესორ ს. ი. რუდენკოს ხელმძღვანელობით. ამ სოფლის მახლობლად საბჭოთა მეცნიერებმა რამოდენიმე ყორღანი გახსნეს. აქ ნახეს სამარხები ტომთა ბელადებისა და რიგითი ადამიანებისა, რომლებიც 2000 წლის წინ ცხოვრობდნენ. აღმოაჩინეს ცხენის მოსართავები, საბრძოლო ფარები და ისრები, საოჯახო მოხმარების საგნები და ოქროს სამკაულები. ამ აღმოჩენის ნაწილი ოლქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია, ხოლო მეორე დიდი ნაწილი ლენინგრადისა და მოსკოვის მუზეუმებშია.

ტუეკტუ სამოქალაქო ომის დროს იქცა ერთ-ერთ საკვანძო ადგილად. ამ სოფელთან ორი დიდი ბრძოლა ჩატარდა თეთრგვარდიელებთან. პირველი — 1919 წლის 20 ოქტომბერს თეთრგვარდიელთა ესაულ კაიგოროდოვის შენაერთთან. პარტიზანებმა აიძულეს მტერი, დაეტოვებინა ხელსაყრელი პოზიციები და დაიკავეს ორი გადასასვლელი, ხელთ ჩაიგდეს 1500 სული საქონელი. სოფელ პატარა იალომანში მათ ნებაყოფლობით ჩაბარდა 25 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომლის მებრძოლებიც თეთრების მიერ ძალდატანებით იყვნენ მობილიზებულნი. ამ დროს ჩერგისა და შებალინოს მისადგომებიდან პარტიზანების წინააღმდეგ პოლკოვნიკმა ბელევსკიმ შეტევაზე წაიყვანა თავისი ნაკრები, ეგრეთ წოდებული „მთავრობის“ რაზმი, რომელშიც გაერთიანებული იყო ორი ათასზე მეტი თეთრგვარდიელი.

27 ოქტომბერს სოფელ ტუეკტისთან ისევ გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა, რომელმაც ორ დღე-ღამეს გასტანა. ეს ძლიერი ბრძოლა პარტიზანთა გამარჯვებით დამთავრდა.

ტუეკტუდან ექვსი კილომეტრის მანძილზე განლაგებუ-

ლია სოფელი ყარა-ყოლი, სადაც გათხრების დროს აღმოჩნდა შავი და წითელი საღებავით გაფერადებული, ნატიფი გრავირებით დაფარული გარანდული ფილები. იქვე, მდინარე ყარა-ყოლის მარცხენა სანაპიროზე არის ალთაის ერთ-ერთი შესანიშნავი ისტორიული ძეგლი „ყარა-ყოლის გალერეა", რომელსაც „ბიჩიკტუ კაია"-ს ან „ბიჩიკტუ ბომ"-ს („წარწერებიან კლდეს") უწოდებენ. ამ გალერეას სამხრეთი ფერდობი შედგება ერთმანეთზე სართულებად აყუდებული ფილებისაგან. აქვე დგას მოყავისფრო-მოწითალო გლუვი ზედაპირის სამ-ოთხმეტრიანი სიმაღლის კლდეები. თითქმის ყველა მათგანი მოხატულია სხვადასხვა მონადირული სცენებით.

ყარა-ყოლის გამოსახულებანი გამოირჩევა მსატვრული შესრულების მაღალი დონით. ესაა შესანიშნავი ძეგლი ძველთურქული სახვითი ხელოვნებისა. მხატვარმა გ. ი. გურკინმა თავის დროზე აქ მრავალი საინტერესო ჩანახატი შექმნა.

სოფელი ყარა-ყოლი სხვათა შორის კიდევ ერთი რამითაა ცნობილი. მთიან ალთაიში, სადაც მარალი ერთ-ერთ უმთავრეს სანადირო ცხოველს წარმოადგენს, წმინდანადაა გამოცხადებული და, რაღა თქმა უნდა, ყარა-ყოლელები მასზე არ ნადირობენ.

სოფლების ყარა-ყოლის, კუროტისა და შაშიხმანის მიდამოებშია უძველესი სარწყავი არხი — სუაკი.

552 წელს თურქთა უძველესმა წინაპრებმა შექმნეს ძლიერი და დიდი სახელმწიფო კაგანატი. ამ სახელმწიფოს სათავეში ედგა უმაღლესი ბელადი, რომელიც ატარებდა კაგანის ტიტულს. პირველი თურქი კაგანი, რომელმაც გააერთიანა ალთაისა და მონღოლეთის თურქული ტომები და შექმნა პირველი თურქული სახელმწიფო, იყო ტუმენი (ტუმინ).

თურქთა კაგანატს უზარმაზარი ტერიტორია ეკავა. დასავლეთით მისი საზღვრები არალის ზღვამდე აღწევდა, აღმოსავლეთით — ლიაოდუნის ნახევარკუნძულამდე (ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი), სამხრეთით — მდინარე ამუდარიის აუზამდე. თურქთა კაგანატი არ ყოფილა ცენტრალიზებული სახელმწიფო: მასში შემავალ ყოველ ტომს სათავეში

ედგა კაგანის ნაცვალი. კაგანატის ფეოდალურ ადმინისტრაციაში დიდ როლს ასრულებდნენ ხარკის ამკრებნი (თარხანები) და ადგილობრივი ფეოდალები. სახელმწიფო მართვის აპარატი შედგებოდა 28 კლასის (სახეობის) ჩინოვნიკებისაგან. იყო საშინაო და საგარეო მინისტრების თანამდებობეში. ეს თანამდებობებიც შთამომავლობითი გახლდათ. უმაღლესი ძალაუფლება კაგანს ეკუთვნოდა. კაგანი თავისი შეხედულებისამებრ საზღვრავდა გადასახადების ოდენობასა და სასჯელის ზომას. ის ერთპიროვნულად წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებს. კაგანი იყო კაგანატის ჯარების მთავარსარდალიც და თვითონვე განაგებდა მოპოვებულ საჰხედრო ალაფს.

თურქების ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. ისინი მისდევდნენ მეცხენეობას, მეცხვარეობასა და მეთხეობას, მსხვილფეხა რქოსან მესაქონლეობას, მეაზავერეობას. მესაქონლეობა მთელი წლის განმავლობაში მომთაბარე-საძოვრული ხასიათისა იყო. თივას ძალზე ცოტას და პრიმიტიული ხერხით ამზადებდნენ. ბალახს ხელით გლეჯდნენ ან დანით ჭრიდნენ, გრეხდნენ ჩალიჩებად და ხეებზე ჰკიდებდნენ გასახმობად და შესანახად. თესავდნენ ძირითადად ფეტვსა და ქერს. ჰქონდათ ხელის ქვისდოლაბიანი წისქვილები, რომლებიც მეოცე საუკუნემდე მოჰყვათ.

თურქების მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბეწვეულზე და სახორცე ნადირზე რეწვას. რიგითი მომთაბარეები ხარკს უხდიდნენ თავიანთ მბრძანებელს სიასამურისა და ციყვის ტყავებით. ისინი ნადირობდნენ მარალზე, შველზე, მთის თხაზე და ლოსზე. ნადირობის ძირითადი იარაღი იყო მშვილდისარი ალთაიში (მდინარე ჩოლუშმანის ხეობაში). კუდერგეს სამარხში ნაპოვნ უნაგირის წინა აირყაშის ძვლის მოსართავებზე ასახულია ნადირობა ჩლიქოსან ცხოველებზე: მონადირეები ცხოველებს გაქანებული ცხენებიდან ესვრიან ისარს. სანადიროდ თვითმსროლელ მშვილდებსაც დგამდნენ. ზამთრობით მონადირეები სარგებლობდნენ თხილამურებით, რომლებსაც ამოკრული ჰქონდა ცხოველის ფეხიდან აცლილი ტყავები.

თურქები კარგი მჭედლები იყვნენ. რკინის მადანის საღ-

ნობად იყენებდნენ თიხატკეპნილ ქურებს. მადნეულისა და მისი დნობის ადგილებთან გაჰყავდათ გზები. მადანს დიდი ოთხთვალებით ეზიდებოდნენ. ალთაელები ჭედდნენ მახვილებს (ცალპირიანსა და ორლესულს), ისრის წვერებს (სამფრთიანს და სამკუთხოვანს). განსაკუთრებით ბევრი მზადდებოდა ბსტვინავი ისრები. ფრენის დროს ასეთი ისარი უსტვენდა, რაც მტერზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა ან აჩერებდა მსრბოლავ ცხოველს. ასევე მეომრის საიმედო იარაღი იყო მასიურპირიანი ხმალი. ალთაელი მჭედლები ჭედდნენ რკინის ქვაბებს, დაოსტატებულნი იყვნენ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთების, ქამრების ბალთებისა და ცხენის აკაზმულობის საიუველირო წარმოებაში. მეომართათვის ამზადებდნენ ჯაჭვის პერანგებსა და ჩაფხუტებს, კაგანები მოოქვრილ ჯავშანს ატარებდნენ.

მომთაბარე ცხოვრებამ მძიმე დაღი დაასვა თურქების ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას. ძირითად საცხოვრებლად მათ ჰქონდათ იოლად დასაშლელი და გადასატანი ცხაურზე ქეჩაგადაფარებული კარვები. გავრცელებული იყო აგრეთვე ლატანებით კონუსისებურად შეკრული არყის ხის ქერქით. რბილწიწვიანას ფესვებით ან ცხოველთა ტყავებით ნაგები და გადახურული კარვები (აილები), იყო მორებით ნაშენი საცხოვრებლებიც, როგორც ეს გვხვდება პაზირიკელთა შორის. ფართოდ იყო გამოყენებული ხის ჭურჭელი — ჯამები, მაგიდა, ლარნაკები ოვალური ფორმისა. ასეთი კონსტრუქციის ლარნაკები დღევანდლამდეა შემონახული.

ძირითად საკვებპროდუქტად ითვლებოდა გარეული და შინაური ცხოველების რძე და ხორცი. ცხენის რძით ამზადებდნენ კუმისს, რომელსაც ტყავის ტომრებში ინახავდნენ. ძროხის რძით აკეთებდნენ მეავე სასმელს ანუ მაწონს, (ჩეგენ, აირან), აგრეთვე სირჩიკს (კუსუტ). რძის სასმელების შესანახად კერავდნენ სპეციალური ტყავის მათარებს (ტაშაურებს).

ისინი ატარებდნენ ცხვრის ტყავის, ბეწვეულის, შალის უხეში ქსოვილის, აგრეთვე, ნაბადისა და გარეული მცენარეების ბოჭკოსაგან ნაქსოვ გრძელკალთიან სამოსს. მდიდარი ხალხის ბეწვეულის ქურქები აბრეშუმის სარჩულით იკე-

რებოდა. ისინი აბრეშუმის გრძელკალთიან ხალათებსაც ატარებდნენ. ფეხსაცმელს კერავდნენ გამოქნილი რბილი ტყავისაგან უქუსლოდ და ზედ შალის თხელი წინდები ეცვათ. ასეთი ჩექმები წვივებზე ჩვენებური ლეკვერთხებისმაგვარი ბალთიანი თასმით იკვრებოდა. ალთაელ ტომთა ეს შუასაუკუნეების ფეხსაცმელი ზოგიერთგან ახლაც არის შემორჩენილი. მამაკაცები ატარებდნენ ტყავის ქამრებს, ხოლო მდიდრების ქამრებს ჩვეულებრივ ოქრო-ვერცხლისა და ბრინჯაოს ბალთები ამშვენებდა.

თურქების საერთო კულტურული დონე საკმაოდ მაღალი იყო. მათ ჰქონდათ რუნული დამწერლობა. თურქულ ენაზე ითარგმნებოდა ზოგიერთი ინდური წმინდა წიგნი. მაგრამ წერა-კითხვა მხოლოდ დიდგვაროვანმა ფეოდალებმა იცოდნენ. ანგარიშს ფიცარზე ან ხეზე ჯდეებით აწარმოებდნენ. ალთაელებსა და ტუველებს ანგარიშის ასეთი წარმოება XX საუკუნემდე შემორჩათ. ძველთურქული რუნული დამწერლობა აღმოჩენილია მთიან ალთაიშიც. მაგალითად, ყურაის ველის ყორღანის გათხრისას აღმოჩენილი იქნა ვერცხლის ჭურჭელი წარწერით, რომელზეც აღნიშნული იყო პატრონის სახელი. ასეთივე წარწერა XIX საუკუნის დასაწყისში გ. ი. სპასკის მიერ იქნა აღმოჩენილი მდინარე ჩირიშთან.

ფართოდ იყენებდნენ წელთაღრიცხვის თავისებურ კალენდარს. წელთაღრიცხვას აწარმოებდნენ 12-წლიანი კალენდრით. რომელშიც ყოველი წელი რომელიმე ცხოველის სახელს ატარებდა (ცხენის წელი, ცხვრის წელი, გველის წელი, კურდღლის, თაგვის და ა. შ.).

თურქთა კაგანატის დროს გავრცელებული იყო ქვის ქანდაკებები („ქვის ქანდაკებები" ან „ბალბალები"), რომელზეც გამოკვეთილი იყო კაცის თავი. ადამიანთა ქვის ასეთ ფიგურებს მთიანი ალთაის ტერიტორიაზე დღესაც ვსვდებით. ესენია ჭუდიანი, ტანსაცმლის დეტალებიანი, იარაღიანი, ბალთიან ქამრიანი მამაკაცის გამოსახულებანი, რომელთაც მარჯვენა ხელში ჭურჭელი უჭირავთ. მთელი რიგი ასეთი ქვის ქანდაკებები ამშვენებს ქალაქ გორნო-ალთაისკის აღმოსავლეთმცოდნეობის მუზეუმს. თურქთა პერიოდსვე მიე-

კუთვნება კლდეებზე შესრულებული ნახატები, რომლებშიც ძთავარი ადგილი ცხოველების გამოსახულებებსა და ჩლიქოსან და მტაცებელ მხეცებზე ნადირობის სცენებს უკავიათ.

თურქებს ფართოდ ჰქონდათ განვითარებული სავაჭრო და კულტურული საერთაშორისო ურთიერთობანი შუა აზიის, ჩინეთის, ირანისა და ბიზანტიის ხალხებთან. დაპყრობილ ტომთა აჯანყების, შინაომების, მომთაბარე მწყემსთა ამბოხებების შედეგად 581 წელს თურქთა კაგანატი დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად გაიყო (სემირეჩიე და მდინარეების ორხონასა და ტუკის ხეობები ჩრდილოეთ მონღოლეთში), ხოლო 745 წელს კაგანატი გაანადგურეს უიღურებმა.

თურქთა კაგანატის დაცემამ ცენტრალურ აზიაში მბრძანებლური მდგომარეობა შეუქმნა უიღურთა სახანოს. მისი შექმნა დაკავშირებულია ხან პეილოს სახელთან. რომელმაც უიღურთა ტომები გააერთიანა, სათავეში ჩაუდგა და 745 წელს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ალთაის აღმოსავლეთით დასახლებულ თურქებს. უიღურთა ხელისუფლება ალთაიდან მანჯურიამდე, ხოლო სამხრეთით — გობის უდაბნომდე გავრცელდა.

უიღურთა სახანოს ისტორია განუყოფლად დაკავშირებულია მეზობელ ტომებთან წარმოებულ მრავალრიცხოვან ომებთან. უიღურები განსაკუთრებით დაუნდობლად იბრძოდნენ საიან-ალთაის მთიანეთის ანტიუიღურთა ტომების კავშირის წინააღმდეგ. ალთაელი ტომები უიღურის სახანოს მეხარკეები გახდნენ.

უიღურებს ძველ თურქთა მსგავსი დამწერლობა ჰქონდათ, აგრეთვე მეურნეობაც. არც ცხოვრებაში მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები. შინაური აშლილობის, ყირგიზთა ტომების ხშირი თავდასხმების წყალობით უიღურთა სახანო 840 წელს დაიშალა. ის ყირგიზულმა კაგანატმა შეცვალა. ალთაელი მოსახლეობა ახლა ყირგიზთა ძალაუფლებას დამორჩილდა, რომლებიც ძირითადად თანამედროვე ხაკასთა ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და მის მოსაზღვრე სტეპებსა და მთიან რაიონებში ცხოვრობდნენ.

ალთაელი ტომები ხარკს ბეწვეულით, რკინის ქვაბებით,

ზედადგარებითა და ლითონის სხვა ნაწარმით იხდიდნენ. ამ დროის ალთაელი ტომების ცხოვრების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მდინარე ირტიშის სანაპიროებზე მცხოვრები თურქთა ტომების მიხედვით (ეს ტომები ალთაელი ტომების მონათესავენი იყვნენ და განვითარების იმავე დონეზე იდგნენ).

ყირგიზებმა თავიანთი კვალი მთიანი ალთაის ისტორიაში დატოვეს არქეოლოგიური ძეგლების — სამარხების სახით, რომელთა ნაწილი გათხრილია კოშ-აგაჩის რაიონის ტერიტორიაზე.

მათს სახნავ-საძოვრების პატარა სარწყავ არხებს სუვაკები ერქვა. განვითარებული იყო სამჭედლო საქმე. იჭედებოდა შუბები, ხმლები და სხვა საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღები, აგრეთვე, ტანსაცმლისა და ცხენის სხვადასხვაგვარი აღკაზმულობანი.

ახალი ფეოდალების ბატონობის მთელი სიმძიმე რიგით მესაქონლეებსა და მონადირეებზე გადადიოდა, რომელთა შრომითაც იქმნებოდა ყირგიზი ბობოლების სიმდიდრე. ხალხს უფლება არ ჰქონდა თავისი შრომის ნაყოფი გამოეყენებინა. ყირგიზთა ბატონობა გაგრძელდა X საუკუნემდე. შემდეგ ის კიდანების — მონღოლურენოვანი ტომების გაერთიანების ხანმოკლე ბატონობით შეიცვალა. კიდანების ბატონობასთან დაკავშირებულია ბევრი ლეგენდა, მათ შორის ხიდების, გზების, მდინარე ყადნზე გადასასვლელი ზოგიერთი ნაგებობის შენება, აგრეთვე ონგუდაის, ულაგანის, კოშ-აგაჩის, უსტ-კოკსის რაიონებში სამიწათმოქმედო სარწყავი სისტემის მშენებლობის შესახებ, რომელთა კვალს დღემდე ვაწყდებით ამ ადგილებში.

XII საუკუნეში კიდანების ანუ, როგორც მათს ალთაურ ზეპირსიტყვიერებაში უწოდებენ — „კარა-კიტაის“ ხელისუფლების დასუსტების გამო, ისტორიის არენაზე გამოჩნდნენ „ნაიმანები“. ნაიმანთა შორეული შთამომავლების კვალი დღემდე შემონახულია ალთაელ ტომთა ზოგიერთი გვარების სახელწოდებაში.

ნაიმანთა ბატონობამ XIII საუკუნის დასაწყისამდე გასტანა, შემდეგ კი ჩინგიზ-ხანის ჯარებით განადგურებული

მათი თავკაცები, თავშესაფარს ეძებდნენ ალთაის მთებში და იქ ცდილობდნენ მოეკიდებინათ ფეხი. ნაიმანთა ბატონობის პერიოდის შესახებ ისტორიაში თითქმის არაფერია ცნობილი.

ისტორიულად ალთაელი ტომებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე თათარ-მონღოლთა ბატონობის პერიოდი იყო. ალთაელებისათვის და მონღოლთა მიერ დამონებული სხვა ხალხებისათვის ჩინგიზ-ხანისა და მის ნაშიერთა უღელი გამანადგურებელი აღმოჩნდა. მონღოლებმა ალთაის ნაწილი პირველად 1199 წელს დალაშქრეს. 1207 წელს ჩინგიზ-ხანის უფროსმა ვაჟმა ჯუჩიმ მამის ბრძანებით დაიპყრო ალთაის მთელი ტერიტორია. ალთაელთა ტომები ტელესები და ტელენგიტები პირველ ხანებში ჩინგიზ-ხანის თანამებრძოლის ნოინტემნიკ* ხორჩის მძიმე მონობაში მოექცნენ.

მთიანი ალთაის მოსახლეობას ხარკი დაადეს. რომლის სიმძიმე ძირითადად მშრომელებს დააწვათ. მონღოლი ხარკის ამკრეფნი ულმობელ სიმკაცრეს იჩენდნენ დამონებული ხალხისადმი. გამუდმებულმა ძარცვამ, ხოცვა-ყლეტამ და ძალადობამ ალთაელთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრება რამდენიმე საუკუნით შეაფერხა, თუმცა ალთაელი ტომები თავიანთი კულტურული განვითარების დონით როდი ჩამორჩებოდნენ მონღოლებს, მაგრამ სწორედ მონღოლთა ბატონობის პერიოდში დაკარგეს მათ ბევრი რამ, რაც გააჩნდათ, განსაკუთრებით კი თურქთა კაგანატის დროს.

აუტანელი გადასახადები, ნაწარმით, სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო ბეგარა აღატაკებდნენ ალთაელ ტომებს. განსაკუთრებით მძიმე იყო საფოსტო სადგურების შენახვის ბეგარა, რაც სპეციალურ შიკრიკებს, გამყოლებს, ცხენებს, თივის მარაგს, სურსათს მოითხოვდა. ასეთი სადგურებით სარგებლობდნენ არა მარტო ხანის მოხელეები, არამედ გამვლელი ვაჭრებიც კი.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლები ქმნიდნენ სამხედრო დასახლებებს. რომლებიც სურსათით ამარაგებდნენ დამპყრობელთა ჯარებს. ასეთი დასახლებები იყო ალთაიშიც. ჩინ-

---

* ტემნიკი — 10 ათას მებრძოლთა (ტომი) რაზმის უფროსი.

გიზ-ხანის სიკვდილისა და მისი უზარმაზარი იმპერიის ცალკეულ სახანოებად დაშლის შემდეგ ალთაი „ოქროს ურდოს“ შემადგენლობაში შევიდა.

* * *

XIV საუკუნის დასაწყისში შინაომების შედეგად „ოქროს ურდო“ ორ ნაწილად გაიყო. როგორც ცნობილია, ერთ-ერთ მათგანს აღმოსავლეთის — ვოლგის სტეპებიდან დასავლეთ ციმბირამდე „თეთრი ურდო“ დაერქვა. ალთაელები „თეთრი ურდოს“ მორჩილებაში მოექცნენ. ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ ალთაის ადგილობრივი ტომები ციმბირის ულუსს დაექვემდებარებიან, რომლის ცენტრიც ქალაქ ტიუმენთან იყო. ციმბირის უკანასკნელი ხანი იყო კუჩუმი, ერმაკის მეთაურობით რუსების მიერ კუჩუმის სახანოს დამარცხებამ ერთბაშად ვერ გაათავისუფლა ალთაელი ტომები მონღოლთა უღლისაგან.

ამ პერიოდში მათზე მბრანებლობდნენ ჯუგარები — ცენტრალური აზიის ფეოდალთა უკანასკნელი წარმომადგენლები.

ჯუგარები მონღოლურ ენაზე ლაპარაკობდნენ, ჰქონდათ თავიანთი დამწერლობა, ჰყავდათ ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული არმია. ჯუგარებს სათავეში ედგათ ხანი, რომელიც თავს კან-ტაიშს უწოდებდა. მას ემორჩილებოდნენ თავადი-ტაიშები. სახელმწიფოს მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო აიმაკებად (რაიონებად), რომლებიც ქვერაიონებად — დიუჩინებად და აილებად იყოფოდნენ.

1598 წლის ზაფხულში მდინარე ირმენის სათავესთან ობზე რუსის ჯარებმა გაანადგურეს კუჩუმ ხანის ძალების უკანასკნელი ნარჩენები. ციმბირის სახანო საბოლოოდ გაუქმდა, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ ციმბირის ტერიტორია შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს.

ციმბირის ადგილობრივმა მოსახლეობამ სცნო რუსეთის სუვერენობა და ეძებდა მასში დამცველს უცხოელთა ახალი თავდასხმებისაგან: 1604 წელს ტოიანი — ერთ-ერთი ადგილობრივი თავადი, წავიდა მოსკოვში და სთხოვა რუსეთის

მთავრობას, აეშენებინათ მის სამემკვიდრეო მამულში ციხე-ქალაქი, მისი თხოვნა შეწყნარებულ იქნა და შემოდგომაზე მდინარე ტომიზე ააშენეს ტომსკის ციხე-ქალაქი.

რუსებთან შეერთებამ და მეზობელი — ბარაბინელი თათრების „თეთრი მეფისადმი ერთგულების" ფიცმა გავლენა მოახდინა ალთაელ თავადებზე. 1609 წელს ტომსკელი ვიაზემსკი და პისემსკი რუსეთის მთავრობას ატყობინებს, რომ ალთაელთა ერთ-ერომა უძლიერესმა ბაიმ, ტელეუტელთა თავადმა აბაკმა — „გამოგზავნა თავისი ელჩები" თხოვნით, მიეღოთ ის და მისი ხალხი რუსეთის ქვეშევრდომობაში. თხოვნა მიღებულ იქნა და თავის წილად ბაისთან გაიგზავნა ელჩიონი ტომსკელი ივანე კოლომნასა და ვასილი მალენტევის მეთაურობით.

თუმცაღა აბაკმა რუსეთის ქვეშევრდომობა პირობითად მიიღო, ივალდებულა გადაეხადა ხარკი (იასაკი) ბეწვეულით, ამის გარდა არავითარი ვალდებულება არ იკისრა; მის მიერ დადებული რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცი ხშირად ირღვეოდა და ამით იქმნებოდა საშიშროება რუს დასახლებაზე თავდასხმისა. მაგალითად, 1628 წელს, ნაცნობმა თავადმა აბაკმა გატეხა ფიცი და „შავ ყალმუხებთან" (მონღოლებთან) ერთად დაესხა კუზნეცკის ციხეს, რითაც საგრძნობი ზარალი მიაყენა რუს მოსახლეობას: გაანადგურეს ნათესები, გათელეს სახნავი და საძოვი ადგილები, გაძარცვეს მოსახლეობა, ცეცხლს მისცეს სახლები და დამხმარე ნაგებობანი.

ასეთი პოლიტიკა დამახასიათებელი იყო არა მარტო აბაკისათვის, არამედ მის შთამომავალთათვისაც. 1635 წელს აბაკი მოკვდა და ძალაუფლება გადავიდა მისი შვილის კოკას ხელში, რომელმაც დასაწყისში მამის მაგალითისამებრ აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა, მაგრამ შემდეგ ჯუნგარელ ფეოდალების წაქეზებით, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ რუსეთთან ალთაელების შეერთებისა, გატეხა ფიცი. 1652 წელს ის თავს ესხმის კუზნეცკის მაზრას. მასთან ერთად მოქმედებდა ჯუნგართა სამიათასკაციანი რაზმი.

XVII საუკუნის დასაწყისში პოლონელ-შვედთა ინტერვენციის მძიმე შედეგები რუსეთის სახელმწიფოს საშუალე-

ბას არ აძლევდა შეეკრიბა სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებისათვის საჭირო ძალები, რის შედეგადაც ადგილობრივი გარნიზონები სრულად ვერ მარაგდებოდნენ საჭირო იარაღითა და მასალებით, მათი ძალები ადრინდებულად ძალზე მცირე იყო. სარგებლობდნენ რა რუსების სასაზღვრო პუნქტების სისუსტით, ციმბირის ადგილობრივი ტომების ფეოდალები ხშირად ესხმოდნენ მათ თავს. 1657 წელს კოკა აბაკი 1500 კაციანი რაზმით თავს დაესხა სოსნოვკის ციხეს, რომლის გარნიზონშიც 50 კაზაკი იმყოფებოდა. ჯუნგარებმა ციხე იერიშით აიღეს. ტომსკისა და კუზნეცკის ვოევოდები შექმნილ ვითარებაში გაფრთხილებებითა და მუქარით კმაყოფილდებოდნენ. რუსეთის მთავრობას სხვა გამოსავალი არც ჰქონდა და იძულებული იყო მიემართა ტაქტიკისათვის, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ახლად შემოერთებული ციმბირის მიწების კარგად შენარჩუნების“ პოლიტიკა. იგზავნებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს ელჩები ალთაელ თავკაცებთან. ალთაელი მოსახლეობის ძირითადი მასა რეგულარულად უხდიდა ხარკს რუსეთის მთავრობას, რაც მოსვენებას არ აძლევდა ჯუნგარელ ფეოდალებს, რომლებიც ხარკს ალთაელებიდან თვითონ ელოდნენ.

სამხრეთ ციმბირში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა რუსეთის მთავრობას აიძულებდა აეგო დასაყრდენი პუნქტი მდინარე ბიას დაბლობებში. ამ პუნქტს ხელი უნდა შეეწყო რუსეთის გავლენის განმტკიცებისათვის და გადაეჭრა იგი ბიის დაბლობების დამცველ სიმაგრედ უცხოელი დამპყრობლებისაგან. ხელმძღვანელობდა რა ამ სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მოსაზრებით, რუსეთის მთავრობამ 1708 წელს უბრძანა კუზნეცკის ვოევოდას „აიშენოს ციხე მდინარეებზე — ბიასა და ყადნზე“. განკარგულების შესასრულებლად კუზნეცკის ვოევოდამ დაუყოვნებლივ დაიწყო სამუშაოები ბია-ყადნის უბნის გასამაგრებლად. მაგრამ ბია-ყადნის სათავეებში რუსების გამაგრება სრულებით არ აწყობდათ ჯუნგარელთ. ბია-ყადნის ციხის დაარსება გახდა მიზეზი ჯუნგართა გააქტიურებისა, აგრეთვე ხაკასთა და ალთაელ საგვარტომოს დიდებულთა უკმაყოფილებისა რუსების მიერ ციმბირის სამხრეთის სიღრმეში წაწევის გამო. იმ დრო-

ის საპუთებში აღნიშნულია მომთაბარეთა გაერთიანებული ძალების უამრავი თავდასხმა კუზნეცკის მაზრაზე. ძარცვავდნენ. აოხრებდნენ ნათესებს, სწვავდნენ ნაგებობებს, იტაცებდნენ საქონელს და ტყვედ მიჰყავდათ ხალხი. განსაკუთრებით დაუნდობელი იყო ბაიგოროკ ტაბუნოვი, რომელიც 1710 წელს თავს დაესხა ალთაელთა ჩეოკტონოების ულუსის საგვარეულოს და ტყვედ ჩაგდებულ ჩეოკტონთა გვარის თავს თვალები დასთხარა და ზურგზე საქამრე ტყავები ააძრო. ამ ბარბაროსული წამების მერმე ხეზე ჩამოახრჩო. თავის ამ არაადამიანურ სიმკაცრეს ბაიგოროკი იმით ხსნიდა, რომ ჩეოკტონი ღალატისათვის დასაჯა, მან რუსები გააფრთხილა მომთაბარეთა თავდასხმის მზადების შესახებ კუზნეცკის მაზრაზეო.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ძალზე გამწვავდა ურთიერთობა ჯუნგარელ ფეოდალთა და ცინის იმპერიას (ჩინეთი) შორის. მოახლოებულმა ომის საშიშროებამ აიძულა ალთაელთა საგვარეულო და საგვარტომოს დიდებულები, რუსეთის სახელმწიფოსათვის ეთხოვათ შველა. ამაზე გარკვეული გავლენა მოახდინა შუა აზიაში შექმნილმა მდგომარეობამაც.

ჯუნგართა მბრძანებლის გალდან ცერენის სიკვდილის შემდეგ (1745 წლის სექტემბერი) ქვეყანაში დაიწყო ძმათამკვლელი ომი ხანის ტახტისათვის, რამაც ძალზე დაასუსტა ჯუნგართა სახელმწიფო. ამან საშუალება მისცა ჩინელებს, თავს დასხმოდნენ მათ. ამ ომმა დიდი ვნება მოუტანა ალთაელებს, სწორედ ამ ტრაგიკულმა მოვლენებმა განაპირობა ალთაის მოსახლეობის მომავალი. ეშინოდა რა სრული ფიზიკური განადგურებისა, ალთაელმა ხალხმა 1756 წელს სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს და პირველად მოიპოვა მშვიდობა.

ალთაელთა რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შესვლას მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი დამკვიდრდნენ და ფეხი მოიკიდეს გარკვეულ ტერიტორიაზე...

...საღამოვდება. უღელტეხილიდან ეშვება ჩვენი მანქანა, მარჯვნივ, თვალწარმტაც ხეობაში, სინათლის უამრავი ციცინათელა აკიაფდა. ეს ონგუდაის რაიონული ცენტრია, იმ ონგუდაისა, რომელიც მოწმეა თეთრგვარდიელებთან და

სხვადასხვა ჯურის კონტრრევოლუციურ ბანდებთან დაუცხრომელი ბრძოლებისა. ონგუდაი — მთიანი ალთაის გეოგრაფიული ცენტრია. ის ბიისკ ტაშანტის ნახევარ გზაზეა. ონგუდაი ზღვის დონიდან 860 მეტრზე მდებარეობს ურსულის ხეობაში. ეს მომხიბლავი ადგილი უძველესი დროიდან იყო სამხრეთელ ალთაელთა სადგომი. რუსი გლეხები პირველად აქ XIX საუკუნის სამოციან წლებში დასახლდნენ. შემდეგ კაპიტანმა პეტრე კიტრიანოვმა, რომელიც ვაჭრობასაც ეწეოდა, დააარსა წინასწარ დაჩემებული მამული. შემდეგ აქ დასახლდა მონათლული ალთაელი მეორე ჩუის მაზრიდან ა. ს. ხაბაროვი, რომელმაც თავისი ნათლიის ბიისკელი ვაჭრის ხაბაროვის დახმარებით 1857 წელს ააშენა სამლოცველო სახლი, ხოლო კაპიტანმა კაკორინმა, რომელიც აგრეთვე ვაჭრობდა, ააშენა სამისიონერო სახლი. თანდათან მიუტიდან, შებალინოდან და ულალადან აქ გამოდიან მონათლული ალთაელები. 1861 წელს ონგუდაიში გაიხსნა სამრევლო სკოლა. 1897 წელს 126 კომლს მიაღწია ონგუდაის მოსახლეობამ, აქედან 40 ახალმოსახლე იყო, 26—ძველმოსახლე. მოსახლეობა 522 სულს შეადგენდა, აქედან 268 რუსი გლეხი, მეეტლე, ვაჭარი, ორიც წისქვილისა და დაბახანის მუშა. მოსახლეობის ალთაელთა ნაწილი ძირითადად დაქირავებული მუშები იყვნენ, რომლებიც ნადირობით და კედარის კაკლით ირჩენდნენ თავს.

ონგუდაის მშრომელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. რაიონულ ცენტრში, რაიალმასკომის წინ ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ ონგუდაიში „ფრონტელთა კავშირის“ და დეპუტატთა საბჭოს დამაარსებელი, უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულები ფილიპე იზოსიმეს ძე უსოლცევი თავის თანამებრძოლებთან, და 11 თანასოფლელთან ერთად, რომლებიც დამსჯელებმა დახვრიტეს.

ონგუდაის ზევით ურსულის ველი ვიწროვდება და სოფელ ულიტას იქით ვიწრო ხეობად იქცევა. მარჯვნიდან ურსულს უერთდება მდინარე დიდი ილგუმენი. ამ მდინარეების შესართავი უძველესი დროიდან ითვლებოდა უამრავი თევზის ბუდედ. აქ სათევზაოდ მოდიოდნენ ბიისკიდან, ბარ-

ნაულიდან და ალთაის მაზრის სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან.

დიდი ილგუმენის ველზე მდებარეობს სოფელი ხაბაროვკა. ის 1874 წელს დააარსა ვაჭარმა ხაბაროვმა, რომელსაც აქ საწყობები ჰქონდა, ხოლო ოფიციალურად ხაბაროვკა სოფლად იწოდება 1889 წლიდან.

. ხაბაროვკიდან ტრაქტი მიემართება ცნობილ ჩიკე-ტამანსკის უღელტეხილისაკენ. თავბრუდამხვევი ზიგზაგების შემდეგ აღწევს კბოდეს. სახიფათო ადგილები ციცაბო მხარეს ქვის მაღალი ფილებით არის აღობილი. აღმართი 7 კილომეტრის სიგრძისაა, დაღმართი — 4 კილომეტრისა. უღელტეხილის თავზე ლამაზი ფანჩატურია აშენებული. აქედან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე მწვერვალებდათოვლილი უზარმაზარი მთები ჩანს, რომლებზეც ღრუბლები დაცურავენ. სუნთქვა გეკვრის ასეთი განუმეორებელი სურათებით. უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან სულ 1860 მეტრია, მაგრამ იმდენად ციცაბოა, რომ გაცილებით მაღალი ეჩვენება მნახველს.

ჩიკე-ტამანის ძირში უკანასკნელი ზიგზაგებით ეშვება დახვეული გზა, რომელსაც სიდედრის ენას ეძახიან. პატარა ილგუმენის ველზე გადის და მალე კუპჩეგენში ჩავდივართ. სოფელი იზრდება და ფართოვდება კეთილმოწყობილი სახლებით, სულ რაღაც ასიოდე წლის წინ დაწყებულა თურმე აქ ცხოვრება. პირველნი აქ 1883 წელს კულიკოვების ოთხი ოჯახი დასახლებულა. ეხლა კუპჩეგენში მეთხეობის დიდი მეურნეობის ცენტრალური კარმიდამოა.

შვიდი კილომეტრის გავლის შემდეგ კორ-კეჩუს ბომთან ისევ ვხვდებით ულამაზეს ყადნს.

ტრაქტის თანამედროვე მიმართულებით გაყვანამდე მგზავრებს უხდებოდათ ყადნის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა. ეს გადასვლა ყოველთვის ძნელი იყო. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ აქ ძველად არსებობდა საბაგირო გადასასვლელი, რომლის ნიშნებიც, კლდეებში ბაგირების სამაგრისათვის არსებული ნახვრეტები ახლაც შეიმჩნევა. ნავებითა და ტივებითაც უხდებოდათ გადასვლა. უძველესი ნავი გულამოღრეუებულ ხის ბოტს წარმოადგენდა. ტივი კი ორ-სამ ასეთ

ბოტზე დაგებულ ფიცარნაგს წარმოადგენდა. გადასვლა საშიში იყო. ტყუილად როდი ერქვა ამ გადასასვლელს „კორ-კეჩუ“ („დამღუპველი გადასასვლელი“). ალთაიში არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით ოდესღაც ალთაის უცხოელ დამპრობელთა წინააღმდეგ მებრძოლმა ჯარების სარდალმა ამ ადგილას გადაწყვიტა მდინარის გადალახვა და გასცა განკარგულება მდინარის ორივე მხარის კლდეებში გაეკეთებინათ ხვრელები, დაეჭიმათ ტყავისაგან გაკეთებული ბაგირები, რაზედაც უნდა გამოებათ ტივის სამაგრები. შემდეგ, რომ გაერკვია, რამდენი მეომარი დაიღუპებოდა ბრძოლის ველზე და რამდენი დაბრუნდებოდა უკან, ბრძანა, ყოველ მებრძოლს მდინარეზე სვლის წინ ნაპირზე დაედო ქვა, ხოლო უკან დაბრუნებისას წყალში გადაეგდო თავისი ქვა. ასეც მოიქცნენ. ლაშქრის უკან დაბრუნების მერე წყალში გადაყრილ ქვათა რაოდენობა საკმაოდ დიდი გამოდგა, რაც ბრძოლაში და გადასვლის დროს დაღუპულთა დიდ რაოდენობაზე მეტყველებდა. ამიტომ დაერქვა გადასასვლელი ამ ადგილს „კორ-კეჩუ“ („დამღუპველი გადასასვლელი“).

აქ პირველი ბორანი 1903 წელს გამართეს სოფელ ტალდის გლეხებმა ოშჩეპოვმა, ბოლოტნოვმა და ჩერნოვმა, მათვე გამართეს სხვა ბორნებიც მდინარე ყადნზე.

ტრაქტი მაღალ ციცაბოზე მიიკლაკნება. ქვემოთ შმაგოს ქაფმოდებული ყადნი. მოსახვევს მოსახვევი მოსდევს და ბოლოს გამოჩნდება სოფელი პატარა იალომანი, რომელიც პირდაპირ ყადნის ნაპირზეა გაშენებული. არაჩვეულებრივია მიკროკლიმატმა საშუალება მისცა სპეციალისტებს, აქ შეეტანათ ალთაის მთიანი მებაღეობის ექსპერიმენტული მეხილეობის ბაზის საცდელი სადგური.

სულ თექვსმეტ ჰექტარ ფართობზე გაშენებულ ბაღში მოდის რამდენიმე ჯიშის ვაშლი, მსხალი და ქლიავი, სხვა ხილი ჯერ-ჯერობით მთიან ალთაიში არ ხარობს, არც ბოსტნეული, თუ ქინძს, კამას და ოხრახუშს არ ჩავაგდებთ საითვალავში. არ მოდის პამიდორი, კიტრი, საზამთრო, ნესვი, ხახვი, საერთოდ არ იციან ბადრიჯანი, ლობიო, ატამი, ბალი, ლეღვი.

[illegible]ის ხილი თუ ბოსტნეული, რომლებიც ადრე ჩამოვთვა-

ლეთ. მხოლოდ ონგუდაის რაიონში მოდის და ისიც იმდენი, რომ რაიონის მეოთხედ მოსახლეობასაც არ ჰყოფნის.

— კი, მაგრამ თქვენი, ალთაის მხარის ბარის ნაწილი შესანიშნავი მდიდარი მხარეა, განა არასოდეს არ გაგჩენიათ სურვილი იქ ჩასახლებისა და ცხოვრებისა? — ვეკითხები ვალერი ჩაპტინოვს.

— არა, არასოდეს არ გაგვჩენია და ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან. კაცი სიმდიდრის ძიებას კი არ უნდა გადაყვეს, თავისი შრომის იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენ ახლაც გვჯერა, თუ რამ გვაკლია, გარკვეული დროის შემდეგ გვექნება, მაგრამ ეგეც რომ არ იყოს, ჩვენი წინაპრები თუ სძლებდნენ, ჩვენც გავძლებთ. აქაა ჩვენი წინაპართა საძვალეთი, აქაა მთელი ჩვენი ისტორია და, აბა, როგორ დავაგდოთ, როგორ მივატოვოთ აქაურობა. ჩვენი ხალხი, როგორც მოგეხსენებათ, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ზამთრისა და ზაფხულის სადგომები სხვადასხვა ადგილას ჰქონდათ, მაგრამ ჩვენს მთებსა და ხეობებს არასოდეს გაეცილებივართ. აქვე. ჩვენს წვენში ვიხარშებოდით, თუ შეიძლება ასე ითქვას. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენს მიერვე არჩეულ ადგილებში დავმკვიდრდით, ავიშენეთ სახლები დამხმარე ნაგებობებით. აშენდა სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, საავადმყოფოები, ამბულატორიები, კინოთეატრები და ახლა მივატოვოთ აქაურობა? არა. შესაძლოა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლდეს, მაგრამ თუ იმას გავიხსენებთ, რას წარმოადგენდა მთიანი ალთაი და არაფრიდან როგორ შეიქმნა დღევანდელი ცხოვრება, რატომ ის არ უნდა დავიჯეროთ, რომ ყველაფერ დანარჩენსაც შევქმნით, გავაკეთებთ. არა, ჩემო კარგო, ქვეყნის სიყვარული ყველი ადამიანისათვის ადგილის დედის სიყვარულით უნდა იწყებოდეს, იმ ადგილის დედისა, რომელიც თვითონ კი ერთნაირ დედობას უწევს ყველას, მაგრამ თავისი შვილისათვის ყველაზე ლამაზი და მშვენიერია. რომელი შვილისაგან გაგიგიათ, დედაჩემს ცოტა, ან უგემური რძე ჰქონდა, სხვაზე უფრო ცუდი ხმით მიმღეროდა იავნანას და უფრო უგერგილოდ მირწევდა აკვანს და ამიტომ სხვისი შვილობა მირჩევნიაო.

ადამიანს, როგორც მე მესმის, საძვალეთის გარდა, თავის საცხოვრებელთან ყველაზე მეტად ის მრავალწლიანი ნარგავები ამკვიდრებდნენ, რომლებიც ყველაზე დიდ მოვლასა და შრომას მოითხოვს. ასეთია თქვენთვის ვაზი. თქვენში ქრისტიანობის წმინდა ნინო ხომ ვაზის ჯვარით შემოვიდა. ლეგენდაა ეს თუ სინამდვილე, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ისაა, რომ ხალხის ძვალ-რბილში ასეა ეს ამბავი გამჯდარი და ამიტომ იქცა ვაზი და მისი ნაყოფი ქართველი გლეხის შრომის გვირგვინად.

სოფელი უნდა კეთილმოწყობილი იყოს. გლეხებს პირობები უნდა შევუქმნათ, ან როგორც მე მესმის, უნდა ავუშენოთ ბინები, არა, ბოდიში, ბინები კი არა, სახლები თავისი დამხმარე ნაგებობებით მის საკარმიდამო ნაკვეთებში. ამ სახლში უნდა იყოს აბაზანა, ტუალეტი და ყველა ის აუცილებელი ატრიბუტი, რაც დღევანდელ ადამიანს კულტურული ცხოვრებისათვის სჭირდება, მაგრამ არა ცათამბჯენები ლიფტებითა და ნაგავგამტარებით. სოფელში არც ტრამვაია საჭირო და არც ტროლეიბუსი. უნდა იყოს ყოველგვარი ავტოტრანსპორტი, მაგრამ სოფელში მეცხვარე იქნება თუ მენახირე, მეხრე თუ მხვნელ-მთესველი, მეთხუთმეტე სართულიდან არ უნდა უყურებდეს ასფალტს. გლეხკაცი მიწას უნდა ხედავდეს და ეხებოდეს. სოფელს ცხენი, ძროხა და ხარი უნდა ამშვენებდეს, ხოლო მის მყუდროებას მამლის ყივილი და ძაღლის ყეფა არღვევდეს.

— კი მაგრამ, ვალერი, თქვენ რა, ქალაქის წინააღმდეგი ხართ? ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოფლის კეთილმოწყობის, გაქალაქების, ასფალტის წინააღმდეგი ხართ?

— არა. მოასფალტებული უნდა იყოს ქუჩები და გზები, მაგრამ სახლიდან რომ გამოვა გლეხი, თავის ეზოში მიწას უნდა დააბიჯოს და არა ასფალტს. მე, მაგალითად კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რაც ზოგიერთმა მეურნეობამ გააკეთა მოსკოვის ახლოს. ააშენეს მრავალსართულიანი სახლები, უეზოოდ, დამხმარე ნაგებობების გარეშე და გლეხმა თვითონაც არ იცის, ვის დაამსგავსეს. გლეხს თავისი სამუშაო იარაღები — ცელი და ნამგალი, თოხი და ბარი, ფარეხ-

სი და სასხლავი, დანა და ვაზის მაკრატელი, კომბალი და ნაბადი დღენიადაგ თან უნდა ჰქონდეს.

— მართალი ხარ, ჩემო ვალერი, მაგრამ ყველაფერს გლეხს ნუ დავაბრალებთ, ვანა მისთვის ადვილია მამა-პაპის საძვალეთის მიტოვება? და განა მარტო უაბაზანო თუ სხვა კეთილმოუწყობელი ბინების გამო მიატოვეს სოფელი? განსაკუთრებით ლაპარაკია მთის სოფლებზე; არა, სოფლებს ბევრი იმიტომ ტოვებდა, რომ არც ძროხის ყოლის უფლებას აძლევდნენ და არც ცხვრისას, არც ცხენისას და არც ხარ-კამეჩისას. ვერ იქნა და კარგა ხანს ვერ მიაგნეს იმ ფორმას, რომელიც გლეხსაც ხელს აძლევდა და სახელმწიფოსაც გლეხმაც იფიქრა: თუ არც ღორი მეყოლა, არც ცხვარი და ძროხა, არც ცხენი და ხარ-კამეჩი, სოფელში რაღა ვაკეთოო?

— დიახ, სწორედ ამას ვამბობ, განა სავალალო ვითარება არ შეიქმნა იმით, რომ ქალიშვილების უმეტესობას ძროხისა ეშინია და არამცთუ მოსაწველად, უბრალოდ, ახლო ვერ მიიყვან მასთან. ვოლოგდის ოლქში ერთმა გაღიზიანებულმა გლეხმა ისიც კი მითხრა, როცა ვუსაყვედურე, ძროხა რატომ არა გყავს-მეთქი, — ჩემი ცოლი, რა, შენს ცოლზე ნაკლებია, რო ძროხის ფუნა ზიდოს, ჩვენც იქა ვყიდულობთ რძეს, სადაც თქვენაო. როცა ცოტათი დამშვიდდა, მითხრა: — შვილო, განა არ ვიცი, რომ სოფელში ასე ცხოვრება უაზრობაა. მაგრამ, მართალი გითხრათ, რწმენა დავკარგეთ, ხან გვაძლევდნენ საქონლის ყოლის უფლებას, ხან კიდევ ჩამოგვართმევდნენ ხოლმე. აი, სწორედ ამან გამოიწვია ეს ამბავიო.

— სრული ჭეშმარიტებაა. ცხოვრების გალამაზება და ყოფის შემსუბუქება იმას როდი ნიშნავს, სოფელმა თავისი სოფლური კოლორიტი დაკარგოს და ჯორცხენასავით აღარც ქალაქად ვარგოდეს და არც სოფლად. ჩვენში ეხლა ბევრ სოფელს ჩამოივლი და ქართული პურის გამომცხობსაც ვერსად ნახავ, ამიტომ, ვინც ახალ სახლებს იშენებს, ველარსად ნახავ სათონეს. განა ეს საქმეა? თუ სოფელმა თავისი ლამაზი კარ-მიდამო დაკარგა, თუ ეზოში ქათმის კაკანი ან გოჭის ჭყვიტინი არ ისმის, თუ სოფელში გლეხმა ქვევრს არ მო-

ხადა სარქველი, ან უბანში ახლად გამომცხვარი პურის სურნელი არ დატრიალდა, განა ეს სოფელია? სოფელი უნდა შეიმოსოს, ეს კი, ჩემის აზრით, კეთილმოწყობილ, მოსფალტებულ ქუჩა-მოედნებს, ელექტრობასა და ტელევიზიას, სკოლებსა და ბაგა-ბაღებს, პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებს, კინოთეატრებსა და კლუბებს უნდა ნიშნავდეს. უფრო დიდმნიშვნელოვანი საწარმო-დაწესებულებები კი რაიცენტრში უნდა იყოს.

— კი, მაგრამ, შენ აქ იმდენი რამ ჩამოთვალე, რომ ნეტა, შენი სოფელი რიღათი განსხვავდება ქალაქისაგან?

— რითი და ყოველ გლეხს ცალკე უნდა ედგას სახლი თავისი დამხმარე ნაგებობებით, საკარმიდამო ნაკვეთში უნდა ჰყავდეს ძროხა, ღორი, ქათამი და, რა ვიცი, ათასი სხვა რამ. გლეხი ბაზარში თუ მაღაზიაში (ზოგიერთი რამის გარდა) საკვების საყიდლად არ უნდა გადიოდეს, პირიქით, ზედმეტი ჭირნახული უნდა სახელმწიფოს მიჰყიდოს. გლეხმა თუ მაღაზიაში შეიძინა ღვინო და ძმარი, ხილი და მწვანილი, რძე და ყველი, ქათამი და იხვი, ერთი მითხარი, ის რა გლეხია. ანდა იმ სოფელს რაღაზე უნდა ერქვას სოფელი. აბა, მითხარ, რას ემსგავსება სოფელი, თუ იქ ჩაყვანილ ადამიანს ძველოდ რომელიმე ერთ ოჯახში ვაჩვენებთ, როგორც ისტორიულ ღირსშესანიშნაობას მარანსა და სათონეს, სასიმინდესა და თავლას? სხვა რომ არა იყოს რა, თუ სოფელში არ მოვიყვანეთ ჭირნახული, მაღაზიაში კერავინ გააჩენს და ვერც ვერავინ ვერაფერს შეიძენს.

იალომანს მარტო ხსენებული ბაღის მეშვეობით როდი იცნობდნენ, არამედ მიუვალი ხევების იმ გმირული გადასვლის წყალობითაც, რომელიც 1922 წლის 10 აპრილს განახორციელა ორმა ცხენოსანმა დივიზიონმა ამხანაგ ი. ი. დოლგიხის მეთაურობით. მათ იალომანის მიუვალი ხეობებით გადაიარეს რამოდენიმე უღელტეხილი, ყველასათვის მოულოდნელი მხრიდან შეიჭრნენ კატანდაში, გაანადგურეს თეთრგვარდიელთა ერთ-ერთი ყველაზე საშიში და ძლიერი შენაერთი და მოკლეს მისი მეთაური ესაული კაიგოროდოვი, რომელიც წლების მანძილზე მხეცურად უსწორდებოდა ყველას, ვინც კი საბჭოთა ხელისუფლების მომხრე იყო.

ამ ოპერაციისათვის ი. ი. დოლგიხი და ტიხონ მიხაილოვი წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვეს.

ვუახლოვდებით სოფელ ინიას. მარჯვნივ მოჩანს დაკიდებული ხიდი. გადავდივართ მასზე. ეს ხიდი 1970 წელსაა აშენებული. სოფელში მეთხეობის დიდი საბჭოთა მეურნეობაა. აქვეა ალთაიში ცნობილი სასოფლო პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც მექანიზატორთა სამჭედლოა.

სოფელ ინიადან, ჩვენი თხოვნით, მდინარე ჩუიზე გადავდივართ. გვერდი ავუქციეთ ცენტრალურ ტრაქტს და მარჯვნივ კატანდისკენ ავიღეთ გეზი. კატანდაც უკან ჩამოვიტოვეთ და ცოტახნის შემდეგ შევდივართ საკმაოდ დიდ სოფელში, რომელსაც ვერხნეე უიმონი ჰქვია. ყოველ ეზოს ლამაზი მესერი აქვს შემოვლებული, რომელიც ძველრუსული სოფლების ხის სიმაგრეებს მოაგონებს კაცს. სოფელი ლაღადაა გაშლილი მდინარის ხეობაში. ზემო უიმონში ახლაც ცხოვრობენ სტაროვერები, ანუ როგორც მათ კიდევ ეძახიან, კერჟაკები. ფიზიკურად საოცრად ძლიერი და კარჩაკეტილი ხალხი, ზემო უიმონელთა წინაპრები, რომლებსაც სურდათ გადაერჩინათ ძველი სარწმუნოება. იმპერატორ პეტრეს გარდამქმნელ სიახლეებს გამოექცნენ აქეთ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში რუსეთის ევროპული ნაწილიდან. აქ, ამ ყრუ მადლიან ადგილებში, მათ დაიწყეს თავიანთი განსაკუთრებული, ყველასაგან განსხვავებული ცხოვრება, ისე რომ, შემოინახეს ყოველივე ის, რაც ჩამოიტანეს შორეული სამშობლოდან

აქ, აი, ამ სოფელში თურმე 1926 წლის ზაფხულში ცნობილი რუსი მხატვარი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე რერიხი, მისი მეუღლე და ვაჟიშვილი — მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნე იური რერიხი.

ამ სოფელში ერთ-ერთი გლეხის ოჯახში დაიდეს ბინა რერიხებმა. აქედან დადიოდნენ და ათვალიერებდნენ სოფლის შემოგარენს, ტკბებოდნენ მისი სილამაზით, აქ მუშაობდა ჩანახატებზე და ესკიზებზე უფროსი რერიხი — ალთაის ბუნებით მოჯადოებული დიდი მხატვარი.

ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მდინარე ედიგოლის გადასვლის მერმე უღელტეხილის მიღმა გადაიშალა ალთაის

დიდებული პანორამა. ამ სანახაობით აღტაცებულმა ნ. კ. რერიხმა თავის დღიურში ჩაწერა თურმე:

«А когда перевалили Эдигол, раскинулась ширь Алтая. Зацвела всеми красками зеленых и синих переливов, забелела дальними снегами. Встали травы и цветы в рост всадников. И коней не найдешь. Такой травяной убор никогда не видел». უფრო გვიან ამავე დღიურში ჩაწერეს: «Приветлива Катунь. Звонки синие горы. Бела белуха. Ярки цветы и успокоительны зеленые травы и кедры. Кто сказал, что жесток и неприступен Алтай? Чье сердце убоялось суровой мощи и красоты?»

მთიანი ალთაის თვალწარმტაცი ბუნებით შთაგონებულმა ნ. კ. რერიხმა შემდეგში შესანიშნავი ტილოები შექმნა.

სხვათა შორის, რერიხმა, რომელსაც ის ადგილი აჩვენეს, სადაც თეთრგვარდიელებმა თერთმეტი წითელი პარტიზანი დახვრიტეს და იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი საფლავის ძეგლი, მხატვარმა იქ თავისი ხელით ალმართა საფლავის ქვა და მშვენიერი წარწერა გაუკეთა. ნ. კ. რერიხმა. სოფელ ტიუნგურში მოინახულა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული წითელი კომისრის პეტრე სუხოვის სახელის უკვდავსაყოფად ალმართული უბრალო ხის ობელისკი.

„ყველაფერს სამოქალაქო ომის კვალი ატყვია, — წერდა ნ. კ. რერიხი, — აქ ჩუის ტრაქტზე ჩასაფრებით გააანადგურეს წითელი პოლკი. მწვერვალზე წვანან წითელი კომისრები. უამრავი საფლავია გზად და ყველა მათგანთან ხარობს ხშირი ბალახი“.

ზემო უიმონში ჩვენ სხვა არავითარი საქმე არ გვქონდა, უბრალოდ, გვერდი ვერ ავუარეთ ცდუნებას გვენახა ადგილები, სადაც დიდი რუსი მხატვარი რერიხი არ შეუშინდა ამ დიდებული ბუნების სიმკაცრესა და სილამაზეს, სადაც შექმნა თავისი უკვდავი ქმნილებების ჩანახატები და ესკიზები; რომელთა ხილვით აღფრთოვანებულმა იური გაგარინმა ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „მე დავინახე რერიხის ცა! რერიხის ზღაპრული პეიზაჟები, მისი საოცარი ფერთა მეტყველება, ხშირად გამოგონილი რომ გვეგონა ჩვენ, დედამიწელებს, იქ, კოსმოსში, თურმე ეს ცხადი და რეალურია“.

სოფელ ინიას ზემოთ ჩუის ტრაქტი ისევ ემშვიდობება

ყადნს და მისი მარჯვენა შესართავი ჩუის ხეობით მიემართება სულ მაღლა და მაღლა გადმოკიდებული კლდეებით.

მეორე დღეს სოფელ ინიას გავლით, მარცხნივ მთების ძირისაკენ ვიღებთ გეზს, სადაც იქაური მონადირეები გველიან.

გზაში ვალერი ისევ განაგრძობს ალთაის ისტორიის თხრობას...

სამხრეთელი ალთაელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობას. საწარმოო ძალების დაბალი დონე აიძულებდა მათ, ენადირათ გაერთიანებული ძალით, ე. ი. კოლექტიურად. კოლექტივისთვის უფრო იოლი იყო სიძნელეებისა და საშიშროებების დაძლევა. ამას გარდა, ნადირობის ასეთი მეთოდი მეტ შესაძლებლობას იძლეოდა საკვები ხორცისა და ტანსაცმლისათვის, აგრეთვე სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის ტყავის მოსაპოვებლად. კოლექტიური ნადირობები ეწყობოდა ან ალყის წესით, ან ხის ღობურების გამოყენებითა და მახე-თხრილებით.

როგორც ჩრდილოეთელი, ისე სამხრეთელი ალთაელები მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. მიწას ამუშავებდნენ პრიმიტიულად, კავით. ძირითადად თესდნენ ქერს. აღებულ მოსავალს ტყავის აბგებში ყრიდნენ და კარვებში ინახავდნენ.

ალთაელი მოსახლეობა კარგი ხელოსნებიც იყვნენ. ამუშავებდნენ გარეული ნადირის. ცხვრის ტყავს და მისგან ამზადებდნენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ჭურჭელს, ქამანდებს, აღვირებს და სხვა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საგნებს. ალთაელები აკეთებდნენ უნაგირებს, სჭედდნენ ლაგამებს, ბალთებს, ავეანდებს, სხვადასხვანაირ ბეჭდებს და სრულიად უბრალო სასოფლო-სამეურნეო მიწათმოქმედების იარაღებს — თოხებს. თუმცა, საერთოდ ალთაური ხელოსნების დონე არ იყო მაინცა და მაინც მაღალი; თითქმის არ ჰქონდა სასაქონლო მნიშვნელობა.

ალთაელთა საქმიანობა და ცხოვრების ხასიათი გავლენას ახდენდა მათ საცხოვრებელზე. ჩრდილო ალთაელების ზამთრის საცხოვრებლის ძირითადი ნაგებობა მიწურს წარმოადგენდა. საზაფხულო — არყის ხის ქერქით ან რბილწიწვიანას ფესვებით გადახურული იურტა. ჩრდილოეთ ალ-

თაელებს ჰქონდათ ორი სახის მიწური: მიწისქვეშა და მიწისზედა. მიწისზედა მიწური წარმოადგენდა ხის კარკასს, რომელსაც შემოწყობილი ჰქონდა გარშემო ბელტები. ამის გარდა, ჩრდილო ალთაელებს ჰქონდათ ოთხკედლიანი ძელური კარვები, გადახურული ორდაქანება არყის ხის ქერქით ან ბელტებით. სამხრეთ ალთაელებს, ჩრდილოელთაგან განსხვავებით, არ გააჩნდათ საცხოვრებლის ასეთი ნაირეროვნება. მათი უმრავლესობა ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობდა მსუბუქ კარვებში (აილებში), რომლებიც ხარიხებით აგებდნენ და გადახურული იყო მერქნის ფესვებით. მათი უმნიშვნელო ნაწილი ზამთრობით კარვის შიგნიდან აკრავდა ტეჩებსა და ცხვრის ტყავებს და ამ საშუალებით ათბუნებდა. მხოლოდ ჩუისა და არგუთის აუზებში მცხოვრები ალთაელები ცხოვრობდნენ ზამთარ-ზაფხულ თექით გადახურულ კარვებში. და ბოლოს, სამხრეთ ალთაელები თავიანთ საცხოვრებლად ზოგ ადგილებში იყენებდნენ მორებისაგან ნაგებ ექვსკუთხა და რვაკუთხა კარვებს.

როგორც სამხრეთელი, ასევე ჩრდილოეთელი ალთაელები აღმერთებდნენ მიწასა და მზეს, მთებსა და მდინარეებს, სჯეროდათ კეთილი და ბოროტი სულებისა, რომელთაც რეგულარულად სწირავდნენ შინაურ ცხოველებს. მათს რელიგიას შამანიზმის სახელი დაენათლა. ალთაელი შამანი — ქურუმები შესაწირავებით — „კამლანიებით", სარიტუალო როკვით, დაირაზე თანმხლები სატყეპელების ცემითა და შელოცვებით მკურნალობდნენ ავადმყოფებს, რომელთა კეთილდღეობაც, შამანის სიტყვებით, დამოკიდებული იყო შესაწირის ღირებულებაზე. თუ მდიდარ შესაწირავს გაიღებ — შამანი შესძლებს დაითანხმოს სულები ავადმყოფების მოსარჩენად, ხოლო თუ შესაწირი მწირი ღარიბული იქნება, მაშინ ძნელია იმედი იქონიო კეთილ შედეგზე. ამიტომ ალთაელებს ამის შესახებ შესანიშნავი გამოთქმა აქვთ: „საქონელი ავადმყოფობს— ძაღლი სუქდება, ადამიანი ავადმყოფობს — კამი (შესაწირი) სუქდება".

XVII ს. და XVIII ს. დასაწყისში ალთაელი მომთაბარეების საზოგადოებრივი წყობა ფეოდალური იყო. ალთაელი მომთაბარე საზოგადოების სათავეში იდგნენ საგვარტომო დ-

დებულები: თავადები და ბაები, მიწის სავარგულების მეპატრონეები. ალთაელი მოსახლეობის ძირითად მასას წარმოადგენდა გაბატონებულ კლასზე დამოკიდებული „ულუსის ხალხი". ჰყავდათ აგრეთვე მონები, ანუ „ხოლოპები", როგორც მათ რუსულ საპუთებში უწოდებენ. დამოკიდებულ ხალხთა შორის ითვლებოდნენ „კიშტიმებიც" (ხარკის მხდელები).

XVII საუკუნის ალთაი პოლიტიკურად არ წარმოადგენდა ერთ მთლიანს, ის მრავალ მცირე ნაწილად იყო დაქუცმაცებული და ტომთა დიდებულები მართავდნენ. ალთაელთა მომთაბარე ცხოვრება, მეურნეობის ნატურალური ხასიათი იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ტომთა შორის სუსტი კავშირურთიერთობისა. შინა ომები მემამულეთა შორის ძალზე ხშირი მოვლენა იყო. 1649 წელს კოკას და მაჩიკს შორის დაიწყო ომი, რომლის დროსაც ორივე მათგანმა დასახმარებლად უცხოელებს მიმართა. მაჩიკმა დახმარება სთხოვა რუსებს, კოკამ — ჯუნგარებს. ასეთივე ხასიათისა იყო ალთაელი თავადის ტაბუნ კოკინსა და მისი სიძის კოროკოუს — ერთის მხრივ, და ბალიკ კოჟანოვს თავის ძმებით — მეორეს მხრივ შიდა ომი. ეს მრავალრიცხოვანი ძმათაშორისი ომები დიდ ზიანს აყენებდა ალთაელ ხალხს როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად. გაუთავებელი მტრობა და სისხლის ღვრები ხელს უშლიდა როგორც მეურნეობრივ, ასევე სულიერი და კულტურული განვითარების პროცესებს.

ალთაელთა ტომები XVIII საუკუნის შუამდე ცენტრალური აზიის დიდი სახელმწიფოს — ჯუნგარიის შემადგენლობაში შედიოდა. 1745 წელს მოკვდა ჯუნგარიის უკანასკნელი გავლენიანი ხანი გალდან ცერენა. მისი სიკვდილის შემდეგ ათი წლის განმავლობაში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ხანის ტახტისათვის. მის კანონიერ და უკანონო მოცილეთა შორის შეთქმულებას შეთქმულება მოსდევდა, მაგრამ ისინი მეღალვნდებოდა, ხოლო შეთქმულნი სასტიკად ისჯებოდნენ. საბოლოოდ გახანდა გალდან ცერენას შვილიშვილი დებაჩი, რომელიც მეომარ ნოინ ამირ-სანის მხარდაჭერით ავიდა ტახტზე. გაწეული სამსახურისათვის ამირ-სანმა მოითხოვა ცნობილი ულუსი, მათ შორის ალთაელთა ტომები თავიანთი ტერიტორიით. ეს კი ნიშნავდა ჯუნგარიის ხანი-

საგან გამოყოფას. დებაჩიმ ამაზე უარი უთხრა ამირ-სანს; დაიწყო ახალი ძმათამკვლელი ომები ხანსა და ნოინს შორის. დამარცხებული ამირ-სანი გადავიდა თავისი ქვეყნის დაუძინებელი მტრის — ჩინეთის მხარეზე, ჩინეთის და მონღოლეთის ჯარების დახმარებით ამირ-სანმა გაანადგურა დებაჩი-ხანის ლაშქარი. დატყვევებული ხანი პეკინში გაგზავნეს. მაგრამ ხანის ტახტი ამირ-სანს როდი ხვდა წილად. ჩინეთის იმპერატორი არც ფიქრობდა მის ხანად დასმას. მას სურდა ამ მეომრის დახმარებით დაეპყრო ჯუნგარია, დაეყო იგი ოთხ სამთავროდ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მმართველებით, იმ ვარაუდით, რომ ყველა მათგანი დაემორჩილებოდა იმპერატორს. ჯუნგარიის უმაღლესი მბრძანებელი უნდა გამხდარიყო ჩინეთის გენერალ-გუბერნატორი. როცა დაინახა, მისი საქმე უკუღმა შეტრიალდა, ამირ-სანმა ახლა ჩინეთს შეაქცია ზურგი და დაიწყო ბრძოლა ჩინეთისა და მონღოლეთის წინააღმდეგ. ანტიჩინური აჯანყების შედეგად დაიწყო ჩინეთ-ჯუნგარიის (1755—1758 წწ.) ომი. ჩინეთის მანჯურიის დინასტიამ უზარმაზარი ლაშქარი დასძრა ამირ-სანის წინააღმდეგ. ჯუნგარია იქცა სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის ციტადელად. ეს იყო უბედურება, რომლისდაგვარი არაფერი ყოფილა ცენტრალური აზიის ისტორიას.

პირწმინდად გაწყვეტილი მოსახლეობის სურათს ემატებოდა ყირგიზი და ყაზახი ფეოდალების ყაჩაღური თავდასხმები. ეს, როგორ აღწერს ციმბირის ცნობილი მკვლევარი ს. შაშკოვი ამ სისხლიანი მოვლენის შედეგებს:

„მალე ქვეყანაში შიმშილი დაიწყო. მასობრივად იხოცებოდნენ შიმშილით. ზოგი ადამიანის ხორცით იკვებებოდა. შიმშილს უკან მოჰყვა ყვავილის ეპიდემია. ჯუნგარიის მთელი მიწა მოფენილი იყო მიცვალებულებით, მისი წყლები წითლად შეიღება ადამიანების დაღვრილი სისხლით, ხოლო ჰაერი ცეცხლმოდებული ულუმების, ტყევებისა და ბალახების კვამლით იყო გაჟღენთილი“.

მოკლე დროის მანძილზე შიმშილით, ქოლერით, ყვავილით და სხვა ავადმყოფობებით ერთ მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. ჯუნგარიის უკანასკნელ დღეებს, მისი ხალხის მძიმე ხვედრს გვიმოწმებს წერილი, რომელიც თანამედროვეებ-

მა 1757 წლის 25 იანვარს გაუგზავნეს ციმბირის გუბერნატორს:

„ყველა ისინი (ანუ სახალხო მასები) ყვავილითა და ციებცაელებით დაიღუპნენ და რადგან სხვა საჭმელი არ გააჩნდათ, ერთი მეორეს კლავდნენ და იძულებული იყვნენ, ადამიანის ხორცი ეჭამათ და ყველა ზემოხსენებული გარემოების გამო იქაურობა გაუკაცრიელებულია“.

ჩინელ დამპყრობთა თავდასხმებსა და სისხლისღვრას ადგილი ჰქონდა ალთაიშიც. მდინარე ჩუიაზე, ჩელიშმანის ველზე, თანამედროვე უსტ-კანის ონგუდაის, შებალინოსა და მაიმას რაიონების ტერიტორიებზე არაერთხელ შემოსულან ჩინეთ-მონღოლთა ჯარები იმისათვის, რომ ძალით შეეყვანათ ალთაელები ჩინელთა ქვეშევრდომობაში.

ალთაელი ზაისანები (თავადები), რომლებსაც არ სურდათ ჩინეთის ქვეშევრდომობის მიღება, . ქმნიდნენ ცხენოსანთა რაზმებს 300 — 400 კაცის შემადგენლობით და ეპრძოდნენ დამპყრობლებს. განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ თავიანთი აქტიური მოქმედებით ზაისანი გულჩუგაი და მისი თანაშემწე მამასახლისი ბობოი. მათ შეკრიბეს ყველა მამაკაცი, რომელსაც კი იარაღის ხმარება შეეძლო. მომთაბარეთა კერვებში მხოლოდ მოხუცი, ავადმყოფი მამაკაცები და ქალები დარჩნენ. გულჩუგაიმ არაერთხელ მიაყენა მტერს საგრძნობი დარტყმები, მაგრამ რაზმის სიმცირე არ აძლევდა საშუალებას, გამარჯვება მოეპოვებინა მტერზე.

ალთაელი ზაისანი ბოკი იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულისადმი მიწერილ წერილში იტყობინებოდა, რომ, როცა ის სხვა ალთაელ ზაისანებთან და ყველა თავის ხალხთან ერთად მიემართებოდა რუსეთის ციხეებისაკენ, მათ ორჯერ დაესხნენ ჩინელები. ტელეუტთა ხუთიათასი ჩარდახიანი ურმიდან (ოციათასამდე კაცი ცხენებითა და აქლემებითურო) უსტ-კამენოგორსკის ციხემდე მხოლოდ 35-მა კაცმა მიაღწია. დანარჩენები თავდამსხმელებთან ბრძოლაში დაიღუპნენ. ჩინელთა ლაშქარი, „რომელიც ალთაის მთების გადმოვლით იმყოფებოდა იმ ადგილებში, ალთაელებს ძირფესვიანად სპობდა, ხოლო მცირეწლოვანებს მდინარეებს ატანდა“. კუზნეცკის ციხეში მოსული მეორე ალთაელი ზაისანი

მენკო თხოულობდა ალთაის თემების დაცვას ჩინელი მოლაშქრეებისაგან, რომლებიც ძლიერი ჯარებით ჩინელი ხანის მორჩილებაში აქცევდნენ, ალთაელებს კი ეს არ უნდათ, მათ სურთ იყვნენ მუდამ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში".

ცოტა უფრო გვიან ზაისანი მენკო დაიღუპა ჩინელებთან ბრძოლაში. ამ წლების მძიმე მოვლენები ფართოდ აისახა ალთაელთა ისტორიულ თქმულებებში. 1826 წელს ერთმა მოგზაურმა უსტ-კანის მახლობლად ჩაიწერა თქმულება ალთაელთა რაზმზე, რომელსაც ვინმე ჩეჩი მეთაურობდა. ჩინელებთან ბრძოლის დროს რაზმმა უკან დაიხია კლდოვან მთაზე, სადაც დიდხანს იგერიებდა მომხდურთ. როცა მისი ხალხის უმრავლესობა გაწყდა და თავდაცვის ყოველგვარი საშუალება მოისპო, ჩეჩი გადარჩენილ თავის რაზმელებთან ერთად კლდიდან გადმოეშვა, რათა თავიდან აეცილებინა სამარცხვინო ტყვეობა. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მთას ჩეჩა, ხოლო მდინარეს, რომელიც ჩარიშს უერთდება, ჩეჩულიხა დაარქვა ხალხმა.

ერთ-ერთ თქმულებაში, რომელიც ჩაწერილია XIX საუკუნის შუა წლებში, ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ შემოიჭრა ალთაიში ჩინელთა ჯარებში შემავალი მონღოლთა რაზმი ჩადოკის მეთაურობით. ალთაელთა ლაშქარმა იალომანსა და ულეგემს (ახლანდელი ონგუდაის რაიონი) შორის გაანადგურა მონღოლთა ლაშქარი. უკან დაბრუნებულმა ჩადოკმა ბიჩიკტუკაიას კლდეზე დაწერა თავისი ხელმოცარული ლაშქრობის ამბავი. ეს კლდე მდინარე ყადნის მარჯვენა სანაპიროდან ერთი კილომეტრითაა დაშორებული მდინარე ჩუის სათავეს. და, თუმცა ალთაელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ თვითონაც დიდი ზარალი განიცადეს. მაშინ ისინი მთა დიალ მენკოზე (მარადიული ფაფარი — სემინის უღელტეხილის ძველალთაური სახელწოდებაა) ავიდნენ და გადმოხედეს განადგურებულ და გაძარცვულ ალთაის. მაშინ შეიქმნა ცნობილი სიმღერა განადგურებულ ალთაიზე:

«Кам-Алтай[1], с высоты кочевых облаков
Треугольный ты кажешься взору,

---

[1] ალთაის მთებს ოდესღაც, მოსახლეთა წარმოდგენით ჰყავდათ მფარველი სული კაან ალთაი.

А с боков, словно грани их девять углов,
За горой выдвигают там гору,
Развертвленный, как плеть, извилист хребет
Чудных гор моего Кам-Алтая.
Солнце всходит на нем и сверкает заход,
Будто в синих волнах утопая,
Много крови лилось, много думалось дум
За Алтай мой — красу на полмира;
Отчего же теперь ты стоишь так угрюм?
Где ж корона твоя и порфира?
Словно серым ковром, ты окутался весь
От роскошных лесов оголенный.
Где ж величье твое, где краса твоя...
О Алтай мой, Алтай разоренный?

ულტიმატელი, გამანადგურებელი ომებით გაჩანაგებულმა ალთაელმა ზაისანებმა 1755 წლის შემოდგომაზე თხოვნით მიმართეს რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდლობასა და რუსეთის მთავრობას, რომ ისინი მთელი თავიანთი ხალხით მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობაში. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ. რაც შეიძლება მალე მომხდარიყო ეს, რათა გადარჩენილიყვნენ სრულ ფიზიკურ მოსპობას.

დელეგაციები ერთმანეთს ცვლიდნენ, წერილი წერილს ენაცვლებოდა, სასაზღვრო ჯარების სარდლობისა და ციმბირის გუბერნატორის შეკითხვების პასუხად ბოლოს 1756 წლის 2 მაისს გამოიცა მეფის მთავრობის ბრძანებულება ალთაის რუსეთის ქვეშევრდომობაში შეყვანის შესახებ. ზაისანები, მათი ნათესავები და ახლობლები დებდნენ რუსეთის იმპერიისადმი ერთგულების ფიცს. ამავე დროს, ციმბირის გუბერნატორსა და სასაზღვრო ჯარების სარდლობას ებრძანა, მიეღოთ საჭირო ზომები იმისათვის, რომ ალთაელებს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ „ჩინეთის მხრივ მშვიდობა ჩამოვარდნილიყო“.

1756 წლის ივნისიდან რუსეთ-ჯუნგარიის საზღვრის მთელ სიგრძეზე დაიწყო ალთაელ ტომთა რუსეთის ქვეშევრდომობაში შეყვანის მასობრივ ღონისძიებათა განხორციელება.

დაახლოებით 3 თვის მანძილზე ათი ათას კაცზე მეტი მიიღეს. ქვეშევრდომობა ფორმდებოდა ბიისკში, უსტ-კამენოგორსკში, კოლივანში, კუზნეცკში და სხვა ადგილებში, სადაც კი მიდიოდნენ ალთაელები. ქვეშევრდომობაში შე-

ულნი აბარებდნენ ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს: თოფებს, მშვილდისრებს, ჯაჭვის პერანგებს, ხმლებს, შუბებს. არა მარტო რიგით ალთაელებს, არამედ ბევრ ზაისანს და მამასახლისსაც აღარ გააჩნდა არაფერი გარდა ცხენებისა, რომლებითაც ჩამოვიდნენ. სანი ბატუმენკო ასე წერდა ამის შესახებ: „...ეხლა სიცოცხლეც ყველას არ შეუძლია, არც ჩასაცმელი, არც ცხენები, შორეულ საძოვრებზე ვერაფრით წავალთ, არც ქვაბები გაგვაჩნია, არც არავითარი საჭმელი.

დაჭრილები და შიმშილისაგან დასუსტებულები სასაზღვრო რაზმებს თვითონ ჩამოჰყავდათ ისინი მთებიდან. 1756 წლის ნოემბერში რუსეთის საზღვრებთან ქვეშევრდომობაში შესული ალთაელების 13 ათასი კარავი იდგა უკვე. ზოგიერთი მათგანი საცხოვრებლად ვოლგაზე, ყალმუხებთან გადავიდა, მაგრამ უმრავლესობამ გადასვლაზე უარი თქვა და დარჩნენ მომთაბარეებად რუსული ციხე-ქალაქების მახლობლად, ყადნის, ჩარიშის, ბიის, იშეს, ანუას, პესჩანის, ჩემროვკეს, უბეს, ბუხტარმის და სხვა მდინარეების სანაპიროებზე. მიუხედავად იმისა, რომ ალთაელები უკვე რუსეთის ქვეშევრდომობაში იყვნენ, მათთვის მშვიდობიანი ცხოვრება ერთბაშად არ დამდგარა. დაახლოებით ოთხოცი წელი ცდილობდნენ კიდევ ჩინელი მბრძანებლები მთიანი ალთაის ხელში ჩაგდებას. ყაჩაღური თავდასხმები, ძარცვა, მშვიდობიანი მოსახლეობის ტყვეობაში წაყვანა ხშირი მოვლენა იყო. როცა 1780 წელს ჩინეთის ჯარები კვლავ მოვიდნენ მდინარე სემუზე და პესჩანაიაზე, რუსეთის მთავრობამ უბრძანა სასაზღვრო ხელმძღვანელობას, ალთაის ტერიტორიიდან მშვიდობიანი გზით გაეყვანათ ეს ჯარები, და თუ ეს შეუძლებელი გახდებოდა, ალთაელთა დასაცავად იარაღი გამოეყენებინათ.

მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან შეწყდა ჩინელებისაგან ალთაის დაპყრობის ცდები. განაწამებმა, ბარბაროსული თავდასხმებიდან განადგურებულმა ალთაელმა ხალხმა, ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანი ცხოვრება მოიპოვა.

* * *

...სოფელ ინიაში ზემოთ, მთებისაკენ, მიიწევენ მანქანები, მარცხნივ ვუხვევთ და შევდიგართ ლამაზ ხეობაში, სადაც მასპინძლები გველიან.

ტრაქტორზე გამობმულ ძარას სანახევროდ თივით ავსებენ, მერე ჩვენს საძილე ტომრებს, ზურგჩანთებსა და თოფებს ვალაგებთ და მოხერხებულად ვთავსდებით შიგ. ექვთიმე იურჩიკს პატივისცემის ნიშნად ტრაქტორისტის გვერდით ვსვამთ კაბინაში. ნელ-ნელა მიცოცავს ჩვენი ტრაქტორი. ალმართზე ფიჭვისა და ნაძვის სუნი გვათრობს. კმაყოფილ სახეებზე ღიმილი დაგვთამაშებს.

ტრაქტორმა აივაკა და მწვერვალზე უცებ საოცარი რამ დავინახეთ — ლამაზი არყის ხე, რომლის ძირას ქვისაგან საგულდაგულოდ ნაგები კონუსისებური ძეგლისმაგვარი რაღაც იდგა. ხე ქსოვილების ფერადი ნაჭრებით იყო შემოსილი. დიახ, ფერადი ნაჭრებით მორთული არყის ხე საახალწლო ნაძვის ხეს წააგავდა.

ტრაქტორი გაჩერდა. ჩვენ მასპინძლებს მივაჩერდით.

— აბა, ჩვენს სტუმრებს ყველაფერი ისე ვაჩვენოთ, როგორც ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ და არც ახლა ივიწყებენ ჩვენი მწყემსები და მონადირეები, — ამბობს ღიმილით ვალერი ჩაპტინოვი და, ტრაქტორის ძარიდან გადმოსული, ხურდა ფულს აგდებს ხის ძირას. ყველამ მივბაძეთ. საშა კურაკინმა ზურგჩანთიდან არყის ბოთლი და ჭიქა ამოაცოცა, სახელდახელოდ გახსნა და თვითონვე დაილოცა — ჩვენი პირველი უღელტეხილის მშვიდობით გადასვლას გაუმარჯოსო. რაღა თქმა უნდა, ტრადიციას არც ჩვენ ვარღვევთ, მაგრამ როცა ჟენია იუდინმა გაიგო, რომ ყოველ უღელტეხილზე გადასვლისას ხურდა ფული უნდა შეგვეწირა და რამდენიმე წვეთი არაყი დაგველია, ჯიბეები მოიქექა და ღიმილით გვითხრა — აქ იმდენი უღელტეხილია, მგონია, სათითურითაც რომ ვსვათ, არც არაყი გვეყოფა და თანაც ყოველ დილით „პახმელიაზე“ გამოსვლა მოგვიწევსო.

ხმაურითა და სიცილით ვთავსდებით ჩვენს ტრანსპორტზე.

ქვიანი ციცაბო დაღმართი დაიწყო და ჩვენც აქეთ-იქით ცარიელი კასრებივით დავგორავთ ძარაზე. თავა რომ არა, ალბათ, არცერთს არ შეგვრჩებოდა ნეკნები მთელი. სხვისი არ ვიცი და, ცოტა არ იყოს, მშურს ექვთიმე იურჩიკისა, რომელიც ტრაქტორის კაბინაშია მოყუჩებული.

საათნახევრიანი კოტრიალის შემდეგ, როგორც იქნა, ჩავედით ხეობაში, მდინარე გადავლახეთ და ტრაქტორიც გაჩერდა. გაჩერდა და ტრაქტორის კაბინიდან შამპანურის საცობივით გამოვარდა მოხარშული კიბორჩხილასავით გაწითლებული მოხუცი ექვთიმე. თურმე ნუ იტყვით და, ჩვენი გაჭირვება იმასთან შედარებით არაფერი ყოფილა. რკინის კაბინაში ისე დაბეგვილა, რომ ამის შემდეგ სატვირთო მანქანის კაბინაშიც ვეღარავინ ჩასვამდა, ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ვეღარც დარჩენილ გზაზე და ვეღარც უკან წამოსვლისას კაბინას ვეღარ გავაკარეთ და ღარც ჩვენ გაგვიბედავს შიგ ჩაჯდომა.

აილუგუშის უღელტეხილზე გადასვლის მერე, მდინარე ოდუნ-სუს (ბალახსა და წყალს ნიშნავს) სანაპიროზე საკოლმეურნეო ფერმას მივადექით, სადაც იგორ კარანდაშოვა გამგედ.

იმის შემდეგ, როცა ჩვენთვის გამოყოფილ კარავში შევხიდეთ ბარგი და საწოლებიც გავინაწილეთ, იგორმა თავის ბინაში მიგვიწვია. უზარმაზარ ტაფაზე ცხვრის ხორცი და კარტოფილი იწვოდა, თურმე, ეს ტაფა მასპინძელმა სპეციალურად გააკეთებინა ვიღაც ნაცნობ ხელოსანს.

სასმელს გარდა, სანოვაგის ამოლაგების უფლება არ მოგვცეს მასპინძლებმა და რადგან წყენა შევატყვეთ, იძულებული გავხდით დავყოლოდით მათს სურვილს. ერთი ეგ იყო, რომ იგორის ოთხიოდე წლის ბიჭუნას, რომელიც საღამოობით მთისთვის დამახასიათებელ სიცივეში ფეხშველა დატანტალობდა დათრთვილულ ბალახებში, კანფეტებით ავუვსეთ უბე.

სახლის გვერდით მიშენებულ ფარდულში კაცები რაღაცას ხარშავდნენ.

სუფრასთან მიგვიწვიეს მასპინძლებმა. ოთახში საჭმლის სასიამოვნო სუნი იდგა. ცოტა ხნის შემდეგ მღვრიე თეთრი

ფერის, თბილი სითხით სავსე კარგა მოზრდილი თიხის ტოლჩები დაგვიდგეს წინ.

— აბა, ეხლა კი ჩვენი არაკა გასინჯეთ. ალბათ, არცერთს არ გაგისინჯავთ ჯერ, — მხიარული ღიმილით გვეუბნება ვალერი ჩაპტინოვი და ჩვენს სადღეგრძელოს სვამს.

ექვთიმე იურჩიკმა ოდნავ მოსვა სითხე, ერთი უცნაურად დაიჭყანა, რუსული გულახდილობით — что за гадость-ო წამოიძახა და მხარს უკან გადააპურჭყა.

უხერხული დუმილი ჩამოწვა. მასპინძლებმა ერთმანეთს შეხედეს.

ექვთიმეს ასაკს პატივი დავდეთ და არაფერი ვაკადრეთ, მე კი ტოლჩა მოვიყუდე და სულმოუთქმელად დავცალე. დავცალე და — უჰ, რა კარგი რამაა-მეთქი, ჩავილაპარაკე. ყველას სახე გაუბრწყინდა, არა და, მართალი გითხრათ, მიუჩვეველზე მართლაც ძალზე უსიამოვნო დასალევია.

არაკას დამჟავებული რძისაგან ხდიან. მისი სიმაგრე დაახლოებით ცხრიდან თერთმეტ გრადუსს არ აღემატება და თბილი ისმება. ადვილი წარმოსადგენია, რა „სასიამოვნო“ დასალევიც უნდა იყოს!

დავცალე და დავდგი ტოლჩა. ექვთიმემ, იქვით გამომხედა, მიხვდა, რაც გავაკეთე და ეხლაღა იგრძნო უხერხულობა. ხელახლა მოიყუდა ტოლჩა, მოსვა, ენით მოილოკა ტუჩები და — მართლაც არა უშავსო, ჩაიდუდუნა თავისთვის, მაგრამ ამისთვის, მე მგონი, აღარავის მიუქცევია ყურადღება. ამასობაში ჩემს წინ სავსე ტოლჩა გაჩნდა: — რაკი ეგრერიგად მოგეწონათ, ერთი კიდევ დაგვილიეთო, შემოჰძახა სახეგაბადრულმა მასპინძელმა...

საერთოდ, ალთაიში თუკი სტუმარი არაკას გამოხდის დროს შეესწრო ოჯახს, როგორც არ უნდა ეჩქარებოდეს, უფლება არა აქვს წავიდეს, ვიდრე არ დალევს, — ეს ოჯახის შეურაცხყოფაა. აბა, წარმოიდგინეთ რა იქნება როცა საგანგებოდ სტუმრისათვის ხდიან არაკას და სტუმარი კი ისეთი გულახდილობით გამოთქვამს თავის აზრს, როგორც მოხუცმა ექვთიმემ ქნა.

ჩვენთვის განკუთვნილ სადგომში გავედით დასაძინებლად, მაგრამ ვალერიმ დაძინებამდე აქაც მონახა დრო თავისი ხალხის ისტორიაზე საუბრის გასაგრძელებლად.

* * *

შეწყდა ომები და ფეოდალური შინააშლილობა, რამაც თავისწილად დიდი გავლენა მოახდინა ალთაის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაზე. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სიახლოვემ და უშუალო კავშირურთიერთობამ რუს გლეხებთან, რომლებმაც XVIII საუკუნის დასასრულიდან დაიწყეს ჩასახლება ალთაელ ტომთა შორის. გლეხთა მასობრივი მოძრაობა მთიან რაიონებში 1801 — 1802 წლებს განეკუთვნება, როცა მათ, მათთან ერთად მცხოვრებ მცირერიცხოვან ალთაელებთან ერთად ითხოვეს გადასახლება „სასაღერო ხაზს იქით". ალთაის მთისწინეთის ტერიტორიებზე ასე წარმოიშვა პირველი დასახლებული პუნქტები, ისეთები, როგორიცაა სროსტკი (1802 წ.), ბერიოზოვკა, ბისტრიანკა (1804 წ.), სეტოვკა და სხვ.

მთიანი და მთისწინა ალთაის ნადირით მდიდარი ტყეები, თევზით მდიდარი წყლები, ვრცელი საძოვრები თავისკენ უხმობდნენ გლეხებს. ისინი ტეხდნენ ყამირს, თესდნენ პურს, თიბავდნენ ბალახს და, მიუხედავად იმისა, რომ აკრძალული იყო. აშენებდნენ სახლებს და დამხმარე ნაგებობებს. უკაცრიელი ადგილების ათვისებისას ჩეხდნენ სახნავ ახოებს და წვავდნენ ტყის მასივებს ზოგჯერ ხანძრებამდე მიდიოდა საქმე. ყოველივე ამან გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრები ახლადჩამოსახლებულთა მიმართ.

მეფის ადგილობრივი ადმინისტრაცია, როგორც წესი, რუს გლეხთა ამდაგვარ უწესრიგობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ პოულობდა მხარდაჭერას მეფის მოხელეთა მხრივ და იძულებული ხდებოდა მიეტოვებინა თავიანთი საძოვარ-სავარგულები და თავი მიეცათ ტაიგისათვის.

ჩასახლებულთა ადგილები ფართოვდებოდა და უახლოვდებოდა მთიან ალთაის, უკვე 1811 წელს გლეხებმა მინეი და ალექსეი ზიაბლიცკებმა, ოთხ ამხანაგთან ერთად, მიაღწიეს მდინარე ჩურგაჩაკის სათავეს და დააარსეს სოფელი ჩურგაჩაკი. ამავე წელს მდინარეების იშას, კარაგუჟის, ტაშტას, ჩებშას და ბარდას სანაპიროებზე რუსმა გლეხებმა შე-

არჩიეს საცხოვრებელი ადგილები. ძმებმა კაიგოროდოვებმა საძირკველი ჩაუყარეს სოფელ კარაგუეს, ხოლო კრივოლუცკები მდინარეების ჩებშას და ბარდას სანაპიროებზე დასახლდნენ.

ალთაის მთისწინეთისა და მთიან ნაწილში ყოველდღიურად იზრდებოდა ახალი დასახლებული პუნქტების რიცხვი. 1825 წლისათვის ამ რაიონში უკვე 54-ზე მეტი რუსული სოფელი იყო, რომელმაც შექმნა ალთაის თემი ცენტრით სოფელ კამენკაში. გადასახლებულთა გაძლიერებულმა დინებამ და რუსული სოფლების ზრდამ მოსვენება დაუკარგა ბაიებსა და ზაისანებს. 1828 წელს ზაისანებმა ბოკაი ბეკიტოვმა, კისტაი კაზაკოვმა და სხვა ბაიებმა საჩივარი შეიტანეს დასავლეთ ციმბირის სარევიზიოდ ჩასულ სენატორ ბეზროდნისა და ჩვენი საშას ბაბუის ბაბუის თავად კურაკინის სახელზე. ხუმრობით განაგრძობს ვალერი, უკმაყოფილო საშა კი რაღაცას ბურტყუნებს. საჩივარში აღნიშნული იყო საძოვრებისა და სამონადირეო სავარგულების თვითნებურად ხელში ჩაგდების ფაქტები, რის გამოც ალთაელები „გაჭირვებას განიცდიან“ და „გადასახადის სრულად გადახდა უჭირთ“. ზაისანები და ბაიები თხოულობდნენ გლეხთა გადასახლებას და ალთაის მიწებზე შემდგომში ჩასახლების აკრძალვას.

1832 წელს ალთაის დიდებულთა წარმომადგენლებმა ისევ იშუამდგომლეს ხარკის ამკრები კომისიის წინაშე ასეთივე თხოვნით. ზაისანები და ბაიები ყოველნაირად ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ ისინი გამოდიოდნენ როგორც ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველნი. სინამდვილეში ყოველივე ეს სულ სხვაგვარად იყო. მთიანი ალთაის მიწების ფაქტიური განმგებლები თვითონ იყვნენ და, ბუნებრივია, მხოლოდ თავიანთ ინტერესებს იცავდნენ, რადგან რიგითი ალთაელების ვაჭირვებისა და ინტერესების დაცვა მათთვის სრულიად უცხო რამ იყო. მეფის მოხელეთა ხალხის გაჭირვებისადმი ბიუროკრატიულმა მიდგომამ ვერავითარი ცვლილებები ვერ შეიტანა ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც იყო რუსი გლეხების მიწათმოწყობა; მათ მხოლოდ ალთაელებისაგან გადასახადის შეფერხების საშიშ-

როება აწუხებდათ. ამიტომ მთავრობამ გამოსცა განკარგულება „ყალმუხთა საძოვრების“ შემდგომში დასახლების აკრძალვის შესახებ. მიუხედავად ამისა, რუს გლეხთა ჩასასლება მთიან ალთაიში მაინც გრძელდებოდა.

თავისი ხალხის სევდიან ისტორიაში, რომელსაც ვალერი გვიყვება, ბარაჩაკი პატარა ლეგენდას ურთავს.

...ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ, იმდენად დიდი ხნის წინათ, რომ ხალხს აღარც კი ახსოვს, რა ერქვა იმ მონადირეს, რომლის ამბავსაც ახლა გიამბობთ.

მონადირე მხოლოდ მისთვის ცხობილი ბილიკებით დადიოდა სანადიროდ, მხოლოდ მისთვის ჩვეული გეშით დასდევდა ნადირს, ყველაზე მეტსაც ხოცავდა და სხვებზე მდიდრადაც ცხოვრობდა თურმე.

ადრეული შემოდგომის დღე იდგა, როგორც ახლა. მონადირეს ასარებდა მოწმენდილი ცა, მზე, მცენარეთა ნაირფერი ელვარება, გამჭვირვალე ჰაერი, კედარის სუნი რომ უდის მუდამ.

მონადირე იღბლიანი კაცი იყო, როგორც გითხარით, და ამიტომ ეცვა ტანთ მოქარგული მსუბუქი ქურქი, ხოლო თავზე კოხტად მოერგო მელიის კუდებისაგან შეკერილი ლამაზი ქუდი.

მიდიოდა და მიიმღეროდა. მღეროდა მზეზე, მთებზე, ჩიტებზე, მოშრიალე ხეთა ფოთლებზე და ყვავილებზე. ერთბაშად შეწყვიტა ახალგაზრდა მონადირემ სიმღერა, შეწყვიტა იმიტომ, რომ რაც მან დაინახა, იმაზე სიმღერა მას არ შეეძლო, ან, აბა, რა უნდა ემღერა, სადღაც, ზემოდან ქარაფებს შორის ჩამოკიდებულ თოკზე, ჰოდა, შეჩერდა გაოცებისაგან გაოგნებული.

— ეჰე, ეს საიდანღა გაჩენილა ნეტავ, ანდა რისთვისაო, — წამოიძახა თურმე გაოცებულმა. ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ცნობისმოყვარეობა, რომ ბილიკიდან გადაუხვია და მარჯვედ შეუდგა ციცაბოს. მალე დაინახა, რომ თოკი ძალიან მაღლა, კლდის გლუვ კედელზე იყო გამობმული. მონადირე თოკს აჰყვა და, როცა კედელს მიადგა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თოკი მოქაჩა და ჰოი, საოცრებავ! უზარმაზარი ქვის კარი გაიღო.

მონადირე ახალგაზრდა, გულადი და ცნობისმოყვარე იყო. ის დაუფიქრებლად შეეიდა გამოქვაბულში და გაოცებისაგან პირდაღებული შეჩერდა: გამოქვაბულში საოცარი მოყვითალო, თვალისმომჭრელი ნათელი დასადგურებულიყო. გონიერი ახალგაზრდა მაშინვე მიხვდა, რომ ნათებას მრავალრიცხოვანი ოქროს ნივთები გამოსცემდა, რომლითაც სავსე იყო იქაურობა.

მონადირემ ნაბიჯი წადგა და იგრძნო, ქუდქვეშ თმები როგორ დაუდგა ყალყზე, როგორ გაეყინა სისხლი ძარღვებში. თვალებში მას ადამიანის თავის ქალა მისჩერებოდა. ერთხანს უძრავად მდგარი, ნელ-ნელა გონს მოეგო, დაწყნარდა და ახლა კარგად გაარჩია, რომ ეს ოქროებზე დამხობილი ადამიანის ჩონჩხი იყო. შემზარავი სურათით ერთიან შეძრულს, უცბად უნდოდა გამობრუნებულიყო, მაგრამ შიში დასძლია, გამდიდრების სურვილით შეპყრობილმა დაიმორჩილა თავი, ერთი მოზრდილი ოქროს ნივთი აიღო, უბეში ჩაიდო და ნელ-ნელა უკუ სვლით გამოქვაბულიდან გამოვიდა, მთის ჰაერი ხარბად შეისუნთქა და თოკს ჩამოჰყვა. როგორც კი მიწას ფეხი შეახო, დაინახა, როგორ დაიხურა კარი და ზმანებასავით გაქრა როგორც კარი, ისე თოკიც.

მონადირემ სახლში მიიტანა ოქროს ნივთი, მაგრამ არავინ უჯერებდა გამოქვაბულისა და განძის ამბავს.

ბევრმა გულადმა ახალგაზრდამ დალახა ის ჭიუხები, საითაც მონადირემ მიასწავლა გზა, მაგრამ ვერავინ ნახა ვერც თოკი და ვერც გამოქვაბულის კარი.

ამასობაში მონადირე ავად გახდა და თვალსა და ხელს შუა დნებოდა დევკაცი.

ყველანი ერთხმად გაიძახოდნენ, ოქროს ნივთის წამოღების გამო დაავადდაო უკურნებელი სენით. მოჯადოებული ადგილიდან წამოიღო ნივთი და განგებამ არ აპატიაო ეს თავხედობა.

მაშინ ნივთი გადააგდეს მაღალი მთიდან, შამანი კი რამდენიმე დღე-ღამე ლოცვებს უგალობდა ავადმყოფს, რათა უემური მოეცილებინა მისთვის.

ამბობენ, ავადმყოფი გამოჯანმრთელდაო ბოლოს და ბოლოს, მაგრამ აღარასოდეს დაბრუნებიაო მას უწინდელი

ძალ-ღონე და შემართება. არც აღარასოდეს უქნია, თურმე' პირი იმ ჭიუხებისაკენ, საითაც, მისი თქმით, ის გამოქვაბული და განძი იყო...

* * *

უთენია ცხენები მორეკეს და ჩვენც ბარგი-ბარხანით გამოვეფინეთ გარეთ. საშა კურაკინმა ყველა ჩვენგანის ზურგჩანთები დაათვალიერა და, რაც კი ზედმეტად მიიჩნია, ყველაფერი ამოგვიყარა, ერთ დიდ ტომარაში ჩაალაგა, თავი მოუკრა და კარვის დედაბოძზე დარჭობილ მსხვილ ლურსმანზე ჩამოჰკიდა. ამას ყველაფერს ისეთი სერიოზული სახით აკეთებდა, რომ ვერცერთმა ვერ გაბედეთ ხმის ამოღება. მითუმეტეს, რომ ყოველი ნივთისა თუ სანოვაგის დატოვების მიზეზს შეუვალი დამაჯერებლობით ასაბუთებდა.

— ამდენი თბილი ტანსაცმელი არაა საჭირო. დღისით, სიარულში დაგვცხება, ღამე კი საძილე ტომრებშიც არ შეგცივათ... კომფორტი თუ გინდათ, იქ გქონდათ, მოსკოვში.

— არც ამდენი კონსერვის ქილაა საჭირო. სანადიროდ მივდივართ და ხორცი ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ.

— აბა, ამდენი ჭურჭელი, საპარსები და მანუფაქტურა რაღა საჭიროა! ბანკეტისთვის ემზადებით, თუ რა! საპარსი ერთ-ერთმა წამოიღოს, ყველას ეყოფა, გარდა ამისა, კარგიცაა წვერი თუ გაგეზარდათ, უფრო შეაშინებთ ნადირს, — იღიმება საშა.

— თოფები, ვაზნები, საძილე ტომრები, პური, ასანთი, ჩაი, შაქარი, ხახვი, ნიორი, ძმარი, მარილი, სასმელი ზომიერად, ვედრო ხორცის მოსახარშად, კოვზები და გათავდა! ეს ცხენები, ბიძია, ტრაქტორები კი არაა, იქიდან ხორცით დატენილი არჩემაკები (ტყავის ხურჯინი, თითო თვალში 60—70 კგ ხორცი ჩადის) უნდა ზიდონ და, ეგეც არ იყოს, ზოგიერთები, გეტყობათ, ცხენებიდან არც კი ჩამოხვალთ. — კეთილი ღიმილით გვეუბნება კურაკინი და თან გვანიშნებს, მალე მოემზადეთო.

მასპინძლებს გარდა, ჩემს მეტს ცხენი არცერთს არ შეუკაზმავს, არც გაემტყუნებათ, მოსკოველები არიან და, გარ-

და ამისა თურმე არც სანადიროდ მოხვედრილან ისეთ ადგილზე, სადაც ცხენი იქნებოდა საჭირო.

ჩემი თეთრონი მზად არის უკვე, მაგრამ უნაგირს უკან, ზურგზე იმდენი რამ აქვს ცხენს დაკრული, რომ მისი გადალაჯება არცთუ ისე იოლი საქმეა.

ცხენი ცხვრის ბაკის ღობესთან მივიყვანე და ამნაირად მოვკალათდი უნაგირზე, დიახ, მართლაც მოვკალათდი. ზურგს კარგად შეკრული საძილე ტომარა და ტყავის ქურქი მიმაგრებდა, ხოლო ფეხები ისე მქონდა ტყავის ხურჯინსა და უზანგებს შორის გაჩხერილი, რომ ვერავითარი ძალა ვერ გადმომაგდებდა ცხენიდან, თუმცა იქ სულ მუდამ მზად უნდა იყო ცხენიდან გადმოსახტომად.

როგორც კი ავლიეთ ოდუნ-სუს ხეობა და კადრილის უღელტეხილის ვიწროებს შევუდექით, ფეხები თითქმის გამოვიღე უზანგებიდან, თითქმის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ფეხისწვერებითღა ვაწვები უზანგებს, საჭიროებისამებრ უფრო მოხერხებულად რომ შევძლო ტანის აკვრა გადმოსახტომად.

ახლა ციცაბო დაღმართს დაეკიდა ბილიკი. თეთრონი გავაჩერე და ჩამოვქვეითდი, ცხენსაც შვება მივეცი და მეც მუხლი გავშალე. ყველანი ასე მოიქცნენ, მოხუცი იურჩიკის გარდა, მაგრამ როცა ბილიკი მთლად ვერტიკალური გახდა და ექვთიმე კინაღამ კისერზე ჩამოაცურდა ცხენს, იცოცხლე, იკადრა ჩამობრძანება.

გზაში საშა კურაკინმა და ბარაჩაკმა ექვსი თუ შვიდი ციყვი დახოცეს მცირეყალიბიანი შაშხანით. კარგი ქურქი და ძვირფასი ბეწვის ქუდი ალთაიში სიმდიდრის უპირველესი ნიშანია.

— ქურქისათვის აგროვებ ტყავს? — ვეკითხები ბარაჩაკს.

— ამას მერე ნახავ, „ვასილიჩ“, — მისთვის ჩვეული ეშმაკური ღიმილით მპასუხობს და თვალს უკრავს საშას.

ხან ტყიან ტაფობში ჩავდივართ, ხან ისევ ირიბად გაწოლილ ბილიკს ტინებიან ფრიალოებზე გავყავართ. ხეობის ბოლოს ვუახლოვდებით, სასიარულო ადგილი გაიშალა, ერთი ვიწრო, პატარა ნაკადული მორაკრაკებს და მთლად ტბორავს

იქაურობას. ცხენები წყალს დაეწაფნენ, ჩვენც დავლიეთ მთების ნაჟური.

ცხენებზე შევსხედით. ისევ მოისმა „გეკოს“ ჭახანი და ბარაჩაკის სიცილი.

არც კი შემიმჩნევია, როგორ დავწინაურდი. საშიში არაფერია, ბილიკი ერთია და დაკარგვით არსად დაიკარგება კაცი. ისევ აღმართს შეუდგნენ ცხენები, ბილიკი ტინიანია და ხანდახან ფეხი უსხლტებათ ცხენებს, ნაპერწკალი ცვივა აქეთ-იქით. დანარჩენებიც წამომეწივნენ. ცხენის ქშენა მესმის ზურგს უკან, მივიხედე, ბარაჩაკი მიცინის და კიდევ ერთ ციყვს მაჩვენებს.

უკვე სამ საათზე მეტია, ცხენებით მივდივართ. წარამარა გვიხდება ტოტების არიდება და ამიტომ სულ ვმოძრაობთ უნაგირზე, ხან წინ ვიზნიქებით, ხან უკან, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ცხენზე აკიდებულ ბარგში კი ისე ვართ საქამრის ქვემოთ ჩაჭედილები, რომ დაბუჟებულ ფეხებს ძლივსა ვგრძნობთ.

მოულოდნელად ჩემმა ცხენმა ჯერ მთელი ტანით წინ წაიწია, ერთიანად აცახცახდა, მერე ერთბაშად უკანა ფეხებზე ჩაიზნიქა და ყალყზე შედგა. მე ფაფარში ჩავაფრინდი. ზედ აკიდებული ბარგი ერთმანეთში აირია. ცხენი, როგორც იყო, ყალყზე შემდგარი, ისევე შემოტრიალდა და აქამდე ჩემს უკან მომავალი ბარაჩაკის ცხენის პირისპირ დადგა. ჩემი შეშინებული სახის დანახვაზე ბარაჩაკს ტუჩები მოეღრიცა და უმალ ჩამოქვეითდა.

— კრაზანები! კრაზანები! — დაიძახა მან. თუმცა მისი თქმა აღარა მჭირდებოდა, რადგან უკვე ვიგემე მათი ბასრი ნესტარი. როგორც იყო, მეც შევძელი ერთმანეთში არეულ ბარგზე გადალაჯება და მიწაზე დავეშვი. ცხენს კისერზე შემოვეხვიე. დაფეთებული, ნესტოებდაბერილი, ჭკვიან თვალებს გიჟივით აბრიალებდა და მთელი ტანით ცახცახებდა. ბარაჩაკმა სასწრაფოდ მოტეხილი ფოთლებიანი ტოტით დაუწყო ომი კრაზანებს.

ნელ-ნელა, როგორც იყო, გავიყვანეთ ცხენები სამშვიდობოს, მაგრამ მე და ბარაჩაკიც კარგა დაკბენილები ვიყავით.

ყველანი გადარჩენას მილოცავდნენ. არავინ მეუბნებოდა, იმ წუთში რა საცოდავი შესახედავი ვიყავი. მაგრამ ეს მხოლოდ იმ წუთებში, შემდეგ კი, იცოცხლე, დაცინვას არ მაკლებდნენ, არა და, რა ადვილი სალაპარაკოა სხვისთვის. იმ დროს ცხენს ერთი ნაბიჯიც რომ გადაედგა მარჯვნივ, ამ ამბავს მე ვეღარ გიამბობდით.

უღელტეხილიდან ცხენები სადავით მიგვყავს, დაღმართი ციცაბო და მოსრიალებულია, ბილიკი წვიმებისაგან ტლაპოდაა ქცეული. ცხენები ბორძიკობენ და ალაგ-ალაგ მუხლამდე ეფლობიან ჩვენსავე კვალში. მოლიპულ ქვიან ბილიკებზე, ციცაბო დაღმართებსა და აღმართებზე ცხენებს ფერდები მუქი, მყრალი ოფლით ეფარებათ. როგორც იქნა, ჩავედით ხეობაში. ცხენებზე შევსხედით, მდინარე კადრილის ჭალებს მივყვებით ერთხანს, მერე ფონზე გადავდივართ და მესაქონლეების მიტოვებულ ბინას ვუახლოვდებით.

ცხვრის ტყავის ქურქები, საძინებელი ტომრები, თოფიარაღი, საჭმელ-სასმელი ჩამოვხსენით ცხენებს და საბალახოდ მივუშვით.

ბანაკი მდინარის პირას დავიდეთ, ბანაკსა და მდინარეს შორის მაღალი კედრებისა და რბილწიწვიანას წვრილი ზოლი გასდევდა. ერთი მხრიდან შეფერდებით იწყებოდა მაღალი მთები, ქვევით კი ხშირტყიანი მიჰყვებოდა, რომელშიც უამრავი გნოლი იყო.

დავლაგდით. საძინებელი ადგილები დავინაწილეთ, ხორაგი ერთად მოვაგროვეთ, ალექსანდრე კურაკინს ჩავაბარეთ და საინტენდანტო სამსახურის უფროსიც შევარქვით.

ჩაი მოვადუღეთ. სუფრა გავშალეთ და დაღლილები მადიანად შევექეცით.

ბარაჩაკმა სახელდახელოდ გათლილ გრძელ შამფურებზე აასხა გასუფთავებული მთელ-მთელი ციყვები და მისი სიგემრიელის ქება-დიდებით მოგვიკითხა. მე ვერაფრით ვერ შევჭამე, სხვები კი სიამოვნებით შეექცნენ.

საინტენდანტო სამსახურის უფროსი საშა კურაკინი არც ჩიერკჩიკობაში ჩამორჩება თავისიანებს და სიამოვნებით გვიყვება...

...XVIII საუკუნის დასასრულს რუსი ვაჭრები ჩამოდი-

ოდნენ მთებში ალთაელებთან საქონლის გადასაცვლელად და სავაჭროდ. პირველი ვაჭრების საკრედიტო კანტორა მდინარე სემეზე აშენდა. ვაჭრები ნელ-ნელა შეიჭრნენ მდინარე ჩუის ხეობაში, სადაც მონღოლ ჯარისკაცებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს უცვლიდნენ თავიანთ საქონელს.

კოშ-აგაჩში რუსმა ვაჭრებმა ააგეს პირველი საწყობები და ქოხები. ყოველწლიურად მდინარე ბურატოს პირას იმართებოდა ბაზრობა. მასში მონაწილეობდნენ ტუველები, მონღოლები, ჩინელი ვაჭრები, მონღოლი ჯარისკაცები და ალთაელები. რუს ვაჭრებს ძირითადად გასაყიდად ჩამოჰქონდათ ტყავი, მაუდი, სხვადასხვა სახის ქსოვილები და რკინის ნაწარმი: გასაღებები, ნაჯახები, ჩაიდნები, ქვაბები. სამაგიეროდ, თვითონ ყიდულობდნენ ზაზუნას ტყავსა და მსხვილფეხა საქონელს. ჩუიას გარდა, ვაჭრობა წარმოებდა ჩელუშმანის ხეობაში. ფული ხმარებაში არ იყო. მის მაგივრად იყენებდნენ ციყვის ტყავებს.

უმრავლეს შემთხვევაში რუსი ვაჭრები ალთაელებს ნისიად აძლევდნენ საქონელს, რომლის სანაცვლოდაც ბეწვეულს, საქონელს, მატყლს და კედარის კაკალს იღებდნენ. ხშირად ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე რუსი ვაჭრის მოვალეებად რჩებოდნენ. როგორც წესი, ვაჭარი, რომელიც ალთაელს აგურა ჩაის გადაუცვლიდა ხბოზე, ხბოს გლეხთან ტოვებდა ერთი წლით, ხოლო მიაკითხავდა სამი წლის შემდეგ და იღებდა ხბოს ნაცვლად ხარს ან ძროხას. ასე მდიდრდებოდნენ ვაჭრები, რომლებიც ატყუებდნენ გაუნათლებელ უუფლებო ალთაელებს. ხშირად ალთაელებს ათრობდნენ და უმნიშვნელო ფასში მიჰქონდათ ბეწვეული.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს მეურნეობის ახალი დარგების — მიწათმოქმედებისა და მეფუტკრეობის განვითარებასთან დაკავშირებით ბაზარი სულ უფრო ივსება საშინაო სარეწაო ნაწარმით: სანთლით, თაფლით, კარაქით, ტილოთი, ტყავით, საქონლით და ა. შ. XIX საუკუნის ბოლოს მარტო კუზნეცკის ვაჭრებმა ადგილობრივი ბიისკის ოლქის გლეხებისაგან და ალთაელებისაგან 800 ათასი მანეთის საერთო თანხის სხვადასხვა საქონელი შეიძინეს. აქედან — 38 ათასი მანეთის ბეწვეული. ეს საქონელი

ივაკნებოდა ნაწილი ირბიტისა და ნიჟეგოროდის, ხოლო ნაწილი ტომსკის, კრასნოიარსკისა და ირკუტსკის ბაზრებზე. ასე ერთვებოდა ალთაის ნატურალური მეურნეობა სავაჭრო-ფულად ურთიერთობაში, რის შედეგადაც ალთაელთა ერთი ნაწილი მდიდრდებოდა, მეორე კი ღატაკდებოდა.

მეფის მთავრობამ, ცდილობდა რა განემტკიცებინა თავისი პოზიციები, დაიწყო ქრისტიანობის მასობრივი გავრცელება, რომლის მისიის მოთავე მაკარ გლუხარევი გახდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში მან რუსული ანბანის საფუძველზე შეადგინა ალთაური ანბანი, რითაც საძირკველი ჩაეყარა მათ შორის წერა-კითხვის გავრცელებას. ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანებაში იგი წარმატებით იყენებდა სასულიერო წიგნებს, რომლის თარგმნას ალთაურ ენაზე თვითონ მოჰკიდა ხელი. მაკარი ამაზე როდი შეჩერდა და 1830 წელს ალთაიში პირველმა გახსნა სამისიონერო სკოლა ვაჟებისათვის, პარალელურად კი სკოლა გოგონებისათვის, რომლებშიც სწავლება უფასოდ მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, მისიონერები არჩევდნენ ყველაზე გამოსადეგ ადგილებს მიწათმოქმედებისათვის და იქ ასახლებდნენ ახლად მონათლულ ალთაელებს. რუსი გლეხებიდან ამ სოფლებში ცხოვრება შეეძლოთ მხოლოდ იმათ, ვისი „სამეურნეო, მორალური ღირსებები და სარწმუნოება საძრახისად არ იყო მიჩნეული". მათ უნდა ესწავლებინათ ქრისტიანობამიღებული ალთაელებისათვის მეურნეობისა და მიწათმოქმედების გაძღოლის წესები.

მაგრამ, როცა ალთაიში მისიონერების მიერ წერა-კითხვის გავრცელებაზე ვლაპარაკობთ, გადაჭარბებით არ უნდა შევავსოთ მისი როლი. წერა-კითხვა მათ სჭირდებოდათ ძირითადი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად — იძულებითი გარუსების პოლიტიკის განსახორციელებლად. თუმცა, ალთაის სასულიერო მისიის მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ იფარგლებოდა ალთაელთა გაქრისტიანებით, იგი ეწეოდა აგრეთვე კულტურულ-განმანათლებლურ მოღვაწეობას ლიბერალურ-ბურჟუაზიული სულისკვეთებით. ქრისტიანობის წარმატებით გავრცელებისთვის მისიებს სჭირდებოდათ ალთაელთა წრეებიდან ადგილობრივი

კადრების მომზადება. ამ მიზნით ცალკეულ დასახლებულ პუნქტებსა და მისიონერთა უბნებში გაიხსნა დაწყებითი სკოლები. სწავლობდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, სამღვთო სჯულს, საგალობლებს და წმინდანთა ცხოვრებას. მისიონერთა სკოლები ამზადებდნენ მეფისა და ეკლესიის ერთგულ მსახურთ.

ტყუილად როდი აღნიშნავდნენ მისიონერები თავიანთ განმარტებებში:

„ჩვენი სკოლის აღზრდილმა გარკვეული დროის შემდეგ, თუნდაც დაივიწყოს წერა ან კითხვა (რაც, რა თქმა უნდა, ძალზედ იშვიათად ხდება), მაგრამ ქრისტიანული მოძღვრების უმთავრეს ჭეშმარიტებას ის არ დაივიწყებს“.

მისიონერები თავისი მოწაფეებისაგან პირველ რიგში ამზადებდნენ ქრისტიანობის მქადაგებლებს. ისინი დადიოდნენ სოფლებსა და ცალკეულ კარვებში, ასრულებდნენ საღმრთო საგალობლებს ალთაურ ენაზე, უკითხავდნენ ხალხს შესაფერ სასულიერო-რელიგიურ ლიტერატურას.

* * *

...მშვენიერი ამინდი დადგა. დილით თრთვილი იდო, ღამით კი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მთვარის წითელი ზოლით გადასერილ ამ ვარსკვლავთა სინათლეში, ჩვენს წინ მდინარისგან შექმნილ უსარმაზარ ტბორში იწყებოდა საოცარი თამაში. მის ნაპირზე შემოიჯარებოდნენ ხოლმე დათოვლილი მთები, ერთმანეთისკენ იწევდნენ და ტოვებდნენ წყლის ერთი ბეწო სივრცეს, რომელშიც ცივად და უძრავად ანათებდნენ იგივე ვარსკვლავები, შემდეგ ღამის ღრუბლის ზოლები თითქოს ანაწილებდნენ მთებს, და ფუძეს მოწყვეტილი მოციმციმე მწვერვალები ვარსკვლავებისკენ მიცურავდნენ, მათი სინათლით იქღინთებოდნენ და წყალში დნებოდნენ.

მე, ევგენი იუდინი და ორი თანმხლები ალთაელი საღამოს ვაპირებთ სანადიროდ წასვლას, ველარ ვითმენთ, გვაინტერესებს მარალის ნახვა. წინა ღამეს მოვისმინეთ მისი ბღავილი, საოცარი ხმა აქვს, ძლიერი, მაგრამ სევდიანი,

სულისამწეწი ძახილია. რიხიანს, ძლიერს მუდარა უფრო ეტყობა დასაწყისში, ვიდრე მბრძანებლობა, მუდარა სწორ-ფეოისადმი. ჯერ გაბმული, კვნესისმაგვარი ზმუილით იწ-ყებს, ბოლოს კი ფოლადს უმატებს ხმაში. ჯერ სთხოვს, ევედ-რება, ეფერება თითქოს, მერე კი ძლიერი ხმით ამცნობს თავის უპირატესობას.

დროს აღარ ვკარგავთ, სახელდახელო სადილის შემდეგ ცხენებს ვკაზმავთ და მივდივართ, მაგრამ პირველივე ძნე-ლი ცოცაბოდან, სადაც ჟენიას ცხენმა ურჩობა დაიწყო და კინაღამ ორივენი დაიმტვრნენ კიდეც, უკან მიბრუნდნენ ბი-ნისაკენ. ჩვენ — მე, ბარაჩაკი და კოლია ბაიდანოვი კი გზას გავუდექით. წინ ბარაჩაკი მიდის, მას მე მივყვები, ბოლოში კოლია გვკეტავს.

აქ არც ისეთი ჰაერია და არც ისეთი სიმაღლე, როგორც ედიგოლზე, ამიტომ სიარულიც უფრო იოლია. ცხენებს ქვე-ვით, იალაღის შუაგულს ვტოვებთ და ზემოთ მივდივართ. ნაწვიმარ ბალახზე ფეხი ცურავს და სიარული ჭირს. რო-გორც იყო, ავათავეთ აღმართი. ბალახი ჯერ დადაბლდა, მერე კი შეთხელდა. ქვიანში დაბალი, მიწაზე გაკრული ბალახი-ღაა. წინ, როგორც ყოველთვის, ბარაჩაკი მიდის, მე და კო-ლია უკან მივყვებით. მთის წვერი საკმაოდ ვრცელია. დაახ-ლოებით ორასი მეტრის იქით თხელტყიანია. შევჩერდით. გა-რემოს ვზვერავთ, თან ერთმანეთს გადავულაპარაკებდით ხოლმე. უცბად სუნთქვა შემეკრა, პირი დავაღე და ერთხანს ასე შევყურებდი ჩვენგან მარცხნივ, ხშირ ტყიანიდან გამო-სულ ხარირემს. ბიჭებისკენ გავაპარე მზერა. მათაც დაუნა-ხავთ და ჩემს რეაქციას ელოდნენ. ჩვევას არ ღალატობდნენ, პირველი სროლის უფლებას მე მაძლევენ. ბარაჩაკმა თვა-ლებით მანიშნა, — მიდიო. ამასობაში ირემი სრულიად სუფ-თა მდელოზე გამოვიდა, ერთი-ორჯერ ბალახი მოწიწკნა, თავი აიღერა და გაჩერდა. მე ნელ-ნელა ჩამოვაცოცე მხრი-დან თოფი, საკეტი გავხსენი და ფოლადის ხმაზე ისევ გავი-ყინე. ირემმა ჩემსკენ გამოიხედა, ერთხანს გვიყურა. ჩვენ ქვისგან გამოთლილ ქანდაკებებსავით ვიდექით გაუნძრევ-ლად. ირემმა თავი გაიქნია, ქონდარა არყის ხეს წააწიწკნა ფოთოლი და ისევ ისე ჩვენსკენ გვერდულად გაჩერდა. უკე-

თეს სანიშნეს ადამიანი ვერც ინატრებდა. რქებზე საოცრად სიმეტრიული 9—9 განშტოება ჰქონდა. დინჯად, აუჩქარებლად დავუმიზნე და გამოვკარი სასხლეტს. კარაბინმა იგრიალა, ირემი არც კი განძრეულა, მეორე ვესროლე და ის კვლავ გაუნძრეველად იდგა. მე უკვე მეგონა, რომ მოჩვენება იყო. მესამე ვაზნას რომ ვაძლევდი სავაზნეში, შევატყე, ხელები მიკანკალებდა, მაგრამ აღარ მივაქციე ყურადღება, ცალ მუხლზე დავიჩოქე და ვესროლე მესამედ. ირემმა ისევ გამოიხედა ჩვენსკენ, ერთი-ორი ნაბიჯი წადგა წინ და ისევ გაჩერდა. მეოთხე სროლის შემდეგ, მთელი ტანით ვცახცახებდი და ნათლად ვიგრძენი, რომ მსროლელად აღარ ვვარგოდი. მდუღარეგადასხმულივით წამოვხტი, ორ ნაბიჯზე მყოფ ბარაჩაკს მივვარდი, თოფი შევაჩეჩე და ლანძღვა-გინებით პირქვე დავემხე მიწაზე.

— კოლია, არ ესროლო, — ბარაჩაკის სიტყვები მომესმა და ერთხანს ყველაფერი დადუმდა. შემდეგ ისევ თოფის გრიალი და ბარაჩაკის უკმაყოფილო სამსართულიანი გინება გავიგონე. ისევ გავარდა და, როგორც იქნა, წამოვწიე თავი. წინ სიცარიელე იყო. ახლა ბარაჩაკისკენ გავიხედე. ციებიანივით ვცახცახებდი. ბარაჩაკმა თოფი გინებით დაუშვა, შემომხედა და ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ ვიღაცას ეგონებოდა, გააფრინაო. არადა, თურმე სიმწრის სიცილთან ერთად ამ ხარხარის მიზეზი ჩემი სახის იდიოტური გამომეტყველება და სიმწრისგან მონაძოვი პირში გაჩრილი ბალახი იყო. როგორც იყო, წამოვდექი. ერთხანს ასე დაბნეულები ვიდექით. კოლიამ გამოართვა ბარაჩაკს თოფი, მერე იმ ადგილს მივედით, სადაც ირემი იდგა ცოტახნის წინ. გულდასმით დავათვალიერეთ იქაურობა. თხელტყიანში ვერსად ვერცერთი ნატყვიარი ვერ ვნახეთ. გასაგები გახდა, რომ ყველა ტყვია მიზნიდან გაცილებით ზევით იყო წასული. შემდეგ მიზანში ვცადეთ თოფი, იგივე განმეორდა. ვცადეთ გასწორება, არაფერი გამოგვივიდა და ბოლოს, როცა საკეტი გამოვიღეთ და ლულას გავხედეთ, ყველაფერი ნათელი გახდა: ყარაბინი კუთხვილის ნაცვლად თითქმის გლუვლულიანად იყო ქცეული.

ბარაჩაკმა იმ წუთში მოიხსნა თავისი თოფი და გადმომ-

ცა. მე ამ მარცხით იმდენად ვიყავი გამწარებული, რომ წინააღმდეგობა არ გამიწევია. ყველა ირმის გაჩენის დღეს ვწყევლიდი და ფიცს ვდებდი, რომ ამ თავხედობას არ ვაპატიებდი მათ მოდგმას.

იმ დღეს ვეღარაფერი ვნახეთ. კარავში დავბრუნდით. უგემურად ვივახშმე. ბარაჩაკი და კოლია ბევრს ეცადნენ, ასიოდე გრამი არაყიც მახუხიეს, მაგრამ გუნება მაინც ვერ გამომიკეთეს. რომ მახსენდებოდა დღევანდელი ამბავი, ლამის ყვირილი დამეწყო, და ირემი კი, ბუნების ეს ულამაზესი ქმნილება, რაღაც მახინჯ, თავხედ ურჩხულად მელანდებოდა, რომელიც დრო და დრო ჩემი წარმოდგენით, ლამის ნიშნისმოგებით მიღიმოდა კიდეც. სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი და კინაღამ საძილე ტომარაც დავწვი. ბოლოს, როგორც იყო, ჩამეძინა, მაგრამ სიზმარშიც იმ ირემს და ჩემს გაბითურებულ თავს ვხედავდი, კერ ვისვენებდი. მივდევდი, ვესროდი, ვაცდენდი, დამცინოდა. რქებს მიღერებდა და ძალაგამოცლილს, ოფლში გაწუწულს მეღვიძებოდა. ამ ვაივაგლახში, როგორც იყო, გათენდა.

წესიერად არც კი მისაუზმია. ცხენები შევკაზმეთ და გზას გავუდექით.

პირველი სერის გადავლის შემდეგ ბარაჩაკი ცხენიდან გადმოხტა, დიყი მოჭრა და ისევ ცხენს მოევლო. თოფს საწმენდი ზუმბა გამოაძრო, დიყის ღეროს გული გამოუღო, დანით ცალი მხრიდან სატუჩე გაუკეთა და ზურგსუკან ქამარში გაირჭო. მე უკან მივყვებოდი.

გარშემო ცადაზიდული კედარის ტყეებია. აქა-იქ პატარ-პატარა მინდვრებია ტაფობებში.

ნელ-ნელა სულ ზევით და ზევით მივიწევთ, უცბად მოისმა მარალის ყვირილი. ბარაჩაკი ცხენიდან ერთბაშად ჩამოცურდა და გვანიშნა, ჩვენც ჩამოვქვეითებულიყავით. სადავე კოლიას მივუგდე და თოფი მოვიმარჯვე. წინა ბექობამდე წაღუნულები მივდიოდით, ბექს იქით კარგა მოზრდილი მინდორია. მე და ბარაჩაკი მიწას გავეკარით, თვალებს ვაცეცებ და ჯერ ვერაფერს ვხედავ. ბარაჩაკმა დიყის ღერი გამოიძრო ქამრიდან და, ჰოი, საოცრებავ. დიახ, ნუ გიკვირთ! მე მანამდე ასეთი რამ არც მენახა და არც მომესმინა. ზუსტად

მარალის ბღავილი მომესმა დიყის ღეროდან. მახლობელი ტყიდან დაუყოვნებლივ გვიპასუხა მარალმა. ბარაჩაკმა ისევ გაიმეორა ბღავილი და ჩვენგან რამდენიმე ათეული მეტრის სიშორეზე გამოვიდა ხარირემი. ულამაზეს თავ-კისერზე შანდლებივით ედგა ლამაზი რქები. ნესტოები დაბერვოდა და თვალები მწვანედ უელავდა. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადმოდგა ჩვენსკენ, მიიხედ-მოიხედა და ისევ დაიბღავლა. ახლა სხვა მარალმა უპასუხა ტყიდან, იმას სხვა ხმა მოჰყვა, სხვა მხრიდან კიდევ სხვა. მარჯვნივ ბარაჩაკი მიწევს, მარცხნივ გავაპარე თვალი — კოლია გართხმულა თოფმომარჯვებული. როდის მოცოცდა, არც გამიგია. ერთხელ კიდევ ჩაბერა ბარაჩაკმა. რამდენიმე წუთში ხუთი მარალი გამოჩნდა მინდორზე. ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ახლა კი წამკრა მუჯლუგუნი ბარაჩაკმა — ესროლეო. მე უარის ნიშნად თავი გავუქნიე, მაშინ წამჩურჩულა — ესროლეო, ჩემგან ისევ უარი მიიღო. ცეცხლი მოეკიდა ბარაჩაკს, თავი ველარ შეიკავა და შეჰყვირა: — ესროლე. მარალებმა ყურები ცქვიტეს და დაიძაბნენ. ამ დროს გაისმა კოლიას თოფის ხმა, პირველ გასროლას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. მარალები ჯერ ერთმანეთში აირივნენ, ერთბაშად ვერ განსაზღვრეს თოფის ხმის მიმართულება. ჯერ ჩვენსკენ გააკეთეს რამოდენიმე ნახტომი, მერე ერთი მათგანი შეტრიალდა, ზევით მთისკენ აიღო გეზი, დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ; კოლიამ ზედიზედ ააცდინა ნასროლი, მარალები მოპირდაპირე სერის კლდოვან ყელში გადადიოდნენ ერთმანეთის მიყოლებით, ამ აღმართ-დაღმართში დროდადრო წამით შეგებოდნენ ხოლმე, გავიდა ერთი, მეორე... კოლიას თოფის ხმას ჩემიც შეუერთდა, მესამე, მეოთხე... ორი ვესროლე და დავაცილე, მეხუთემ გააკეთა კამარა და შეჩერდა, შეჩერდა და გავარდა ჩემი თოფი, პირუკუ ამოტრიალებული მარალი უკანვე დაგორდა.

ბარაჩაკს, რომელსაც ვინ მოსთვლის, რამდენი ნადირი ეუხოცია, არ უსვრია ამჯერად, სტუმრისთვის უნდა ეცა პატივი და პირველობას იმიტომ მითმობდა. ჯერ მომილოცა, შერე კი მისაყვედურა: რატომ არ ესროლე, როცა გითხარი,

ჩვენ იმიტომ კი არ კწვალობთ, რომ ცარიელები დავბრუნდეთ უკანო.

— ჩემო ბარაჩაკ, არც მერე ვესვრი სიყვარულის პაემანზე მაგ ხერხით მოტყუებულ ნადირს. ეგ რა ვაჟკაცობაა, მოვიტყუო და ისე ვესროლო! თქვენთან თუ ფრინველის მოკვლა მიგაჩნიათ სირცხვილად, ჩვენთან მაგ ხერხით ნადირობა სამარცხვინოა.

— ნადირი იმისაა, ყველა ხერხი უნდა იხმარო იმის საჯობნად, — მიპასუხა გაგულისებულმა.

სხვათა შორის, ირემზე და შველზე მიტყუებით ნადირობა შუა აზიის გარდა საზღვარგარეთის ქვეყნებშიც ყოფილა გავრცელებული. მიუხედავად ამისა, საქართველოში ასეთი ნადირობის შესახებ არაფერი მსმენია და, მართალი გითხრათ, მეამაყება ეს ამბავი, ქართული ჭიდაობისა არ იყოს, ყოველი სპორტული სახეობა, უპირველეს ყოვლისა, რაინდული სულით უნდა იყოს სავსე. სწორედ ამის გამო გამახსენდა ჩვენი საყვარელი მეგობრის და სასიქადულო პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი.

ბამზე სტუმრობის დროს... თუმცა უკეთესია თვითონ მისი მოგონება და ლექსი გავიხსენო. აი, რა გვითხრა, ჯანსუღ ჩარკვიანმა:

„ბამზე მოგზაურობისას მაჩუქეს ტყის ქათმის ფიტული, ისიც მიამბეს, თუ რა პირობებში ანადგურებდნენ ტაიგის ამ მშვენიერ მგალობელ ფრინველს.

ამ ამბით გულნატკენს ფიტული იქვე დამრჩა, ხოლო გამოყოლილმა გულის ტკივილმა ეს ლექსი დამაწერინა.

ტყის ფრინველის ფიტულს ყიდდნენ,
ფრინველს ერქვა ყრუალა.
და ყრუალამ კიდით-კიდე
ტყეებს გადაუარა.
ყრუალა ტყის ქათამია,
კუდგაშლილი ყრუალა.
„ყრუალას ხმამ გადამრია“ —
მღერის ერთი ხუმარა.
იყიდება მუნჯი ყელი,
იყიდება სამ თუმნად,
წითელი და ლურჯი ფერი

ერთმანეთში ჩართული.
ან ყრუალა ვინ დაარქვა
ტყის უბადლო მომღერალს!
იცის ყელის მოღერება,
ბულბულივით მოლხენა.
ფიტული კი განაბული
სიმღერების ზარად,
ნეტავ, ტყეში დაგაბრუნა,
მშვენიერო ყრუალა,
შენ ტაიგის მოსალხენი
როცა დაგიკვნესია,
როცა მღერი, როცა მღერი,
სწორედ მაშინ გესვრიან.
როცა მღერი, როცა ყრუ ხარ,
როცა ღვთისაც არ გესმის,
როცა შენი ტყისთვის სტეხხარ,
ყაციც მაშინ დაგესხმის.
მაშინ გამოგასალმებენ
შენს მშობლიურ ბუნებას,
აი, კაცთა აღსარება,
აი, კაცთა ცდუნება.
არცა ტყე და არც ბალახი,
არც გალობა მდიდრული,
მაინც, მაინც დასამარხი,
მაინც, მაინც ფიტული.
მღეროდა და იმ საბრალოს
ყაცმა დღე დაუმოკლა,
ღმერთო ჩემო, როცა გალობს,
ოღონდ, მაშინ ნუ მოკლავ.

ყრუალას, ანუ სოღოს წიწვნარი და ფიჭვნარი ტყეები უყვარს, სადაც ბევრი ხავსი და სინესტეა. გაზაფხულზე და შემოდგომაზე დაწყვილების პერიოდი როცა იწყება, ერთ-რომელიმე ამოჩემებულ ადგილზე ყრუალა იწყებს ტიხტიხს.

მამალი ყრუალა 8 კილომდე აღწევს. საოცრად ლამაზი შეფერილობა აქვს და მართლაც იშვიათი სანახავია, როცა ეს ლამაზი ფრინველი კუდს ფარშევანგივით გაშლის მარა-ოსებრ, ფრთებს მიწისკენ დაუშვებს, კისერს მედიდურად მოიღერებს გვერდზე და ეგრერიგად გაფხორილი ყოყოჩობს დედლების წინაშე. მართალია, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ საყვარელი პოეტი შეცდომაში შეუყვანიათ. ყრუალა

მგალობელი ფრინველიაო. გალობის რა მოგახსენოთ, ერთობ უნიჭო სიმღერა იცის, ანდა უფრო სწორად, ეს სიმღერა არცაა, ეს უფრო გულის სწორის ძახილია, მის წინაშე ბაქიაობა და ქოთქოთია.

ყრუალა ასე იწყებს თავის სიმღერას, თუ კი შეიძლება სიმღერა ვუწოდოთ. ორჯერ-სამჯერ თითქოს ასანთის კოლოფზე მისივე ღერი დავკარით წვერით — ტიკ! ტიკ! ტიკ! ამას უცბად ისეთი შიშინი მოჰყვება, თითქოს დინამიტის პატრუქს ცეცხლი წაუკიდესო. აი, ეს გახლავთ ყრუალას მთელი გალობა. საინტერესოა ერთი რამ, როცა ფრინველი შიშინს იწყებს, თვალებს ხუჭავს და ამავე დროს ყურის ბარაბანზეც რაღაც ეფინება. ისე რომ ამ „შესანიშნავი“ სიმღერის დროს ვერც ვერაფერს ხედავს და არც არაფერი ესმის.

მონადირეც, რომელსაც წინასწარ ეუბნებიან, სადაცაა ყრუალას სატიხტიხე გაზაფხულზე, ღამით იმ ვარაუდით გადის სადგომიდან, რომ რიჟრაჟზე იმ ადგილის მისადგომებთან იყოს. როგორც კი გაიგონებს ყრუალას სიმღერას, მონადირე წაიწევს იმ მიმართულებით, საიდანაც სიმღერა ესმის. ჩვეულებრივ ის ორი-სამი ნაბიჯის გაკეთებას ასწრებს და როგორც კი ყრუალა ჩერდება, ისიც რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, ისე უნდა გაქვავდეს, სანამ ფრინველი ისევ დაიწყებს თავის „სიმღერას“, თორემ გაჩუმებული ყრუალა ყველაფერს ხედავს და, რაც მთავარია, ერთი ბეწო საეჭვო ხმაურიც არ გამოეპარება. ყრუალაზე მონადირეს საკმაოდ ჯანმრთელი ნერვები უნდა ჰქონდეს. დაეჭვებულ ყრუალას შეუძლია რამდენიმე წუთი ხმა არ ამოიღოს. ასეთ შემთხვევაში მონადირე რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, ისე უნდა დარჩეს გაუნძრევლად. აი, ასეთი წვალებით სასროლ მანძილზე მიახლოებული მონადირე ესვრის თოფს.

მე ვერც დედლებთან საარშიყოდ გაყოყოჩებულ ყრუალას ვესროლე. ამიტომ კარგა ხანს იყო ჩემი სამონადირეო კოლექცია მისი ფიტულის გარეშე, ვიდრე კოსტრომის ოლქში, ბატზე და იხვზე ნადირობისას, ვიღაცის მიერ დამფრთხალმა ყრუალამ თავზე გადაფრენა არ მომინდომა.

* * *

რა ვიცი, მე ჩემი თავი მგონია მართალი, ბარაჩაკს კი თავისი...

იქვე გამოფატრეს მარალი. ჯიგარი ამოიღეს და ერთ დიდ კედარის ქვეშ დავანთეთ ცეცხლი.

— «Марала убьешь, год хорошо проживешь» — „ვასილიჩ“, ასე ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, ასე რომ, კარგად ვიცხოვრებთ.

დაბნელდა. სახელდახელოდ ავასხით მწვადი და ახლალა გავიგეთ, რომ ყველას დაგვიწყებოდა მარილი. ვახშამი გაგვიუგემურდა. ისევ ძეხვსა და კონსერვებს დავჯერდით, ცოტაოდენი არაყი დავლიეთ და დავწექით.

ირიჟრაჟა თუ არა, ცხენები შევკაზმეთ, მარალი იქვე დავტოვეთ და ჩვენ ისევ გავუდექით გზას.

ისევ იმ თანმიმდევრობით მივდივართ, როგორც წინა დღით. მშვენიერი ამინდია. მზეც ამოვიდა. ჩვენს წინ კლდოვანი ფლატეა. ბარაჩაკი დაქვეითდა, ცხენი დატოვა და თვითონ წელში მოხრილმა წაიწია წინ. სულ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ხელით გვანიშნა ჩამოვსულიყავით ცხენებიდან. მე, მასავით წელში მოხრილი, ფრთხილი ნაბიჯით მივუახლოვდი ფლატეს. მოპირდაპირე ფერდობის შუაწელზე უზარმაზარი მურა დათვი ჩადიოდა ხევში არხეინად. ბარაჩაკმა უხმოდ, ხელებით მანიშნა საიდან უნდა მივპარვოდი დათვს ისე, რომ ნადირს არ შევემჩნიე. ჩვენს შორის პატარა ტინიანი გორა იყო და ის უნდა მეფარა. ნელ-ნელა დავიწყე ჩასვლა, ტინიან გორას მივუახლოვდი, ეხლა მე და დათვს ასი-ასორმოცდაათი მეტრი თუ გვყოფდა. უკან მოვიხედე ბარაჩაკისკენ, რომელმაც მანიშნა, ისევ ხევისკენ ჩამოდისო დათვი. გორაკის შემოვლა დავიწყე და საფარიდან გამოსულმა დავინახე, რაღაცით დამფრთხალი დათვი როგორ შეტრიალდა გვერდულად და სერის გაყოლებით როგორ აპირებდა ტყიანში შესვლას. უმალ დავიჩოქე და იჭექა შაშხანამ, უხარმახარ მუთაქასავით დაგორდა დათუჩი. ფრთხილად მივედი თოფმარჯვებული. გულაღმა ეგდო. საშინელი გრძნობა დამეუფლა, მაგრამ ამ დროს ბიჭებიც ჩამოვიდნენ და მოლოცვასა და სიცილში ცოტა გადამიარა უგუნებობამ. ტყვიას შიგ გულში გაევლო.

დათვის გამოშიგვნა დაიწყეს, მე ისევ უგუნებოდ შევიქენი. სანამ ამას მოათავებდნენ, მზე დაიკარგა, ღრუბლებმა დაფარა ცა და ხვავრიელი თოვა დაიწყო. გატყავებული დათვი იქვე მივატოვეთ და განვაგრძეთ გზა. ბარაჩაკი გვაჩქარებს, რამდენიმე სერი გადავიარეთ და ტყიანიდან მოწინაღმდეგე ფერდობზე მარალების უზარმაზარ ჯოგს მივადექით. დიდხანს არჩევდა ბარაჩაკი მარალს, ბოლოს, ერთ-ერთი ძალიან ლამაზრქებიანი აარჩია და ესროლა, ადგილზე დაემხო ხარი.

ეხლა კი სამუშაო გაჩნდა. გავატყავეთ, ავქენით, არჩემაკებში თანაბრად დავანაწილეთ, ავკიდეთ ცხენებს და დავეშვით უკან. დათვი ისევ ადგილზე დავტოვეთ, წინა დღეს მოკლული მარალი ჩავალაგეთ არჩემაკებში და სადილობისას ბინას მივადექით. ბარაჩაკსა და კოლიას არც დაუსვენიათ, ისე გაცალეს თავიანთი არჩემაკები და დათვის ჩამოსატანად გაბრუნდნენ. მე კი დამტოვეს — დაისვენეო.

სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ, საშა კურაკინი და ექვთიმე იურჩიკი სადილის კეთებას შეუდგნენ.

თოვლმა გადაიღო და ისევ მზე გამოვიდა.

მთიან ალთაიში მე მგონი არაა ადგილი, საიდანაც არ ჩანდეს ბელუხა, რა თქმა უნდა, კარგ ამინდში. და აი, ახლაც უზარმაზარი ბროლის ლარნაკივით აელვარდა მზეზე. ბელუხა ალთაის სიამაყეა, სილამაზის სიმბოლო. ამიტომ, როცა ბელუხას ახსენებს ალთაელი, უნებლიედ მის სახეზე ღიმილი ჩნდება. ამას აქვს კიდევაც საფუძველი, რადგან ბელუხა, გარდა იმისა, რომ თვითონ ძალიან ლამაზია, მისი შემოგარენიც გასაოცარი სილამაზისაა — ხეობებით, მთებით, უღელტეხილებით, მყინვარებით, ჩანჩქერებით, მართლაც საოცარი ჩანჩქერებითა და განუმეორებელი სილამაზის ტბებით.

ბელუხაზე მისასვლელად რამდენიმე გზაა და ყოველ მათგანს თავისი განუმეორებელი სილამაზე ახლავს. თუ, მაგალითად, ბელუხაზე ყადნის ხეობით გინდა მოხვდე, საჭიროა უსტ-კოკსის გავლით ჩახვიდე სოფელ ტუნგურში, გადახვიდე ყადნის მეორე ნაპირზე და ულამაზესი ტაიგით მდინარე კუჩერლის სანაპიროთი შეუდგე გზას კუჩერლის

ტბისაკენ, რომელიც ტყიდან რაღაცნაირად, მოულოდნელად ჩნდება მორენის ბორცვის მხრიდან, რომელიც ჩრდილოეთიდან შესდგომია ტბას. ჩამავალი მზის სხივებში ტბა მოქანდაკის საჭრეთლით ამოკვეთილსა და დათოვლილი მწვერვალების ჩარჩოში ჩასმულს ჰგავს. მთის სუფთა ჰაერი ხელს უსვამს ტყიანი სანაპიროსა და ბროლივით გამჭვირვალე წყლის საზღვრის სიმძაფრეს.

ადამიანს აქ კუჩერლის კიდევ ერთი საოცრება ელოდ: წინ მზის სხივებში ელავს 70 მეტრის სიმაღლიდან დაქანებული, ჰაერში დაკიდებული ტიგეეკის წყალვარდნილი, უფრო სწორედ, ყინულვარდნილად ქცეული წყალვარდნილი. ასეთ რამეს საქვეყნოდ ცნობილ ჩვენს მთებშიც ვერ ნახავს კაცი.

ბილიკი ტბის სანაპიროთი მიჰყვება ულამაზეს ტალგის მდინარე კონი-აირის სათავისაკენ. აქ მდინარის მიერ შექმნილი მკვეთრად დაქანებულ კლდეებში მომწყვდეულ კენერებში ჩაფლულ კონიონს ზემოთ საზღვარია ტყესა და ალპიურ მდელოებს შორის. აქედან ბელუხაზე ერთი გზა ყადნის ქედით, ყადნის ხეობიდან სამხრეთით გაივლი პიშევიკებისა და ნემიცკი I-ის უღელტეხილებს, შემდეგ ნემიცკი II-ის და როსტოვ-დონის, შემდეგ იოლდის და იოლდო-აირის უღელტეხილებს და ჩახვალ იოლდის ხეობაში. ყველა ეს უღელტეხილები თოვლიან-კლდოვანია. კუჩერლის ტბის შემოგარენში უამრავი კენკრა, სოკო და კედარის კაკალია.

გრძელი, მაგრამ იოლად სავალი კარა-ტურეკის უღელტეხილის გავლით მიდიხარ აკემის ხეობაში. გაივლი აკემის ტბას და ბელუხას ჩრდილო ყინულოვანი კედლის ქვეშ, მყინვართან მიდიხარ. თითქმის ვერტიკალური ყინულოვან-თოვლიანი გოლიათის ხილვით, მთის ბუნების სიდიადით, მყინვართა შემონაზარდებისა და ყინულით გასიპული კედლების ცივი სუნთქვით საოცრად გრანდიოზული შთაბეჭდილება გიპყრობთ. აქედან გ. ტიტოვის უღელტეხილამდე სულ ახლოა.

მდინარეების დიდი და პატარა კოკ-კულის შესართავთან ოცდაათი მეტრის სიმაღლიდან დაშვებული წყალვარდნილი ქვემოთ ტინებზე იმსხვრევა და წყლის წვეთები საოცარი სილამაზის მუდმივ ცისარტყელას წარმოქმნის.

ბიჭები ჩამობრუნდნენ. კარვის წინ გამართულ სუფრას შემოვუსხედით და, აი ის იყო სადილს უნდა შევქცეოდით, რომ იურჩიკმა ბნედადაცემულსავით გადმოქაჩა თვალები, ხელები მთებისკენ გაიშვირა, რაღაც არეული დაიყვირა და კარავში შევარდა. ჩვენც მთებისკენ გავიხედეთ და საკვირველი რამ დავინახეთ: საოცარი ფერების უზარმაზარ სიგარას ბოლოში ალი მოსდებოდა და კადრილის ხეობის გადაჭრით. მარჯვნივ, სადღაც შორს, არგუთის ხეობის სათავისკენ ეშვებოდა.

კარვიდან გამოვარდნილმა ფოტოაპარატმომარჯვებულმა ექვთიმემ ვეღარ მოუსწრო საოცარ სანახაობას. გუნებაწამხდარმა აღარ იცოდა, საით წაეღო ფოტოაპარატი.

კარგა ხანს ვიმკითხავეთ, რა უნდა ყოფილიყო ეს სანახაობა?!

ბოლოს ყველა ერთ დასკვნამდე მივედით, რომ ეს კოსმოსურ ხომალდთან დაკავშირებული რაღაცა იყო, კერძოდ, რა? ეს კი ჩვენთვის უკვე გაუგებარი იყო. გაუთავებელ ქაქანში სადილი ვახშმად გვექცა, მადიანად შევექეცით მარალისა და დათვის ხორცს. კარგ გუნება-განწყობილებას სასმელმაც შეუწყო ხელი, მერე კი საშა კურაკინმა ისევ მთიანი ალთაის ისტორიაში დაგვაბრუნა...

* * *

ალთაელ მოსახლეობაში მისიის გავლენის გაძლიერება ზაისან-ბაიების მაღალ საზოგადოებას მოსვენებას უკარგავდა. ალთაელ ექსპლოატატორთა მაღალ საზოგადოებას არ სურდა დაეკარგა თავისი მონოპოლისტური გავლენა თვისტომთა და თანამემამულეთა შორის, არ სურდა სამისიონერო სოფლებისთვის გამოყოფილი მიწებისა და სავარგულების დაკარგვა. ისინი ყოველგვარ ზომებს იღებდნენ: იყენებდნენ როზგს, მათრახს, აოხრებდნენ ახლადგანათლულთა მეურნეობებსა და სოფლებს, აპატიმრებდნენ და ხოცავდნენ კიდეც...

მთიანი ალთაის რუს ახალმოსახლეთა ჩასახლება კი ისევ გრძელდებოდა და სულ უფრო თვითდინების ხასიათი ეძლეოდა. ამ დინებას ხელს უწყობდა წერილები, რომლებსაც

თავიანთ სამშობლოში გზავნიდნენ ახალმოსახლენი. ყოველ წერილში ერთი მთავარი აზრი იყო, რომ აქ „მიწები, საძოვრები, ტყეები ბევრია და ღატაკს არც უპურობის ეშინია“. ამდაგვარი ცნობები უდავოდ ზრდიდა მთიან ალთაიში საცხოვრებლად გადასვლის მსურველთა რიცხვს.

მაგრამ ყოველი ახალმოსახლე როდი პოულობდა „ბედნიერებას“ ახალ ადგილზე. კლიმატი, სიღატაკე, ხან კი საქონლისა და ფულის სრული უქონლობა არ აძლევდა ახალმოსახლეს გაჭირვებიდან თავის დახსნის საშუალებას. ახალმოსახლეთა მძიმე მდგომარეობით სარგებლობდნენ მდიდარი ძველმოსახლენი. ციმბირის ისტორიის მკვლევარი ა. მ. ბერკენჰეიმი წერს, მდიდარი ძველმოსახლე ახალმოსახლეებს სამფა ტყავს აძრობსო: ის ახალმოსახლეზე ასაღებდა საჭირო და არასაჭირო ნივთებს სამმაგ ფასში. მაგალითად, 8 კაპიკად ღირებულ ნახევარჩარექა ნავთს ახალმოსახლეზე ყიდდა 27 კაპიკად, ერთ ფუთ 30-კაპიკიან ჭვავს 50—60 კაპიკად ასაღებდა და ასე შემდეგ. ხოლო, როცა ახლადმოსახლე ძველმოსახლეზე რაიმეს ყიდდა, მას ღირებულზე სამჯერ-ოთხჯერ უფრო ნაკლებ ფასს უხდიდნენ.

მდიდარი ძველმოსახლენი ამავე დროს ყოველნაირად უშლიდნენ ახლად გადმოსახლებულებს მათს სოფლებში ჩასახლებას. და, თუ კი ისინი მაინც ახერხებდნენ ამას, ძველმოსახლენი მათ განუწყვეტლად ესხმოდნენ თავს, სტაცებდნენ საქონელს, უწამლავდნენ ნათესებს, აოხრებდნენ მათს სათიბებსა და საძოვრებს. მიუხედავად ამისა, ღარიბ ალთაელ ძველმოსახლეთა მხარდაჭერით, ახალმოსახლეთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა.

* * *

...რამდენიმე დღით კიდევ ვაპირებთ ალთაის მთებში დარჩენას, ამიტომ დღეისათვის ნანადირევს მოვლა სჭირდებოდა, რომ არ გაგვფუჭებოდა. ორივე მარალი ამოვრბილეთ, ხორცი მოგრძო ნაჭრებად ამოვქენით და ცელოფანის დიდ ტომარაში ჩავალაგეთ. შავი პირპილი, დაფნა, მარილი ჩავაყარეთ, რამდენიმე ბოთლი ძმარი დავასხით, ტომარას

თავი მოვუკარით და ზემოდან დიდი ქვა დავადეთ. დილით გრძელ-გრძელად დაჭრილი ხორცის ლენტები გასუფთავებულ ჯოხებზე გადავკიდეთ, ადრევე გამზადებულ გრძელ ტრანშეზე გადავაწყვეთ ჯოხები და ჩურჩხელებივით დაკიდებულ ხორცს ქვემოდან ცეცხლი შევუნთეთ. ასე გამოვიყვანეთ ბოლში თითქმის ორასამდე კილო ხორცი.

ამავე დღეს, სადილზე პირველად გავსინჯეთ ჩილიკი. ჩილიკს ალთაელები წვივის ძვალს ეძახიან. ბარაჩაკმა გულდასმით გაასუფთავა წვივის ძვლები და შუა ცეცხლზე დააალაგა, იცინოდა — დელიკატესი უდა გაჭამოთო. გუნებაში ვიფიქრე, თუ ბარაჩაკის მიერ შემოთავაზებული ციყვივით რაღაც დელიკატესია, ღმერთს მადლობას მოვახსენებ-მეთქი. როცა ძვლებს მუქყავისფერი დაედო, მან ჯერ ეროი აიღო, სიგრძეზე დაჰკრა დანა და ძვალი სწორ ზოლად გაიხსნა სიგრძივ. ბარაჩაკმა ძვლის ერთი ნახევარი მოაცილა, მეორეზე ადუღებული, მოყავისფრო ტვინი იყო. მომაწოდა, გასინჯეო. ციმციმ გამოვართვი, ცოტაოდენი მარილი წავაყარე და ფრთხილად დავიწყე ჭამა. მართალი გითხრათ, ძნელია იმ სიამოვნების აღწერა, რაც მე განვიცადე. წარმოუდგენლად გემრიელი რამაა. ამავე დროს ძალზე ნოყიერია, ტყუილად ნუ იფიქრებს ვინმე, რაგინდ მშიერიც იყოს, ერთ ჩილიკზე მეტი შეჭამოს. კაცმა ეს რომ გაიგოს, თვითონ უნდა გასინჯოს ალთაელი მონადირის მიერ დამზადებული ჩილიკი.

კოლიას მიერ დაჭერილი თევზის დიდი ნაწილი უბრალოდ დავამარილეთ, დანარჩენი კი მზეზე გავკიდეთ გასახმობად.

ხორცს ალთაელები, ისევე როგორც სხვა მომთაბარენი, სხვადასხვანაირად ინახავენ, უფრო სწორად კი, იმის მიხედვით, რა პირობებშიც ხვდებიან და რა საშუალებებიც გააჩნიათ. თუ მაღალ მთებში არიან, სადაც მყინვარებია, ყინულში ინახავენ, თუ უფრო დაბლა — გამდინარე ყინულოვან წყალში დებენ. ჭინჭარში ახვევენ; დაამარილებენ და რაიმე ჭურჭელში დებენ, ამავე დროს ჭურჭელში მარილისაგან დაგროვილ სისხლსა და წვენს ხშირ-ხშირად გადაწურავენ ხოლმე.

ალთაელთა სუფრა არ გამოირჩევა კერძების მრავალფე-

როვნებით, ისევე, როგორც ყველა მომთაბარისა. ხორცი შემწვარი, ხორცი მოხარშული... უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ ბოსტნეული, ბაღჩეული მთიან ალთაის არ გააჩნია. არ არის არც ხილი... თუ არ ჩავთვლით ტყის ძირხვენებსა და კენკროვანებს, რისგანაც ისინი აკეთებენ წვენებს და მურაბებს.

ძირითადი საკვები ცხენისა და ცხვრის ხორცია, რის დამზადებასაც მართლაც და ოსტატურად არიან დაუფლებულნი. ცხვარს, მაგალითად, ხარშავენ ძალზე ცოტა წყალში და ძალზე დაბალ ცეცხლზე. ხარშავენ მთლიანად, თავფეხებიანად. ძალიან კარგად ასუფთავებენ და იმდენად დიდხანს ხაშავენ, რომ მე მეგონა, ხორცი ფლავივით აიზილება-მეთქი. მაგრამ, ნურას უკაცრავად! ქვაბიდან მოხარშულსა და შემწვარს შორის, მსგავსი, რაღაც უფრო ჩათუშული, მაგრამ ზომიერი სიმაგრის ხორცის ნაჭრებს ამოალაგებენ თეფშზე — ძალზე გემრიელს.

როდესაც ალთაელები სადღესასწაულო სუფრისთვის ემზადებიან, მაშინ, რაღა თქმა უნდა, დიასახლისები ცდილობენ მთელი თავიანთი ხელოვნება გამოაჩინონ. დიდ გობში დააგროვებენ დაკლული ცხვრის სისხლს, აურევენ შიგ რძეს, შეურევენ წვრილად დაჭრილ ხახვს, წიწაკას და შიგანაც ქონს. ყოველივე ამას ჩატენიან წინასწარ გამზადებულ გასუფთავებულ სწორ ნაწლავში, აქეთ-იქიდან თავს მოუკრავენ და ხარშავენ. ამის შემდეგ მიიტანენ სუფრაზე. ამ საჭმელს კან ჰქვია. რაც ალთაურად სისხლს ნიშნავს.

ცხვრის კუჭს კარგად გაასუფთავებენ. დაჭრიან წვრილ გრძელ ნაჭრებად შიგანის ქონსაც ასევე წვრილ მოგრძო ნაჭრებად დაჭრიან. კუჭისა და ქონის ნაჭრებს ერთმანეთს მიადებენ სიგრძეზე და ადრევე გამზადებული საგანგებოდ გარეცხილ-გასუფთავებულ წვრილი ნაწლავით ერთმანეთზე გადააწნავენ, შემდეგ დიდხანს ხარშავენ და ასე მოაქვთ სუფრაზე. ამ კერძს დაგომი ჰქვია.

ფრინველზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ალთაელი მონადირეები ხელს არ ისვრიან. ვაკკაცის საქმედ არ მიაჩნიათ მათზე ნადირობა და ამიტომ ფრინველის შეწვის ეს ხერხი, რომელსაც ეხლა მოგახსენებთ, ყირგიზებისგან აქვთ ნასწავ-

ლი: გაუპუტავ ფრინველს გაჭრიან მუცელზე, გამოშიგნავენ, ჩააყრიან მარილს, ამოკერავენ განაჭერს. ამის შემდეგ ფრინველს მთლიანად ამოავლებენ თიხაში და ნაღვერდალში ჩაფლავენ. როცა თიხა ცეცხლში გამაგრდება, გამოიღებენ და თიხას გატეხავენ. თიხასთან ერთად ფრინველს ბუმბულიც შემოეცლება. ძალიან ნაზი და გემრიელი გამოდის ასე შემწვარი ის ფრინველიც კი, რომელიც საერთოდ ცნობილია თავისი ხორცის სიმაგრით.

აცხობენ და ჭამენ ქერის პატარა ნამცხვრებს. ქერის ფქვილს მოზელენ რძეში, დაჭრიან და ამრგვალებენ როგორც საშუალო სიდიდის ბილიარდის ბურთებს და ყრიან უზარმაზარ ტაფაზე, რომელშიც დუღს ცხვრის ქონი. გარკვეული დროის შემდეგ ამოიღებენ ამ ოქროსფერ ბურთულებს და აცივებენ. მოგეხსენებათ, ცხვრის ქონის თვისება, იგი მალე ცივდება. აღნიშნული ნამცხვარი, რომელსაც ჰურის მაგივრად იყენებენ და აურსაკი ჰქვია, არ იყინება, არ ხმება და დიდხანს არ ობდება, გარდა ამისა, ძალზე ნოყიერი და მგზავრობაშიც ადვილი სატარებელია საგზლად.

რა არის ალთაელისათვის ჩაი? ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა, ანდა პირიქით. მათ ჩაის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ. მაგრამ ჩაი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მათ ძალზე გვიან გაიგეს. აი, რას ეძახიან ისინი ჩაის: ოქროს ფესვების, მარალის ფესვების, წითელი ფესვების და კიდევ მრავალი სამკურნალო მცენარის ნახარშს, წვენს.

რომელიმე ამ მცენარეს აადუღებენ ჩაიდანში, ან ქვაბში. ადუღების შემდეგ დაამატებენ მარილს გემოვნების მიხედვით და ცხიმს (კარაქს ან ცხვრის ქონს), რის შემდეგაც ისევ აადუღებენ — ესაა ჩაი, მაგრამ თუ ამას კიდევ მოხალული ქერისგან დანაყილ ღერღილსაც დაამატებენ, ამას უკვე ტალკანი ქვია. ეს ალთაელთა საყვარელი სასმელებია. რასაც ისინი ყოველივე სიკეთეს მიაწერენ, რაც კი შეიძლება ადამიანს მოუტანოს ყოვლისშემძლე წამალმა.

ისე კი, დღეს ალთაელთა უმრავლესობა ჩაის უშაქროდ, რძით სვამს.

დამეავებული რძისაგან, რომელსაც ჩეგენი ჰქვია, სპეცი-

ალური აპარატით ხდიან არაკას, რომლის გამოხდაზე და თვისებებზე აღარ შევჩერდები, რადგანაც დაწვრილებით გიამბეთ, კარანდაშოვების ოჯახში რომ გავსინჯეთ ის. აი, ამ არაკას გამოხდის შემდეგ დარჩენილ მასას კარგად გაწურავენ მარლის ქსოვილში, შემდეგ სქელ ფაფისებრ მასას დაჭრიან აბრეშუმის ძაფით და შუა ცეცხლზე სპეციალურ საბოლავებზე დაალაგებენ, სადაც ის ბოლში გამოდის და მაგრდება. შედეგ დანით სიშავეს გადაფხეკენ და ისე ჭამენ. ამას სირჩიკი ჰქვია.

მეორე დილით ადრე ავდექით. ცხენები მოვრეკეთ, ხორცით დატენილი არჩემაკები და ტანსაცმელ-აღჭურვილობა ავკიდეთ და ქვევით, სოფელ ინიასთან, ჩუის ტრაქტისაკენ დავეშვით.

გეგმით სოფელ ინიაში ვტოვებთ ხორცს, ვემშვიდობებით ჩვენს იქაურ მონადირეებს და ვალერის ამარა მანქანით ისევ ჩუის ტრაქტით კოშაგაჩისაკენ მივდივართ, რათა იქიდან ტეკებზე წავიდეთ სანადიროდ. ისე რომ, სოფელ ინიადან ზემოთ ვიჭერთ გეზს.

მაღალ, ფრიალო კლდოვან მთებშია განლაგებული პატარა სოფელი ედრო. მისგან რამდენიმე კილომეტრზე არის თეთრი ბომი. რევოლუციამდელ პერიოდში ჩუის სავაჭრო გზაზე ეს იყო ყველაზე ძნელი და სახიფათო ადგილი. აქ დასაპალნებული ალაგ-ალაგ ცხენებიც ვერ უვლიდნენ ერთმანეთს გვერდს. როცა ადამიანი ამ ვიწრო ადგილს უახლოვდებოდა, იძულებული იყო, გაეჩერებინა ცხენები, თვითონ კი წინ წასულიყო, ბილიკზე ქუდი დაედო და ასე გაეფრთხილებინა შემხდურნი.

სამოქალაქო ომისა და ბანდიტიზმთან ბრძოლების პერიოდში თეთრი ბომი ხშირად ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. აქ ჩასაფრებულ პატარა რაზმსაც კი შეეძლო მოწინააღმდეგის დიდი ძალა შეეჩერებინა. ახლა აქ აღმართულია საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან დაუნდობელ ბრძოლებში დაღუპულ წითელარმიელ პარტიზანთა ძეგლი.

გზის 442-ე კილომეტრზე მდებარეობს ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი სოფელი ჩიბიტი. ჩიბიტ ნიშნავს ნაძვს და, მართლაც, ნაძვნარშია ჩაფლული სოფელი, რომელიც

ზღვის დონიდან 1444 მეტრზეა. სოფელი, თურმე, რუსი მისიონერების მიერ არის დაარსებული XIX საუკუნის ოთხმოცდაან წლებში. აქ პირველი ჩუის მაზრის სამმართველო იყო. აქედან ხუთი კილომეტრის დაშორებითაა დიდი, კეთილმოწყობილი სოფელი აკტაში.

ამის შემდეგ გვხვდება სოფელი კურაი, რომელშიც მეორე ჩუის მაზრის სამმართველო არსებობდა. ამჟამად სოფელში სამი ათასამდე მოსახლეა.

შემდეგ ტრაქტი მიჰყვება კურაის ველს, რომელიც სულ მაღლა-მაღლა იწევს. შემდეგ ისევ პატარ-პატარა ტბებით დაფარული ველი იწყება და ზღვის დონიდან 1750 მეტრის სიმაღლეზე შევდივართ სოფელ კოშაგაჩში, რომელიც გასული საუკუნის ორმოცდაან წლებში დაარსებულა...

მანქანიდან გადმოსულებმა ბარგი-ბარხანა დავაბინავეთ, საშინაოდ გადავიცვით და ვახშამს შევუდექით.

* * *

მრეწველობის განვითარებასთან ერთად ალთაიში ნელ-ნელა წარმოიშვა მუშათა კლასი, მის საფუძველს წარმოადგენდა ყოფილი მაღაროები. მაღაროელთა უმრავლესობა ცენტრალური რუსეთიდან ჩასული ადგილობრივი გლეხები და ღატაკები იყვნენ. ალთაიში ძირითადად განვითარებული იყო ოქროს მოპოვება სადაც სამუშაო პირობები უკიდურესად მძიმე იყო. ცვლა 12 საათს გრძელდებოდა. შავი მუშა წელიწადში 54—60 მანეთს თუ გამოიმუშავებდა, ქარხნის ხელმძღვანელები ნიადაგ ატყუებდნენ მუშებს, მომატებულ ფასებში ასაღებდნენ მათთან პროდუქტებს და შინაგანაწესის უმნიშვნელო დარღვევისთვის ადებდნენ ფულად ჯარიმებს. სიბერის ან ხეიბრობის პენსიას ისინი არ ღებულობდნენ. ალთაის მუშები არაერთხელ გამოვიდნენ აშკარად მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაღაროელთა პირველი გამოსვლა მოხდა 1865 წელს ზემინოგორსკის მაღაროებში. 1880 წელს ბარნაულის, პავლოვსკისა და ლოკტევოს ვერცხლისსადნობ ქარხნებში მუშათა მღელვარება დაიწყო, რის შედეგადაც ბარნაულის მუშებმა ხელფასის მომატებას მიაღ-

წიეს. მაგრამ ყველაზე მინშვნელოვან მოვლენად იქცა ბისტრიანის ოქროს საბადოებზე 1894 წელს მომხდარი მღელვარება, რაც მუშებისადმი საბადოს ხელმძღვანელთა უხეშმა და დამამცირებელმა მოპყრობამ გამოიწვია.

1894 წლის 13 თებერვალს მუშები არ გამოვიდნენ სამუშაოდ. ვერც პოლიციამ, ვერც ჯარიმებმა და დაყვავებამ ვერ გატეხა მუშათა ნებისყოფა. ისინი მტკიცედ იცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს: გაეძევებინათ საბადოდან სამთო მუშაობის ზედამხედველი კავერინი, შეეჩერებინათ დღიური გამომუშავების ნორმის შემცირება. მუშები აგრეთვე პროტესტს აცხადებდნენ მუდმივი ჯარიმებისა და ანგარიშში მოტყუების გამო. მღელვარების აქტიურ მონაწილეთა შორის მოიხსენიება ალთაელი ალექსეი კარპოვი.

როცა პოლიციამ საბადოდან გაგდება დაუპირა, საბადოს მუშები ერთხმად აღდგნენ მის დასაცავად. უფრო გვიან მათ გაანთავისუფლეს კარპოვი პატიმრობიდან.

თითქმის მთელი თვე გრძელდებოდა მღელვარება. მიუხედავად იმისა, რომ 69 მუშა გააძევეს სამუშაოდან, შვიდს კი თითო წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ბისტრიანსკის საბადოს გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. მათი მოთხოვნის უმრავლესობა დააკმაყოფილეს. გაფიცვებიდან მიღებულმა გამოცდილებამ თვალნათლივ აჩვენა მუშებს, რომ მათ გაერთიანებული ძალით შეუძლიათ გამარჯვების მოპოვება.

XIX საუკუნის დასასრულს მთიან ალთაიში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, საგრძნობლად გაიზარდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელი. რომ უზრუნველეყოთ თავიანთი თავი ადგილობრივი კადრებით, მისიონერები, ხსნიდნენ მისიონერულ სკოლებს. 1897 წელს მთიან ალთაიში 25 სასულიერო სამრევლო სკოლა იყო, რომლებშიც 474 ბიჭუნა და 166 გოგონა სწავლობდა. მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში, რადგან მსურველი გაცილებით მეტი იყო. სასკოლო ასაკის ბავშვთა უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ხვდებოდა სკოლებში.

ამას გარდა, ყველა სკოლა მოთავსებული იყო შეუფერებელ კეთილმოუწყობელ შენობებში, არ ყოფნიდათ სა-

ხელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვა სასკოლო ნივთები. მაგალითად, კებუზენის სკოლა სამლოცველოში იყო, ტუროჩანსკისა — გლეხის დაქირავებულ ქოხში. ბევრ სკოლას სჭირდებოდა შეკეთება, მაგრამ მისთვის არ იყო თანხები, მისიას კი ეს ამბავი სრულიადაც არ აწუხებდა. ხოლო რუს გლეხთა სოფლებში დაარსებული სკოლები ისეთ სოფლებში, როგორიცაა ჩერგა, კამლაკი, შებალინო, საერთოდ, სოფლის საზოგადოებისა და მზრუნველთა ხარჯზე არსებობდა. სკოლებში ძალზე დაბალი განათლების მასწავლებლები ასწავლიდნენ. განსაკუთრებით ძნელი მდგომარეობა იყო ამ მხრივ იმ სკოლებში, სადაც სოფლის საზოგადოებისა და კერძო მზრუნველთა ხარჯზე არსებობდნენ. ხშირად იქ სავსებით შემთხვევითი ხალხი მუშაობდა. მაგალითად, ჩერგას სკოლაში 1897 წელს მასწავლებლობდა „თადარიგის ეფრეიტორი კასატორბოკოვი, რომელსაც ოდესღაც უსწავლია სკოლაში", შებალინოში — „საქალაქო სასწავლებლის მეორე კლასიდან გარიცხული" — ბიისკელი ანდრეი რუდენკოვი, ხოლო კამლაკის სკოლაში მასწავლებლად იყო „სალდათის შვილი ექვთიმე იაჩმენოვი, რომელმაც ერთი წელი ისწავლა მისიონერთა სკოლაში".

მაგრამ იყვნენ მასწავლებლები, რომლებსაც იმ დროის კვალობაზე კარგი განათლება ჰქონდათ მიღებული. ესენი იყვნენ: ყაზანის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები: მიხეილ ტაშკინოვი, სტეფანე ტოდოგოშევი და ივანე შტიგაშევი, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა შეეტანათ მოიმთაბარე ალთაელთა საზოგადოებაში კულტურა და განათლება. მაგრამ ეს ყლორტები სულ მუდამ იწამლებოდა რუსიფიკატორული კოლონიური პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო მშრომელი მასების გათიშვისკენ, რათა ისინი ბოლომდე გაუნათლებელნი და უვიცნი ყოფილიყვნენ, — ამით უფრო იოლი იქნებოდა თვითმპყრობელობის შენარჩუნება.

მეფის მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობდა ალთაელი ხალხის კულტურულ განვითარებაზე. რუსეთის შემადგენლობაში თითქმის მთელი საუკუნენახევრის მანძილზე ყოფნის პერიოდში მთიან ალთაიში ოციოდე სკოლა აშენდა, ისიც

ძირითადად ბაიებისა და ზაისანთა ბავშვებისთვის. სოლო ალთაის მშრომელთა ფართო მასებს თავიანთი ბავშვების სკოლაში სწავლაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ. სასულიერო მისიის მიერ რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ალთაური დამწერლობა ბაიების წრეებიდან გამოსული ალთაელი ინტელიგენციის უმნიშვნელო ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ალთაური დამწერლობის შექმნა დიდი მოვლენა იყო.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე, როგორც ითქვა, მთიანი ალთაი წარმოადგენდა მეფის რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ განაპირა მხარეს. ადმინისტრაციულად იგი ტომსკის გუბერნიის ბიისკის მაზრაში შედიოდა, ხოლო 1917 წლის ივნისიდან — ახლად შექმნილი ალთაის გუბერნიაში. 1914 წლის ცნობებით ამ ტერიტორიაზე 86 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. მათ შორის 47 ათასი ალთაელი იყო.

1916 წელს ახლანდელი მთიანი ალთაის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებობდა 25 კუსტარული ყველკარაქის ქარხანა, რომლის პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 20—25 ათას მანეთს უდრიდა. იყო რამდენიმე ტყავის ქარხანა, სამჭედლო, საკასრო სახელოსნოები, წისქვილები და ფეტვის საცეხვები.

რძის პროდუქციის, ტყავის, მატყლის გადამმუშავებელ საწარმოებში ულალას და მთელ რიგ ჩამოსახლებულ პუნქტებში, ტყის დამზადებისა და კედარის კაკლის შეგროვების დროებით საწარმოებში მუშაობდა მუშების უმნიშვნელო რაოდენობა, ისიც სეზონურ სამუშაოებზე.

უკიდურესად ჩამორჩენილი იყო სოფლის მეურნეობა. მთიანი ალთაის მთელი მიწები და ტყეები, ისე როგორც მთელი ალთაის მხარისა, მეფის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა და ეწოდებოდა „საკაბინეტო“.[1]

მომთაბარე მეცხოველეობა, რომელიც ალთაელი ხალხის ძირითად მეურნეობას წარმოადგენდა, ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა. ადგილობრივი მოსახლეობა მეცხენეობას, მსხვილ-

---

[1] ანუ იმყოფებოდა „მისი უდიდებულესობის კაბინეტის“ განკარგულებაში.

ფეხა რქოსან მესაქონლეობას, მეცხოველეობას, მეთხეობას, ნაწილობრივ მეიაკეობას და აქლემების მოშენებას მისდევდა. საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მუდმივი ცვლა განაპირობებდა იმას, რომ საქონელი სულ მუდამ ხელით კვებაზე ჰყავდათ და ამიტომ მათი პროდუქტიულობა ძალზე დაბალი იყო. ძროხა სალაქტაციო პერიოდში 350—700 ლიტრამდე რძეს იწველიდა, ხოლო უჯიშო ცხვრები უმნიშვნელო რაოდენობის მატყლსა და ხორცს იძლეოდა.

ვაჭრობისა და ადგილობრივი ბაზრის განვითარება შლიდა ალთაელთა ნატურალურ მეურნეობას და ხელს უწყობდა მის ნელ-ნელა სავაჭრო მეურნეობად გადაქცევას. ალთაის მოსახლეობა, მართალია, მისი პატარა ნაწილი, მაგრამ მაინც გადადიოდა ბინადრობასა და მიწათმოქმედებაზე. რუსი გლეხების ჩასახლებით მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა. 1917 წლისათვის მთიანი ალთაი იქცა შერეული ეროვნული შემადგენლობის რაიონად, რომელშიც ცხოვრობდნენ ძირითადად ალთაელები, რუსები და, ნაწილობრივ, ყაზახები.

როგორც ალთაელთა, ასევე რუსულ და შერეულ დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობა გონებრივად და კლასობრივად დიფერენცირებული და მეტ-ნაკლებად გაპარტახებული იყო.

ალთაელები პოლიტიკურად უუფლებონი და ჩამორჩენილები იყვნენ. ისინი ორმხრივ ჩაგვრას — სოციალურსა და ეროვნულს განიცდიდნენ. ცარიზმის პოლიტიკა ალთაელების, ისევე როგორც ყველა არარუსი ხალხების მიმართ, იმაში მდგომარეობდა, რომ ძირფესვიანად მოესპოთ მათი სახელმწიფოებრიობის საწყისებიც კი, ყველანაირად შეეჩერებინათ ეროვნული კონსოლიდაცია, ეროვნული კულტურის განვითარება, ჰყოლოდა მასები სიბნელეში. ყოველი 100 ალთაელიდან 97 წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

თუ მთიანი ალთაის ბაიებსა და ზაისანებს ათასობით ცხენის რემები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათეულ ათასობით ცხვრისა და თხის ფარები და ათასობით დესეტინა საუკეთესო მიწები და ტყეები ეკავათ, გლეხობა შიმში-

ლით სულს ღაფავდა და ყოველდღიურად სარჩოს რის ვაივაგლახით შოულობდა.

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში განაპირა ერების ჩაგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა. რუსეთის მზარდი რევოლუციური მოძრაობა დიდ გავლენას ახდენდა ამ ხალხებზე, მათ რიცხვში მთიან ალთაელებზეც. კოლონიალური ჩაგვრის შედეგად 1916 წელს იფეთქა სახალხო ამბოხებამ, რომელიც მოედო ახლანდელი კოშ-აგაჩის, უსტ-კანის, უსტ-კოკსის, ონგუდაის რაიონების მოსახლეობას, ამბოხების მიზეზად იქცა მეფის მთავრობის მიერ მოქმედი არმიის ზურგში სამუშაოებისათვის ალთაელებისა და ყაზახების მობილიზაციის გამოცხადება, რომლებიც აქამდე მეფის მოხელეებს ჯარში საერთოდ არ მიჰყავდათ.

აი რას სწერს ბიისკის სამაზროს პოლიციის უფროსი გუბერნატორის სახელზე დაწერილ პატაკში: „მოქმედი არმიის ზურგში სამუშაოდ არარუსების რეკვიზიის გამოცხადებასთან დაკავშირებით პირველი მღელვარება კოშ-აგაჩ ს მიდამოებსა და სასაზღვრო ზოლში დასახლებულ ყირგიზებს (ყაზახებს) და ტელენგიტებს შორის შეიმჩნეოდა. ამასთან ერთად, ყირგიზების ნაწილი გარბოდა უცხოეთში მონღოლეთის საზღვრებს მიღმა. აგვისტოს თვის დასაწყისში არაროსების მოგროვებისა და შემოწმების დროს მნიშვნელოვანი მღელვარება დაიწყო, მათ შორის უსტ-კანსკის თემის, სოფელ ტანგისა და ურსულის შესაკრებ პუნქტებში“. ეთნოგრაფი ა. გ. დანილინი კი 1916 წლის ამბოხებას ასე აღწერს:

„...აილში შეკრებილი ტეპკინა ბილკეშას მოჯამაგირეებმა გადაწყვიტეს: უნდა აღვდგეთ. ჩვენი ლიტოვკა (ცელი) ხმალზე ბასრია, უნდა ვიბრძოლოთ. ბაი სეტუი ოიენოვის მოჯამაგირე მოხუცი კულჩიბაი ჩანიშევი, რომლის შვილიც წვევანდელი იყო, პროტესტს აცხადებდა და ეჰყვიროდა: „უნდა ლიტოვკები ავიღოთ“. ყველანი განწყობილი იყვნენ მობილიზაციის წინააღმდეგ. უსტ-კანისა და უიმონის სოფლების მეამბოხეებმა შექმნეს ბირთვი, რომლებსაც შემდეგ ონგუდაელებიც შეუერთდნენ.

ქვების სეტყვით შეხვდნენ მაცნეებსა და შემდეგ ამ-

სულ სამხედრო პირებს მეამბოხენი. გაწვევა დროებით შეჩერდა.

ამბოხების ჩასაქრობად და მონღოლეთში გადახვეწილთა დასაბრუნებლად მეფის მთავრობამ კაზაკთა დამსჯელი საკმაოდ დიდი რაზმი გაგზავნა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

მეფის მთავრობის სასტიკი რეპრესიების წყალობით ამბოხება ჩააქრეს, მაგრამ უკმაყოფილება მასებში სულ უფრო იზრდებოდა".

1917 წლის თებერვალს პეტროგრადში მეფე გადმოაგდეს. რუსეთში გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელიც მუშათა კლასისა და მისი ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით მშრომელთა მასების თავგანწირული ბრძოლის შედეგად იყო მოპოვებული. რევოლუცია მუშებმა და ჯარისკაცებმა მოახდინეს, მაგრამ ძალაუფლება ბურჟუაზიას ერგო.

დედაქალქში ძალაუფლება დროებითი მთავრობის — ბურჟუაზიისა და ბურჟუაზებულ თავად-აზნაურთა ხელში აღმოჩნდა. მაგრამ ამავე დროს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახით ძალაუფლება გადაეცა საბჭოებს, რომელიც მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის საწყისი ორგანო იყო. ამრიგად, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა წარმოიშვა. ანალოგიური პროცესი ხდებოდა მთელ ქვეყანაში და მათ შორის მთიან ალთაიშიც.

პეტროგრადიდან სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტის გამო ცარიზმის დამხობის ამბავი ქ. ბარნაულში მხოლოდ 1917 წლის 2 მარტს შეიტყვეს, მაგრამ ადგილობრივი მთავრობა ორი დღის განმავლობაში შეგნებულად უმალავდა ამას ხალხს. ქ. ბარნაულში 1917 წლის 4 მარტს შეიქმნა ახალი ბურჟუაზიული მთავრობა — „საზოგადოებრივი წესრიგის კომიტეტი", რომელსაც დაექვემდებარა მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია.

მეორე დღეს შეიქმნა მშრომელთა დეპუტატების საერთო საქალაქო საბჭო, დეპუტატებმა აირჩიეს საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც დაევალა მოკლე დროში დაემთავ-

რებინა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების გაერთიანებული საბჭოს შესაქმნელი სამუშაოების დამთავრება.

7 მარტს ბარნაულის გარნიზონის დელეგატთა კრებაზე შეიქმნა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და აირჩიეს ათასეულების, პოლკების, გარნიზონების ჯარისკაცთა კომიტეტები.

ქ. ბარნაულის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში უმრავლესობა მენშევიკები და ესერები აღმოჩნდნენ. მათვე განსაზღვრეს თებერვლის რევოლუციის პიველ თვეებში ალთაიში საბჭოების პოლიტიკური იერსახე.

1917 წლის 12 მარტს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი შეიქმნა სოფელ ონგუდაიში, მასში შევიდნენ სოფლის მცხოვრებთა რუსი და ალთაელი წარმომადგენლები.

ასეთივე აღმასრულებელი კომიტეტები შეიქმნა ოლქის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

ამ კომიტეტების ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები, როგორც წესი, იყვნენ ადგილობრივ მდიდართა ფენა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომლებიც ძირითადად არსებულ შეხედულებებს იზიარებდნენ.

* * *

კოშ-აგაჩი მთიანი ალთაის ყველაზე მაღალმთიანი რაიონული ცენტრია. სიტყვა კოშ-აგაჩი ტყის საფარს ნიშნავს, მაგრამ, სამწუხაროდ, თვალსაწიერზე ერთ ხეს ვერ დაინახავს ადამიანი. აქ მხოლოდ ბალახია და ისიც წლის არცერთ დროს არაა მთლად მწვანე. ამიტომაა, რომ ალთაის მხარის ბარიდან აყვანილი საქონელიც ვერა ძლებს აქ. მხოლოდ მთის განსაკუთრებული ჯიშის ცხვარი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და ცხენები ძლებენ. და არა მარტო ძლებენ, იქაურ ცხვარს არაჩვეულებრივად მსუქანი, გემრიელი, სხვა ცხვრისაგან განსხვავებით უსუნო ხორცი აქვს, ხოლო ძროხას, ბარის ძროხასთან შედარებით, უფრო ცხიმიანი რძე და ხორცი.

ამჯერად ვალერი ჩაპტინოვი ამ რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივნის რანგში დაგვხვდა. სამნი ვართ ჩასუ-

ლები — მე, რეზო სალუქვაძე და სოსო ბაბუაძე. რეზო სალუქვაძე აგრონომია და თავისი ცოდნა-გამოცდილება არც იქ დაიშურა. ონგუდაი კოშ-აგაჩის გზაზე სოფელ ინიასთან საოცარი მიკროკლიმატია. დაახლოებით სამოც ჰექტარ ფართობზე შრომისმოყვარე, ხილს მონატრებულ ხალხს ბაღი გაუშენებია. რეზომ, რომელსაც ადრე ნანახი ჰქონდა ეს ბაღი და აღფრთოვანებულიც დარჩა ვაშლის. მსხლის და ქლიავის ჯიშების მრავალფეროვნებით, ადრეული ჯიშის ვაზის ნერგები ჩამოუტანა მთავარ აგრონომს, აუხსნა რა სიმაღლეზე უნდა გაეთხარათ ტრანშეები, ერთმანეთისაგან რა მანძილით უნდა დაერგოთ ყოველი ნერგი და ზამთარში როგორ და რით უნდა დაეფარათ ყინვისგან. სტუმრები და მასპინძლები ოცნებებში დავიძირეთ. წარმოვიდგინეთ მთიანი ალთაის ამ პატარა ბაღში მოყვანილი ყურძენი და ყველანი ისეთ გუნებაზე დავდექით, თითქოს უკვე მტევნები ხელში გვჭეროდეს. არადა, მთიანი ალთაის კოშ-აგაჩის რაიონში ხილზე ვინ იოცნებებს, როცა ყოველგვარი ბოსტნეული და ბაღჩეული შემოტანილია. ალთაელ ხალხს შველის უამრავი ძირხვენა და კენკროვანი მცენარე, რომლებითაც სავსეა მათი ტყეები — წითელი და შავი მოცხარი, ჟოლო, წითელი მოცვი, ცირცელი, შტოში, ქაცვი. ალთაელთა ძირითადი საკვები ხორცია. ხორცი შემწვარი ან მოხარშული. ალთაელ ბავშვს, თურმე, კომბოსტო მისცეს და უთხრეს, ჭამეო. ბავშვმა გულმოდგინედ შემოაცალა ყველა ფოთოლი კომბოსტოს მოზრდილ თავს და რომ აღარაფერი დარჩა, იკითხა, რა ვჭამო, როცა აქ არაფერიაო? (არაფერში აქ ხორცი იგულისხმება): ადვილად წარმოსადგენია ასეთ ადგილზე რას ნიშნავს საკუთარი ყურძნის მოყვანის პერსპექტივა, ვნახოთ, ჩვენც მოუთმენლად ველით პირველ მოსავალს. რეზო წერილებით რჩევა-დარიგებებს არ აკლებს იქაურ კოლეგებს და ისინიც ყველაფერს დაწვრილებით ატყობინებენ.

ამჯერად ბარაჩაკი და ტე-ტეტკე აღარ არიან ჩვენთან. ბადრობას ვალოდია ციგანკოვი — რაიონის მთავარი ეგერი ხელმძღვანელობს. გეზი ელდუგენის მთისკენ გვაქვს აღებული.

ცხენებით საათნახევრიანი მგზავრობის შემდეგ პირველი უღელტეხილის თავზე მოვექეცით და როგორც წესი, დავილოცეთ, უღელტეხილის გადალახვისა შევსვით. შესანიშნავი ამინდია. ჩვენს თვალწინ ულამაზესი ხეობაა გადაშლილი. ბარე სამი-ოთხი ასეთი უღელტეხილი გვაქვს გადასასვლელი, ახლა ხომ ტეკებზე მივდივართ სანადიროდ. ტეკები კი მიუვალ კლდოვან ადგილებში — მყინვარებშია სექტემბრის თვეში. დიახ, მიუვალ მყინვარებში, მხოლოდ ვაცები, თხები და შუნები არიან დაბლა, კარგ საბალახოებზე. ვაცები ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, როგორც უკვე მოგახსენეთ, მყინვარებში ძალზე ცოტა საკვებს იღებენ, წონაში იკლებენ, ბევრს მოძრაობენ, ერთმანეთს ეჭიდავებიან, თავბრუდამხვევ ნაპრალებში დარბიან და ხტუნაობენ.

ოქტომბრის შუა რიცხვებში კი ჩამოდიან ქვემოთ და ყოველი მდედრი თხის დასასაკუთრებლად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აჩაღებენ ერთმანეთში. ამ ბრძოლებში გამარჯვებულს — ძლიერს საკმაოდ მრავალრიცხოვანი „ჰარემი“ ჰყავს.

ყველანი კარგ გუნებაზე ვართ. ცხენებიც ხალისიანად მიიწევენ მთისკენ.

შესალამოვდა, მწყემსების ნაბინავარს მივაღწიეთ. აქ, ორი პატარა მდინარის შესაყართან, კედრების ტყეში, პატარა მოედანია. მდინარეთა შესაყარს ქვემოთ რამდენიმე მორევია სანამ ბარგს ვხსნიდით, ცხენებს და შეშას ვიმარაგებდით, კოლია ალჩუბაევმა დამიძახა და მორევში ჩამახედა. კამკამა წყალში ცისარტყელებივით ელავდნენ წითელხალიანი კალმახები. ერთი და იმავე მორევს სამჯერ ესროლა ბადე რეზო სალუქვაძემ და ორმოცდაექვსი ცალი კალმახი ამოიყვანა. იქვე გავასუფთავეთ, შევაზავეთ აჯიკით, ფოლგაში შევახვიეთ და ნაკვერჩხლებზე დავდეთ. ვახშმად სხვას არაფერს წაკარებია ვინმე.

ჩვენი მასპინძლები სასროლმა ბადემ გააოცა — ასეთი რამ მათ პირველად ნახეს, ჩვენც, რაღა თქმა უნდა, კოშაგაჩში რომ დავბრუნდით, ვალერის დავუტოვეთ საჩუქრად.

* * *

1917 წლის 9 მაისს ვაჭარი და ყველკარაქქარხნის მეპატრონე ალთაელი ტობოკოვი ქ. ტომსკში ცნობილ ციმბირელ ობლასტნიკ გ. ნ. პოტანინისა და ალთაელ მხატვარ გ. ი. გურკინისადმი გაგზავნილ ტელეგრამაში სურვილს აცხადებდა 1 ივნისს მოეწვიათ ბიისკის მაზრის არარუსი.. ყრილობა მათი ინტერესების განსახილველად.

1918 წლის 12 მარტს სოფელ ულალაში გაიმართა მთიანი ალთაის სამხარეო დამფუძნებელი ყრილობა, სადაც დელეგატთა შორის იყვნენ ალთაის ყველაზე მსხვილი ბაი-ები, თეთრი ბანდების მომავალი ხელმძღვანელები, რუსი კულაკები.

ყრილობამ გადაწყვიტა გამოეყო ალთაის მთიანი მხარე განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად — ყარაყორუმ-ალთაის ოკრუგად და აირჩია აღმასრულებელი ორგანო — ყარაყორუმ-ალთაის საოკრუგო გამგეობა გ. ი. გურკინის თავმჯდომარეობით.

ამრიგად, ალთაიში საბჭოების საწინააღმდეგოდ შეიქმნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანო.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ყარაყორუმის ნაციონალური გვარდიის შექმნის შესახებ — „ატამანის“ მეთაურობით, რომელიც უფრო გვიან, სამხედრო ავანტურისტების, ჯალათების, სატუნინის და კაიგოროდოვის ბანდების მსგავსად, შეიარაღებულ ბანდად იქცა.

აღნიშნული ყრილობა იყო გაგრძელება 1917 წლის 1 — 6 ივლისს ბიისკში ჩატარებული ყრილობისა, რომელზეც ესერებისა და ნაციონალისტების მიერ ძირითად საკითხებად გამოყოფილი იყო არარუსი ადგილობრივი მოსახლეობის თვითმმართველობა, რომელსაც მათ შეარქვეს — „ალთაის მთის სათათბირო“.

მიწის შესახებ ყრილობამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

„1. მთიან ალთაიში მდებარე მთელი ყოფილი საკაბინეტო, სამონასტრო და სათადარიგო სამრევლო მიწები, ტყეები ხელშეუვლად უნდა გადაეცეს ალთაის არარუს მოსახლეობას.

2. რუსი მოსახლეობა უნდა დარჩეს იმ მიწებზე, რომლებიც მათ მიიღეს მიწათმოწყობის დროს...

3. მიწებზე საარენდო ხელშეკრულებები უნდა მოისპოს.

4. მიწით სარგებლობის ფორმა უნდა იყოს თემური.

5. მიწის წიაღისეულის დამუშავება არ უნდა დაუშვათ მთის სათათბიროსთან შეუთანხმებლად.

6. რჩება სარგებლიანი ადგილების გამოყენების ძველებური წესი...“

აქედან ჩანს, რომ ალთაის მთის სათათბირო თემური მიწათმფლობელობის მომხრე იყო, ეს კი მსხვილი ბაიების — მესაქონლეების ინტერესებიდან გამომდინარეობდა, იმ ბაიებისა, რომელთა უზარმაზარ ფარებს ეკავა მთელი მთიანი ალთაის ყველაზე საუკეთესო საძოვრები. კრძალავდა რა რუს ღატაკთა ჩამოსახლებას (მიუწერელ მოსახლეობას), სათათბირო ხარკს იხდიდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინაშე. აგრარული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სავსებით აკმაყოფილებდა ბაიების ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ მთიანი ალთაის ბაიები და კულაკები არა მარტო მხარს უჭერდნენ, არამედ მატერიალურ დახმარებასაც უწევდნენ მათ.

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა შეიარაღებული აჯანყების შედეგად მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა დაამხეს და დედაქალაქში სახელმწიფო ძალაუფლება რევოლუციური კომიტეტის — პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის მომწიფების პროცესი მთელი რუსეთისათვის ერთიანი იყო, ქვეყნის ცალკეულ და ეროვნულ განაპირა რაიონებში იგი მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამოირჩეოდა. ეს ისევე, როგორც მთელი ციმბირისათვის, დამახასიათებელი იყო ალთაისთვისაც.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ მთიან ალთაიში ჯერ კიდევ ძლიერი იყო პატრიარქალურ-ფეოდა-

ლური გადმონაშთები. „გორნოდუმცები“, რომლებიც ეფარებოდნენ პოპულარულ ლოზუნგს — ერთა თვითგამორკვევის უფლებას, გულმოდგინედ ნიღბავდნენ თავიანთ კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტურ მისწრაფებებს. ისინი ცდილობდნენ თვით დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ფაქტიც კი დაემალათ მშრომელებისათვის.

მთიან ალთაიში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგუბერნიო და სამაზრო ცენტრებში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას.

მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ალთაის მშრომელთა მასები დარწმუნდნენ დროებითი მთავრობის უნიადაგობასა და კონტრრევოლუციურ არსში, ბევრს ჯერ კიდევ შემორჩენოდა ილუზიები დამფუძნებელი კრების მიმართ. დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა ორ ბანაკს შორის. მენშევიკებმა და ესერებმა მიაღწიეს იმას, რომ ბიისკის საბჭომ უარი განაცხადა ეცნო პეტროგრადში ოქტომბრის აჯანყების შედეგად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება.

1917 წლის 10 დეკემბერს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ბიისკის დეპუტატთა საბჭოზე ხელახლა განიხილეს ხელისუფლების საკითხი.

კენჭის საყრელად მიიღეს ორი რეზოლუცია — ერთი ბოლშევიკ ი. ა. ტურუსოვისა, რომელმაც წამოაყენა წინადადება — მთელი ხელისუფლების მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ. და, მეორე, ესერი ჩუმიჩევისა, რომელმაც მოითხოვა საკითხის გადასაწყვეტად დალოდებოდნენ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებას. ტურუსოვის რეზოლუციის მხარი დაუჭირა 32-მა დეპუტატმა, 31-ის წინააღმდეგ, 9 დეპუტატმა თავი შეიკავა. ჩუმიჩევის რეზოლუციას მხარი დაუჭირა 43-მა დეპუტატმა 24-ის წინააღმდეგ, ხოლო 5-მა დეპუტატმა თავი შეიკავა.

1917 წლის 13 დეკემბერს საბჭოს საერთო კრებაზე ბოლშევიკებმა ერთხელ კიდევ გააკრიტიკეს ესერ-მენშევიკების საბოტაჟური მოქმედება და დემონსტრატიულად დატოვეს კრება.

ქ. ბიისკში ხელისუფლების საბჭოების ხელში გადას-

ბლის შემდეგ დაიწყო მაზრის სოფლების გასაბჭოება. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო შებალინო.

საბჭოების შემადგენლობაში ყოველნაირად ცდილობდნენ მოტყუებით გამძვრალიყვნენ სპეკულანტები, რეაქციული თავადაზნაურობის ნაშიერნი, მეფისდროინდელი ოფიცრები და სხვა ჯურის საეჭვო ელემენტები, რომლებიც ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ.

ძველი სახელმწიფო აპარატის ნგრევა და ახლის შექმნა მთიან ალთაიში ძალზე რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რასაც მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა „გორნოდუბ-ცების“ ანტისაბჭოური საქმიანობა. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ალთაელები, რომ არავითარი ცვლილებები არ მომხდარა და ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლა დროებით ხასიათს ატარებდა და ა. შ.

ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად მთიან ალთაიში იქმნებოდა წითელგვარდიელთა რაზმები ღარიბი და საშუალო ფენების მოსახლეობიდან. მთიან ალთაიში ერთ-ერთი პირველი სასოფლო წითელგვარდიელთა რაზმი იყო სოფელ შებალინოში. ამ რაზმში ჯერ 20 წევრი გაერთიანდა, მერმე კი მისი შემადგენლობა 260-მდე გაიზარდა.

1918 წლის მაისში სოფელ ალთაისკში შეიქმნა წითელგვარდიელთა რაზმი, რომელშიც 50 კაცი შედიოდა. ეს რაზმი შემდეგ პლეტნიოვის რაზმს შეუერთდა და „თეთრჩეხებთან“ ბრძოლებში მონაწილეობდა.

არყის გამოხდასთან და სპეკულაციასთან გადამწყვეტი ბრძოლა, ცენტრალური ორგანოებისადმი ფართო დახმარება სურსათის დამზადების საქმეში, სოფლის ბურჟუაზიისა და სხვა უცხო ელემენტების წინააღმდეგ წითელ გვარდიის ორგანიზება, სამეურნეო-ფინანსური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებების განხორციელება, ყოველივე ეს, ისე როგორც სხვა საკითხები, წყდებოდა მთიანი ალთაის გლეხთა საბჭოების დიდი უმრავლესობით ისე, როგორც მოითხოვდა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

1918 წლის გაზაფხულისათვის კულაკურმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ელემენტებმა გააძლიერეს წინა-

აღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ვლინდებოდა ყარა-ყორუმთა გამგეობის კონტრრევოლუციურ საქმიანობაშიც, რომელიც უაღრესად გააქტიურდა 1918 წლის გაზაფხულზე.

ყარა-ყორუმთა გამგეობა უკიდურესად მტრულად დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლებას სურსათის დამზადების საქმეში. 1918 წლის მაისის შუა რიცხვებში, როცა სოფელ ტარხანიში ჩავიდა წითელგვარდიელთა ოცკაციანი რაზმი პურის აღსარიცხავად, მათ წინააღმდეგ სოფელ ულალადან სწრაფად დაიძრა ყარა-ყორუმელთა შეიარაღებული რაზმი, რომელმაც ვერაგული თავდასხმით მთლიანად გაწყვიტა წითელგვარდიელები. ბიისკის საბჭო იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ გაეგზავნა სოფელ ბერიოზოვკა-ტარხანიში წითელგვარდიელთა დიდი რაზმი, რომელმაც წესრიგი დაამყარა. ყარა-ყორუმელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. თავს ესხმოდნენ სოფლებს და ხოცავდნენ სოფლის საბჭოების მუშაკებს. მდგომარეობა დღითიდღე მწვავდებოდა.

ყარა-ყორუმელთა კონტრრევოლუციური გამგეობის ანტისაბჭოთა საქმიანობას მხარს უჭერდნენ რუსი ვაჭრები, კულაკები და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტები.

მცირერიცხოვან წითელგვარდიელ რაზმებს ძალა არ ეყოთ შეეჩერებინათ კონტრრევოლუცია. ისევე, როგორც მთელ ციმბირში, საბჭოთა ხელისუფლებამ მთიან ალთაიშიც დროებითი მარცხი განიცადა. დადგა შავი რეაქციის ხანა. თეთრგვარდიელი ყარა-ყორუმელები და კულაკები დაუნდობლად უსწორდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მშენებლებს.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღეებიდან იმპერიალისტური ქვეყნების მმართველთა წრეებმა დაიწყეს სამხედრო ინტერვენციის მზადება საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სამხედრო ინტერვენციასთან ერთად იმპერიალისტებმა საბჭოთა ქვეყანაში ჩეხოსლოვაკთა კორპუსის ამბოხება მოაწყვეს.

ჩეხი და სლოვაკი ტყვეებისაგან შემდგარი კორპუსის

ფორმირება ანტანტის დახმარებით ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაიწყო იმ მიზნით, რომ ის გერმანიასთან ომში გამოეყენებინათ. 1918 წლის მარტში საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა კორპუსი ვლადივოსტოკის პორტიდან წასულიყო საფრანგეთში. როცა ჩეხოსლოვაკთა ეშელონები გაიწელა პენზიდან ვლადივოსტოკამდე, მათ ამბოხება დაიწყეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრე რუსეთის ტყვეობაში მყოფი ბევრი ჩეხი და სლოვაკი სამხედრო პირი საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იბრძოდა. 200 ათასი სამხედრო ტყვეთაგან ამბოხებაში 60 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობდა.

სამხედრო ინტერვენციამ და „თეთრჩეხთა" ამბოხებამ, რომელიც 1918 წლის 25 მაისს დაიწყო, ბიძგი მისცა ციმბირის, ურალისა და ვოლგისპირეთის კულაკთა აჯანყებას.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია რომ არა, საბჭოთა ხელისუფლება სწრაფად მოუღებდა ბოლოს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ამბოხებებს.

ნოვონიკოლაევსკიდან ბარნაულისკენ მომავალი მტრის წინააღმდეგ პირველი წავიდა ბარნაულის წითელი გვარდია, ინტერნაციონალისტ-მადიართა ათასეული და ბიისკის წითელგვარდიელთა რაზმი. ალთაელ წითელგვარდიელთა მცირერიცხოვან იბრძოდნენ სემიპალატინსკის, ნოვონიკოლაევსკისა და მთიანი ალთაის წითელგვარდიელთა რაზმები, მაგრამ ეს საკმაო არ იყო. კონტრრევოლუციონერებმა ზეიმზედ აიღეს ნოვონიკოლაევსკი (ახლანდელი ნოვოსიბირსკი), ჩერეპანოვო, კამენი და ბარნაული.

თეთრგვარდიელთა აგენტებმა, რომლებიც ყარა-ყორუმის გამგეობის კანცელარიაში აფარებდნენ თავს, ჩეხოსლოვაკთა კორპუსის წარმატებებით აღფრთოვანებულებმა სოფელ ულალაში შექმნეს ეგრეთწოდებული „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი", რომელიც უშუალოდ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა.

ყარა-ყორუმელთა ამბოხებას მხარი დაუჭირეს ბაებმა, რუსმა ვაჭრებმა, კულაკებმა, ესერებმა. უკანასკნელთა დახმარებით ყარა-ყორუმელთა რაზმმა აიღო სოფელი ალთაისკოე. ადგილობრივი საბჭო დაარბიეს, მისი წევრები შეიპ-

ყრეს. ამბოხების ჩასაქრობად ბიისკის საბჭომ მიავლინა ვ. ი. პლეტნიოვის წითელგვარდიელთა რაზმი. კონტრრევოლუციური ამბოხება ლიკვიდირებულ იქნა.

ალთაისკიდან პლეტნიოვის რაზმი ულალასაკენ აპირებდა დაძვრას, როცა მიიღეს ცნობა, რომ თეთრებმა ბიისკი დაიკავეს. რაზმი სოფელ შებალინოში გადავიდა და გამაგრდა, მაგრამ მალე მას ალყა შემოარტყეს. სამხრეთიდან — კოშ-აგაჩიდან მათ ემუქრებოდა სატუნინის დამსჯელი რაზმი, ჩრდილოეთიდან — ყარა-ყორუმელები და თეთრები. რაზმი დაიშალა და ალყიდან გასვლისას დათქვეს შეხვედრის ადგილები, ფიცი დადეს და მცირე ჯგუფებად გადავიდნენ ბრძოლის პარტიზანულ მეთოდებზე.

დასავლეთ ციმბირში მტერს ყველაზე ხანგრძლივი და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ბოლშევიკ პ. ფ. სუხოვის წითელგვარდიელთა ნაკრებმა რაზმმა. რაზმი შედგებოდა სემიპალატინსკელ, კოლჩუგინოელ ალთაელ წითელგვარდიელთა და ყოფილ სამხედრო ტყვე მადიართაგან (უნგრელებისგან), რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად იბრძოდნენ. კულუნდის სტეპების ბრძოლებით ორგზის გავლის შემდეგ სუხოვის რაზმი 1918 წლის აგვისტოში ავიდა მთიან ალთაიში. უკან დარჩა ორიათას ვერსიანი მძიმე ბრძოლებით აღსავსე გზა. წითელგვარდიელებს უნდოდათ მთიანი ალთაისა და მონღოლეთის გავლით გადასულიყვნენ საბჭოთა თურქესტანში.

მთიანი ალთაის მშრომელები, მიუხედავად დიდი საფრთხისა, მეგობრულად ხვდებოდნენ სუხოვის რაზმელებს. აწვდიდნენ სურსათს, ცხენებს, გამყოლებს, დროზე აცნობებდნენ მოახლოებულ საშიშროებას.

ბაიების, კულაკების და ნაციონალისტების დიდი შეშფოთება გამოიწვია სუხოვის რაზმის გამოჩენამ მთიან ალთაიში. სოფელ ულალიდან სასწრაფოდ გაიგზავნა თეთრგვარდიელთა რაზმი პორუჩიკ ლუბიმცევის მეთაურობით. კულაკ-ესერთა ჯგუფის დახმარებით მან მოაწყო წინააღმდეგობები და ორი საფარი. ორივე სანაპიროზე აქ, ყადნის ვიწრო ხეობაში 1918 წლის 10 აგვისტოს პ. ფ. სუხოვის რაზმი, რომელიც 250 მეომარს ითვლიდა, დამარცხდა.

ცოცხლად გადარჩენილი წითელგვარდიელები შეღამებულზე, თითო-თითოდ და პატარ-პატარა ჯგუფებად შეეფარნენ მთა ბაიტურის ციცაბო კლდეებს. მაგრამ გადარჩენა ბევრს არ ეწერა. მეოთხე დღეს კაზაკებმა დაატყვევეს შიმშილითა და წყურვილით განაწამები, მთებში გზადაბნეული წითელგვარდიელთა ორი ჯგუფი. ერთ-ერთ ჯგუფში იმყოფებოდა პ. ფ. სუხოვი. სოფელ ტუნგურში, კაზაკთა პოლკოვნიკის ვოლკოვის ბრძანებით, დახვრიტეს პ. ფ. სუხოვი და 144 წითელგვარდიელი. სუხოვმა სიკვდილის წინ ჯალათებს ასე მიმართა: „თქვენ დახვრიტეთ ჩემი ამხანაგები... დამხვრეტთ მეც, მაგრამ ვერ დახვრეტთ მუშათა კლასს, ვერ გაანადგურებთ საქმეს, რომლისთვისაც ჩვენ ვკვდებით. შორს აღარ არის შურისძიების ჟამი“.

დღეს წითელგვარდიელთა უკანასკნელი ბრძოლის ადგილზე და სოფელ კატანდაში სახლზე, სადაც 1918 წლის 9 — 10 აგვისტოს პ. ფ. სუხოვის შტაბი იდგა, მემორიალური დაფებია, ხოლო ძმათა სასაფლაოზე ძეგლია აღმართული.

ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელთა მიერ დალაშქრობილ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება დროებით ლიკვიდირებულ იქნა. ანტანტის იმპერიალისტების დასმარებით კადეტების, ესერების, მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების პარტიები ქმნიდნენ კონტრრევოლუციურ მთავრობებს. ასე, 1918 წლის 30 ივნისს ომსკში შეიქმნა კადეტ-ესერ-მენშევიკთა ციმბირის დროებითი მთავრობა, რომელსაც ხელისუფლება გადაეცა „თეთრჩეხთა“ აჯბოხების პირველ დღეებში ჩამოყალიბებულ დასავლეთ-ციმბირის კომისარიატისაგან.

ციმბირის დროებითი მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა ლიკვიდაციასა და ციმბირის ტერიტორიაზე ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული რეჟიმის აღდგენას. მძვინვარებდა ტერორი კომუნისტების, წითელგვარდიელების, საბჭოების მოღვაწეთა და საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა მიმართ. სატუსაღოები სავსე იყო პოლიტიკური პატიმრებით, გამოძიებისა და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ათასობით ადამიანი დახვრიტეს და აწამეს.

„შემთანხმებლებმა, რომლებიც ოქტომბრის აჯანყებამ გარიყა... ხელი მიჰყვეს თავიანთ ჩვეულებრივ მუშაობას უკრაინაში, კავკასიაში, ციმბირსა და ვოლგაზე. მათ, ბოლოს, მიაღწიეს იმას, რომ საბჭოები ამ ადგილებში დამხობილ იქნენ და ბოლშევიკი მოღვაწენი დაქირავებულ ჩეხოსლოვაკებისა და რუსეთის თეთრგვარდიელების საჯიჯგნად არიან გადაცემულნი“[1].

ყარა-ყორუმელთა გამგეობამ აქტიური დახმარება გაუწია ციმბირის დროებით მთავრობას. მთიან ალთაიში საბჭოები მოსპეს. პირველად გაანადგურეს ულალის საბჭო. სათემო და სასოფლო საბჭოების ნაცვლად შექმნეს სათემო და სასოფლო გამგეობები მამასახლისებით. საოკრუგო გამგეობას დაარქვეს ყარა-ყორუმ-ალთაის სამაზრო საერობო გამგეობა, ხოლო ყარა-ყორუმის ოკრუგი — მაზრად გარდაქმნეს.

კონტრრევოლუციის დროებით გამარჯვებისთანავე მთიან ალთაიში განუსაზღვრელი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში სამხედრო თანამდებობის პირებმა. თეთრგვარდიელთა ოფიცრის ლუკაშევიჩის მეთაურობით დამსჯელმა რაზმმა ულმობლად გაუსწორა ანგარიში საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებს სოფელ მიუტასა და შებალინოში. საშინლად აწამეს საბჭოების ხელისუფლებისათვის მებრძოლნი ჩერგაში, ალთაისკში, ილინკაში, ჩორნი ანუაში და მთიანი ალთაის სხვა სოფლებში.

სატუნინის დამსჯელმა რაზმმა, რომელიც ბაურ-ნაციონალისტური და სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისაგან შედგებოდა, კოშ-აგაჩიდან ულალამდე მძიმე სისხლიანი კვალი დატოვა.

1918 წლის 14 ივლისს შტაბს-კაპიტანი სატუნინი თავისი დამსჯელი რაზმით ჩავიდა ულალაში, სასტიკად გაუსწორდა მშვიდობიან მოსახლეობას, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას ემხრობოდნენ. ასამდე ადამიანი გაროზგეს და დახვრიტეს.

სატუნინს სურდა ასევე გასწორებოდა საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებს კატანდაში, უსტ-კოკსაში და სხვა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 28, გვ. 90.

სოფლებში, მაგრამ იქით გაგზავნილი მისი რაზმი მოხვდა ჩასაფრებული უიმონელების ცეცხლქვეშ და განიარაღებული იქნენ.

მოსახლეობის ძარცვა გადასახადებითა და ათასგვარი ბეგარით, ახალგაზრდობის გაწვევა თეთრ არმიაში და პურის, საქონლის, ქონების, ტანსაცმლის რეკვიზიცია, დამსჯელი რაზმების გაგზავნა, მასობრივი გაროზგვები და სხვა რეპრესიები მიზეზი გახდა მშრომელთა დიდი უკმაყოფილებისა. 1918 წლის შემოდგომაზე დაიწყო გლეხთა აჯანყებები, რომელიც სტიქიური, არაორგანიზებული ხასიათისა იყო და სისხლში ჩაახშეს.

გლეხთა აჯანყებებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიზანული მოძრაობის განვითარებაში. აჯანყებას გადარჩენილი მონაწილენი არალეგალურ პირობებში გადადიოდნენ და შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ. თეთგვარდიელთა ჩაგვრასა და თვითნებობას სულ უფრო ფართო ფენები გამოჰყავდა „ნეიტრალური“ პოზიციებიდან უერთდებოდნენ მათ.

კოლჩაკელთა მთავრობა ცარიზმის პოლიტიკას აგრძელებდა და თავს ასაღებდა „სრულიად რუსეთის მთავრობად“. მათი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ შესახებ ყალბი ლოზუნგი სრულიადაც არ აწუხებდა ყარა-ყირგიზელთა გამგეობას. მათ მიერ სამხედრო ავანტურებში ალთაელი ხალხის ჩათრევა ამკლავებდა მათს ანტიხალხურობას. ისინი მხარს უჭერდნენ პრაპორშჩიკ კაიგოროდოვის ინიციატივას — „ადგილობრივ მკვიდრთა ცხენოსანი დივიზიონის“ ჩამოყალიბების შესახებ. ადგენდნენ მოხალისეთა რაზმებს, თეთრებისათვის ამზადებდნენ სურსათს, აგროვებდნენ შეწირულობას. ამაში მათ აქტიურ თანადგომას უწევდნენ აღგილობრივი ბაები და ვაჭრები. ერთმა ვაჭარმა კარავაევმა ჩელუშმანში აღჭურვა, შეაიარაღა და ცხენოსან დივიზიონში გაგზავნა 20 კაცი.

„ადგილობრივ მკვიდრთა ნაწილში“ რაკი სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს ,ყარა-ყირგიზმა, კოლჩაკელთა სარდლობის მითითებით, გადაწყვიტა ალთაელი ხალხი სხვა ავანტურაში ჩაეთრია, გადაეყვანა კაზაკთა წოდებაში. ამ საქ-

მეში განსაკუთრებით აქტიურობდა იგივე პრაპორშჩიკი კაიგოროდოვი. იგი „ალთაელ მებრძოლ კაზაკთა ატამანობას“ უმიზნებდა. მაგრამ არც ეს ფანდი გაუვიდა. პოლიტიკურად უფრო მომწიფებულმა ალთაელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ ყბად აღებულ ღონისძიებას. ისინი აშკარად გამოვიდნენ ყარა-ყორუმის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ეროვნულ შუღლს თესავდა.

* * *

რიჟრაჟზე ყველანი ფეხზე ვიყავით. სახელდახელოდ ვისაუზმეთ და ელდუგენის მთას სამხრეთიდან შევუდექით, რამდენიმე ხეობა პირწმინდად გავცხრილეთ, ჭიუხი არ დაგვიტოვებია მოუვლელი, მხოლოდ ერთგან დავლანდეთ ტეკების მოზრდილი ჯოგი, მაგრამ შეგვნიშნეს და მთის ჩრდილოეთის მხარეს გადაგვასწრეს. საღამოს დაქანცულები დავბრუნდით სადგომში, ცხენები საბალახოდ მივუშვით, ცეცხლი გავაჩაღეთ. ვალოდია და კოლია ვახშმის მზადებას შეუდგნენ, მე და რეზომ ბადით ისევ მდინარეს ჩავაკითხეთ და ოცდაათამდე კალმახით გავამდიდრეთ ჩვენი სუფრა.

დილით ავიყარენით და უკან დავუყევით ხეობას. სამიოდე საათის შემდეგ კოშ-აგაჩისაკენ მიმავალ ბილიკს გვერდი ავუარეთ და პატარა მდინარის ხეობით ელდუგენის მთას ჩრდილოეთიდან მოვექეცით. ალპური ზონისკენ მივდივართ. ტყიანი გათავდა, ბალახით და კორომით მოფენილ ხეობას ძივყვებით. მთის ძირას, საიდანაც პიტალო ჭიუხები იწყება, ჯგუფად ოციოდე კედარი დგას. ამ კედრების ძირში დავიდეთ ბინა.

ელდუგენის მთიდან ჩვენს სადგომამდე წამოწვდილი ქედი ორ ხეობად ყოფს მთის ჭიუხებთან მისასვლელს.

დღეს ვისვენებთ, ხვალ დილიდან, მარჯვნივ მდებარე ხეობიდან წავალთ მთის ჩრდილო-დასავლეთი მხარის ჭიუხებისაკენ, ზეგ კი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან შევალთ. ასეთია ჩვენი თავმონადირის ვალოდია ციგანკოვის გეგმა.

* * *

1919 წლის 2 აგვისტოს სოფ. ზიმინოში (ახლანდელ თოფჩიხინოს რაიონი) დაიწყო გლეხთა აჯანყება, რომელმაც დასაბამი მისცა პარტიზანული ომის დასაწყისს ალთაის მაზრაში. აჯანყებულებმა შექმნეს მთავარი შტაბი.

აჯანყება აგვისტოს შუა რიცხვებში ბარნაულის მაზრის სოფლებიდან მთიან ალთაის მოედო. სოფლებში იკრიბებოდნენ გლეხები, აქამდე იატაკქვეშეთში მყოფი ბოლშევიკები, ყოველი ჯარისკაცი და ადგილობრივი მკვიდრი, რომლებმაც უკვე შეიგნეს კოლჩაკელთა, თეთრგვარდიელთა და ყარა-ყორუმელთა პოლიტიკის უნიადაგობა; იქმნებოდა და დღითიდღე იზრდებოდა შეიარაღებული რაზმები.

პარტიზანები, რომლებსაც შაშხანები აკლდათ, იარაღდებოდნენ სანადირო თოფებით, შუბებით, პისტოლეტებით.

აჯანყებულთა რაიონებში კოლჩაკელთა ხელისუფლების ორგანოები საერობო სამმართველოები — ლიკვიდირებულ იქნა, მათ ნაცვლად იქმნებოდა რევკომები — საბჭოთა ხელისუფლების დროებითი ორგანოები. პირველ ხანებში სასოფლო რევოლუციური კომიტეტები პარტიზანული რაზმების სურსათით, ტანსაცმლით იარაღით მომარაგებაზე ზრუნავდნენ, ჰქმნიდნენ იარაღის სახელოსნოებს, აგროვებდნენ ტყვიის, სპილენძის ნივთებსა და სხვა მასალებს დენთისა და ვაზნების დასამზადებლად. დღე და ღამე იჭედებოდა შუბები. ჩორნი-ანუელი მჭედელი ნ. ფ. გარუსოვი ფარცხებიდან შუბებსა და ხმლებს აკეთებდა. სახალხო ოსტატების მიერ თვითნაკეთი ქვემეხებიც კი ქონდათ აჯანყებულებს. ერთ-ერთი ასეთი ქვემეხი სოფელ აბაიში გააკეთა გამოცდილმა მჭედელმა პ. მ. მისტრიუკოვმა.

აჯანყებულთა და დამსჯელთა შორის სასტიკი ბრძოლები გაიმართა. ბევრი სოფელი რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. აჯანყებულთა უპირატესობას შეადგენდა მათი მაღალი საბრძოლო სულისკვეთება, მაგრამ ისინი იარაღის, განსაკუთრებით საბრძოლო მასალების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. მაგალითად, ბელი-ანუის რაზმში 300 მებრძოლზე სულ 30 სანადირო და საბრძოლო თოფი ჰქონ-

დათ, დანარჩენები თვითნაკეთი შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. სოფელ ბარაგაშის რაზმში 47 მებრძოლს 3 შაშხანა, 8 ბერდენა ჰქონდა, ხოლო დანარჩენ 36 კაცს — შუბები და ძველი ფილთა თოფები.

აჯანყებულთა მთავარი ტაქტიკური ნაკლი ბრძოლის დასაწყისში მათი მოქმედების შეუთანხმებლობა იყო. აჯანყებულთა წვრილი, ცუდად შეიარაღებული რაზმები ერთმანეთისაგან მოწყვეტილნი, ცალ-ცალკე, ერთიანი ხელმძღვანელობის გარეშე იბრძოდნენ. მათი მოქმედება შეზღუდული იყო ადგილობრივი შტაბების მიერ და თავიანთ თემს არ სცილდებოდნენ. ბევრს რაზმში არ გააჩნდათ საბრძოლო ნაწილებისათვის აუცილებელი სამხედრო დისციპლინა.

აჯანყებულთა მოძრაობას დიდ ზიანს აყენებდა მათ რიგებში შეპარული კულაკურ-შოვინისტური, ანარქისტი სისხლის სამართლის დამნაშავეთა და სხვადასხვა ჯურის მტრულად განწყობილი ელემენტების საბოტაჟური მოქმედება.

1919 წლის სექტემბერში დაიწყო მთიანი ალთაის პარტიზანული მოძრაობის ახალი ეტაპი. აჯანყებულთა წვრილ-წვრილი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მცირერიცხოვანი რაზმები ბოლშევიკურად განწყობილი ყოფილი ფრონტელების ინიციატივით დიდ შენაერთებად გაერთიანდა. ასე, სექტემბრის პირველ რიცხვებში სენტელეკის, ბაშელაკის, სოლონეშევსკის და სხვა აჯანყებული სოფლების რაზმების ბაზაზე შეიქმნა პირველი პოლკი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სოფელ მალი-ბაშელაკის მკვიდრი, ყოფილი უნტერ-ოფიცერი, გლეხი ივანე ლიპატის ძე ნიკიფოროვი. სოფელ ბელიანუის, ჩორნი-ანუის, კელეიკის, ბარაგაშის, კუიაგანის, სოლონეშენსკის თემების აჯანყებულებმა ჩამოაყალიბეს მეორე პოლკი პეტრე დიმიტრის ძე კოკორინის მეთაურობით.

1919 წლის 23 სექტემბერს სოფელ ჩორნი-ანუიში ორივე ეს პოლკი გაერთიანდა და შექმნეს ბრიგადის ერთიანი შტაბი. ბრიგადის მეთაურად აირჩიეს პირველი პოლკის პარტიზანი ი. ი. ტრეტიაკი.

ივანე იაკობის ძე ტრეტიაკი, ეროვნებით ბელორუსი, დაიბადა მინსკის გუბერნიაში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1907 წელს ემიგრაციაში იყო ამიერიკის შეერთებულ შტატებში.

დაუახლოვდა რუს პოლიტიკურ ემიგრანტებს, სწავლობდა მარქსისტულ ლიტერატურას, იყო რუსი მუშების პროფკავშირთა გაერთიანების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამერიკაში. 1918 წლის ზაფხულში დიდი სიძნელეების გადალახვით, იაპონიის, კორეისა და ჩინეთის გამოვლით დაბრუნდა ნათესავებთან მთიან ალთაის გუბერნიაში კაზაკთა სტანიცა ჩარისკში. აქ მოუსწრო მას პარტიზანულმა მასობრივმა მოძრაობამ. დასაწყისში ი. ი. ტრეტიაკი აირჩიეს ახლად შექმნილი პარტიზანული რაზმების კომისრად. უფრო გვიან — ბრიგადის და დივიზიის მეთაურად. 1920 წელს რკპ (ბ) რიგებში შეავიდა. სამოქალაქო ომის შემდეგ პარტიის ბიისკის სამაზრო კომიტეტის და საბჭოს წევრი იყო.

ბრიგადის შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, წასულიყო უიმონის აჯანყებულთა რაზმთან შესაერთებლად, რომელსაც კაიგოროდოვის დამსჯელი რაზმი ავიწროვებდა. პარტიზანთა ბრიგადა, რომელიც 2000 კაცს ითვლიდა, დაიძრა უიმონსე და უსტ-კანისათვის ბრძოლაში პირველი დიდი გამარჯვება იზეიმა. უიმონის მხარის ფარგლებში მოქმედი წვრილი პარტიზანული რაზმებიდან ჩამოყალიბდა კიდევ ერთი მესამე პარტიზანული პოლკი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ნოვოშიპუნოვსკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე აჯანყებულთა მე-6 შტაბის კომისარი სტეფანე გრიგოლის ძე ლადკინი. სამი პოლკისაგან შემდგარი დივიზიის მეთაურად ისევ ი. ი. ტრეტიაკი აირჩიეს.

პარტიზანები გადავიდნენ აქტიურ შეტევით მოქმედებაზე. შეიმუშავეს ჩუის ტრაქტის განთავისუფლების გეგმა, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იერიში ჩუის ტრაქტზე, რომელიც დაკავებული ჰქონდათ კოლჩაკელებს, გადაწყდა, ორი მიმართულებით ეწარმოებინათ.

ამავე დროს, კოლჩაკელთა სარდლობამ შეიმუშავა მთიანი ალთაის პარტიზანების განადგურების გეგმა. მათ წინააღმდეგ კოლჩაკელებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი. ბიისკიდან გაგზავნილი რეგულარული ჯარების დასახმარებლად სასწრაფოდ ადგენდნენ კულაკთა დრუჟინებს. ბიისკის ნაკრები „სამთავრობო“ რაზმის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა

ხმელიოვსკიმ ჩამოაყალიბა და შეაიარაღა დრუჟინები შებალინოში, ონგუდაიში და კოშ-აგაჩში. ის ძალებს საჩქაროდ უყრიდა თავს უიმონში. მთიან ალთაის პარტიზანებთან ბრძოლაში თეთრგვარდიელებთან ერთად მონაწილეობდნენ ინტერვენტები. 1919 წლის 2 ოქტომბერს ბიისკიდან მთიან ალთაიში გაიგზავნა „თეთრჩეხთა“ რაზმი არტილერიითურთ. არტილერიასთან ერთად სასწრაფოდ გადაისროლეს ალთაის დივიზიონის პირველი ასეული, კარგად შეიარაღებული კაზაკთა ასეულები, ქვეითები.

შებალინოში ჩამოსულმა ხმელიოვსკის შტაბმა გასცა ბრძანება უიმონის აღების შესახებ.

კოლჩაკელებმა დაიკავეს უიმონზე მიმავალი მთის ყველა ბილიკი. 12 — 13 ოქტომბერს ღამით პარტიზანებმა ხელთ იგდეს ხმელიოვსკის ბრძანება უიმონზე შეტევის შესახებ. მიიღეს რა ეს ცნობა, პარტიზანთა რაზმმა გადაწყვიტა, დაესწრო მტრისათვის, თვითონ გადასულიყო შეტევაზე, ხელთ ეგდო ინიციატივა და გაენადგურებინა მტრის თითოეული რაზმი ცალ-ცალკე, ეს გეგმა პარტიზანებმა ბრწყინვალედ შეასრულეს.

პარტიზანებმა ხელთ იგდეს 400 შაშხანა, 200 „ნაგანი“, 150 ხმალი, რამდენიმე ყუთი ვაზნა, ხელყუმბარები და სხვ.

დივიზიის პირველი და მეორე პოლკები თავგანწირული ბრძოლით მიიწევდნენ წინ. გააფთრებული შეტევის შემდეგ გაანთავისუფლეს სოფლები ტუეკტუ, ონგუდაი, ხაბაროვკა, გავიდნენ ქვემო საბორნე გადასასვლელზე მდინარე ყადნს იქით კოსკეჩუში.

დიდი ბრძოლა გადაიხადეს 27 ოქტომბერს სოფელ ტუეკოსთან. მტრის ორათასიანი შენაერთი გააფთრებით იცავდა თავს, მაგრამ პარტიზანების შეტევას ვერ გაუძლეს და უკუიქცნენ. პარტიზანები მათ 100 კილომეტრის მანძილზე სოფელ მიუტამდე სდევნიდნენ. ამ ბრძოლებში მათ ტყვედ ჩაიგდეს ასამდე მოწინააღმდეგე, რამდენიმე 25 ვაზნიანი ავტომატი „შოში“, 600-მდე შაშხანა, უამრავი, ვაზნა, ხმალი, „ნაგანი“, ხელყუმბარა, სამხედრო აღჭურვილობა და ცხენები.

ტუეკტეს, შებალინოს, მიიუტის, ჩერგის, კამლაკის და

ბევრი სხვა სოფლების მცხოვრებლებისაგან ჩამოყალიბდა პარტიზანთა მეოთხე პოლკი, რომლის უფროსადაც აირჩიეს ყოფილი ფრონტელი, სოფელ სენტელეკის მკვიდრი პირველი პოლკის პარტიზანი უსტინოვი.

დივიზია დღითი-დღე იზრდებოდა, მისი გამარჯვებები დიდ იმედს უნერგავდა მოსახლეობას და ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, ყველანი პარტიზანულ რაზმებში ეწერებოდნენ. ყალიბდებოდა ახალი პოლკები მოსახლეობის უფროსი ასაკისა და ახალმოწვეულთა ხარჯზე. დივიზიას თავის შემადგენლობაში უკვე 11 პოლკი ჰყავდა. როგორც ი. ი. ტრეტიაკი აღნიშნავს თავის მოგონებებში, დივიზიაში მწყობრგარეშე ქვედანაყოფებთან ერთად 18 ათასი კაცი ირიცხებოდა.

1919 წლის ბოლოს ჩუის ტრაქტი ათასობით ურმითა და აღალით იყო გაჭედილი. ჯარებთან ერთად მონღოლეთისაკენ გარბოდნენ ვაჭრები, კულაკები, რეაქციული ჩინოვნიკები და სასულიერო პირნი. თეთრგვარდიელთა ჯარებს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ჯალათი სატუნინი. მან შესძლო მორჩილებაში მოეყვანა მთიან ალთაიში უკან დახეული რაზმების უმრავლესობა, სატუნინს, კაიგოროდოვს და სხვა კოლჩაკელ ოფიცრებს სურდათ გამაგრებულიყვნენ მთიან ალთაიში, გადაექციათ ის საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის ბასტიონად. ამ მიზნით, მათ დაკავებულ სოფლებში ჩაატარეს მამაკაცთა მობილიზაცია, რაზმების რეორგანიზაცია. მაგრამ ყოველივე ამან ვერ უშველა კოლჩაკელებს. „კაზაკთა ლინიაზე“ წარმატებით ჩატარებული ოპერაციების შემდეგ პარტიზანთა პოლკები გაემართნენ მთიანი ალთაის სიღრმეში უკანდახეულ კოლჩაკელთა რაზმების სალიკვიდაციოდ. 1919 წლის 23 დეკემბერს ჩუის ტრაქტი სოფელ ტოპუჩეისთან ხელთ იგდეს პარტიზანებმა. თეთრების რაზმები, რომლებიც იმყოფებოდნენ ჩემალეში, ჩერგასა და შებალინოში მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ ძირითადი ძალებისაგან. თეთრების თავგანწირული ცდები — გასულიყვნენ ტრაქტით ონგუდაისაკენ მთავარ ძალებთან შეერთების მიზნით, ფუჭი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მათ ვერ გაუძლეს პარტიზანების შეტევას და უკან დაიხიეს, პარტიზანები მათ გონზე მოსვლის საშუა-

ლებას არ აძლევდნენ. 20 კილომეტრით წაიწიეს წინ და ბრძოლებით დაიკავეს შებალინო. მტერმა ჩუის ტრაქტიდან აღმოსავლეთით აშუიახტა კასპას მიმართულებით დაიხია. მიაღწიეს რა მდინარე კურაის სათავეს, დაჰყვნენ ჩუის ტრაქტამდე და ბოლოს თავიანთ მთავარ ძალებს შეუერთდნენ.

1919 წლის დეკემბერში დაიწყო კოლჩაკელთა უკანდახევა ჩუის ტრაქტით მონღოლეთისკენ, გააქტიურდა პარტიზანთა მოძრაობა მთიანი ალთაის ჩრდილოეთ რაიონებში. სოფელ ალექსანდროვკასთან პარტიზანებმა დაატყვევეს კოლჩაკელთა პოლკოვნიკი და ხელთ იგდეს ძვირფასეულით დატვირთული ოთხთვალა, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

გააფთრებული ბრძოლების შემდეგ პარტიზანებმა გაანთავისუფლეს სოფლები ულალა, ჩემოლი და სხვ. პორუჩიკ გორდიენკოს შენაერთთან ბრძოლებში გმირულად დაიღუპა მეხუთე ბატალიონის მეთაური ფ. ი. უსოლცევი. იგი დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ონგუდაიში.

* * *

ალიონზე, ჯერ კიდევ როცა დღის სინათლეს არ გაემარჯვნა სიბნელეზე, ცალოდიამ წამოგვყარა „ლოგინებიდან". ეტყობა, ცოტა მეტი მოგვივიდა წუხელ, თანაც, გამოუძინებლები, მთვარეულებივით დავბორიალობთ. ერთს წყალი ეოაქვს ჩაისათვის, მეორე შეშას უმარჯვებს შუაცეცხლს. გარეთ გავდივარ. ცივა. მდინარემდე ჩქარი ნაბიჯით მივედი, თბილ ჯემპრს ვიხდი, მეზღვაურის თბილ მაისურში ვრჩები. ერთხანს ცოტაოდენს ვვარჯიშობ, შემდეგ მაისურსაც ვიხდი, მდინარის ნაპირზე თხელ ყინულს ვამტვრევ, მოხერხებულად ვდგები და ყინულოვანი წყლით დასველებული უხეში ნეჭით ვიწყებ საქამრემდე ტანის ზელას. პირველად თრთის ტანი, არ სიამოვნებს, მერე და მერე ეჩვევა. გამთენიისას ვხედავ ნეჭით ხეხვისაგან კიბორჩხალასავით დაწითლებულ ჩემს სხეულს დილის ბორიო რომ ესალბუნება და მსიამოვნებს. კარგა მაგრად ვიმშრალებ, მაისურს ვიცვამ და აილისაკენ მივდივარ.

დღეს მე და კოლია ალჩუბაევი ემორიგეობთ ბინაში. დანარჩენები სანადიროდ წავიდნენ. უგუნებოდ ვარ. იქაურობა მივალაგეთ. ცეცხლს შევუკეთეთ. კოლიამ თავის საათევზაო იარაღები აიღო. ორ-სამ საათში დავბრუნდებიო, კიდევ რაღაც მითხრა და მდინარისაკენ გასწია.

დღის სინათლემ იმატა, გარეთ გამოვედი, ნისლი დაჩეჩილი მატყლივით გათხელდა და ცის გუმბათზე როგორც კი გამოაკეტა მზემ, გრძელ მოძრავ ზოლებად დაიწყეს რწევა სამხრეთისაკენ დაგვიანებით მიმავალმა წეროებმა, რომლებიც უკვე მიიჩქარიან თბილი ქვეყნებისაკენ. მიფრინავენ, სადაც ჯერ მზე არ დაბერებულა, არ დაუკარგავს თავისი მაცოცხლებელი სითბო, სადაც ბრწყინავენ მოლივლივე მდინარეები და მწვანედ ბიბინებენ ხავერდოვანი ველები. მიფრინავენ და ნაღვლიანად, სულშემზარავად გასძახიან ერთი მეორეს...

საძილე ტომარა გამოვათრიე გარეთ და გულაღმა გავიშოტე.

ნეტავი, თუ დარდობენ ჩრდილოეთს რომ ტოვებენ, ნეტავი, თუ უხარიათ, ჯერ კიდევ უცნობი სამხრეთისაკენ, ჩემი სამხრეთისაკენ რომ მიფრინავენ? რას გაიგებ? ღმერთმა უწყის! მიფრინავენ და ისევ გასძახიან ერთმანეთს...

ცას გაწოლილი ნაღვლიანი ფიქრის ზოლი ისევ მიიწევს სამხრეთისაკენ, სადაც მოუთმენლად მელიან ცხრა მთას იქით მყოფი სულზე ახლობელი ადამიანები.

არა, არაფერსაც არ ნაღვლობენ, ნუ შეგაცდენთ მათი სილამაზე და ნაღვლიანი გადაძახილი, მე არ მიყვარს მიმომფრენი ჩიტები, მე არ მჯერა მათი ცვალებადი ბუნებისა — ეგრერიგად იოლად რომ ტოვებენ თავიანთ სამშობლოს.

მახსენდება ნადირობისას ჩაწერილი უცნობი პოეტის ლექსი, რომელიც ჩემს აზრს იზიარებს. აი, ისიც, როგორც მახსოვს.

ТЕТЕРЕВ

На перелетных птиц гляжу
— в них что-то слабое такое,
Кто любит Родину свою
Не покидает поле боя

При первом натиске врага,
При первой с непогодой встрече,
Еще не падают снега —
Крылатый дезертир далече.
В чужом краю, в чужой воде,
В тепле долины незнакомой,
Не хочет думать о судьбе
Суровой Родины огромной.
А дома — тетерев-косач
И в стужу милый лес не бросит,
Пускай над лесом вьюги плач,
Пусть снегом лес родной заносит.
Он почву мерзлую клюёт,
Под коркой ледяной ночует,
Он верит, что Весна придет
И первый в честь неё токует.
Поет весну, поет зарю,
Поет про то, что вечно живо —
Про силу буйную свою,
Про ширь весенного разлива.
Трусливо звонкий соловей
В чужбине ждет, не прилетает,
Когда над Родиной моей
Победный марш Косач играет.

ისინი კი მიფრინავენ და გასძახიან — ერთი მეორეს...: მიფრინავენ და მიაქვთ ჩემი... ჩქარა! ჩქარა!..

„...მიფრინავენ და მიჰყვებათ გაფრთხილებად ჩამორჩენილ წეროს ბედი...“

საიდანღაც მესმის ზაურ ბოლქვაძის შესანიშნავი სიტყვები...

საათის თეთრთმეტზე კოლია დაბრუნდა. ნადავლით კმაყოფილს, ინდაურივით გაფხორილს ხუთიოდე კილო ციმბირის კალმახი — ხარიუსი მოჰქონდა წკეპლებზე ასხმული.

ქოხში ცეცხლი ჩამქრალიყო. უსაქმური და ზარმაცი მეძახა. საძილე ტომრიდან წამომაგდო შეშის დაპობა მიბრძანა. თვითონ კი თევზის გასუფთავებას შეუდგა.

სადილი გავამზადეთ. ცოტაოდენი წავიხემსეთ და ლოდინი დავუწყეთ დანარჩენებს. საათის ხუთზე მეწინავე ცხენოსანი გამოჩნდა, ვალოდია იყო. კარგად მენიშნა. ციცაბო, დაკლაკნილ ბილიკზე სხვებიც გავარჩიეთ, მხიარული საუბრითა და გადაძახილებით გვიახლოვდებოდნენ.

* * *

1919 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში სოფელ ხაბა-როვკაში სასწავლო კომანდის სალდათებმა 240 კაცის შემადგენლობით ამბოხება დაიწყეს და პარტიზანების მხარეს გადავიდნენ.

კოშ-აგაჩის რაიონის საზღვარზე ერთი ქვაბულია. სწორედ იქიდან გამოქცევიათ კოლჩაკელებს სალდათი შჩერბაკოვი, რომელიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა. მას, რაღა თქმა უნდა, მთელი ასეული დასდევნებია და უთანასწორო ბრძოლაში შჩერბაკოვი დაღუპულა, იმის გამო, რომ რუსმა ჯარისკაცმა ასე ძვირად გაყიდა თავისი სიცოცხლე, მაღლიერმა ალთაელმა ხალხმა მის პატივსაცემად იმ ადგილს ურუს-ოიკ (რუსის ქვაბული) დაარქვა და ამით უკვდავყო მისი სახელი. მალე სოფელ ადროს საზღვარზე ჯარისკაცებმა, რომლებმაც უარი თქვეს საზღვარგარეთ გადასვლაზე სატუნინი სასიკვდილოდ დაჭრეს. სატუნინის სიკვდილის შემდეგ კოლჩაკელთა ნაკრები რაზმის სარდლობა მიიღო პოლკოვნიკმა ელაჩიჩმა, ხოლო ერთი თვის შემდეგ სარდლობა ჩაიბარა კაიგოროდოვმა.

1920 წლის აპრილის შუა რიცხვებში პარტიზანთა და წითელგვარდიელთა რეგულარულმა რაზმებმა თითქმის დაამთავრეს ალთაის ყველა სოფლის განთავისუფლება.

კაიგოროდოვის განადგურებული რაზმების ნარჩენები გადავიდნენ საზღვარს და თავი შეაფარეს ჩრდილო-დასავლეთ მონღოლეთს. მთებში დარჩენილი კოლჩაკელთა მცირერიცხოვანი ჯგუფები გარკვეული დროის მანძილზე აშინებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მაგრამ მტრის ამ პატარა, უმნიშვნელო ჯგუფებს ძალა არ ჰყოფნიდათ, მათს დასათრგუნავად, ისინის მალე იძულებული გახდნენ, დაეყარათ იარაღი. ნაწილი მონღოლეთში გაიქცა. მთიან ალთაიში მტრის საბოლოო განადგურების ცნობას დიდი სიხარულით შეეგება ხალხი.

ამრიგად, მთიან ალთაიში შეფარებული კოლჩაკელთა არმიის ნაწილები განადგურებულ იქნა. მათი განადგურებით მთიან ალთაიში სამოქალაქო ომი ბოლშევიკთა გამარჯვებით

დამთავრდა. მშრომელები შეუდგნენ მშვიდობიან შრომას, ბრძოლებით გამოწვეულ მძიმე იარების მოშუშებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენა იწყებოდა რთულ და ძნელ ვითარებაში. უცხოურმა სამხედრო ინტერვენციამ და სამოქალაქო ომმა კიდევ უფრო გააძლიერა მრავალწლიანი იმპერიალისტური ომით გამოწვეული სახალხო მეურნეობის რღვევა. ციმბირი განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდიდა ძალზე შემცირდა ქვანახშირის წარმოება და მოპოვება. შეწყდა ლითონისა და ცინკის წიაღისეულის წარმოება. ციმბირის სარკინიგზო მაგისტრალზე მთლიანად ან ნაწილობრივ იქნა დანგრეული. 167 ხიდი, ბევრი ვაგზალი, საწყობები და სხვა სარკინიგზო ნაგებობები. არასრული მონაცემებით კოლჩაკელებმა გაანადგურეს 56 ათასი გლეხის მეურნეობა, დაიტაცეს მილიონობით ფუთი სურსათი, ფურაჟი, ინტერვენციით ციმბირზე მიყენებული ზარალი 4 მილიარდამდე ომამდელ ოქროს მანეთს უდრიდა.

ალთაის გუბერნიაში ყველაზე დაზარალებული ბიისკის მაზრა აღმოჩნდა. აქ ნგრევა მასობრივ ხასიათს ატარებდა. 53-დან 21 თემის მოსახლეობას დახმარება სჭირდებოდა. მთიანი ალთაის მაზრაში 1917 წელთან შედარებით მესაქონლეობა 20 პროცენტით შემცირდა, მაგრამ ყოველივე ეს უმნიშვნელოა იმ აუნაზღაურებელ დანაკარგთან შედარებით, რაც მთიანმა ალთაიმ თავისი საუკეთესო შვილების დაკარგვით განიცადა. თეთრგვარდიელები, რომლებიც ხედავდნენ თავიანთ გარდაუვალ მარცხს, უმოწყალოდ ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. იყო შემთხვევები, როცა აილში[1] 50 — 60 მშიერი ბავშვის პატრონად 2 — 3 ქალიღა იყო დარჩენილი.

მთიან ალთაის, ისე როგორც ციმბირის სხვა რაიონებს, კიდევ ერთი დიდი უბედურება — მასობრივი ეპიდემიები დაატყდა თავს. მძვინვარებდა ყვავილი, პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფი. ზოგ ადგილებში მოსახლეობის 80 პროცენტი იყო ავად. „გარშემო, განსაკუთრებით ონგუდაიში და

[1] აილი — სოფელი.

უიმონში, პარტახტიანი ტიფი და შავი ჭირი მძვინვარებდა".

ეპიდემიებთან საბრძოლველად იქმნებოდა პარტიული, საბჭოთა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების განსაკუთრებული კომისიები. მასობრივი დაავადების რაიონებში იგზავნებოდა მედიცინის მუშაკთა რაზმები, მათ მედიკამენტებით, სურსათითა და სპეციალური მასალებით ამარაგებდნენ ბარნაულიდან. მთელი პრაქტიკული მუშაობა დავალებული ჰქონდა განსაკუთრებულ სამეულს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ალაგიზოვი — სამაზრო რევოლუციური კომიტეტიდან, ანდრეევი — სასურსათო კომისრის მოადგილე და შაკერკინი — ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებიდან. სამეული ვალდებული იყო ყოველ სამ დღეში ჩაებარებინა რევოლუციური კომიტეტისათვის გაწეული მუშაობის ანგარიში. გადაწყდა, მიემართა 78-ე ბრიგადის სარდლობისათვის თხოვნით — გაეცათ განკარგულება სამხედრო ნაწილებისათვის, რომ ყოველმხრივ დახმარებოდნენ მომარაგებით არარუს მოსახლეობას.

* * *

1923 წლის 14 მაისს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ალთაის საგუბერნიო ბანდიტიზმთან ბრძოლის ციმბირის განყოფილების მიერ დაპატიმრებული იქნა სტეფანე ივანეს ძე მოროზოვი. დაკითხვისას გამოირკვა, რომ ის ჯერ კიდევ 1918 წლიდან ბანდის მოთავის კაიგოროდოვის პირადი ადიუტანტი (ყოფილი პრაპორშჩიკი) სერგეი ანდრიას ძე სირომიატნიკოვი იყო.

გორნო-ალტაისკის შესაბამისი დაწესებულების არქივში, მთიდან დაბრუნების შემდეგ ასეთი რამ შევიტყეთ:

სახ. პოლიტ. სამმართველოს ალთაის საგუბერნიო განყოფილებას

ამასთან ერთად გეგზავნებათ დაკავებული მოქ. სირომიატნიკოვი (იგივე მოროზოვი) კაიგოროდოვის ბანდის საქმის გამო. მასალები, რომლებიც ჩვენ ხელთა გვაქვს, გადმოგეგზავნებათ დამატებით.

მოქ. სირომიატნიკოვი იყო კაიგოროდოვის პირადი ადიუტანტი, ამიტომ მიიღეთ იზოლაციის მკაცრი ზომები.

კაიგოროდოვის ადიუტანტის, სირომიატნიკოვის ჩვენებიდან

...დასავლეთ მონღოლეთი 1920 წელს დიდ გზას წარმოადგენდა. ამ გზით დადიოდნენ ჩინეთის სავაჭრო ფირმების ქარავნები, რუსი ვაჭრები და კოლონისტები კობდოში, ულანგომში, ულიასუტაიში ეწეოდნენ სავაჭრო ოპერაციებს, ყიდულობდნენ ათასობით სულ საქონელს, იმარაგებდნენ შალსა და ბეწვეულს. მათ სწამდათ თავიანთი „ბედნიერი ჟამისა“. მაგრამ ფაქტორიებს, მაძღარ, დაჩემებულ მიწებს შორის დაეხეტებოდა უამრავი რუსი დევნილიც. ძირითადად ესენი იყვნენ მსროლელი პოლკების ცალკეულ გრენადერთა ასეულების ნარჩენები, რომლებიც წითლებმა დაამარცხეს სემიპალატინსკის ველზე. დევნილნი მშივრები იყვნენ, ჯგუფებად, ორიდან ათ ადამიანამდე, შედიოდნენ ფაქტორიებში, ცვლიდნენ იარაღს საჭმელზე, თსოულობდნენ დროებით სამუშაოს. მაგრამ, რამდენადაც იზრდებოდა მოთხოვნილება სამუშაოზე, იმდენად ეცემოდა მისი ფასი. კოლონისტებსა და დამშეულ ჯარისკაცებს შორის ხშირად იმართებოდა ჩხუბი, რომელიც შეტაკებებით მთავრდებოდა.

კაიგოროდოვმა მიგვიყვანა კობდოში, სადაც სამუშაოს და მშვიდობას გვპირდებოდა. მაგრამ კობდოში სამუშაო არ აღმოჩნდა. ფქვილითა და ბურღულეულით კობდოელმა ვაჭრებმა თავიდან მოგვიშორეს და გვირჩიეს, ბედი ულანგომში გვეცადა; ჩვენ იქით მთელი კვირა მივდიოდით, მაგრამ ჩასვლისთანავე გამოგვრეკეს იმ მიზეზით, ეშინოდათ, ვინმე არა გვყოლოდა ტიფით, ქოლერით ან კიდევ რაიმე ამდაგვარი ავადმყოფობით დაავადებული. 37 კაცი ვიყავით და კოლონისტებისა და მათ მსახურთა მტკიცე მოთხოვნას წინ ვერ აღვუდექით. დ. კაიგოროდოვმა წაგვიყვანა ბეკონმურენში, სადაც, მისი სიტყვებით, დამალული იყო ცეკავშირის ვერცხლი. ლაპარაკია იმ ფასეულობაზე, რომელიც მიიღო მონღოლეთის სავაჭრო ექსპედიციამ საბჭოთა ცენ-

ტრალური მთავრობისაგან ხორცის შესასყიდად დამშეული რუსეთისათვის. ექსპედიციამ მოასწრო ნახირის შესყიდვა და სემიპალატინსკში გადარეკვა. ამ დროს დაიწყო „თეთრჩეხთა“ ამბოხება ციმბირში. ექსპედიცია მოსკოვიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ბეკენ-მუჩენში არავითარი ვერცხლი არ აღმოჩნდა. კაიგოროდოვმა კოლონისტი კოზლოვსკი დაადანაშაულა ქურდობაში და ჩვენს თვალწინ დასვრიტა. მერე „კონფისკაცია“ გავუკეთეთ ქონებას (ექვს ხარს, რამდენიმე ათეულ ცხვარს, ცოტაოდენ მანუფაქტურას, საოჯახო ჭურჭელს) და დავიხიეთ მდინარე კობდოს გასასვლელისაკენ. კაიგოროდოვმა გვიბრძანა კობდოს შარაგზაზე მიწურები გაგვეთხარა გამოსაზამთრებლად.

მონღოლეთში ლტოლვილთა მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ბევრი მათგანი მოდიოდა ჩვენთან და კაიგოროდოვის ლამაზი სიტყვებით თავბრუდახვეული რაზმში ეწერებოდა. ხანდახან ის მიზიარებდა ხოლმე თავის აზრებს. მისი სიტყვებიდან გამოდიოდა, რომ წითლებისა და საბჭოების მდგომარეობა უიმედოა, რომ მთიანი ალთაი დიდი ხანია ელის მას, და ახლოა დღე, როცა ის, კაიგოროდოვი, აღადგენს ყარა-ყორუმელთა ხელისუფლებას. მე ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი კვერი დამეკრა, რადგან კაიგოროდოვი ჩემს მიმართ ძალზე საეჭვო ყურადღებას იჩენდა.

სექტემბრის ბოლოს იასაულის ბრძანებით ბოლიჩევმა და ჩევალკოვმა მდინარეთა ხეობებში მიაგნეს და „კონფისკაცია“ გაუკეთეს ცეკავშირის გადამალულ რამდენიმე ცხვრის ფარას. საჭმელზე ფიქრს თავი დავანებეთ.

ჩვენთან უკვე ინტენსიურად დაიწყეს მოსვლა ყოფილმა ჯარისკაცებმა და, უპირველეს ყოვლისა, ოფიცრებმა. მათი ნაწილი შეიარაღებული იყო, კაიგოროდოვმა შემოიღო ყოველი ლულის მკაცრი აღრიცხვა, სამწყობრო მომზადება. ვვარჯიშობდით ტაქტიკაში.

ასე გაიარა ზამთარმა. გაზაფხულისათვის რაზმი სამას კაცამდე გაიზარდა. ახსოვდა რა, როგორ უპატივცემულოდ მოექცნენ კობდოში, კაიგოროდოვმა საბრძოლო მზადყოფნაში წამოგვშალა და 1921 წლის 17 მარტს ქალაქში შეგ-

ვიყვანა. ვაჭარ ხალხს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ისინი ესალმებოდნენ რაზმს, სთავაზობდნენ საინტერესო სამსახურს.

კაიგოროდოვისათვის ახლა ეს ცოტა იყო. მან „ტოტალური მობილიზაცია" გამოაცხადა. საველე სამხედრო სასამართლოს შიშით, რომელიც მობილიზაციის დღეს შეიქმნა, მან დასავლეთის აიმაკებში დაგზავნა მალემსრბოლები მოწოდების ტექსტითა და საველე-სამხედრო სასამართლოს უფლებამოსილებით. აპრილისთვის კაიგოროდოვი წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომელსაც სამოქალაქო ხელისუფლება წინ ვერ აღუდგებოდა.

კობდოს ბედის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა ვერ მოასწრო მონღოლეთის შემოვლა, რომ ჩვენთან მოვიდა გენერალ უნგერნისაგან გამოგზავნილი დესპანი და ჩაგვაბარა დეპეშა, საიდანაც შევიტყვეთ, რომ ჩვენ მის დაქვემდებარებაში გადავდიოდით. კაიგოროდოვს წინადადება ეძლეოდა, დაუყოვნებლივ შესდგომოდა მოძრავი ნაწილების ფორმირებას და მზად ყოფილიყო ჩრდილოეთში გასალაშქრებლად. დეპეშას საჩუქრად გამოგზავნილი 260 შაშხანა და კიდევ მეტის გამოგზავნის დაპირება ამაგრებდა.

მალე კობდოში ჩამოყალიბდა ჩვენი შტაბი. მას სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი სოკოლნიცკი, კაცი პედანტი და მომთხოვნი. მე შტაბის სამწყობრო ნაწილის ადიუტანტად დამნიშნეს, რაზმს უკვე ჰქონდა სახელწოდება — „გამანთავისუფლებელი არმია". ოთხი საბრძოლო ასეულის გარდა, მასში შედიოდა მზვერავთა ოცეული, მეტყვიამფრქვევეთა, სანიტარული და სამეურნეო რაზმები.

დროდადრო ჩვენთან საიდუმლოდ ჩამოდიოდნენ მდიდარი მეჯოგეები ძმები ჩეკურაკოვები, ჩამოჰქონდათ ახალი ამბები რუსეთიდან, მათი სიტყვით, მთიან ალთაიში მწიფდებოდა საერთო-სახალხო აჯანყება. კაიგოროდოვი ნერვიულობდა, აჩქარებდა მოვლენებს, პირდებოდა მათ გარედან დაუყოვნებლივ დახმარებას. აპრილში მან მიკარნახა რამოდენიმე მოწოდება მთიანი ალთაის მცხოვრებლებისადმი ლოზუნგით — აღმდგარიყვნენ საბჭოების წინააღმდეგ საბ-

რძოლველად, კარმან და ტოვარ ჩეკურაკოვებმა გაავრცელეს ეს მოწოდებები ტრაქტისპირა სოფლებში.

მაისში პოლკოვნიკი სოკოლნიცკი ურგაში გაემგზავრა, უნგერნისთვის ვითარების მოსახსენებლად. ბარონი კმაყოფილი დარჩა რაზმის მზადყოფნით და წინადადება მისცა, ნუდმივი კავშირი დაგვემყარებინა გენერალ ბაკიჩის კორპუსთან, რომელსაც ეკავა შარა-სუმე კობდოს ჩრდილო-დასავლეთით.

კაიგოროდოვმა 12 ივნისს ხელი მოაწერა ბრძანებას საბრძოლო მოქმედების დაწყების შესახებ. პირველ რიგში თავს უნდა დასხმოდნენ კოშ-აგაჩს, სადაც იდგა წითელი პოლკის ასეული, ამავე ბრძანებით კუსურგაშევის განსაკუთრებულ რაზმს ევალებოდა გადაეკეტა ჩუის ტრაქტი თეთრი ბომის რაიონში, მაგრამ მეორე დღეს მზვერავებისაგან ცნობილი გახდა, რომ წითლებმა დაგვასწრეს და მიიღეს საპასუხო ზომები. კოშ-აგაჩში მოვიდა კ. ბაიკალოვის განსაკუთრებული რაზმი...

დასაწყისში კაიგოროდოვი ამ ცნობას ძალიან აღელვებული შეხვდა და როგორც საერთოდ ასეთ შემთხვევებში იცოდა ხოლმე, დათვრა. მეორე დღეს დაუბრუნდა მას აზროვნების უნარი და თითქოს პირველად ახლა გაიგო, რომ წითლების ძალები თითქმის ჩვენების მეოთხედს შეადგენდა. ამასთან ერთად მთელ გზებზე, კობდოდან რუსთა საზღვრამდე, განლაგებული იყო ჩვენი საგუშაგოები, რომლის არსებობის შესახებ ბაიკალოვს მხოლოდ შეეძლო ევარაუდა, მაშინ როცა მათ შეეძლოთ ყოველი მისი ნაბიჯი გაეკონტროლებინათ, თუკი ის ჩვენს მხარეს დაიძვრებოდა.

გამხიარულებულმა კაიგოროდოვმა მოიწვია შტაბის თათბირი და მეორედ გამოაცხადა რუსეთზე სალაშქროდ დაძვრა. მაგრამ პოლკოვნიკმა სოკოლნიცკიმ თქვა, რომ ვერ ხედავს აჩქარების მიზეზს, სანამ არ მივიღებთ უფრო დაწვრილებით ცნობებს საზღვრიდანო. პირადად მას, სოკოლნიცკის, აეშვებდა ის მდგომარეობა, რომ წითლები მოულოდნელად უფორმოდ, რაღაც სხვა ტანსაცმელში გამოჩდნენ.

ცხარე კამათის შემდეგ კაიგოროდოვი ხელახლა დათვრა და ჩვენ ისევ რამოდენიმე დღით დავრჩით კობდოში.

ამ დროს ბაიკალოვმა უკვე დაიწყო მოქმედება. ღამით მოულოდნელად დაესხა თავს ბეკონ-მურენსკის საგუშაგოს და ანადგურა. იგივე ბედი ეწია მდინარე კობდოს გადასასვლელზე განლაგებულ საგუშაგოს, ბეკონ-მურენსკში გაგზავნილმა ასეულმა დანაკარგი განიცადა და უკან დაიხია. კაიგოროდოვმა ბრძანა დაეხვრიტათ ასეულის მეთაური ზოლოტინი პანიკისათვის და ასეული საბრძოლველად აშალა.

მე მიჭირს იმის თქმა, მანამდე შტაბის უფროსთან კაიგოროდოვის რანაირი ხასიათის საუბარი უძღოდა ამ ამბავს. საბრძოლველად მთელი ძალებით გავედით. (1200-მდე კაცი) სოკოლნიცკის გარეშე. იგი დარჩა კობდოში ოფიცერთა ჯგუფით, რეზერვით, ძირითადი აღალითა და დაცვით. მეც შერჩა. ვმჯდარიყავ ქალაქში, მაგრამ თანამდებობა მავალდებულებდა, კაიგოროდოვის გვერდით ვყოფილიყავი.

მზვერავებისა და საგუშაგოებისაგან ვიცოდით ბაიკალოვის მოძრაობის მიმართულება. მდინარე საგსოის შესართავთან ჩვენი ცხენოსანი მზვერავები მოულოდნელად შეეჩეხნენ წითლების მზვერავებს. წითლები უფრო ადრე გაერკვნენ თურმე ორიენტაციაში და თავს მათთვის ხელსაყრელი ბრძოლა მოგვახვიეს, რის შედეგადაც ჩვენმა მზვერავებმა დაკარგეს ორი მებრძოლი. ისინი ტყვედ ჩავარდნენ. დანარჩენებმა უკან დაიხიეს და მოგვახსენეს მომხდარი ამბავი.

ოთხი საათის შემდეგ კაიგოროდოვი მთელი თავისი ძალებით მივიდა მზვერავთა შეტაკების ადგილას. პატარა გორაკიდან დურბინდით ჩვენ დავინახეთ წითლები. ისინი კვამლის საფარს ჰქმნიდნენ და პოზიციებს ამაგრებდნენ...

სამმა ჩვენმა შეტევამ არაფერი მოგვიტანა. ათ კაცზე მეტი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. კაიგოროდოვმა გასცა უკანდახევის განკარგულება იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე ღია ადგილზე გამოეტყუებინა, მაგრამ წითლები მტკიცედ დაგვასხდნენ კუდზე. ჩვენ სწრაფად მოვიხსენით პოზიციებიდან და ისეთი სიჩქარით დავიძარით, რომ გაქცევას უფრო ჰგავდა.

ტულბო-ნურის ტბასთან კაიგოროდოვმა მოაწყო დიდი ჩასაფრება. ეს იყო მისი საყვარელი და ერთადერთი ხერხი. მაგრამ წითლების დაზვერვამ მიაკვლია მახეს და თანაც

დიდი სიზუსტით, მთელი მისი განლაგების მთელი სიზუსტით. ბაიკალოვმა მოულოდნელი იერიშით ნახევარ საათში გაანადგურა ჩასაფრებულები...

ასეთი დასაწყისი კარგს არაფერს გვიქადდა. კიდევ ერთიორი ასეთი დამარცხება და ჩვენი ჯარი დემორალიზებული იქნებოდა. მაგრამ ბაიკალოვი ცუდად იცნობდა მონღოლეთს, ხოლო გამოცდილი მეგზური არ ჰყავდა. ტოლბო-ნერის ტბის სამხრეთით წითლები წააწყდნენ ჰურეს (მონასტერს) და ღამის გასათევად გაჩერდნენ. ბინდდებოდა და ვერავინ შეამჩნია, რომ ჰურე სამი მხრიდან შემოვლებული იყო კლდეებით... ბაიკალოვი თვითონ შევიდა მასში და ამას მხოლოდ განთიადზე მიხვდა...

კ. კ. ბაიკალოვის ჩანაწერებიდან

18 დღეა გრძელდება ალყა. სურსათის მარაგი სწრაფად მცირდება, იძულებული ვართ, შევამციროთ ნორმები, ავადმყოფების მდგომარეობა მძიმეა. მედპერსონალი ექიმ კულკოვის მეთაურობით თავგანწირვით მუშაობს, მაგრამ არა გვაქვს მედიკამენტები, სახვევი მასალა, ინსტრუმენტები. რამდენიმე დაჭრილს მოკვეთეს კიდურები, როგორი წარმოუდგენელიც არ უნდა იყოს, ჩვეულებრივ, უბრალო სერხით.

* * *

თეთრების იერიშები გაუბედავია. მათს შეძახილებში იგრძნობა შიში... ბოლოსდაბოლოს, გვიახლოვდებიან. უბანი თოფების ზალპითა და ყველა ტყვიამფრქვევის ჯერით პასუხობს... მოიერიშენი უცბად ჩაწვნენ. ჩვენც შევწყვიტეთ სროლა...

შეტევაზე იყო გენერალ ბაკიჩის ახალმოსული სიზრანის, „ყველაზე საუკეთესო“ პოლკის, ოთხასორმოცდაათი კაცი.

* * *

ისევ უფერული დღეები. ორივე მხრიდან კანტი-კუნტი სროლაა... და, აი, ერთ შესანიშნავ დილას, ვხედავთ, მო-

წინააღმდეგე გორიდან 15 უზარმაზარ ზვინს აგორებს, მას ნახევრად წახრილი მეომრები ეფარებიან. ვუყურებთ დურბინდით. ვხვდებით, რომ ეს ზვინულები გაკეთებულია მატყლისაგან, რომელსაც ჩვენ მთელი მონღოლეთის ტერიტორიაზე ვხვდებოდით უზარმაზარ შტაბელებად დაწყობილს. ყოველ ასეთ „ტანკს“ შეიძლება თავისუფლად ამოეფაროს ექვსი კაცი...

თეთრები მალე მიხვდნენ, რომ „ტანკები“ მხოლოდ დროის დაკარგვაა და შუა გზაზე დაანებეს თავი ამ წამოწყებას.

* * *

ალყის 26-ე დღეა. რაკი დავრწმუნდით, რომ თეთრები ახალ იერიშს ვერ ბედავდნენ, სიფრთხილეს ვუკელით.

და, უცბად, გამთენიისას ჩრდილოეთის უბანზე ატყდა ერუხუნი, თითქოს ათასობით ცხენის ფლოქვების ხმა ისმის. მზვერავები წამში ჩაძვრნენ სანგრებში. მთავარმა უბანმა თოფებიდან და ტყვიამფრქვევებიდან სასწრაფოდ გახსნა ფაიფურებული ცეცხლი. მათ მეზობელი უბნები ეხმარებიან...

სროლა ნელდება, შემდეგ სულმთლად წყდება. მივდივარ ტელეფონთან:

— აბა, რა ამბავია შენთან?

— ეშმაკმა დასწყევლოს, რა ვიცი, ცხენებით აპირებდნენ ჩვენს გადათელვას, მაგრამ, მგონი, დამფრთხალმა ცხენებმავე ეაიტაცეს ისინი სხვადასხვა მხარეს. აქ მახლობლად რაღაც აზავერები ღრუტუნებენ...

— არ გაუშვა, დახოცე აზავერები. ხორცი ხომ არა გვაქვს, — ვპასუხობ ტელეფონში...

* * *

მთელი სიმწვავით დგება სურსათის საკითხი. ვაზნებიც გვითავდება. პირველ ბრძოლებში ნამეტანი დაუდევრად ვხარჯავდით მათ...

* * *

ალყის 29-ე დღეს მზირად გავგზავნეთ ჩეკისტი ბრილიანტოვი.

ამის მერე ოცდამეათე დღეს მოვამზადეთ სამი ყირგიზი. მივეცით მათ ვერცხლი და პაკეტი პირველივე შემხვედრი წითელი არმიის რაზმისათვის გადასაცემად. წარგზავნილები გვთხოვენ უნაგირებს.

— რად გინდათ უნაგირები, მხოლოდ ზედმეტი ტვირთია.

— არა უშავს, თეთრ სალდათებს ბევრი ჩვენი ცხენი ჰყავთ, ახლა დავიჭერთ...

* * *

ბაკიჩმა პარლამენტიორები გამოგზავნა... ლანძღვის წერილით ვუპასუხეთ.

* * *

...სურსათი 8 დღის სამყოფილა დაგვრჩა.

აი, ის მოკლე, მაგრამ ზუსტი სურათი, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ბაიკალოვის რაზმი.

* * *

მთიან ალთაიში 1921 წლის გაზაფხულისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა რთული და დაძაბული იყო. გლეხობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა სურსათისა და სხვა საქონლის უქონლობის გამო. გამოცოცხლდა მოძრაობა კონტრრევოლუციური ელემენტებისა, რომლებიც მონღოლეთში გადახვეწილი თეთრგვარდიელების და ყარაყორუმელების ნარჩენებს ეყრდნობოდნენ. ამ დროს, როგორც ცნობილია, მთელი საბჭოთა სახელმწიფო დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა.

ახასიათებდა რა შექმნილ მდგომარეობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „...ჩვენ წავაწყდით საბჭოთა რუსეთის დიდ, მე

ლენინი, უდიდეს, შინაგან პოლიტიკურ კრიზისს, რომელმაც ეროვნული უკმაყოფილება არა მარტო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილისა, არამედ მუშებისაც[1]".

სიძნელეები, რომლებსაც წააწყდა საბჭოთა ხელისუფლება, შინაურმა და გარეულმა მტრებმა სცადეს დაუყოვნებლივ გამოეყენებინათ. აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობა გააჩაღეს თეთრგვარდიელებმა, მენშევიკებმა, ესერებმა. ქვეყნის რიგ რაიონებში იფეთქა კულაკთა ამბოხებებმა და აჯანყებებმა.

1921 წლის მეორე ნახევარში ალთაიში იმძლავრა ბანდიტიზმმა. მისი წარმოშობის მიზეზი იყო ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებდა ყოფილი მეფის რუსეთის ცხოვრების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნას, ექსპლოატატორთა კლასის ნარჩენების გააფთრებას იწვევდა. სასურსათო გადასახადით და სასურსათო გაწერებით უკმაყოფილონი იყვნენ მდიდარი გლეხები. ზოგან ამ ნიადაგზე აჯანყებებიც კი ხდებოდა:

„...ეს აჯანყებანი იმას მოასწავებდა, რომ გლეხთა წრეში არიან ფენები, რომლებსაც არ სურთ შეურიგდნენ სასურსათო გაწერასა და გადასახადს[2]"... ამგვარ აჯანყებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზღვარგარეთელი იმპერიალისტური წრეები. ეს იყო უცხოელთა ჩარევის კიდევ ერთი აქტი. ცნობილია აგრეთვე, რომ 1921 წლის გაზაფხულზე სემიონოვის, ბაკიჩის და უნგერნის საზღვარგარეთ გაქცეულ თეთრგვარდიელთა ბანდები გააქტიურდნენ და იაპონელ იმპერალისტთა დახმარებით ამუშავებდნენ საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის გეგმებს. ციმბირზე თავდასხმა მზადდებოდა მონღოლეთის მხრიდან, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ბარონ უნგერნის ცხენოსანი დივიზია და მოქმედებდნენ ბაკიჩის, ანენკოვისა და კაიგოროდოვის რაზმები. ეგრეთწოდებული „ალთაის ოლქის რუსთა და არარუსთა ნაკ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 33, გვ. 497 — 498.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 32, გვ. 184.

რები რაზმი“ ესაულ კაიგოროდოვის მეთაურობით, რომელიც 700 ხმალს, სამ ტყვიამფრქვევს და ერთ ქვემეხს ითვლიდა, უნგერნის უშუალო დაქვემდებარებაში შედიოდა. ბაკიჩი და ანენკოვი დამოუკიდებლად, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

მთიან ალთაიში 1921 წლის აგვისტოში განადგურებას ვადარჩენილი თეთრგვარდიელები და ყარა-ყორუმელები, ცალკეული ტერორისტული აქტებიდან და ძარცვებიდან კულაკ-ბაიების მასობრივ გამოსვლებზე და შეიარაღებულ ბრძოლებზე გადავიდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

შეიარაღებული გამოსვლების ნიშანი სოფელ ბელი-ანუის კულაკებმა მისცეს. მათ გადაჭრით თქვეს უარი სასურსათო გადასახადის გაწერასა და გადასახადზე. გალახეს გადასახადის ამკრებნი, ტყვიები დაუშინეს სასურსათო რაზმს. ბანდის უფროსმა ტირიშკინმა გამოსცა ბრძანება: სასურსათო გადასახადი არ შევიტანოთ, გავანადგუროთ კომუნისტები და დავაარსოთ „გლეხთა ხელისუფლება“. ამის შემდეგ კუიაგანის, პესჩანის, ჩორნი-ანუის და უსტ-კანის თემებში გამოჩნდნენ პიანკოვის, ორლოვის, კოლესნიკოვის ბანდები, ჩემალის მიდამოებში მოქმედებდა სემენიაკის, ჩუის ტრაქტზე კი ტუჟლეი ტაშკინოვის ბანდები. ისინი ერეკებოდნენ საბჭოთა ორგანოებს, ხოცავდნენ კომუნისტებს და სოფლის აქტივისტებს, სპობდნენ კომუნებს. გაანადგურეს როზა ლუქსემბურგის სახელობის კომუნა, ასევე მიწასთან გაასწორეს ჩელუშმანის კომუნა, სადაც არაადამიანური წამებით მოჰკლეს 11 კომუნისტი. ბანდიტები თავს ესხმოდნენ წითელარმიელთა რაზმებს, სამხედრო ტრანსპორტს და საგარეო ვაჭრობის საბარგულებს.

ბანდიტიზმის სოციალურ დასაყრდენს კულაკები და ბაიები წარმოადგენდნენ. მაგრამ ცალკეულ პერიოდებში სიბნელის, უცოდინარობის, პოლიტიკური უვიცობის, ხოლო ხანდახან კი მდიდრებზე ეკონომიკურად დამოკიდებულების გამო, ბანდიტიზმში მონაწილეობდნენ რუსი და ალთაელი მშრომელების ნაწილიც.

ბანდის მოთავეებს კავშირი ჰქონდათ ესერებთან და

თეთრგვარდიელთა იატაკქვეშეთთან საბჭოთა რუსეთში. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას შესაძლებლობა მიეცა, გაეხსნა საკმაოდ განშტოებული თეთრგვარდიელთა ორგანიზაცია, რომელიც, ერთის მხრივ, სათავეს ჩელიაბინსკში იღებდა და ალთაის გუბერნიის სიღრმეში კაიგოროდოვამდე აღწევდა. მეორე მხრივ კი მანჯურიამდე.

1921 წლის სექტემბრის ბოლოს კაიგოროდოვმა გადმოლახა საზღვარი, მთიან ალთაიში შემოიჭრა და ბანდიტთა ცალკეული ჯგუფები ეგრეთ წოდებულ „მთიან ალთაელთა პირველ თავისუფალ დივიზიაში“ გააერთიანა. 1921 წლის ნოემბრის დამდეგს კაიგოროდოვის ბანდამ სოფელ კუიაგანი დაიკავა. მას მიზნად ჰქონდა, სოფელ ალთაისკის გავლით შეტევა განევითარებინა ქალაქ ბიისკზე, სხვა რაიონების ბანდიტური ჯგუფებიც მასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, კომუნისტების მოსპობა, „უჩრედილოვკის“ ფორმაში „ნაროდოპრავსტვას“ დაფუძნება — აი, ბანდიტთა ჯგუფების ძირითადი ლოზუნგები.

კომუნისტთა მოსპობის მოთხოვნა განასახიერებდა ბურჟუაზიულ, თავადაზნაურთა კონტრრევოლუციურ სამხედრო დიქტატურის არსს. მაგრამ თეთრი ბანდიტები, ითვალისწინებდნენ რა ფართო მასების სიმპათიებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, იძულებული იყვნენ, შეენიღბათ თავიანთი ჭეშმარიტი მიზნები, ფარისევლურად აცხადებდნენ, ჩვენთვის მისაღებია საბჭოთა ხელისუფლება, ოღონდ კომუნისტების გარეშეო. ბანდიტური ჯგუფების მოთავეებს, რომლებსაც კარგად ესმოდათ ეს, წამოაყენეს ლოზუნგი „საბჭოები კომუნისტების გარეშე“.

* * *

მთიანი ალთაი პოლიტიკური ბანდიტიზმის საშიშ ადგილად გადაიქცა. კაიგოროდოვისა და სხვა ბანდების განადგურება გადაუდებელი ამოცანა გახდა.

პერსონალური პენსიონერის ანდრეი ილარიონი ძე ვილიკინის ნაამბობი ბაიკალოვის რაზმის შესახებ

1920 წლის დეკემბერში მოხალისედ წამიყვანეს წითელ არმიაში. იმ დროს მეთვრამეტე წელში ვიყავი გადამდგარი. მაგრამ ტანადი, და, რაც მთავარია, გამოცდილიც ვიყავი, რაკი მონაწილეობა მქონდა მიღებული სოროკინის კულაკური ამბოხების გაუვნებლობაში.

გამგზავნეს ბარნაულის მახლობელ დასახლება ბელმესევოში, სადაც ცალკეულ ცხენოსანთა დივიზიონის ბაზაზე ჩამოყალიბდა 59-ე ცხენოსანთა პოლკი. რაკი პირველ ჯგუფს მოვყევი, პირველ ესკადრონში მოვხვდი.

გაზაფხულისათვის პოლკი ჩამოყალიბდა და უკვე საბრძოლო მომზადებას გადიოდა.

1921 წლის ზაფხულში, დღისით, წამოგვშალეს, დაგვირიგეს საბრძოლო მარაგის სამმაგი კომპლექტი და სასწრაფოდ დავიძარით სამხრეთისაკენ.

მეორე საღამოს ჰორიზონტზე მთები დავინახეთ.

ონგუდაიმდე ყოველგვარი ფათერაკის გარეშე ვიმგზავრეთ, ხაბაროვკასთან მოულოდნელად ჩასაფრებულებს წავაწყდით. მთებიდან პირველი გასროლით მოგვიკლეს მეტყვიამფრქვევე პოლუეალოვი. ჩვენც სროლით ვუპასუხეთ. ჩასაფრებულები გაიქცნენ, ჩვენ კი, დავასაფლავეთ ამხანაგი და დავიძარით წინ.

მე არ ვიცი, როგორი ბრძანება მიიღეს ესკადრონების უფროსებმა, მაგრამ ორ საათში მოვწყდით აღალს. ინიაში პოლკი დაღლილ-დაქანცული მივიდა. ბორნით სამი მდინარის გადალახვამ და შეუსვენებელმა ლაშქრობამ ცხენებს ქანცი გამოაცალა.

გზიდან გადავედით და პატარა გორაკს მიღმა განვლაგდით. შფოთიანი დრო იყო. მთებში ლაპარაკობდნენ კაიგოროდოვის ბანდის შესახებ, და ხელმძღვანელობა საჭიროდ თვლიდა, რაც შეიძლება ნაკლებ უცხო თვალს ვენახეთ.

სამხრობისას ბანაკში ორი ქალი მოვიდა და თქვეს, რომ სოფელ ინუშკას მახლობლად შეხვდნენ ოციოდე სამოქალა-

ქო ტანსაცმელში გამოწყობილ შეიარაღებულ ხალხს... უფროსის არჩევანი ჩვენს პირველ ესკადრონზე შეჩერდა. სასწრაფოდ შევკაზმეთ ცხენები და გავქანდით აღნიშნული მიმართულებით, პოლუეალოვის სისხლის ასაღებად.

მაგრამ ბანდა თითქოს მიწამ ჩაყლაპა, ამაოდ გავჩხრიკეთ ყოველი ჩირგვი, ყოველი მიწაყრილი, ოცზე მეტი ვერსი გადავსერეთ უგზოობაში.

არაქათგამოცლილი ცხენები წარამარა ბორძიკობდნენ. ჩვენ კი ძლივს ვიკავებდით თავს უნაგირებზე. დაღამდა და დაღლილობას უძილობაც დაემატა. აღარც კი მახსოვს, როგორ მივაღწიეთ პოლკამდე.

დილით უფლება მოგვცეს, ერთი-ორი საათით კიდევ წაგვეძინა. უფრო — ცხენების გულისათვის, და, აი, აქ შემთხვევამ, როგორც მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ ამაზე, გადაგვარჩინა სიკვდილს. კუდრიავცევის მეორე ესკადრონი მზვერავთა ოცეულთან ერთად წავიდა წინ.

ჩვენ ინიადან სადილობისას გავედით. რა მიზეზით, არც მაშინ ვიცოდი, ისე, რომ ვერც ეხლა გავიხსენებ.

მახსოვს, გავიარეთ ორმოცდაათ ვერსამდე და დაბნელდა. მდინარე ჩუიას დაცემულ ნაპირებზე მრავალი კოცონი ენთო და არავინ არ ჩანდა. ყველა ჩვენგანი ცალ-ცალკე ფიქრობდა, რომ კუდრიავცევის მიერ იყო დატოვებული ეს კოცონები.

პოლკის უფროსმა გასცა განკარგულება, მოვმზადებულიყავით დასასვენებლად.

გამეღვიძა მოულოდნელად, თითქოს რაღაცის შემეშინდა. მახსოვს, წამით კინაღამ გული გამიჩერდა.

შაშხანას დავავლე ხელი, იქით წავედი, საიდანაც ლაპარაკი ისმოდა. სხვა კოცონებიდანაც დგებოდნენ მებრძოლები, ქუჩდებოდნენ. მე, როგორც იყო, გავარღვიე მებრძოლთა რკალი და დავინახე პოლკის უფროსობა, კომისარი და ნახევრადტიტველი ჩია კაცი, როგორც ეტყობოდა, ალთაელი.

ჩია კაცი ტირილით ერთმანეთში ურევდა რუსულ და ალთაურ სიტყვებს, თან ხელებით წარამარა შიშველ მხრებს იფარავდა, ცდილობდა გამთბარიყო. ბოლოს ვიღაცამ მოისაზ-

რა მოეხურა მისთვის ჯარისკაცის მაზარა და ტოლჩა მიეწოდებინა. ის გულდაგულ გაეხვია მაზარაში, ტოლჩა არც შეუმჩნევია. და ისევ ალაპარაკდა. მისი არეული ლაპარაკიდან მივხვდით — ვიღაც ესროდა ჩვენებს. ამ დროს ალთაელი სულ მდინარისაკენ მიგვითითებდა და იმეორებდა: „ჩუიაში“, „ჩუიაში“.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი შემზარავმა ამბავმა მოიცვა იქაურობა. მეორე ესკადრონი და მზვერავთა ოცეული ნახევარი დღის განმავლობაში დაიღუპნენ სამი ვერსის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ღამის გასათევად დავდექით.

საბრძოლო განგაში ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. პოლკი ფეხზე იდგა. გამთენიისას ფერმკრთალმა ფილიპოვმა დაამოწმა ნაამბობი. დილის რიჟრაჟზე საბრძოლოდ მომზადებულები დავიძარით ადგილიდან.

პირველი ესკადრონის რამდენიმე მეთაურისა და მებრძოლისაგან შემდგარი ჯგუფი შევიდა თეთრ ბომზე. მათ წუთითაც არ სცილდებოდა ჩვენი ღამის სტუმარი, რომელსაც კოპებამდე ჰქონდა მაზარა ჩაფართხუნებული.

სანაპიროზე გავიშალენით და მთელის ყურადღებით ვათვალიერებდით თეთრ ბომს. ის მიუვალი იყო ბილიკის მხრიდან.

მზვერავებმა მშვიდობით გაიარეს ბომი.

რევოლვერის ორმა გასროლამ გვაცნობა, რომ შეიძლებოდა ადგილიდან დაძვრა. ჩვენ გზაზე ოცეულობით გავდიოდით ერთმანეთისაგან სამასამდე მეტრის ინტერვალით. ჩვენი პირველი ესკადრონის პირველი ოცეული ავანგარდში მიდიოდა... ბომის გასწვრივ მთელი გზა მოფენილი იყო ცარიელი ვაზნებით. ქვის კედელი მარცხნივ ადამიანის სიმაღლეზე ტყვიით იყო დაცხრილული.

ქვებზე რამდენიმე ადგილას შერჩენილი იყო ჟანგისფერი ლაქები. ყოველივე ეს ბუნებრივი და გასაგები გახლდათ ჩვენთვის — ჯარისკაცებისათვის. მარჯვნივ კი... მარჯვნივ, საითაც მდინარის თავზე ქარაფია, ისეთი ზოლები იყო გზაზე, თითქოს დაფარცხულიაო. იქით მიათრევდნენ და ჩეხავდნენ... მკვდრებსა და დაჭრილებს... იმ კვალის დანახვაზე სისხლი გვეყინებოდა...

აი, რა ვიცი ამ ამბის შესახებ...

კოშ-აგაჩში ჩვენ რამდენიმე დღის მერე ჩავედით. ვიღაცეებმა ჩიბითში ძალიან დაგვთოფეს. იქ ეკლესიასთან ჩემი მეგობარი — საშა სტრუკი დავასაფლავეთ.

კოშ-აგაჩში განგვიმარტეს ამოცანა: სადღაც მონღოლეთში ალყაშია ბაიკალოვის რაზმი, ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ ისინი. დავიწყეთ უკანასკნელი ნახტომისათვის მზადება, რომ უცბად საზღვრიდან მეკავშირემ გვაცნობა: მოდიანო.

ერთი საათის შემდეგ ვხედავთ, მართლაც მოდის რაზმი. წინ წვერგაბურძგნული, ჭუჭყიანი ბაიკალოველები, ყველა დაკონკილ სამოქალაქო ტანსაცმელში, ასამდე კაცი, შეიძლება მეტიც იყო. არ მინდა ვიცრუო. უკან ასევე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულები მოჰყვებოდნენ, რომლებიც უფრო სუფთად გამოიყურებოდნენ. ყველანი იარაღით, ბედნიერები, მხიარულები.

ბაიკალოველები ალყიდან გაათავისუფლა ცხენოსანთა მე-10 დივიზიის ესკადრონმა ზაოზიორსკის მეთაურობით.

მთიანი ალთაის მაზრის ხელმძღვანელობა გააძლიერეს საგუბერნიო ცენტრიდან გამოგზავნილი ამხანაგებით. 1921 წლის 17 ოქტომბერს პარტიის სამაზრო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ალთაის პარტიული ორგანიზაციის გამოჩენილი მოღვაწე, რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრი 1911 წლიდან ლ. ა. პაპარდე, სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმში შევიდნენ პ. ი. გორდიენკო და ნ. თ. ივანოვი.

სამაზრო კომიტეტი ბანდიტიზმთან ბრძოლის პოლიტიკურ შტაბად იქცა. სამაზრო პარტიულმა ორგანიზაციამ იარაღი აიხსა. რკპ(ბ) სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით ყალიბდება „განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები“. მის შემადგენლობაში შევიდა ყველა კომუნისტი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომლებიც სამაზრო კომიტეტის გადაწყვეტილებით დარჩნენ თავიანთ პასუხსაგებ პოსტებზე.

რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სამაზრო კომიტეტმა, რუსეთის კომუნისტური პარტიის სამაზრო კომიტეტის მოწოდების პასუხად დაადგინა: მოსახლეობას შორის გაეშალათ ფართო სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა,

შეექმნათ თავდაცვის რაზმები და უზრუნველეყოთ პარტიის წევრების შესვლა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებში. ერთი სიტყვით, ყველა ორგანიზაციები სამხედრო მდგომარეობაზე გადავიდა. პარტიის წევრების უმრავლესობა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებში ჩაირიცხნენ.

1921 წლის ოქტომბერში შეიქმნა მთიანი ალთაის ჯარების დაჯგუფება, რომელშიც სხვადასხვა სახეობის ჯარების 10 ბატალიონი შედიოდა. დაჯგუფების სარდლად დაინიშნა გალინგი.

დილით 7 ნოემბერს წითელი არმიის ნაწილები და ჩონის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების რაზმები მოულოდნელად თავს დაესხნენ კაიგოროდოველებს, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ სოფელ ტაურაკთან. თეთრბანდელები ალყაში მოემწყვდნენ, მაგრამ გადარჩნენ სრულ განადგურებას. კაიგოროდოვმა რომელმაც თავისი ათასხუთასიანი ბანდიდან ათასი მოკლული, დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილ დატოვა, მიატოვა საბარგულები, გაარღვია ალყა და უიმონის ტრაქტით სასწრაფოდ უკან დაიხია.

ოცდამეექვსე პოლკის ნაწილებმა ბრძანება მიიღეს — დასწეოდნენ ბანდიტებს არ მიეცაი მათთვის საშუალება, რომ შეჰფარებოდნენ მდინარე არგუთის მიუვალ სათავეებს. ბრძანება ვერ შეასრულეს. კაიგოროდოვის და ჩეკურაკოვის ბანდების ნარჩენები 300-მდე კაცის შემადგენლობით დეკემბრის შუა რიცხვებში მიუვალ არგუთის სათავეებში შევიდა. ტირიშკინის ბახდა, რომელიც თავს არიდებდა შეტაკებას, მდინარე პერჩანაიას სათავეებთან მოქმედებდა. ჯგუფი, რომელსაც სლავორეცკი ხელმძღვანელობდა, ტელეცის ტბის მარჯვენა სანაპიროზე გამაგრდა

სამაზრო პარტიული ორგანიზაცია მობილიზაციას უკეთებდა რა მშრომელ მასებს, ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ განმარტებით და ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა. ბანდიტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში იგზავნებოდა განსაკუთრებული პოლიტჯგუფები დაშლილი საბჭოთა აპარატების აღსადგენად და მოსახლეობაში აგიტაციის ჩასატარებლად. მარტო 1921 წლის ნოემბერში 90 მიტინგი, კრება და სხდომა ჩაატარეს. „ალთაელი კომუნისტები,—მოახ-

სენაპდა პარტიის საგუბერნიო პლენუმს ლ. ა. პაპარდე, — მუშაობენ უპარტიო მასებთან კავშირში. ისინი გაუნათლებელი, მაგრამ საიმედო ელემენტებია". თეთრბანდიტთა წინააღმდეგ წარმატებით მოქმედებამ მათ საშუალება მისცა, გადასულიყვნენ ბრძოლის ახლებურ ტაქტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავდა გაეხრწნათ ბანდები და მოსახლეობისაგან მოეწყვიტათ. ბანდის მონაწილეებს, რომლებიც 1922 წლის 5 იანვრამდე ნებით დაყრიდნენ იარაღს, სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნების გარანტიას აძლევდნენ, ხოლო ბანდიტებს, რომლებიც მობილიზაციით მოხვდნენ ბანდებში ან თავიანთი უვიცობით, შინ უშვებდნენ. ასეთმა ტაქტიკამ დადებითი ეფექტი გამოიღო. ხუთასამდე კაცი დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას. ბანდებში შეურიგებელი კონტრრევოლუციონერები დარჩნენ.

ამავე. დროს, არგუთის ხეობისაკენ, კაიგოროდოვის ბანდისკენ თითო-თითოდ და ჯგუფ-ჯგუფად მიედინებოდნენ ისინიც, ვისაც საბჭოთა ხელისუფლებისაგან პარტიების არავითარი იმედი არ გააჩნდა. აქვე გადმოვიდნენ მონღოლეთიდან გენერალ ბაკიჩის თეთრგვარდიელთა ნარჩენები. ბანდიტთა ჯაშუშები, რომლებიც რუსი კულაკებისა და ალთაელი ბაიების დახმარებას ეყრდნობოდნენ, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ეწეოდნენ აგიტაციას.

4 თებერვლის ღამეს ადგილობრივი კულაკების დახმარებით, მოულოდნელად დაესხა თავს კაიგოროდოვის ბანდა 186-ე პოლკის მეშვიდე ასეულს, რომელიც სოფელ კატანდაში იმყოფებოდა, განაიარაღა წითელარმიელთა ორი ათეული. ისარგებლა რა წითელარმიელთა დაღლილობითა და ერთმანეთისაგან მოწყვეტით და, რაც მთავარია, მთიანი ადგილების შესანიშნავი ცოდნით, კაიგოროდოვმა შეძლო მოულოდნელი მოქმედებით მიეყენებინა რიგი საგრძნობი დარტყმები 62-ე ბრიგადისათვის და დროებით ხელთ ეგდო ინიციატივა.

უიმონის ტრაქტზე გამოსულმა კაიგოროდოვმა გამოაცხადა 18-45 წლამდე მამაკაცთა მობილიზაცია. ბანდაში ორი-

ათასამდე კაცი „შედარებით კარგად შეიარაღებული თითქმის ყველა ცხენოსანი და 8 ტყვიამფრქვევი“ აღმოჩნდა.

ცდილობდა რა ადგილობრივი მოსახლეობის თანაგრძნობისა და მხარდაჭერისათვის მიეღწია კაიგოროდოვმა შეცვალა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის ფორმები და ხერხები. იმისათვის, რომ ბანდიტიზმისათვის „სახალხო“ მოძრაობის იერსახე მიეცა, შეუდგა „კანონიერი ხელისუფლების“ ორგანიზაციას. კაიგოროდოვმა სასწრაფოდ „დროებითი სამოქალაქო რაიონული თვითმმართველობა“ შექმნა მენშევიკ ანდრეევის მეთაურობით, რომლის ხელმძღვანელობითაც 1922 წლის 20 თებერვალს გაიმართა „უიმონის მხარის ამომრჩეველთა ყრილობა“.

„ყრილობის“ მიერ არჩეული რაიონული „მმართველობა“ ანდრეევის, კიტრონოვის, სუვოროვის, ბულგაკოვის, ბუხტუევის და ალთაელებიდან მუკტოშ-შალდანკინის შემადგენლობით, — სინამდვილეში ბანდიტთა შტაბის უბრალო დანამატი იყო.

ამასთან ერთად მიიღეს საგანგებო ზომები, რათა მოძრაობის ბაზა გაფართოებულიყო ალთაელ მოსახლეთა ხარჯზე. კაიგოროდოვმა აიტაცა ყარა-ყორუმელთა ნაციონალისტური ლოზუნგები და თავისი თავი ავტონომიისა და დამოუკიდებელი მთიანი ალთაის მომხრედ გამოაცხადა.

მაგრამ, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, გარდაუვალი იყო კულაკურ-ბაითა ბანდიტიზმის დაღუპვა.

რევოლუციური კანონიერების უზრუნველსაყოფად ალთაის საგუბერნიო კომიტეტმა და საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნეს საგანგებო სამეული. 1922 წლის 28 თებერვალს შეიქმნა მთიანი ალთაის სამაზრო სამეული, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ივანოვის, XXI დივიზიის მეთაურის ოვჩინიკოვისა და მთიანი ალთაის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების მეთაურის როლიკოვ—ვინოგრადოვის შემადგენლობით. ბანდიტთა წინააღმდეგ მომქმედ სამხედრო ნაწილებშიც იქმნებოდა სამეულები, რომლებიც ცხელ კვალზევე აწარმოებდნენ სასამართლო განხილვებს.

გადამწყვეტი ზომების წყალობით მერყევი ელემენტები

ჩამოშორდნენ ბანდებს, გაძლიერდა გლეხთა უკეთესი ნაწილის აქტივობა, სოფლიდან განდევნეს ბანდიტები. ბევრ სოფლებში, მათ შორის ალთაურ სოფლებშიც შეიქმნა თავდაცვის რაზმები, თეთრბანდათა ცდა, რომ შეენარჩუნებინათ ინიციატივა, სრული კრახით დამთავრდა. 1922 წლის 22 თებერვალს ბიისკის მაზრის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებმა გარეკეს კაიგოროდოვის 700-კაციანი ბანდა. ბანდიტები ზედიზედ მარცხდებოდნენ. მარტის დასაწყისში კაიგოროდოვისა და კარმან ჩეკურაკოვის გაერთიანებულმა ბანდამ კიდევ ერთი მსხვილი ოპერაციის ჩატარება სცადა, რათა ხელთ ეგდო სოფელ ონგუდაიში მდებარე სასურსათო საწყობები. 185-ე პოლკის ნაწილები 7 დღე-ღამის განმავლობაში იგერიებდნენ ბანდიტთა გააფთრებულ შეტევებს. სოფელ შებალინოდან წითელარმიელების მისახმარებლად წავიდა ციმბირის ნაკრები რაზმი ვნუკოვის მეთაურობით. ბანდიტებმა მთის ბილიკებით სოფელ კატანდისაკენ დაიხიეს. ი. ი. დოლგიხისა და ვორონკოვის პირველმა და მეორე გამანადგურებელმა რაზმებმა ი. ი. დოლგიხის საერთო მეთაურობით, მიიღეს საბრძოლო დავალება — გასულიყვნენ ვიწრო ხეობებით ჩუის ტრაქტიდან უიმონისაზე, ჩასულიყვნენ სოფელ ტუნგურში, მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში და მოულოდნელი, ძლიერი დარტყმით გაენადგურებინათ კაიგოროდოვის ბანდა, ხოლო თვითონ ის ცოცხალი ან მკვდარი ჩაეგდოთ ხელში.

„ჩონელები“ შტურმზე გადავიდნენ, ერთის შეხედვით, მთის მიუვალ ჭიუხებზე. 10 აპრილს, გარიჟრაჟზე, რაზმი, რომელმაც 40-ვერსიანი გადასვლა განახორციელა, ტერენტინის უღელტეხილზე დაეშვა მდინარე კატანდის ხეობაში და მოულოდნელი დარტყმით თავს დაესხა მტერს. გააფთრებულ ბრძოლებში ი. ი. დოლგიხის რაზმმა 500 ბანდიტი მოსპო. თეთრბანდიტთა ბევრი მოთავე ტყვეობაში აღმოჩნდა. კაიგოროდოვი, რომელიც გაქცევას ლამობდა, მოკლა მეორე ესკადრონის ზემდეგმა ტიხონ მიხაილოვმა.

ბანდიტიზმის ყველაზე მთავარი და საშიში ბუდე განადგურებულ იქნა. ალთაის საგუბერნიო კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა კაიგოროდოვის განადგურებაში მონაწილე ყვე-

ლა ჩონელს. ნაკრები რაზმის მეთაური ი. ი. დოლგიხი და ზემდეგი ტ. მიხაილოვი წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოვეს.

კაიგოროდოვის განადგურებამ არეულობა გამოიწვია დარჩენილ ბანდიტთა რაზმებში. რკპ(ბ) სამაზრო კომიტეტმა ზედმეტი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით კიდევ ერთხელ ჩაატარა ნებით გამოცხადების კამპანია. ამის შედეგად ათასზე მეტმა კაცმა და მთელმა რიგმა ბანდების მოთავეებმა დაყარეს იარაღი. 1922 წლის აგვისტოში არგუთის ხეობაში ვორონკოვის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილმა გაანადგურა კარმან ჩეკურეკოვის ბანდა. ცალკეული ბანდები ერთხანს კიდევ დაეხეტებოდნენ სხვადასხვა ხეობებსა და ტყეებში, მაგრამ მალე ისინი მთლიანად ან ტყვედ ჩაიგდეს ანდა გაანადგურეს.

* * *

ხეობას მივყვებით ცხენებით. რის ვაივაგლახით ავიარეთ ტინიანი აღმართები. ავივაკეთ. ცხენები ძლივს სუნთქავენ. წინ, როგორც ყოველთვის, ვალოდია ციგანკოვის ცხენი მიდის. მე, რეზო სალუქვაძე და სოსო ბაბუაძე წალიკად მივდევთ მას. სოსო თავის ფოტო და კინოაპარატურაში ჩამჯდარი ძლივს ჩანს. ცხენიდან ჩამოსულმა ვალოდიამ დურბინდი მოიმარჯვა, მიდამო მოათვალიერა და გვანიშნა, ჩამოვქვეითებულიყავით. დურბინდმომარჯვებულმა 700—800 მეტრის სიშორეზე ტეკების კარგა მოზრდილი ჯოგი დავინახე, რომელიც მშვიდად შეექცეოდა ბალახს. მათგან მოშორებით მეორე, უფრო დიდი ჯოგი ბალახობდა.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადაწყდა, ვალოდია წასულიყო იმათკენ და როგორმე მოეხერხებინა მიპარვა, ჩვენ კი ხეობის ორივე მხარეს ბილიკებს უნდა დავდარაჯებოდით.

ვალოდია კლდის ნაშვავებს მიეფარა. წუთები ძალზე ნელა გადიოდა. ვალოდია აღარ ჩანს, მაგრამ ვარაუდით ვგრძნობ, რომ პირველ ჯოგს მიახლოებული უნდა იყოს. თოფის ხმას ველი. არაფერი ისმის, დურბინდით გავყურებთ ტეკებს. მათ ერთბაშად ბალახის წიწკნას თავი მიანებეს და

ბურეპდაცქვეტილები, ზანტად, ისე, თითქოს არ სჯერათ საფრთხისაო, ადგილიდან დაიძრნენ. სროლა არც ეხლა გაისმა, მოლოდინისაგან სუნთქვა მეკვრის. მეორე ჯოგი ისე მშვიდად განაგრძობდა ძოვას, რომ მათთან მისული ტეკებიც დამშვიდდნენ და გააგრძელეს მათთან ერთად ძოვა.

წუთები იწელება, რეზო სალუქვაძე ბურტყუნებს — ვალოდია მარტო რატომ გავუშვითო, რატომ ჩვენც არ გავყევითო თან, ან იქნებ ეხლა წავიდეთო ჩვენც. მე გაჯავრებულმა ვუთხარი — არ შეიძლება ყველამ თავის ჭკუაზე იაროს-მეთქი.

ერთბაშად იხუვლა მთებმა. დურბინდი მოვიმარჯვე. ტეკები ჯერ აირივნენ, მერე ერთ ბურთად შეიკრნენ, შეჩერდნენ, ცდილობდნენ გაერკვიათ, საიდან მოდიოდა საშიშროება. მეორედ იშექა თოფმა. წინ ვაცი დაიძრა და დანარჩენებიც გაჰყვნენ ჩვენგან საპირისპირო მხარეს ჭიუხებისაკენ, ისეთი სისწრაფით მიჰქროდნენ, რომ მნახველს თავბრუ დაეხვეოდა. მესამედ გადაუარა არემარეს თოფის ქუხილმა და ყველაფერი მიწყდა.

სასწრაფოდ მოვახტით ცხენებს და რაც კი შეიძლებოდა, სწრაფად გავუდექით ხეობის სათავისკენ, სადაც ვალოდია გვეგულებოდა. „ბრძოლის“ ველზე თხა ეგდო მხოლოდ, ამაოდ ვეძებდი ორი დანარჩენი გასროლის შედეგს. როგორც მერე გამოირკვა, შეუმოწმებელი უხეირო თოფის გამო ორი გასროლა მიზანს ასცდენოდა და ეს ერთიც შემთხვევითი მსხვერპლი იყო.

სოსომ სურათები გადაიღო. კინოაპარატითაც წაიმუშავა და მერე ვალოდიას მოეხმარა თხის გატყვავებაში. ვალოდია მარდად მუშაობდა. უცბად შემოატყავა ნადირი, მუცელი გაუფატრა, ნაწლავები და ფაშვი ამოყარა ორთქლმოდებულ მუცლიდან და „კრუშკაო“ გადმომძახა. არ წამოგვიღია მეთქი, დაჩოქილმა ვალოდიამ სიგრძეზე გაპობილი ნიამორის მუცელში ჩარგო თავი.

— ნეტავი, რას ეძებს ამდენ ხანს — გვეკითხება სოსოია. მე და რეზო სალუქვაძემ კარგად ვიცით, რასაც „ეძებს“ ვალოდია, ვიღიმებით.

— დედა, დედა, ამას რას შობა, რეზო ბიძია, სისხლს სვამს, სისხლს! — იძახის დაფეთებული სოსოია და ისე აცეცებს შე-

შინებულ თვალებს, მაგრამ, როცა ვალოდიამ სისხლით მთლად გათხუპნული ცხვირ-პირი ამოყო ნადირის მუცლიდან, სამართებელივით მჭრელი დანით ცხელ ღვიძლს კარგა დიდი ნაჭერი ჩამოაჭრა და მადიანად შეექცა. სოსოია მთლად გადაირია.

ნადირი სასწრაფოდ დავაფეშხოვეთ, ხორცი ქვებზე დავალაგეთ და ზედ ტყავი გადავაფარეთ. სოსო იქვე დავტოვეთ. ჩვენ კი ზემოთ ავუყევით ხეობას.

იმ დღეს აღარაფერი გამოგვივიდა. რამდენჯერმე დავინახეთ მყინვარებში ხმლისრქიანი ვაცები, მაგრამ სათოფეზე ვერ მივეპარეთ, ყოველთვის გვამჩნევდნენ და ქარაფებში უჩინარდებოდნენ.

შეღამებულზე დავბრუნდით სადგომში. დაღლილები და მშივრები.

რეზო სალუქვაძე, როგორც ყოველთვის, ვახშმის მზადებას შეუდგა. შეხვეული ცეცხლი გააღვივა, ვედროთი ხორცი შემოდგა, მწვადებიც აასხა. ტყემალი, აჯიკა და წიწაკა ამოვალაგეთ, თან გავაფრთხილე მეგობრები, — ძალიან ცხარეა და ფრთხილად-მეთქი. კოლიას მაინც და მაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენია მათდამი, ვალოდიამ კი აჯიკა კარაქივით წაუსვა პურს და ისე გემრიელად შეექცეოდა, ლამის მე დამასხა სიმწრის ოფლმა, მაგრამ, როცა ვახშამს მოვრჩით და ჩაით სავსე თუნუქის კათხაში შუაზე გადატეხილი წიწაკა ჩააგდო, ცხარე საჭმლის მოყვარულმა ქართველებმა გაოცებისაგან პირები დავაღეთ.

ჩვენს შეკითხვაზე — თუ სად და როგორ მიეჩვია ასე ცხარე საჭმელს, — ვალოდიამ გვიპასუხა:

— როგორც იცით, ცხოვრება სამსახურებრივი მოვალეობის გამო თითქმის სულ გარეთ მიხდება. ხან მოტოციკლეტით და ხან ცხენით, ხან ტყეებში ვარ, ხან იალაღებზე, რომ ბრაკონიერობა აღვკვეთო. აქ კი ჩვენთან ზამთარში ხანდახან ორმოცდაათ გრადუსამდე ყინვაა. თოვლს ძალზე ცოტას დებს და იმასაც არ აჩერებს ქარი. ასეთი სიცივე კი როგორც მოგეხსენებათ, არც თუ ისე იოლი ასატანია. ხშირად მიხდება, აი, ასეთ ამინდში მთაში დარჩენა. ცეცხლს დავანთებ, შეშასაც მოვიმარაგებ, მაგრამ ჩაგეძინება და უყურაღ-

ლებოდ დარჩენილი ცეცხლი ქრება, ქრება და იმ წუთში გაღვიძებს სიცივე. ცხარე საერთოდ მიყვარდა, მაგრამ ასე არა. ერთხელაც, ჩემს საგზალში რაღაც არაჩვეულებრივად ცხარე წიწაკა შემხვდა, სწორედ ძალიან დიდი ყინვა იყო, ვიფიქრე, იქნებ, ამან მიშველოს-მეთქი, ჩაიში ჩავამტვრიე და ისე დავლიე, ცეცხლს შევუკეთე, ცხვრის ქურქში გავეხვიე და დავიძინე. დილამდე სულ ოფლში ვცურავდი .მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი კარგა ხნის ჩამქრალი იყო. — აი, მას შემდეგ მაგით ვითბობ თავს.

არ ვიცი, მართალია თუ არა. მე ამის შემოწმების არავითარი სურვილი არა მაქვს, სხვამ კი თვითონ იცის, უნდათ, დაუჯერონ ვალოდიას, და უნდათ — არა. საჭმელს მადიანად შევექეცით, და ამ დროს უნებლიე შეცდომა დავუშვი.

— რეზო, ღვიძლს ძალიან ნუ შეწვავ, გამოშრება.

ამის თქმა იყო და, სოსოს ლუკმა გაუვარდა ხელიდან. იმ დღეს ნანახი გაახსენდა უთუოდ და ვეღარაფრით საჭმელი ვეღარ ვაჭამეთ.

მუდამ ყურადღებიანი მასპინძელი ვალოდია, ყველაზე საუკეთესო ნაჭრებს სთავაზობდა სოსოს, იქნებ, ეს მოეწონოს და ჭამოსო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ვალოდიას ხომ ვერ ვეტყოდით მიზეზს. სოსომაც ცუდად ყოფნა მოიმიზეზა და ჩვენც, ცოტა არ იყოს, გაგვიუგემურდა ვახშამი.

დილით ქვევით ჩავყევით პატარა მდინარის — ბალიკტუს ხეობას. ბალიკტუ თევზიანს ნიშნავს. ლამაზ ტყიან ტაფობში ბოლი შევნიშნე. ვალოდიამ გვითხრა — ერთი ოჯახი ბინადრობს და იქ დავისვენებთო. ჩამოქვეითებულები ვუახლოვდებით სადგომს...

— დედაშენს რა ჰქვია, გოგონა? — თავზე ხელის წათათუნებით ეკითხება ვალოდია ნახევრად ტიტლიკანა, ლოყებდაწითლებულ სამიოდე წლის გოგონას.

— ეჩკი! — მხიარული ღიმილით და საოცარი სითბოსგამომხატველი თვალებით პასუხობს გოგონა.

— რა ჰქვია, რა? — ეკითხება გაკვირვებისაგან თვალებდაჭყეტილი ვალოდია და გულიანად ხარხარებს.

— ეჩკი! — გარკვევით პასუხობს პატარა და ოდნავ ნაწყენი აჩერდება თვალებში, თითქოს უკვირს, ნეტავ, რა გაცინებსო. მერე ერთბაშად შარვლის ტოტში ჩაავლო პატარა ხელი, ფარეხისკენ წაბანცალდა და ვალოდიაც თან გაიყოლა.

— ეჩკი ალთაურად თხას ნიშნავს, — ღიმილით მიხსნის კოლია და თან ცნობისმოყვარეობით მივყვებით ფარეხისკენ მიმავალ გოგონას და ვალოდიას.

— მეხი კი დავათხლიშე დედამაგისს, — ქოქოლა მიაყარა იქვე სარეცხით გართულმა ბებიამ თავის ქალიშვილს. — იმ უნამუსოს ოჯახი და შვილი კი არა, მარტო მამაკაცი ყვარებია თურმე.

პატარა რაია კი ბანცალით წინ მიუძღოდა ვალოდიას, რომელსაც ჩვენ მივყვებოდით გაოგნებულები.

რაიას დედა ქმარმა მიატოვა, თურმე, და სხვა შეირთო ქალაქში. გამწარებული ქალი ერთხანს ეხვეწა დედას, გავყიდოთ თხის ფარა და ჩვენც ქალაქში გადავიდეთო, მაგრამ მოხუცს შორს დაუჭერია ქალიშვილის წინადადება. მაშინ, ბოხჩაში გამოუკრავს თავისი ავლა-დიდება, რაიჩკაც დედისათვის დაუტოვებია და გაპარულა. მას შემდეგ თავისი ქალიშვილის ხსენებაც არ უნდოდა მოხუცს.

— ეჩკი, ეჩკი, — გასძახა რაიამ.

ბავშვის ხმის გაგონებაზე ცურდატენილი თხა უმალ გამოეყო პატარა ფარას და ბავშვს შეეგება. ცეროდენა კისერზე მოეხვია, — ეჩკი, ეჩკი, — ჩურჩულებდა პაწაწინა, თხა კი ნაზად ლოკავდა მის ტიტლიკანა მუცელს, ყელს, ლოყებს, მერე ბავშვმა ჩაიჩოქა და თხა მაშინვე მიუწვა გვერდზე.

რაიჩკას ლამაზი ცხვირ-პირი დედობილის ჯიქანში ჩაიმალა.

სოსოია კამფეტებით გაუმასპიწძლდა გოგონას.

თითო კათხა ახლადმოწველილი რძე გეახელით, ცოტა ხანს შევისვენეთ და გზას გავუდექით იმ ვარაუდით, რომ სახვალიოდ სანადირო ადგილებთან ახლოს ვყოფილიყავით. მაგრამ მეორე დღეს ვერ ვინადირეთ, ნისლით ისე იყო ჩამობნელებული იქაურობა, ვერაფერს ვხედავდით ხეირიანად. თოვდა კიდეც.

საღამო ხანს გადაიღო თოვლმა.

— ხვალ გვექნება კარგი ნადირობა, — გვეუბნება ვალოდია. — ეხლა კი რაც შეიძლება ბლომად მოვიმარაგოთ შეშა, ამაღამ ყინვა დაარტყამს. — და ცისდასალიერს გასცქერის.

მე, ვალოდია და სოსოია შეშაზე გავდივართ. რეზო სალუქვაძე და კოლია კი ვახშმის მზადებას შეუდგნენ.

ჩამობნელდა. შეშა და წყალი მომარაგებული გვაქვს. ვალოდიამ ცხენებიც შეამოწმა და დაბრუნდა. ვახშამი მზად არის.

უზარმაზარი კოცონი ტკაცუნობს კარვის წინ. ცაში ავარდნილ ალში ნაპერწკლების ფეიერვერკია, ტანაშოლტილი კედრები ათასფრად მორთულ, საახალწლო ნაძვის ხეებს გვანან, მათ გარშემო კი ალისაგან წარმოქმნილი ლანდები დაბორიალობენ. დროდადრო ტინებს ჯერ კიდევ ფხვიერი თოვლი წყდება და თანწამოყოლილი კლდეების ნაშვავი ხრიალით იშლება ხეობაში. სოსოია დაფეთებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს — აგე! თითით გვანიშნებს იქით, საიდანაც ხმა ესმის.

— წახდა ყაზილარი. — იცინის რეზო სალუქვაძე. — რამდენჯერ უნდა გითხრათ, ბიჭო, ეგ ნაშვავია და სხვა არაფერი, ნუ გეშინია.

ვალოდია იცინის.

— აუჰ, ზედა ბინაში დამრჩენია ხანჯალი. — შეიცხადა რეზომ. — აი ძვლები რით ჩავჩეხო ახლა, სოსოია ბიძია, მოახტი ცხენს და აირბინე ერთი შენს გაზრდას, აქვე არაა წყალგაღმა? თვალი ჩამიკრა ისე, რომ სოსოს არ დაენახა და აქეთ-იქით ფათური დაიწყო, თითქოს მართლა ეძებდა რაღაცას.

— რას ამბობთ, რეზო ბიძია, ხორცი სულ რომ არ ვჭამო, კარვიდან გავალ, ახლა მ..ე..ე? — წაუზესტაფონურა სოსომ და ნირწამხდარმა შემომხედა.

— მაშინ მე წავალ, აბა მშივრები ხომ არ დავრჩებით, ბიჭო. — სერიოზულად ვეუბნები.

— აჰ, არაფერი გეტკინათ მანამდე, მე გარეთ არ გამაგდოთ, საჭმელი ახლა კი არა, მგონია, სულ რომ არ ვჭამო ჩემს სიცოცხლეში. — ამბობს სოსოია და კარვის კუთხისაკენ

ისე მიჩოჩავს, თითქოს მართლა ძალით უპირებდეს ვინმე გარეთ გაგდებას.

— უჰ, მაგერ არ გაქვთ ხანჯალი? — ისევ წაუზესტაფონურა სოსოიამ და ნირწამხდარ სახეზე სიხარულის ღიმილი მოერია.

გულიანი სიცილით შევუდექით ვახშამს.

ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ალთაელები ძალზე გულგახსნილი და გულუხვი მასპინძლები არიან. ყოველ აილში შესული ადამიანი ითვლება ამ აილის ოჯახის წევრად. თუ მასპინძლები ჭამენ, ისიც ჭამს, თუ სვამენ, ისიც სვამს, ყოველგვარი გარჩევის გარეშე, თუ სტუმარი სხვა სოფლიდანაა, წასვლისას საგზლითაც მარაგდება.

გეოგრაფი ვ. ვ. საპოჟნიკოვი აღწერდა, თუ როგორ მიიღო იგი ზაისან ჩეკურაკმა. „ის იყო ცხენიდან ჩამოვბტი, რომ ხელკავი გამომდეს ჩეკურაკის ათი წლის ვაჟმა და ვიღაც მოხუცმა და ზეიმით წამიყვანეს იურტისაკენ, დამსვეს ბეწვეულის ნოხზე და კუმისითა და თბილი არაკათი გამიმასპინძლდნენ. დიასახლისი შორიახლოს იდგა და ბრტყელძირა ხის თასებს ავსებდა სასმელით. სასმისები იმავე ბიჭს — მასპინძლის შვილს დაჰქონდა. როცა რომელიმე სტუმრის წინ გაჩერდებოდა, ის პირველად სასმელით სავსე თასს ჯერ თავის ტუჩებთან მიიტანდა და ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ცოტა მოსვაო და მხოლოდ მის შემდეგ მიართმევდა სტუმარს. მასპინძელმა დატენა ჩიბუხი, მოუკიდა, გააღუა და მომაწოდა. ჩემ რიგად მე ასევე უნდა მეპასუხა; ეს აქტი ყალმუხებს* დიდ თავაზიანობად ეთვლებოდათ და ჩიბუხის მიუღებლობა დაუშვებელია. მალე ჩიბუხები ხელიდან ხელში გადავიდა“.

სტუმარი საჩუქრებით მოდიოდა: მოჰქონდა ჩემენი, კუმისი, არაკა, კარაქი, ბიშტაკი და კურუტი — ძროხის ყველი, ერბო და არჩინი. სტუმარი ხსნიდა არაკიან ტაჟუურს, იჩოქებდა ცალ მუხლზე და აწვდიდა მასპინძელს. მასპინძელი ჩამოართმევდა ტაჟუურს, არაკას გადაასხამდა სხვა ჭურჭელში, და დგამდა ცეცხლზე გასათბობად. სტუმარი ცეცხლში

* შეცდომით ალთაელები ყალმუხებად არიან ნახსენები.

დებდა არჩინს, მასპინძელი არაკას მოასხურებდა ცეცხლს. დიასახლისი სტუმარს ჯერ ჩაით უმასპინძლდებოდა, შემდეგ კი ხარშავდა ხორცს, იმის შემდეგ, სტუმრის მიერ მოტანილი არაკა შეისმებოდა, მასპინძელი თავისითაც უმასპინძლდებოდა. მეორე დღეს მასპინძელი სტუმრის პატივსაცემად კლავდა ცხვარს და უმასპინძლდებოდა მას განსაკუთრებული თეფშით: ხის ლარნაკზე დადებული მკერდის ნაწილით ან ნაკლავის უკანა ნაწილით.

სტუმარი ყველა ტომის ალთაელებისთვის ერთნაირად ძვირფასია. მის თხოვნას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ. სტუმარს ჩუქნიდნენ რომელიმე ცხოველს, აგრეთვე მოჩუქურთმებულ ხის ფიალას, ლამაზი ქსოვილის ნაჭერს, აბრეშუმის ძაფს, ჩაის. სტუმარი იღებდა საჩუქრებს, რომელთა ფასეულობაც მის ნათესაურ სიახლოვეს შეესაბამებოდა.

სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულების ერთ-ერთი არსებითი მომენტი იყო როცა სტუმარს წელზე არტყამდნენ ქამარს — (ხუთი-ექვსი მეტრი სიგრძის ახალ ქსოვილს). მასპინძელი შემოახვევდა სტუმარს ქამრად ამ ქსოვილს და თან დალოცავდა: „— დე, შენი წელი იყოს მაგარი!“ თუ ბევრი სტუმრები იყვნენ, ყველასათვის უნდა შემოერტყათ ქამარი. უფროს ან უფრო პატივსაცემ სტუმარს შემოარტყამდნენ აბრეშუმის ან ხავერდის ქამარს. ბურხანისტები სიძეს უთუოდ თეთრი ქსოვილის ქამარს შემოარტყამდნენ, რომლის ბოლოშიც გამოკრული იყო ტყვია. სტუმარი მამაკაცებისათვის მხოლოდ ერთფერი ქსოვილის ქამრის შემორტყმა შეიძლებოდა, ხოლო სტუმარი ქალებისათვის — ფერადი ქსოვილისა.

ახლადდაქორწინებულნი ერთი წლის შემდეგ მიდიოდნენ სტუმრად პატარძლის მშობლებთან. ალთაელებში სტუმრად მოსულ სიძეს შემოარტყამდნენ თეთრ ქამარს, თავის ქალიშვილს — მის ცოლს კი — ჩუქნიდნენ ჭურჭელს, ქვაბებს და ა. შ. ტელენგიტები სიძეს წითელ ქამარს შემოარტყამდნენ, აჩუქებდნენ თოფს, ტალკვესს ან ასანთს, რომ მის ცხოვრებაში ცეცხლი ენთოს სულ, ე. ი. ბედი სდევდეს თან; ქალიშვილს ჩუქნიდნენ რომელიმე შინაური ცხოველს

თუ სტუმრად დისშვილი მოვიდოდა, ბიძა მას ან ცხენს აჩუქებდა სრული აღკაზმულობით, ან თოფს, ძროხას ან ცხვარს და ძვირფასი ქსოვილის ქამარსაც შემოარტყამდა. სტუმარს თუ ბავშვი ახლდა, მიღებული იყო ბატკნიანი ცხვრის ჩუქება.

როგორც რუსი, ისე ალთაელი ქალების საზოგადოებრივი და საოჯახო მდგომარეობა რევოლუციამდე ძალზე დამამცირებელი იყო, განსაკუთრებით ალთაელი ქალებისა. წერა-კითხვისა და მინიმალური ადამიანური უფლებების გარეშე ცხოვრობდნენ ისინი. ამის დამადასტურებელია ალთაიში ფესვგადგმული ანდაზური თქმა — „ცხენი იმასთან მუშაობს, ვისაც მიჰყიდეს, ქალი იმასთან ცხოვრობს, ვისაც მიათხოვეს“. დროთა განმავლობაში, როგორც სხვა ყველა ზნე-ჩვეულებებმა და წესებმა, ალთაიში ქორწინებამაც ბევრი ცვლილებები განიცადა.

ძველად ალთაიში, ქალს საქმრო, როგორც წესი, იტაცებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გზავნიდა მის მშობლებთან დამწინდავებს. დამწინდავთა მოთავე, როგორც წესი, სიძის უახლოესი მეგობარი უნდა ყოფილიყო. ისინი საკლავით, სასმელითა და სხვა სანოვაგითა და საჩუქრებით დატვირთულნი მიადგებოდნენ სარძლოს კარს.

სტუმრები სარძლოს კარ-მიდამოს ახლოს კლავდნენ საკლავს, შლიდნენ სუფრას და სიძეზე შეთხზულ ქება-დიდებას მოახსენებდნენ სარძლოს მშობლებს. მშობლები თავიდან არც კი უსმენდნენ მათ, ინაზებოდნენ, უარის ნიშნად არც საჩუქრებს იღებდნენ და არც პურ-მარილს. სიძის უპირველესი მეგობარი კი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ როგორმე დაეყაბულებინა ისინი, ოქროპირობდა, საქებარ სიტყვებს არ იშურებდა მათი გულების მოსაგებად.

ბოლოს და ბოლოს, თუ სასიმამრო დამწინდავის მიერ მირთმეულ სავსე კათხას მიიღებდა და დალევდა, რაც ქორწინების დასტურს ნიშნავდა, მათრახს წამოავლებდა ხელს და სიძის მეგობარ-დამწინდავს, როგორც ამ საქმეში სიძის ხელის შემწყობსა და მესაიდუმლეს, კარგა გემოზე ააჭრელებდა, სიძის მეგობარს წინააღმდეგობის გარეშე უნდა მიეღო ეს „უსიამოვნება“.

სასიმამრო ამის შემდეგ აუწყებდა მას, თუ ვისთან უნდა მისულიყვნენ კიდევ დამწინდავები ასეთივე საჩუქრებითა და პურ-მარილით (საპატარძლოს ბიძები, ძმები, ან სხვა საპატივცემულო ნათესავები) და იქ აღენიშნათ მშობლების მიერ მიცემული დასტური. ყოველივე ამის შემდეგ ინიშნებოდა ქორწილის დღე.

საერთოდ, ქორწილს ალთაიში ზაფხულობით — ივლის-აგვისტოში მართავდნენ, როცა საქონელი მსუქანია, რძე ბლომადაა და მოსაწევი მოწეულია.

ქორწილის წინ სიძის მხარე ამზადებდა კარვის ასაგებ მასალას, საკლავს, ხდიდა არაკას და ქორწილის დღეს, როგორც კი გამოჩნდებოდა პატარძლის მაყრიონი, მაშინვე იწყებდნენ ახალი კარვის შენებას, შიგნით მას ქეჩით გადატიხრავდნენ და ასე გადაყოფილ ერთ ნაწილში დობილებს შეჰყავდათ პატარძალი, სადაც მას თმას შუაზე გაყოფილს გადაუვარცხნიდნენ, რაც გათხოვილი ქალისათვის აუცილებელ ვარცხნილობას ნიშნავდა. ამის შემდეგ პატარძალი კარავში ცეცხლს დაანთებდა, ჩაის (ტალკანს) მოადუღებდა (მდუღარეში ურევენ რძეს, გემოვნების მიხედვით მარილს და ერთ ჭიქაზე ერთ ჩაის კოვზ ქერის ფქვილს) შინაური სტუმრებისათვის. პატარძალი ამის შემდეგ გამოჰყავდათ სტუმრებთან გარეთ, სადაც უზარმაზარი ქვაბებიდან ოხშივარი ასდიოდა ცხენის, ცხვრისა და აზავერის ხორცისაგან დამზადებულ სხვადასხვა კერძებს.

საქორწილო ლხინი ხშირად ორი-სამი დღე გრძელდებოდა.

ტოპშურზე მღეროდნენ კაიჩები, დაღლამდე ყვებოდნენ საგმირო საქმეებზე ჩიერჩიერკჩები. იმართებოდა გაუთავებელი ფერხული. ალთაელებმა არ იციან ცეკვა-თამაში, გარდა ოიინისა, ოიინი კი უფრო ფერხულია, ვიდრე ცეკვა.

ამ ადრეულ ტრადიციას მოჰყვა უფრო გვიანდელი, ყირგიზეთიდან და ყაზახეთიდან შემოსული ქალის ყიდვის წესჩვეულება. სიძის მხარე საპატარძლოს მხარეს უხდიდა საფასურს და ქალიც ყურმოჭრილი მონა ხდებოდა თავისი ქმრისა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ოჯახში უფროსი ძმა თუ იღუპებოდა, მისი მომდევნო იყო ვალდებული მისი

ცოლი ეცოლა და შვილები ეშვილა, თუნდაც უფროსი ძმის ქვრივი ბევრად ხნიერი ყოფილიყო მასზე. აი, რას უბარებდა უფროსი ძმა უმცროსს.

— დაიღუპება ჭაკი — დარჩება კუდი, ფაფარი და ძვლები; მე თუ მომკლეს, შენ დაგრჩება ჩემი ცოლი, კარავი და ბავშვები...

შემდეგ მკაცრად უმატებდა:

— ჩანიხს (ცოლია) ნუ აწყენინებ, მას კეთილი გული აქვს. ბავშვები არ მოამშიო, ცხენებზე შესვი ისინი.

უბარებდა და ეს წმიდა ვალდებულება უმცროსს უნდა შეესრულებინა.

კარგა ხანს ბატონობდა ამდაგვარი მკაცრი კანონები მთიან ალთაიში. კარგა ხანს ემორჩილებოდნენ მათთვის დამღუპველ, ყოველგვარ სიხარულისწამრთმევ წეს-ჩვეულებებს, სანამ ოქტომბრის შუქმა არ გაანათა აქაურობა, სანამ დიდმა რევოლუციამ არ მოუტანა მათ თავისუფალი ცხოვრების, სიყვარულისა და თავისი ბედის განკარგულების უფლება. აი, მაშინ კი აიმაღლეს ხმა ახალგაზრდებმა:

მე არ შევჭამ ხორცს,
წინა დღით მოხარშულს,
მე არ ვიცხოვრებ მოხუც ქალთან,
რომელიც ძმამ დამიტოვა.

ძველ ალთაიში, როგორც წესი, ყველა ქალი თუთუნს სწევდა და დიდ პატივად ითვლებოდა, თუ ვინმე თავის ჩიბუხს მოგაწვდიდათ.

კარავში სტუმრად მისულს, თუ ოჯახის უფროსი თავის პირიდან ჩიბუხს გამოიღებდა და მოგაწვდიდა, იმას ნიშნავდა, რომ მასპინძელს ეამა სტუმრის მისვლა, ან თუ საქმეზე იყავი მისული, იგივე ამბავი ნიშნავდა იმას, რომ ამ საქმიან საუბარს შენთვის სასურველი პირი უჩანდა.

ამას რა ჯობია, როცა შენი სტუმრობა სიამოვნებთ, ანდა საქმეზე მისული სასურველ პასუხს იღებ, მაგრამ, რამდენად სასიამოვნოა ერთი პირიდან მეორეში დალორწკილი ჩიბუხის მოგზაურობა, ესეც საკითხავია.

გვარები ალთაელებს რევოლუციამდე არ გააჩნდათ. მათი

გვარები ალთაიში იმ დროს შესული სიახლეებიდან წარმოსდგა: ტოვაროვი, კარანდაშოვი, ბილეტოვი, გაზეტოვი, ჟურნალოვი, ტაბუნოვი, კარმანოვი, საპოგოვი და სხვა. სახელები კი კერპთაყვანისმცემლობის პერიოდიდან მოდის და ბუნების მოვლენებთან, ცხოველთა და ნადირთა სახელებიდანაა წარმოქმნილი. თუმცა, აქაც იყო ზოგიერთი გამონაკლისი. მაგალითად, თუ ოჯახს ადრე შვილი ჰყავდა მკვდარი და მეორე შეეძინებოდა, ოჯახს სწამდა, თუ ახალშობილს რაც შეიძლება ძნელად გამოსათქმელ ან ცუდად სახსენებელ სახელს დაარქმევდნენ, ამ ბავშვს ღმერთი აღარ წაიყვანდა და დიდი ხნის სიცოცხლე ეწერა. ამიტომ არქმევდნენ: კუჩუკ (ლეკვი), იტ-კულაკ (ძაღლის ყურები), იტ-კიდენ (ძაღლის უკანალი) და სხვა.

ბავშვის დაბადების შემდეგ, ოჯახში შემოსული პირველი სტუმარი არქმევდა მას სახელს.

ახალშობილს სტუმარი სახელს რომ დაარქმევდა, კათხა არაკათი სადღეგრძელოს მიუმღერებდა:

სადგომი შენი, დე, განმტკიცდეს ჩქარი
მდინარის სანაპიროზე,
სიცოცხლე შენი,
დე, გრძელდებოდეს დიდ ნაკვერჩხლებიან
ცეცხლთან,
ოგავ ღონიერი, ვით მთის მდიანრე.
ხუთს არ დანებდე, ექვსს მოერიე.

ამის შემდეგ, ხელახლად ავსებული კათხით ახალშობილის მამას მიუმღერებდა:

დე, მისი ქურქი ლოკოს საქონელმა!
დე, მისი ტანსაცმლის კალთები გათელონ შვილებმა!
დე, მან იცოცხლოს ასწლოვან რბილწიწვიანას დარად!
დე, თოვლისფერი მისი კბილები ნურასოდეს ნუ გაშავდება!

კარგ ვაჟკაცს ქარის, ხოლო დედაკაცს ბოლის სუნი ასდისო, — ამბობდნენ ალთაიში და ამ თქმაში გამოიხატება მთელი მათი ყოფა, მათი ცხოვრების დედააზრი. მამაკაცი—მწყემსი, მონადირე, მომთაბარე და მეომარი სულ გარეთაა და, მართლაც, ქარისა და წვიმის, თოვლისა და მზის სუნი დაჰკრავ-

და, ხოლო კარავში გამომწყვდეულ დედაკაცს — დედასა და ფუძის ანგელოზს, დიასახლისს და კერის მომვლელს ბოლის სუნი, რაღა თქმა უნდა აუდიოდა.

საქორწინო ასაკი მამაკაცებისა და ქალებისთვის ერთნაირი არ იყო. მამაკაცისთვის ეს ასაკი ადრე დგებოდა. ალთაელები ამას ასე ხსნიდნენ — ბიჭის დაქორწინება ყოველ ასაკში შეიძლებაო და არავითარი ასაკი არ არის დაკანონებულიო. ზოგან ასეც კი ამბობდნენ: „თუ ბიჭუნას ფეხზე დგომა შეუძლია, ქუდს რომ ესვრი და არ წაიქცევა, — მაშასადამე, გაზრდილა და ცოლის თხოვაც შეუძლიაო". ხშირად შეიძლებოდა, თურმე, შეხვედროდით 7-10 წლის ბიჭუნებს, რომლებსაც ცოლები ჰყავდათ. ასეთ „ქმარს" ჰყავდა ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალი, რომლის მოვალეობაც იყო — ქმრის აღზრდა. თოთხმეტ წელზე ნაკლების გათხოვილ გოგონას ვერ ნახავდით, მაშინ, როცა, როგორც ზემოთ ვთქვით, 7-8 წლის ქმრები საყოველთაოდ მიღებული იყო. ეს გარემოება იმით აიხსნებოდა, რომ ქალი მეურნეობისთვის იყო მუშა ძალა, რაც შეიძლება მეტი ბავშვების მშობელი და აღმზრდელი. აქედან, ისიც გასაგებია, რომ პირიქით შემთხვევებს, ე. ი. ასაკოვანი მამაკაცისა და პატარა გოგონას შეუღლებას ადგილი არ ჰქონდა.

ალთაელებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გვარტომობას და ერთსა და იმავე გვარ-ტომში ქორწინება დაუშვებლად მიაჩნდათ. მაგრამ ერთი რამ: მხოლოდ მამის მხრივ ნათესაობა ითვლებოდა, დედის მხრივ ნათესაობას მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, რადგან ტომობრივობა დედის მხრივ არაფრად არ ითვლებოდა.

უცნობი პირველ შეხვედრისას სხვა სტერეოტიპულ შეკითხვასთან ერთად აუცილებლად იკითხავდნენ „რომელი ტომისა ხარ?"

ქმრის მამა, ქმრის უფროსი ძმა და ქმრის უფროსი ბიძა — ქალისათვის ყველანი მამამთილებად ითვლებოდნენ. ცოლის დედა, ცოლის უფროსი და და ცოლის უფროსი დეიდა — ქმრისათვის სიდედრებს წარმოადგენდნენ და მათ შო-

რის ქორწინება დაუშვებელი იყო. დაუშვებელი იყო აგრეთვე ერთდროულად ორ დაზე ქორწინება, თუ ერთი მათგანი სიდედრს წარმოადგენდა; დაუშვებელი იყო მამაკაცის დაქორწინება უფროს ცოლის დაზე უმცროსის სიკვდილის შემთხვევაში. მაგრამ სრულიად ნორმალურად ითვლებოდა ცოლის სიკვდილის შემთხვევაში მის უმცროს დაზე დაქორწინება.

რევოლუციის შემდეგ კიდევ იყო შემთხვევები, როცა მცირეწლოვანი „ქმრის“ მამა ცხოვრობდა ასაკოვან რძალთან. ამავე დროს, მათი შვილები ქმრის შვილებად ითვლებოდნენ. ასეთი ასაკოვანი ცოლები აიძულებდნენ თავიანთ ქმრებს ერწიათ მათი თოთო ბავშვები, და ხშირად ურტყამდნენ კიდეც მათ. იყო შემთხვევები, როცა ოჯახში მამა 6-7 წლით იყო „შვილებზე“ უფროსი.

დაქვრივებული ქალი რჩებოდა თავისი მამამთილის სამუდამო მონად. მას იგი ნაყიდი ჰყავდა როგორც ნივთი და არცერთ კაპიკს არ დაუკლებდა ახალ მყიდველს, თუკი ასეთი გამოჩნდებოდა... ბედნიერება იყო, თუ მას ჰყავდა დაკაცებული, უცოლო მაზლი, ქვრივი ქალი ხდებოდა თავისი უმცროსი მაზლის ცოლი, რისთვისაც მისი თანხმობა სრულიად არ იყო საჭირო. ძალადობაც კი რომ ეხმარა, ამისი უფლება ჰქონდა არსებული წეს-ჩვეულების მიხედვით.

ყველაზე საუკეთესო ქორწინებად ითვლებოდა დედის ძმისშვილზე გათხოვება... ასეთ ქორწინების დროს სირცხვილიც კი იყო საპატარძლოს მამას დიდი კალიმი მოეთხოვა.

დედის მხრივ ბიძა (ტაააი), მიუხედავად ასაკისა, დიდი პატივისცემით სარგებლობდა. დისშვილი შეიძლება გაცილებით უფროსი ყოფილიყო ბიძაზე. დისშვილს უცილობელი უფლება ჰქონდა, ბიძისგან მოეთხოვა თავისი შეხედულებისამებრ საჩუქარი და ბიძა ვალდებული იყო შეესრულებინა ეს თხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში დისშვილს შეეძლო ეს საჩუქარი ზაისანთა სასამართლოს ძალით მოეთხოვა. ტელეუტებს მშვიდობიანობის დროს ნიშნობისას სუფრის თავში ეჯდათ ბიძა. კალიმის ფულს გადასცემდნენ, ის კი, შემდეგ მშობლებს გადასცემდა მას. ქორწილის დროს საუკეთესო ხორცის ნაჭრებს მას მიართმევდნენ. საერთოდ, ქორწილ-

ში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ბიძას. კუმანდელებში და ტუბალარებში ბიძა იღებდა სიძისაგან საპატარძლოს გამოსასყიდს. კუმანდელებში კალიმის გარდა საპატარძლოს ბიძისთვის მოყავდა ცხენი. ალთაელებში ბიძა იღებდა მონაწილეობას დისშვილის აილის მშენებლობაში. დისშვილის ქორწილში ბიძა დიდ როლს ასრულებდა, საქორწინო წვეულებასაც ის უძღვებოდა. ახალშობილს სახელს, უმრავლეს შემთხვევაში, დედის მხრივ ბიძა არქმევდა, ისევე ჭრიდა ბავშვს პირველ თმას, როცა ბავშვი წამოიზრდებოდა, ის ღვინით დატვირთული გაემართებოდა ბიძისკენ თავისი თმების „გამოსასყიდად“.

მამას, რომელსაც რამოდენიმე ვაჟი ჰყავდა, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ეყრებოდა მათ. მამა უნაწილებდა მათ საქონელს და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს. მობინადრეები — შვილებს სახლებს უშენებდნენ, როგორც წესი, თავისივე ეზოში, ისე რომ, ხშირად ეაინახავდით ერთ ეზოში რამოდენიმე სახლს. უმცროსი ვაჟი მშობლებთან რჩებოდა, როგორც წესი, მათ სიკვდილამდე, და ანდერძად რჩებოდა მათი სახლი და სხვა ქონება. თუ შვილები მამის სიკვდილის დროისათვის არ იყვნენ მისგან გამოყოფილნი, მაშინ მთელი ავლა-დიდების მეპატრონედ უფროსი ვაჟი რჩებოდა იმ პირობით, რომ უმცროსი ძმებისათვის გამოეყო მათი წილი. ქალიშვილებს მამა უკეთებდა მზითევს. გაუთხოვარ დას უფროსი ძმა უკეთებდა მზითევს. ნაშვილები ან გერი ბავშვები ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც საკუთარი.

დაქორწინებულ ალთაელს ცალკე აილს უშენებდა მამა. ერთ აილში ორი ან რამოდენიმე ოჯახის ცხოვრება — თუგინდ მამა და შვილის ოჯახებისაც კი დაუშვებელი იყო. უცოლო ალთაელს არ უნდა ჰქონოდა ცალკე აილი. დაქორწინების შემდეგ მამა, ყველა ნათესავების დახმარებით უდგამდა მას აილს და აძლევდა საქონლის წილს. საინტერესოა, რომ კაცი ცოლიანი იყო თუ არა, ასეთი კითხვით იგებდნენ: „აილლუპა, იოკ ჰო?“ (გაქვს თუ არა შენი აილი?).

ბავშვის შვილად აყვანისთვის საჭირო იყო ერთი აუცილებელი პირობა: შვილად ამყვანი და შვილად ასაყვანი

აუცილებლად ერთი და იგივე ტომისანი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან შვილად აყვანილი ყველა იმ პირობით სარგებლობდა, როგორითაც საკუთარი შვილი, არამც და არამც არ შეიძლებოდა ისინი ერთი ჩამომავლობისანი არ ყოფილიყვნენ.

ქორწინება ალთაიში ხშირად ასეც ხდებოდა: ერთმანეთთან მეგობრულად განწყობილი ოჯახის უფროსები, ხანდახან კარგი ნაცნობებიც, აძლევდნენ ერთმანეთს სიტყვას ჯერ კიდევ ბავშვების არასრულწლოვანების დროს, ხანდახან კი მათ დაბადებამდეც, რომ ისინი დანათესავდებოდნენ შვილების შეუღლების გზით.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ალთაელების ქორწილში იყო კალიმის გადახდა. სიტყვასთან ერთად სასიძოს მამას საპატარძლოს მამისთვის უნდა გადაეხადა კალიმი, რაც მათი ქორწინების მთავარი პირობა იყო. ხოლო, თუ საპატარძლო კალიმის მიღების შემდეგ სხვას გაჰყვებოდა, ასეთ შემთხვევაში იწყებოდა დავა და სიძეს ხშირად ორჯერ მეტი უბრუნდებოდა უკან, ვიდრე გადახდილი ჰქონდა.

იყო შემთხვევები, როცა მამა გამოძალვის მიზნით რამდენიმეჯერ ათხოვებდა თავის ქალიშვილს. მაგალითად, მიიღებდა ერთი რომელიმე სასიძოს მხრიდან კალიმს, შემდეგ დაიბრუნებდა შვილს, ხოლო სიძის ოჯახს ქალიშვილის სახელის შეურაცხყოფისათვის მთლიანად არ უბრუნებდა აღებულ კალიმს.

ჩვეულებრივ კი, თუ დიდ კალიმს იღებდა საპატარძლოს მამა, მზითევსაც გაცილებით უკეთესს უკეთებდა ქალიშვილს, რომელშიც შედიოდა გათხოვილი ქალის განსაკუთრებული ჩასაცმელი — „ჩეგედეკი“, ქალის უნაგირი, საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ზოგიერთი ნივთი (განჯინა, თავშალი და სხვ.).

რადგანაც შთამომავლობას ვაჟი აგრძელებდა, რაღა თქმა უნდა, მას ჰქონდა ოჯახში პრიორიტეტი. ბავშვის დაბადების დროს პირველი კითხვა ასეთი იყო: „კერეკტუ ბე, კერეკ იოკ ჰო?“ (საჭიროა თუ არასაჭირო?) პასუხი: „კერეკ ტუ“ (საჭიროა) ნიშნავდა, რომ ბიჭი დაიბადა, პასუხი: „კერეკ იოკ“ (არასაჭირო) — დაიბადა გოგო.

ამის გარდა, ქალი, როგორც საკუთრება, პირდაპირ მო-

ნად იყო ქცეული. ნადირობის გარდა კაცები ზამთარში არაფერს აკეთებდნენ და ოჯახის მთელი სიმძიმე აწვებოდა ქალს, რომელსაც უფროსის თანდასწრებით დაჯდომის უფლებაც კი არ ჰქონდა.

ეს ყველაფერი მწარე მოგონებადღა დარჩა.

კალიმის რაოდენობა, რაღა თქმა უნდა, ოჯახზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ერთი კია, რომ მასში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ფეხსაცმლისათვის საგანგებოდ გამოყვანილი ტყავი, ქეჩა, ხავერდი, მელიისა და წავის ტყავები, თოფი, ჩაი, ქსოვილები, ფული, არაკა, ცხვრები, ჭაკი ცხენები. კალიმს იხდიდნენ ან ქორწილის წინ, ან ნაწილ-ნაწილ ქორწილის დღემდე.

იყო არასრულწლოვან ბავშვთა მშობლების მოლაპარაკება: ბიჭის და გოგონას მშობლები მოილაპარაკებდნენ, რომ ბავშვებს გარკვეული ასაკის შემდეგ დააქორწინებდნენ. მშობლებს ბავშვების დაბადებამდეც შეეძლო მოელაპარაკათ, რომ, თუ ერთ-ერთ მათგანს ეყოლებოდა ბიჭი, ხოლო მეორეს გოგო, მათ დააქორწინებდნენ; თუ მოულოდნელად ორივეს ბიჭი ეყოლებოდა, მაშინ ისინი ძმადნაფიცები ხდებოდნენ.

უფრო ხშირად საპატარძლოს ათვალიერებდნენ სასიძოს საპატივცემულო უფროსი ნათესავები. გარიგებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა სასიძოს მამას, დედის მონაწილეობა დაუშვებელი იყო. თვითონ საქმრო გარიგებაში არ მონაწილეობდა.

ტელენგიტების მაჭანკლობა საპატარძლოს მშობლებთან შვიდჯერ „მისვლით“ განისაზღვრებოდა. ყოველ მისვლას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ შვიდივე „მისვლა“ ვერცერთმა დაკითხულმა ცნობის მომცემმა ვერ აღწერა. შეძლეს აღეწერათ ორი, სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი მისვლა.

პირველ მისვლაზე მაჭანკლებს შეჰქონდათ ტაჟუური*, რომელსაც მიართმევდნენ აილის პატრონს და იტყოდნენ: „აიილდაპ კისერ ტაჟუურ „ტაჟუური“, რომლითაც შემოდიან, როგორც სტუმრები“.

---

* ტყავის ჭურჭელი რძის არაკასათვის.

მეორე ვიზიტის დროს მაჭანკლებს საპატარძლოს მშობლებთან მოჰქონდათ — კადაკტუ* ტაჟუურ-ტაჟუური კადაკტით. ტაჟუურის ყელში შემოჭერილი იყო ლურჯი აბრეშუმის ნაჭერი.

მესამე მოსვლა იყო „მაჭანკლები ტაჟუურით". მაჭანკლები ითხოვდნენ „მიეცათ ქალიშვილი" — ბალა სურაპ. მაჭანკალს ტაჟუური მიჰქონდა საპატარძლოს ნათესავებთან, დაწყებული მშობლებიდან, მაგრამ ყველა მათგანი სხვასთან გზავნიდა. ტაჟუურის ჩამორთმევა ნიშნავდა თანხმობას და ამიტომ ვერავინ ბედავდა ამის გაკეთებას. მაჭანკალს ხშირად სამჯერ-ოთხჯერ უხდებოდა თვითეულ ნათესავთან მისვლა და ტაჟუურის მიწოდება, რომლის მიღება მხოლოდ ყველაზე ახლო და ავტორიტეტულ ნათესავს შეეძლო. მაჭანკალს კადაკტიან ტაჟუურთან ერთად საპატარძლოს მშობლებისთვის მიჰქონდა ქსოვილის საკაბე ნაჭერი დედისათვის, ან თეთრი თუ წითელი საპერანგე მამისათვის ან რომელიმე ბიძისათვის. ამის შემდეგ მაჭანკალი ხუთჯერ-ექვსჯერ შემოუვლიდა კერას და ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა ცეცხლს. ამ მაჭანკალს საპატიო ადგილზე სვამდნენ აილში.

მეოთხე „მოსვლას" ერქვა იოდო კიიდირერი — „იოდოს** შეტანა". ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მშობლებისაგან დასტური იყო ქალიშვილის ქორწინებაზე. სასიძოს მოჰქონდა დაკლული ცხვარი და ცხენის საბმელზე ან აილში კიდებდა (აუცილებლად თავით მაღლა). სასიძოს ცხვარი სწორად უნდა აექნა, მოეხარშა, გაეტრუსა თავი და ფეხები. იოდო უნდა შეეხვია მუცლის ქონში და აილის საპატიო ადგილზე დაეწვა. ხორცს სასიძო ალაგებდა ხის თეფშებზე და უმასპინძლდებოდა დამსწრეთ. თვითონ სასიძო თავის დამზადებულ საჭმელს არ ჭამდა.

საპატარძლოს დედა უმასპინძლდებოდა სტუმრებს. სასიძოს მიართმევდა კათხა ქონს, სასიძო ქონს ცეცხლში ასხამდა. ამ წეს-ჩვეულებასთანაა დაკავშირებული ცრურწმენა: თუ ალი მაღლა ავარდება და დიდხანს იკაშკაშებს,

---

* ქსოვილი.

** წვივი, კანჭი.

ახალი ოჯახი კარგად იცხოვრებს; თუ ალი პატარა იქნა და არ იკაშკაშა, ახლადდაქორწინებულებს არცთუ ისე ბედნიერ ცხოვრებას უწინასწარმეტყველებდნენ (ალის სიდიდე დამოკიდებული იყო ცხიმის რაოდენობაზე ბულიონში: თუ წყალი ჭარბობდა, ბუნებრივია, ალი პატარა იქნებოდა). კათხას სასიძო იღლიაში ამოიდებდა. საპატარძლოს დედა სასიძოს ახურავდა ახალ ქუდს, შემოარტყამდა ახალ ქამარს, ქურქს (აუცილებლად ბატკნის ტყავისას), მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ჩუქნიდა ფეხსაცმელს.

მაჭანკლების ამავე მოსვლაზე საპატარძლოს დედა იღებდა ემჩეკ კარგიშ, სუსტ ემჩეკ ან ემჩეკტინგ სული — „მკერდის რძისათვის“ ჩვეულებრივად ფაშატ ცხენს. საპატარძლოს დედას უფლება ჰქონდა თვითონ ამოერჩია ცხენი რემიდან. ამ წეს-ჩვეულებას ჰქვია კისტინ სუდინ იანდირიპ ტურგანი — „(ქალიშვილის მიერ შეჭმული) (მკერდის) რძის ანაზღაურება“.

მეხუთე მოსვლისას მაჭანკლები დათქვამდნენ ქორწილის დროს.

მეექვსე და ბოლო მოსვლას ერქვა ოოს აჩარ — „პირის გახსნა“. ამჯერად მაჭანკლები და საპატარძლოს მშობლები მოილაპარაკებდნენ კალიმის რაოდენობაზე.

ამის შემდეგ სასიძოს ნათესავები ქორწილისთვის ემზადებიან. არაკას ხარშვაში მთელი ნათესაობა იღებს მონაწილეობას. საპატარძლოს ნათესავები ქორწილამდე ამზადებენ მზითევს: ლოგინს, ტანსაცმელს, ჭურჭელს, ავეჯეულობას, საეკლესიო ნივთებს, უკერავდნენ ჩეგედეკს — ზედა ტანსაცმელს გათხოვილი ქალისათვის.

ქორწილამდე რამოდენიმე, ერთი ოთხი დღით ადრე იგებოდა ახალი საქორწილო აილი. აილის მშენებლობაში შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სასიძოს მშობლებს. ახალ აილს აშენებდა სამი გვარეულობის კაცი. სასურველი იყო, მშენებლობაში მონაწილეობა მიეღო დედის მხრიდან ბიძას, აგრეთვე სასიძოს დისშვილს. ნათესავებს მოჰქონდათ თითო ხარისა. აილი მამის აილის გვერდით შენდებოდა.

ძირითად ხარიხებს ან აილის ჩონჩხს აგროვებდნენ ბუდუნ ულესლა — უცოლო კაცები (უმანკოები), რომლებსაც

კიდევ ბაშ აირილბაგან ულუსს ეძახიან, ე. ი. „თმებგაუყოფელ ხალხს“. ახალი აილის საკვამურში მტირალა არყის ტოტებს დებდენ, ზამთარში — წიწვისას.

ახალ აილში ინთებოდა „სამი ქვის“ ცეცხლი. უფრო გვიან დაიწყეს რკინის სამფეხა ზედადგარის დადგმა, რომელზედაც თუჯის ქვაბი იყო შემოდგმული. ზედადგარი და ქვაბი სასიძოს მამის აილიდან მოჰქონდა.

ახალ აილში პირველ ცეცხლს ტალკვესით ანთებდა სასიძოს ბიძა (ან მისი აილიდან მოჰქონდათ გაღვივებული ნაკვერჩხლები). იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სასიძოს ბიძა და საპატარძლოს ბიძა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: რომელიც უფრო მალე გააჩაღებდა ტალკვესით ცეცხლს, ის იღებდა საქორწინო აილში პირველი ცეცხლის დამნთების უფლებას.

საქორწილო საცხოვრებლის აშენების შემდეგ ხარშავდნენ კოჩოს — ხორცის სუფი შვრიითურთ, აქმევდნენ ხალხს, ასმევდნენ არაკას. ახალგაზრდები მართავდნენ თამაშებს. ულაგანელი ტელენგიტები ამ დღესასწაულს ეძახდნენ — „ახალი საცხოვრებლის დღესასწაულს“. უსტ-კანელი ალთაელები „ახალი აილის დღესასწაულს“ — ონგუდაელი ალთაელები „პატარა ქორწილს“, „აილის დღესასწაული“, „აილთან (ახალ) დაკავშირებული თამაშები“.

ქორწილის წინადღით სასიძოს ნათესავები ხოცავდნენ ცხვრებს, ხარშავდნენ ხორცს, ჭრიდნენ ნაჭრებად და ალაგებდნენ არყის ხის ფიცარნაგზე, აგრეთვე ამზადებდნენ სხვადასხვა სანოვაგეს. ამ დღეს ინიშნებოდა მერიქიფეები, მეჯინიბეები, მზარეულები. ქორწილის ჩატარების ხელმძღვანელად ადრევე არჩეული ბაშჩი — „ხელმძღვანელი“, უფრო ხშირად ეს იყო ხოლმე სასიძოს ბიძა დედის მხრიდან.

ქორწილის ადგილიდან ერთი-ორი კილომეტრის დაშორებით ხვდებოდნენ ერთმანეთს სასიძოს და საპატარძლოს ნათესავები. საპატარძლოს ნათესავებს შორის იყო დედა რომელსაც მოჰქონდა ცხვრის ხორცი. იმ ადგილის ახლოს, სადაც ქორწილი უნდა კოფილიყო, ჩარჭობილი იყო ძელი, რომელზეც ფრიალებდა თეთრი ნაჭერი. როგორც კი მეორე

მხრიდან გამოჩნდებოდნენ საპატარძლოს ნათესავები, სასიძოს ნათესავები ცხენების ჭენებით მიიწევდნენ ძელისაკენ. საერთოდ, უფრო ხშირად საპატარძლოს ნათესავები მიასწრებდნენ ხოლმე ძელთან მისვლას. მისულები ძელს შემოუვლიდნენ გარშემო რამდენიმეჯერ. სასიძოს ნათესავები „ჩეგენს“ (შედედებულ რძეს) აპკურებდნენ მათ. საპატარძლოს ნათესავები ამოგლეჯდნენ მიწიდან ძელს და მანამდე სასიძოს ნათესავებისგან გამოსასყიდ არაკას არ მიიღებდნენ, მანამდე ძელს ადგილზე არ ჩაასობდნენ.

ამ შეხვედრის დროს სასიძოს ნათესავები უძასპინძლდებოდნენ საპატარძლოს ნათესავებს არაკათი, მოსწევდნენ ჩიბუხებს და ცვლიდნენ მას, ამის შემდეგ ყველანი მიდიოდნენ ქორწილში.

ონგუდაელი და უსტ-კანელი ალთაელები ასევე ხვდებოდნენ საპატარძლოს ნათესავებს ქორწილის ადგილიდან ერთი-ორი კილომეტრის დაშორებით. სასიძოს ნათესაობა სტუმრებს ეგებებოდა მოხარშული ხორცით. შეხვედრის ადგილზე ორივე მხარე სვამდა არაკას. სასიძოს ერთ-ერთი ნათესავი უცბად დაავლებდა ხელს ხორცით სავსე თეფშს და ქორწილის ადგილისკენ მიჰქროდა ცხენით. ყველანი დაედევნებოდნენ მას. მხედარი, რომელიც დაეწეოდა თეფშიანს, საჩუქრად მიიღებდა არაკას. ამ სპორტულ თამაშს ერქვა „თეფში ბლაააქარი“ (თეფშის წართმევა). საპატარძლოს ნათესავები, მივიდოდნენ თუ არა ქორწილის ადგილზე, სამჯერ მზის მიმართულებით შემოუვლიდნენ საქორწინო აილს და ცხენსაბამს.

საქორწილო ლხინის დაწყების წინ ქალიშვილებისა და ქალების ჯგუფი მიემართებოდა საპატარძლოს მოსაყვანად. საპატარძლო სასიძოს უფროსი ძმის აილში იმყოფებოდა. მისი მეგობრები და ნათესავები მოსულებს არ უშვებდნენ აილში — მოითხოვდნენ გამოსასყიდს. საერთოდ, მოსულები ყველანაირად ცდილობდნენ საპატარძლოს მეგობრებისა და ნათესავების გული მოელბოთ, უმღეროდნენ საქებარ სიმღერებს, ასრულებდნენ ყველა მათ მოთხოვნას. მოსულებს გამოცდაც ელოდათ. საჭირო იყო დამალული საპატარძლოს პოვნა. ზოგ შემთხვევაში სხვა ქალიშვილებთან ერთად მა-

საც გადააფარებდნენ რამეს (ქურქს, ქსოვილს და ა. შ.). თუ მოსულები ვერ გამოიცნობდნენ პატარძალს, მათგან მოითხოვდნენ გამოსასყიდს (ჩვეულებრივად, არაკას). აილის პატრონები სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ ყველაფრით, რაც კი ჰქონდათ.

ამის შემდეგ პატარძალს შესვამდნენ ცხენზე. ორივე მხრიდან ცხენებზე მჯდომ სიძის დისშვილებს პატარძლის წინ ეკავათ თეთრი ნაჭრის ფარდა. ის შეკერილი იყო საპატარძლოს მიერ ან სასიძოს ნათესავი ქალებისაგან, რომლებსაც ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ. არყის ჯოხები, რომელზეც ფარდა იყო დამაგრებული, იმ ადგილმდებარეობის აღმოსავლეთ ნაწილში იყო მოჭრილი. ფარდის გარეცხვა არ შეიძლებოდა, რადგან ამით შეიძლებოდა სასიძოს ჯანმრთელობა შერყეულიყო.

საერთოდ, პატარძალს აცილებდა ბედნიერი ქალებისა და ქალიშვილების ჯგუფი. გზადაგზა ისინი გარშემო უვლიდნენ სასიძოს უფროსი ძმების აილს ან სასიძოს მამის ძმების აილებს. პატარძალი და მისი თანმხლები პირნი ახალ აილთან მისვლისას სამჯერ შემოუვლიდნენ მას. ერთ ქალს აღვირით მიჰყავდა პატარძლის ცხენი. დამსწრენი პატარძალს ბიშტაკის* ნაჭრებს და ბოორსოკს** ესროდნენ. ამის შემდეგ პატარძალი ცხენიდან ჩამოჰყავდათ და აილში შეჰყავდათ.

პატარძლის ნათესავებს მოჰქონდათ ქორწილში პატარძლის ტანსაცმელი, ლოგინები. ჩვეულებისამებრ, პატარძლის დისშვილი იცვამდა პატარძლის ტანსაცმელს და სასიძოს ნათესავებზე სათითაოდ „ჰყიდიდა“ ტანსაცმელს: ქურქს, ფეხსაცმელს, ჩეგედეკს, ქუდს. ცალკე თავშალში ახვევდა საფასურს, რომელსაც „სასყიდლად“ იღებდა. ამ დისშვილს უმასპინლდებოდნენ რძით, ჩეგენით. პატარძლის ლოგინი ცალკე „იყიდებოდა“ სასიძოს ნათესავებზე.

პატარძალს აცმევდნენ საქალო ტანსაცმელს და სიძესთან ერთად სვამდნენ იატაკზე გაშლილ თეთრ ქეჩაზე. ორი ქა-

---

* ყველი.

** ქონში მოხარშული ცომის ბურთულები.

ლი: ერთი — საქმროს რძალი, მეორე — სარძლოს რძალი (რომლებიც ბედნიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ)—უშლიდნენ საპატარძლოს ნაწნავს, ხსნიდნენ სამკაულებს, რძით ან რძიანი წყლით დასველებულ თმას უვარცხნიდნენ და ორ ნაწნავად (როგორც ქალს შეჰფერის) უწნავდნენ. თავზე ახურავდნენ კურაან ბორუკს — ქალის ქუდს და უმღეროდნენ. ქალიშვილის ნაწნავებიდან ახსნილ სამკაულებს: მძივებს, ვერცხლის ფულებს, ზონრებს — ბავშვებს ურიგებდნენ.

თუ ნაწნავის დაწნას საქმროს რძალი უფრო ადრე დაამთავრებდა, ეს ნიშნავდა, რომ ახლადშექმნილ ოჯახში ქმარი იუფროსებდა; თუ სარძლოს რძალი, მაშინ ოჯახში ქალი იბატონებდა.

ქალებს, რომლებიც პატარძალს თმებს უწნავდნენ, და იმათ, ვისაც ფარდა ეჭირათ, უმასპინძლდებოდნენ ხორცის ყველაზე კარგი ნაჭრებით, რძით, არაკათი.

ნაწნავების დაწნის შემდეგ პატარძალთან მიჰქონდათ ბატარძლის თეფში, სიძე ჭრიდა ხორცს და პატარძალთან ერთად ჭამდა. ამის შემდეგ შუაცეცხლზე სამ ადგილას დებდა ქონის ნაჭრებს, პატარძალთან ერთად ასხამდა ცეცხლში ქონს და სამჯერ (მზის მიმართულებით) უვლიდა გარშემო ცეცხლს.

პატარძალს რომ ნაწნავებს დაუწნავდნენ, ფარდის ნაპირს ახდიდნენ ისე, რომ პატარძლის სახის დანახვა ყველას შეძლებოდა. ფარდის ახდის უფლება ჰქონდა ბიძას, დისშვილს, მამას, სიძის უფროს ძმას. ფარდის ახდა შეიძლებოდა ხელით, მათრახის ტარით, თოფის კონდახით. ჩაპტის ტომის ალთაელები ფარდას მხოლოდ თოფით ხდიდნენ. ულაგანელ ტელენგიტებში იმას, ვინც ფარდას ხდიდა, სიძისთვის თოფი უნდა ეჩუქებინა.

ამის შემდეგ ტარდებოდა კეთილმოსურნეობა, ქორწილის ხელმძღვანელი რიგ-რიგობით იძახებდა საპატიო სტუმრების სახელებს, რომლებიც ახალგაზრდებს კეთილ სურვილებს უსურვებდა.

ჩვეულებრივ, ქორწილი, რომელიც იწყებოდა პატარძლის მოსვლით საქორწინო სუფრაზე, იმართებოდა დღის მეორე ნახევარში. ნაწნავების დაწნის წეს-ჩვეულების შესრულე-

ბის შემდეგ იწყებოდა სურუმი (სტუმრების გამასპინძლება). მთავარ კერძად დღესასწაულზე იყო მოხარშული ხორცი. სტუმრებს უმასპინძლდებიან ბიშტაკით, კურუტით — მჟავე ყველით, არაჟანით, — ნადუღარი რძიდან მოხდილი კაიმაკით, მოდაღული ქერისაგან ტალკანით, არაკათი და კუმისით.

ჩუელი ტელენგიტების ქორწილში პატარძალი სიძის დედას ჩუქნიდა ქურქს და მიართმევდა თეფშს, აგრეთვე, ხუთ-ექვს მეტრ ქსოვილს. ულაგანელ ტელენგიტებში პატარძალს საქმროს დედისათვის ვედროთი რძე მიჰქონდა.

სურუმის დროს საქმროს უფროს დას ან საქმროს რომელიმე უახლოეს უფროს ნათესავს ახალგაზრდები მიჰყავდა უფროსი ნათესავების — მამაკაცების აილში, რომლებთან შეხვედრებსაც შემდგომში რძალი სულ უნდა გაურბოდეს (ქმრის უფროს ძმებსა და მამას).

იწყებოდა თამაშობები, რომელთაგან ზოგი რელიგიური წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარეობდა, ზოგი კი უბრალოდ სახეიმო თამაშობებს წარმოადგენდა. ძალზე საინტერესოა რელიგიური წეს-ჩვეულება „ფაშატისა და ულაყის თამაში". შუაცეცხლის გარშემო დარბოდა ქალი, რომელსაც ჭიხვინითა და ეროტიკული მოძრაობებით მისდევდნენ კაცები. ქალი შეიძლება ყოფილიყო სიძის რძალი, ხოლო ულაყს წარმოადგენდა სიძის დისშვილი. ფაშატები შეიძლება, აგრეთვე, ყოფილიყვნენ პატარძლის ნაწნავების დამწნელები. ულაყები და ფაშატები შეიძლება ყოფილიყვნენ ორი წყვილი, ერთი წყვილი, ან ფაშატი შეიძლება ერთი ყოფილიყო, ულაყი კი ორი ან სამი.

ქორწილში იმართებოდა „შეჯიბრი სირბილში", ჭიდაობა, თამაშები „საყურის დამალვა", „ხელების გახსნა", „ბეჭის წართმევა" და სხვ. წრეში მდგარნი ხელისელ გადახვეულები, ტანის რწევით მღეროდნენ. თამაშობებში გამარჯვებულნი არაკათი სავსე ტაშაურით ან ბაღდადით ჯილდოვდებოდნენ. ჯირითში გამარჯვებულ ცხენსაც კისერზე ბაღდადს შემოახვევდნენ.

საღამოს ახალგაზრდა ქალს სტუმრებისათვის თავისი მოდუღებული ჩაი უნდა დაელევინებინა. ამ გამასპინძლე-

ბას ასე ჰქვია: „პატარძლის ჩაი“. შეშა, რომლის ცეცხლზეც ჩაი უნდა მოედუღებინა პატარძალს, ახალგაზრდა ქმარს უნდა დაეჩეხა. ეს იყო თავისებური რიტუალი, თუ როგორ იყვნენ მზად ახალგაზრდები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. როცა პატარძალი ქვაბს დგამდა ცეცხლზე, უყურებდნენ ქვაბი სწორად თუ იდგა, ეს იმას ნიშნავდა რომ ახლადშეუღლებულებს ბედნიერი ცხოვრება ექნებოდათ.

სიძის ნათესავები ცდილობდნენ, რაც შეიძლება უკეთესი პატივი ეცათ ქორწილში მოსული რძლის ნათესავებისთვის. რძლის ნათესავებისთვის ყველაზე დიდ სირცხვილად ითვლებოდა ქორწილში ისე დათრობა, რომ დაეხურათ მათთვის ქეჩა ან შეეხვიათ მასში.

ახალგაზრდებს სიდედრები აწვენდნენ დასაძინებლად, ლოგინი იშლებოდა მიწის იატაკზე.

ქორწილის ადგილიდან სიძის ნათესავები მიდიოდნენ მის მშობლებთან. მიჰქონდათ ბელკენჩეკი ან უჩა, აგრეთვე არაკა. ბელკენჩეკი გაცილებით გვიან გაჩნდა. ადრეულ პერიოდში ქორწილში იკვლებოდა ცხენები. ცხენის უკანა ნაწილს ჰქვია უჩა. მიღებული იყო ქორწილის დღეს რძლის მშობლებისათვის მიერთმიათ უჩა. უფრო გვიან პერიოდში ქორწილში დაიწყეს ცხვრების დაკვლა. ცხვრის უკანა ნაწილს ბელკენჩეკი ჰქვია. ბელკენჩეკზე საკმაოდ ბევრი ნათესავი იკრიბებოდა, ხოლო ერთი ცხვრის ბელკენჩეკით ყველას ვერ დააკმაყოფილებდნენ, რამდენიმე, ორი-სამი ცხვრის ბელკენჩეკი მიჰქონდათ. ბელკენჩეკი ან უჩა მიჰქონდათ ნახევრად მოხარშული. რძლის მშობლების აილში სტუმრებს სწორედ უნდა აეფეშხვავებიათ, მოეხარშათ, დაელაგებინათ გარკვეული წესის მიხედვით და მიერთმიათ მათთვის, რომლებიც ქორწილში არ იყვნენ წასულები.

ქორწილის მეორე დღეს ალთაი-კიჟები ეძახოდნენ „ქორწილში დაკლული საქონლის თავების ხარშვას“, „თავის დღესასწაულს“, „თავისთვალების გამოხვრას“, „თავის შეჭმას“, „ორწლიან თავს“. ამ დღეს იხარშებოდა მორჩენილი ხორცი, თავები, უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს, იწვევდნენ რძლის მშობლებს, რომლებსაც ქორწილში არ მიუღიათ მონაწილეობა.

უსტ-კანელი ალთაელები ქორწილის მეორე დღეს „ლოგინის ალაგებას“, „ფარდის ჩამოხსნას“ ეძახდნენ. ფარდას ჩამოხსნიდნენ არყის ჯოხებიდან და მუდმივ ადგილსამყოფელში — ახალშეუღლებულთა საწოლის წინ მიუჩენდნენ ბინას. ამის გაკეთება შეეძლო „ადამიანს, რომელსაც თმა შუაზე არა ჰქონდა გაყოფილი“, ე. ი. ქალიშვილს.

ჩუელი ტელენგიტები ქორწილის მეორე დღეს „დირეს გასისხლიანებას“ ეძახდნენ. ახალგაზრდა ქმარი ახალი აილის შესასვლელთან კლავდა ცხვარს. ეს სიმბოლურად ნიშნავდა ახლადდაქორწინებულთა უზრუნველყოფილ მომავალს. ქორწილის მესამე დღეს „ფარდის ჩამოხსნა“ ერქვა. ამ დღეს ანგრევდნენ ალანჩიკ აილს — საქორწინო საცხოვრებელს და სხვა ადგილას აშენებდნენ მუდმივ აილს.

პატარძლის მშობლებთან მეორე ქორწილს, თუკი ის ტარდებოდა, „საჩუქრის დადება“ ან „საპასუხო მასპინძლობა“ ერქვა.

ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდები მიდიოდნენ რძლის მშობლებთან სახლში. მათთან მიჰქონდათ დაკლული ცხვარი, ჩაი, ქსოვილის ნაჭერი, არაკა, ამის გარდა, „საყელოიანი ტანსაცმელი“. რძალი თავის დედას, ხოლო სიძე — სიმამრს მიართმევდა არაკას. ამ ჩამოსვლაზე რძალი თავის სახლში იღებდა ყველა იმ მზითევს, რომელიც მისთვის იყო გამიზნული, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ნათესავების მიერ ქორწინების დღეს არ იყო მოტანილი. ამის შემდეგ ახალგაზრდებს შეეძლოთ პატარძლის მშობლებთან ყოფნა, როცა კი ამას მოისურვებდნენ.

როგორც ვალოდიამ თქვა, დილით თოვლის ნასახი არ იყო. მოწმენდილი ცა მზის სინათლით გაჩირაღდნებულიყო. საძილე ტომრებიდან ამომძვრალები კარვიდან გავედით. ვალოდიას უკვე დურბინდი მოემარჯვებინა და რიგ-რიგობით ზვერავდა მთებს. დანარჩენები მდინარეზე ვაპირებდით დაჩაბანად ჩასვლას, რომ ვალოდიამ ხელით გვანიშნა, გაჩერდითო. წელში მოხრილი კოლია ფრთხილად მოვიდა მასთან. სერზე მიუთითა და ჩვენც იქით დავიწყეთ ყურება. ოცდაათიოდე ტეკე ნელ-ნელა ჩამოდიოდა ტაფობში საბალახოდ. რამდენადაც შეიძლებოდა, ფრთხილი მოძრაობით ავიღეთ

თოფები და ჩაცუცქულები ველოდით მის განკარგულებას. ვალოდიამ აცალა არვეს ტაფობში ჩამოსვლა და, როცა ტეკებმა სრულიად მშვიდად დაიწყეს ბალახობა, ხოხვით მდინარის კალაპოტისკენ დაიძრა. ჩვენც მივყევით მდინარის აქეთა ნაპირს, საითაც უფრო დაბალი იყო და კიდევ უფრო დაბლდებოდა, რაც უფრო ვუახლოვდებოდით მდინარეს. ამიტომ ჩვენ საკმაოდ ახლოს შეგვეძლო მივპარვოდით ჯოგს. დაახლოებით ასორმოცდაათ მეტრზე მივეპარეთ, მეტი არც იყო საჭირო. ცოტა ხანს შევიცადეთ, აჩქარებული სუნთქვა რომ დავიოკეთ, მაშინღა, გავხედეთ ჯოგს. მასპინძლებმა მე და რეზოს გადმოგვხედეს, ჩვენ კი ერთმანეთს გადავუჩურჩულეთ თუ ვინ რომელს ვესროდით. თითქმის ერთდროულად იქექა ორმა თოფმა, შემდეგ კი დამფრთხალი ჯოგიც აირია და თოფის ქუხილიც. გაქცეულებს სამი ტეკე ჩამორჩა სამუდამოდ — ორი თხა და ერთი ახალგაზრდა ვაცი, ჩამოვათრიეთ, გავატყავეთ, ავფეშხვეთ და მერეღა ჩავედით მდინარეზე დასაბანად. რეზო სალუქვაძემ ნაპირზე დგომას რატომღაც მდინარეში მოზრდილ ქვაზე გადახტომა ამჯობინა და ვიდრე მე შევაჩერებდი, კინაღამ იბანავა. სარკესავით მოპრიალებულ ქვაზე ფეხი აუსხლტა და სასწაულად გადარჩენილმა მხოლოდ ცალი ფეხი დაისველა ყინულივით ცივ წყალში. სოსოიამ სიცილი დააყარა — მაი რა მოგივიდა რეზო ბიძია, გადახტომა მასე კი არ უნდა, აი ასეო — და წამის მეასედში წყლიდან სოსოიას ხელებიღა ჩანდა, რომელშიც კინოაპარატი ჩაებღუჯა. ისევ რეზო ბიძიამ უშველა, იმან ამოათრია და გააქანა კარვისკენ, სადაც იმ წუთში სველი ტანსაცმელი გააძრეს, არყით დაზილეს და მშრალ ტანსაცმელში ჩაათბუნეს.

საუზმის შემდეგ მე, ვალოდია და კოლია მეზობელ ხეობას ავუყევით. საღამომდე ვიარეთ. ვერაფერი დავლანდეთ, ეტყობა ამდენ სროლას ნადირი დაეფრთხო. ვალოდიამ რამდენიმე ოქროს ფესვი იპოვნა სხვადასხვა ადგილას, სათუთად შემოუთხარა ძირები, გაასუფთავა, ჩააწყო ჩანთაში და უკან დავბრუნდით ბინაში, სადაც გემრიელი ვახშამი და კოლია ჩიერჩიეკერის საინტერესო მოთხრობა გველოდა.

ალთაურ ტრადიციულ სამშობიარო წესჩვეულებებში შემდეგი საკითხების გამოყოფა შეიძლება: სახელის დარქმევა, ძეობა, ჭიპლარის მიბრუნება მოყოლილი ნივთებით, რომლითაც მშობიარე სარგებლობდა მშობიარობის დროს, ახლადშობილისათვის აუცილებელი საჩუქრები და პირველი თმის ზეჭრა.

აილში, სადაც ბავშვი დაიბადებოდა, მიუღებელი იყო ხელცარიელი შესვლა. მეზობლებსა და ნათესავებს მშობიარისათვის მოჰქონდათ ძირითადად რძის სურსათი; ახალი ყველი, არაქანი, კარაქი. ყოველივე ეს განპირობებული იყო ურთიერთდახმარების გრძნობით, რომელიც ჩვეულებად ჰქონდა მომთაბარე ხალხს.

მეზობლებს და ნათესავებს უნდოდათ შეეხედათ ყოველ ახლადდაბადებულისთვის, მშობიარესთან მოსულებს აუცილებლად რაიმე უნდა ეჩუქებინათ ბავშვისთვის ან ჩამოეკიდათ აკვანზე; მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ შეეხედათ ახალშობილისათვის.

ამ წეს-ჩვეულებებში გამოიხატა მესაქონლეთა ცხოვრების დამახასიათებელი წესები. ნათესავებსა და მეზობლებს მოჰქონდათ ბავშვის სახვევები, ბატკნისა და ციკნის ტყავები (ბავშვის სახვევებად გამოსაყენებლად). ბავშვს მუცელზე ჭიპის დასათბუნებლად ადებდნენ ბატკნის ტყავს. ფეხებს ციკანის ღინღლში ან თხის მატყლში უხვევდნენ. სისუფთავისთვის ღინღლსა და შალს რეცხდნენ შრატში, ავლებდნენ წყალში, აშრობდნენ ცეცხლზე. მუშამბის ნაცვლად ბავშვს ქვეშ უგებდნენ განსაკუთრებული სახეობის გამხმარ წვრილ ისლს, ან ბადანის ფოთლებს.

ახლადშობილ ბიჭს ჩუქნიდნენ მათრახს, დანას, ტყვიებს, თოფს, აღვირს, უნაგირს, ფულს; გოგოს — საყურეებს, ბეჭდებს, ნიჟარებს, ღილებს, მძივებს, ჭურჭელს.

ახლადშობილისთვის რაიმეს ჩუქებას თან უძღოდა კეთილსურვილები, თვით საჩუქარს კი ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. კოვზს თუ ჩუქნიდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბავშვს ყოველთვის კარგი მადა ჰქონოდა, რომ ყვარებოდა გემრიელი ჭამა, რომ მის სახლში ყო-

ველთვის ყოფილიყო საჭმელი, ტყვიას — იმისთვის, რომ ბიჭი მარჯვე მსროლელი გამოსულიყო და ა. შ.

საერთოდ ალთაელები დიდ მრავალრიცხოვან ძეობებს აწყობდნენ ხოლმე.

მაგრამ მათ ყოველთვის ახსოვდათ, რომ მთავარი მარტო ოჯახთან, საზოგადოებასთან დაახლოება როდი იყო, აუცილებელი იყო, განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარება ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ბავშვს დაეხმარებოდნენ არა მარტო პირველ ხანებში, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

სანამ მშობიარე ქალი მომაგრდებოდა, ბავშვს ბებიაქალი უვლიდა. ის მშობიარეს ჩუქნიდა ბავშვის სახვევებს, ქეჩის საბანს და სხვა საჭირო ნივთებს. ბებიაქალს მშობიარის მიღების შემდეგ აბანინებდნენ ხელებს, ჩუქნიდნენ თეთრ ქსოვილს, შარვალს, ცხვრის ტყავებს. ძეობის დროს პატივისცემის ნიშნად ბებიაქალის წინ დებდნენ ცხვრის მკერდს ან ბელკენჩეკს.

როცა ბავშვი წამოიზრდებოდა, ის აუცილებლად უნდა სწვეოდა კინ-ენეს, მისი მოსვლის დღისთვის ბებიაქალი უკერავდა ქურქს. ბებიაქალი ჩუქნიდა ბავშვს ცხვარს ან ბატკანს.

მაჭანკლები გარიგების დროს მარტო საპატარძლოს მშობლებთან კი არ მიდიოდნენ, არამედ საპატარძლოს კინ-ენესთანაც. ამ შემთხვევაში ბებიაქალი წინასწარ მოლაპარაკებულ კალიმს მოითხოვდა საპატარძლოში.

განსაკუთრებული ურთიერთობა მყარდებოდა აგრეთვე ბავშვსა და მისთვის სახელის დამრქმევს შორის. ადამიანს, რომელმაც ბავშვს სახელი დაარქვა, ძეობაზე აუცილებლად ცხვრის თავს მიართმევდნენ, იმას კი თავისწილად რაიმე უნდა ეჩუქებინა ბავშვისთვის. სახელის დამრქმევს შემდეგ მისთვის ტანსაცმელი უნდა შეეკერა.

ცნობილია, რომ განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობდა ბიძა დისშვილს შორის. ბუნებრივია, რომ ამ წეს-ჩვეულებებშიც თავისი ადგილი დაიკავეს ამ ურთიერთობებმა: ახლადდაბადებულს უმრავლეს შემთხვევაში სახელს არქმევ-

და ბიძა, (დედის მხრიდან). ის მონაწილეობდა ბავშვის თმის პირველი შეჭრის დროს.

უფროსების უმცროსებისადმი მეურვეობა, უმცროსებისაგან უფროსებისადმი დიდი მოკრძალება და პატივისცემა, — ურთიერთდახმარება ბავშვსა და კინ-ენეს შორის, ბავშვსა და იმ ადამიანს შორის, ვინც სახელი დაარქვა, ბავშვსა და ბიძას შორის, ბავშვსა და ნათლიმამას ან ნათლიდედას შორის — მონათლულ ალთაელებს შორის ურთიერთისადმი დიდ ვალდებულებად ითვლება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ახლადდაბადებულს სახელს ოჯახის უფროსი არქმევდა, უმრავლეს შემთხვევაში იმის სახელს, ვინც პირველი შემოვიდოდა იურტაში ბავშვის დაბადების შემდეგ. ხშირ შემთხვევაში ბავშვს სახელს სტუმარი, ნათესავი ან მეზობელი ურჩევდა.

ბავშვის სახელს დიდი აზრობრივი და სიმბოლური მნიშვნელობა ეძლეოდა — „სახელს ძალიან დიდი აზრი აქვს“, ამიტომ ახალშობილისთვის სახელის დარქმევის უფლების მოპოვება დიდ პატივად ითვლებოდა. ამ უფლების მოპოვება გამოიხატებოდა გარკვეული სიმბოლური მოქმედებით. ასე, მაგალითად, თუ ბავშვის მშობლები ნათლობის წვეულების დროს მათ მიერ არჩეული სტუმრის წინ დებდნენ მისკენ შებრუნებულ მოხარშულ ცხვრის თავს, ეს ნიშნავდა, რომ სტუმარს უნდა დაერქმია ბავშვისთვის სახელი.

ის, ვინც ბავშვს არქმევდა სახელს, მას აუცილებლად რაღაცას აჩუქებდა, ვთქვათ, თავისი ტანსაცმელიდან ღილს ჩუქნიდა. ამავე დროს, ის, ვის სახელსაც არქმევდნენ ახალშობილს, აუცილებლად რაღაცას ჩუქნიდა ბავშვის დედას, თუნდაც, ათი-ოციოდე კაპიკის საფასურისას, მაგრამ მაინც ჩუქნიდა, რადგან ისინი, ვინც თავისი სახელით აჯილდოებენ ახლადშობილებს, ჩქარობენ ეს მნიშვნელოვანი მომენტი აღნიშნონ რაღაც საჩუქრით.

ალთაური საკუთარი სახელები სხვადასხვა ნივთებიდან არის წარმომდგარი. მაგალითად, „მულტიკ“ — თოფი, „სარი-ბაშ“ — ყვითელი თავი. მკვლევარი ლ. ე. კარენოვსკი წერდა: „...ერთი, მაგალითად, წინადადებას გვაძლევს ბიჭუნას დავარქვათ „ტაშ“ (ქვა), მეორე — „აჩკა“ (ფული), მესამე — „ჩალკან“ (საკვები თალგამი). ალთაელებს დაკა-

ნონებული სახელები (სახელთა კრებული) არ ჰქონდათ, ფაქტიურად სახელად შეიძლებოდა ნებისმიერი სიტყვა გამხდარიყო.

გარკვეული სხვაობა მამაკაცისა და ქალის სახელებს შორის ალთაიში არ შეიმჩნეოდა. თუმცა, თუ საკუთარი სახელების უმრავლესობა შეიძლებოდა როგორც მამაკაცის, ისე ქალისთვის დაგერქვათ, ზოგი სახელი, მაგალითად, სახელები ტემირ — რკინა, ანბაი — მონადირე, შეიძლებოდა მხოლოდ ბიჭებისთვის დაერქმიათ, ხოლო სახელები სირგა — საყურე, იინელიკ — სანემსე, ჩეჩეკ — ყვავილი — მხოლოდ გოგონებისთვის.

XIX საუკუნეში, ქრისტიანობის მიღებასთან და ალთაიში რუს გლეხთა დასახლებასთან დაკავშირებით, მთიან ალთაიში ალთაური სახელები ახალი სახელებით შეივსო. მაი დაიწყეს თავიანთი შვილებისთვის რუსული სახელების დარქმევა ფონეტიკურად შეცვლილი ფორმით. მაგალითად, რუსული არხიპ ისმოდა როგორც არტიპ, ალექსეი — ელექსეი, ნიკოლაი — მიკლაი და ა. შ. სახელებად იყენებდნენ აგრეთვე ცალკეულ რუსულ სიტყვებს: კარმან, (карман) სობ-კა. (собака), სელემერ (землемер), სტაკან, იამშიკ.

* * *

აღმოსავლეთიდან დასავლეთით უნდა მოვექცეთ — ედიგულის მწვერვალს. ამისათვის კი საჭიროა ჯერ ქვევით ხეობაში ჩავიდეთ და მერე დასავლეთისკენ მწვერვალიდან ხეობაში ჩამოტოტილი რამდენიმე ძნელად სასიარულო სერი გადავჭრათ. გზა ცხენებისთვის ძნელად სავალია და ხშირად გვიხდება ჩამოქვეითება, გარდა ამისა, აღმართი სირბილით უნდა აიარო, რომ უკან მომავალი ცხენი ზურგში არ დაგეჯახოს და ან შენ არ გადაგაგდოს ხევში, ან თვითონ არ გადაიჩეხოს. საკმაოდ დავიღალეთ და გავწვალდით.

— რეზოია, ძმა! — მეძახის რეზო სალუქვაძე.

— რა იყო?

— კი მარა, ჩვენ დაკარგვა გვაკლდა ვითომ, სად მივუყავართ, თუ იცი, ამ შობელძაღლს, ამას?

ვალოდიას ვუთარგმნი. კოლია და ის გულიანწად იცინიან და გვაიმედებენ, მალე მივალთო.

რეზოს, თურმე, როგორც მერე გამოირკვა, სხვა რამეც აწუხებდა. როგორც კი ჭალიანში სწორ ბილიკზე გავდიოდით, ვალოდია ამოჰკრავდა თავის ცხენს წკეპლას და ისიც ჩორთით იწყებდა სვლას, მეწინავე როგორც კი გადადიოდა ჩორთზე, ჩვენი ცხენებიც აჰყვებოდნენ ხოლმე. რეზო, რომელიც ომის შემდეგ აღარ მჯდარა ცხენზე, საშინლად შეწუხდა. უნაგირზე ხან რა დააფინა, ხან რა, მაგრამ არაფერი ეშველა, და აი, ერთხელაც, როცა ვალოდიამ ცხენი ჩორთზე გადაიყვანა, ველარ მოითმინა.

— რეზოია, ამ მამაძაღლს თუ საჯდომი არა აქვს, რაზე ჯდანა, და თუ აქვს, აღარ ეტკინა წეტავი? — წამოიძახა გამწარებულმა სალუქვაძემ და ახლა მე ამიტყდა ისტერიული სიცილი.

არც აქ გაგვიმართლა. ვერცერთი ვაცი ვერ დავლანდეთ. თითქოს ჯიბრზე სულ თხები გვხვდებოდნენ და ისიც ძალიან ახლო მანძილზე ისე, რომ თავისუფლად შეგვეძლო დაგვეხოცა, მაგრამ არ გვინდოდა, მარტო ვაცი გვაინტერესებდა ულამაზესი რქების გამო, ისინი კი ვერ იქნა და ვერ მოვიხელთეთ სათოფეზე.

ისევ შუაცეცხლს ვუზივართ გარშემო და კოლია ალჩუბაევს ვუსმენთ.

გაუნათლავი ალთაელები თვლიდნენ, რომ სიკვდილი იმ დროს მოდის, როცა ბოროტ სულს მიაქვს ადამიანის სული, ამიტომ სიკვდილი საოცარ შიშს იწვევდა გარშემო მყოფთათვის. ახლობელი ნათესავები უხმოდ გოდებდნენ, და თუ ტიროდნენ კიდეც, ჩუმად, მოთქმის გარეშე. ხმამაღლა ტირილი არ შეიძლებოდა, „ეშმას რომ არ გაეხარა". აილში, სადაც მიცვალებული იწვა, არ შეიძლებოდა ემხიარულათ, ეხმაურათ. აკრძალული იყო: მიცვალებულის სახელის ხსენება, ხის მოჭრა ღამით, მიწის თხრა და მიწაზე ხაზვა, ღამით კარის გაღება და აილიდან რძის გამოტანა. თუ მეზობელ აილში იყო მიცვალებული, არ შეიძლებოდა ღამე ტანსაცმლის გარეთ დატოვება. ბავშვებს საღამოობით ეკრძალებოდათ მიწაზე დაჯდომა, ჯგუფებად შეკრება.

ფეხმძიმე ქალებს ეკრძალებოდათ ორმოცი დღის განმავლობაში იქ შესვლა, სადაც ადამიანი გარდაიცვალა. აღნიშნული აღკვეთის დარღვევისათვის მას ექნებოდა ხანგრძლივი, მტკივნეული ან უდღეური მშობიარობა. თუ ფეხმძიმე ქალისათვის უკიდურეს საჭიროებას წარმოადგენდა იმ აილში შესვლა, სადაც მიცვალებული იყო, მაშინ მას ტანსაცმლის შიგნით ტიტველ სხეულზე უნდა შემოეკრა ცხენის მოსართავი.

ბავშვებს ნება არ ჰქონდათ ეცქირათ მიცვალებულისთვის: აილში, სადაც მიცვალებული ესვენა, მკაცრად იყო აკრძალული შეეყვანათ ბავშვები, რომლებსაც ჯერ ენა არ ჰქონდათ ადგმული, რადგან „მათ არ გააჩნდათ სული". აილში, სადაც მიცვალებული ესვენა, ეკრძალებოდათ შესვლა ჩვილბავშვიან ქალებს, ავადმყოფებს, ნერვიულებს, ადვილად აღმზნებ ადამიანებს, გულზიზღებს, მშიშრებს, აგრეთვე „სუფთა ძვლის" ადამიანებს, ე. ი. ისეთებს, რომლებიც მოხვედრილები იყვნენ მეხქვეშ. მათი რწმენით მკვდრის ანუ უწმინდურის ნახვით მათი ტანი დაიფარებოდა იარებით.

მიცვალებულის ახლობელი ნათესავები ერთი წლის განმავლობაში არ დადიოდნენ სანადიროდ, არ სვამდნენ სამკურნალო წყლებს, არ აწყობდნენ ქორწილებს.

მიცვალებულს განბანდნენ და აცმევდნენ ტანსაცმელს. მოხუცი და ავადმყოფი ადამიანები წინასწარ ემზადებოდნენ სიკვდილის შესახვედრად. თვითონ იკერავდნენ სიკვდილის დროს ჩასაცმელ ტანსაცმელს, ან წინასწარ უბარებდნენ თავისიანებს, თუ რა ჩაეცვათ. მიცვალებული ქალის და კაცის ტანსაცმელი, თავისი დანიშნულების გარდა, არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივისაგან.

ნათესავები გულდასმით ათვალიერებდნენ მიცვალებულს: სადმე თითებში, ფრჩხილებში, წამწამებში ხომ არ შერჩა ბეწვი. თუ პოულობდნენ ბეწვს, მაშინვე აცლიდნენ, რადგან ალთაელების წარმოდგენით, მიცვალებულს შეეძლო წაეღო იმ ადამიანის ან ცხოველის სული, რომლის ბეწვიც შეიძლება ეს ყოფილიყო.

მიცვალებულს ხელებს ტანის სიგრძივ ულაგებდნენ, თვალებს უხუჭავდნენ. ხანდახან ფეხებსაც უკრავდნენ. არსებობდა ცრურწმენა: თუ მიცვალებულის ფეხებიდან მოხსნილი

ბორკილით ფეხებს გაუკრავდით ადამიანს, რომელსაც მოუსვენარი სიმთვრალე ჰქონდა, ეს ადამიანი უთუოდ თვინიერი გახდებოდა.

მიცვალებულისათვის არ შეიძლებოდა დაგეხურათ ქუდი და ჩაგეცმიათ ბეწვეულისა და მხეცების თათებისაგან შეკერილი ფეხსაცმელი. „იმ ქვეყანაში“ ეს ტანსაცმელი მიცვალებულს არ დაამაგრდებოდა. ძვირფას და იშვიათ ნივთებს, მაგალითად, აბრეშუმისას, მიცვალებულს არ ატანდნენ.

არ ატანდნენ მჭრელ ნივთებს: დანას, ნაჯახს, მაკრატელს; ზოგჯერ მათ წინასწარ ამტვრევდნენ. სხვანაირადაც იქცეოდნენ: ქარქაში რჩებოდა მთელი, მაგრამ მასში ხის დანას დებდნენ. მიცვალებულს არ ატანდნენ თოფს, მას უტოვებდნენ, როგორც წესი, უმცროს ძმას ან სხვა ახლობელ ნათესავს.

ცოლ-ქმრიდან რომელიმეს სიკვდილის შემთხვევაში საწოლიდან ფარდის ერთ ნახევარს ხსნიდნენ და მიცვალებულთან დებდნენ. ცოლის სიკვდილის შემთხვევაში ხსნიდნენ ფარდის იმ ნაწილს, რომელიც მას ფარავდა და ცოლ-ქმრის სარეცელის სასთუმალს, ხოლო ქმრის სიკვდილისას — ფარდის იმ ნაწილს, რომლითაც დაფარული იყო სარეცელის მეორე ნახევარი.

მიცვალებულთან დებდნენ ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო „იმ ქვეყანაში“. მამაკაცს სასთუმალთან დასაფლავებისას უდებდნენ უნაგირს (უზანგებმოჭრილს), ლოგინის მაგივრად — საოფლეს. მიცვალებულ ქალს ატანდნენ ჩაიდანს, ჩამჩას, კათხას, ღილებს, ძაფს, სათითურს, ჩიბუხს, უნაგირს, აღვირს.

პატარ-პატარა პარკებში იყო ჩალაგებული ცოტ-ცოტა სხვადასხვა სახის პროდუქტი და მიკერებული ჰქონდა მიცვალებულს ტანსაცმელზე, რათა სულისთვის მძიმე არ ყოფილიყო ტვირთი. ზოგჯერ მიცვალებული სიცოცხლის დროს არჩევდა ნივთებს, რომლებიც მისთვის უნდა გაეტანებინათ.

დასაფლავებაში ექვსი-შვიდი ადამიანი მონაწილეობდა. ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს, ნერვიულ ადამიანებს, აგრეთვე ახალგაზრდებს, ისევ, როგორც მიცვალებულის ცოლს, ეკრძალებოდათ დასაფლავებაში მონაწილეობის მიღება. ქალები

ახლობელ ნათესავს რომ აცილებდნენ უკანასკნელ გზაზე, კაცებისაგან განცალკევებით მიყვებოდნენ. სამგლოვიარო პროცესიას გზაში შეეძლო სამჯერ შეესვენა: აილიდან გამოსვლისას, შუა გზაზე და დაკრძალვის ადგილზე მისვლამდე.

ალთაელებს დასაფლავების მრავალნაირი წესი აქონდათ:

„ქვის ყრილი". მიცვალებულს ახვევდნენ ქეჩაში, დებდნენ მიწაზე და ქვებს შემოულაგებდნენ.

„სარდაფი". აღნიშნავდნენ ორმოს კონტურებსა და ზომებს, დაახლოებით 50 სმ სიღრმის ორმოს ამოთხრიდნენ, ორმოს ნაპირებზე შემოაყოლებდნენ გარანდულ ხეს, ხის ქერქს ან ბელტებს. ალთაელები ასეთ სამარხს „კიეინინ კაბაიის" — „ადამიანის აკვანს" ეძახდნენ. ორმოს ძირში ქეჩას ან ჩულს აგდებდნენ, აწვენდნენ მიცვალებულს ზედ, აფარებდნენ ქეჩას და აყრიდნენ მიწას. ადრე, თურმე ნიჩაბს, რომლითაც საფლავს თხრიდნენ, საფლავზევე ტოვებდნენ. მიწაყრილ ს ზემოთ დგამდნენ პატარა ხის ძელურს. ოთხი მორის სიმაღლეზე, ორფერდა სახურავით.

„წვრილი ხარიხა". თხრიდნენ საშუალო სიმაღლის ორმოს, მიცვალებულს ახვევდნენ ქეჩაში ან დებდნენ ქეჩის საწოლზე და ზევიდანაც ქეჩას ახურავდნენ. ორმოს ზემოდან ხურავდნენ წვრილი ხარიხებით, რომლებიც მიცვალებულის აილიდან იყო წამოღებული. ხარიხების ზემოდან შლიდნენ ქეჩას. მიწას და ქვას არ აყრიდნენ. ზემოდან მხოლოდ იმ ქვებს აყრიდნენ, რომლებიც სამარის გათხრის დროს შეხვდებოდათ. ხანდახან ხარიხებზე ქეჩის მაგივრად რომელიმე მის ტანსაცმელს შლიდნენ. საფლავის ქვის მაგივრად მიცვალებულს ფეხებთან არჭობდნენ ბოძს, რომელზეც ზოგჯერ კიდებდნენ არაკათი სავსე ტაეუურს.

თუ დასაფლავებისას კლავდნენ მიცვალებულის ცხენს. მაშინ ნაკლავს დებდნენ პატრონის საფლავის გვერდით, მიცვალებულს ხელში უდებდნენ ცხენის აღვირს ან ფაფარს. ზოგჯერ ცხენის ნაკლავზეც დგამდნენ ძელურს. თუ ცხენს არ კლავდნენ, მაშინ ცხენს ცოტაოდენ ფაფარს მოჭრიდნენ და დაადებდნენ ქეჩაზე. ადრე დასაფლავებებზე შეკლებული ოჯახები კლავდნენ განსვენებულის ცხენს. ქეჩაზე, რომელიც ხარიხებზე იყო გადაფარებული, დებდნენ არაკათი სავსე ტა-

ეუურს, აწყობდნენ საჭმელს, ჩაის, ზოგჯერ დგამდნენ ძელურსაც.

ჩვეულებად ჰქონდათ გვამის დაწვაც. ასეთ დროს ფერფლს ახვევდნენ ქეჩაში და ხის ტოტზე ჩამოკიდებდნენ ხოლმე.

თავისებურ სარკოფაგებშიც ასაფლავებდნენ: მოჭრიდნენ ადამიანის სიგრძის რბილწიწვიანას მორს. შემდეგ თანაბრად. სიგრძეზე გაჭრიდნენ შუაზე, ორივე ნახევარს ამოუღებდნენ გულს. ქეჩაში გახვეულ მიცვალებულს ერთ ნახევარში ჩააწვენდნენ, მეორეს ზემოდან დაახურავდნენ, დაამაგრებდნენ, ჩაუშვებდნენ საფლავში და მიაყრიდნენ მიწას.

სხვანაირადაც ასაფლავებდნენ: მაგალითად, ქეჩაში გახვეული მიცვალებული შეიძლება წაქცეული ხის ფუღუროში, კლდის ნაპრალში ან დიდ ლოდებს შორის დაემარხათ. ხანდახან მიცვალებულს ისე ტოვებდნენ ხის ქვეშ, თითქოს დამჯდარიაო.

ჩვეულებრივად მიცვალებულს თავით დასავლეთისკენ აწვენდნენ. დასაფლავების დროს ცდილობდნენ ხის ქვეშ დაემარხათ.

ცხედრის გამოსვენების შემდეგ, აილის შესასვლელის წინ აწყობდნენ კედარის ტოტებს. სასაფლაოდან დაბრუნებული სამგლოვიარო პროცესიის მონაწილენი იბანდნენ ხელს, წვავდნენ სურნელოვან ღვიას, აბოლებულ ტოტს სახის გარშემო იტარებდნენ და იწმინდებოდნენ მისი ბოლით. მიცვალებულის აილის კარზე სამი დღით აყუდებდნენ ნაჯახს, ხერხს, დანას, თოფს, რათა გზა გადაეღობათ ბოროტი სულებისთვის. ცხენს, რომლითაც ცხედარი წაიღეს დასამარხად, უშვებდნენ ჯოგში და ერთი-ორი თვე არ ამუშავებდნენ.

დაკრძალვის დღეს იმართებოდა სადილი, ხოლო ქელეხი — მესამე, მეშვიდე, მეორმოცე დღეს და ერთი წლის შემდეგ. ცრურწმენის მიხედვით, მესამე დღეს სული ბრუნდებოდა თავის აილში და ეძებდა იმას, რაც დაავიწყდათ გაეტანებინათ მიცვალებულისათვის.

მეშვიდე დღეს მიცვალებული თითქოს პირველად შეიცნობდა, რომ მკვდარი იყო. ჩიტის გამოსახულებით ჯდებოდა ბალახზე და ხედავდა, რომ მისი სიმძიმის ქვეშ ბალახი არ იღუნება.

მეშვიდე დღეს საფლავის მახლობლად ანთებდნენ კოცონს, მიცვალებულის სული უნდა გამოჩენილიყო კოცონის ალში. „კოსპოკჩი“ — ნათელმხილველი თითქოს ხედავდა მიცვალებულის სულს, აღწერდა მის მოქმედებას, მის ტანსაცმელს.

ჭირის სუფრას ესწრებოდა კამი. კამის გაკეთება იყო სულის საბოლოო განთავისუფლება ხორცისაგან. აქვე, დასაფლავების ადგილზე მკითხაობდნენ. დამსწრენი უკიდებდნენ ჩიბუხებს. თუ ჩიბუხები სწრაფად ღვივდებოდა, მაშასადამე, ადამიანი სხვა ქვეყანაში იოლად წავიდოდა, და, თუ ჩიბუხები ძნელად ღვივდებოდა, თვლიდნენ, რომ ადამიანი სხვა ქვეყანაში უხალისოდ მიდიოდა.

მიცვალებულის დარჩენილ ტანსაცმელს სახელის ხსენებით, ყრიდნენ ცეცხლში. წვავდნენ სხვა ნივთებსაც. ნათესავებს მოჰქონდათ ცოტა-ცოტა სურსათი და ყრიდნენ ცეცხლში. მიიჩნევდნენ, რომ დაწვის გზით ეს ნივთები და პროდუქტები გადავიდოდნენ იმ ქვეყანაში, სადაც მიცვალებული მათ გამოიყენებდა.

ცეცხლის მახლობლად მიწაში ამოთხრიდნენ პატარა ორმოს, რომელსაც მიწის თასს ეძახდნენ და მასში დებდნენ ცოტა-ცოტა სხვადასხვა სახის საჭმელს, შიგვე ფერთხავდნენ დატენილ ჩიბუხებს, რათა ყოველივე ეს მიცვალებულის სულთან მისულიყო. თუ ქალი იყო მიცვალებული, მის საფლავზე დებდნენ ცხვრის მკერდის ან უკანა ნაწილის ნაჭერს, რათა მიცვალებული ქალის სულს სხვა ქვეყანაში საშუალება ჰქონოდა მიცვალებული ნათესავების აილებში ძღვენით შესულიყო. მიცვალებული კაცის საფლავზე დებდნენ ცხვრის მოხარშულ თავს ან ცხენის ნეკნებს.

თუ მეშვიდე დღეს ცხენს არ კლავდნენ, მაშინ ან ფაფარს შეაჭრიდნენ, ან — ძუას და დაწვავდნენ, რომ იმ ქვეყნად მიცვალებულს ცხენი ჰყოლოდა. იყო ასეთი რწმენაც: თუ ცხენის ნაკლავს სწრაფად შეჭამდნენ მხეცები, ფრინველები, — ეს კარგს მოასწავებდა.

თუ მიცვალებული მარტოხელა იყო, მეშვიდე დღეს მის აილს წვავდნენ. თუ მიცვალებულს რჩებოდა ოჯახი, მაშინ აილი შეიძლება სხვაგან გადაეტანათ. გარდაცვალების მეორმოცე დღეს მიცვალებულის სული, ალთაელთა რწმენის თა-

ნახშად, გადადიოდა ქვესკნელის ქვეყანაში — ერლიკაში. ამ ქელეხში იკვლებოდა ცხვარი, სისხლსა და ნაწლავების შიგთავსს მიწაში ფლავდნენ. ნაკლავს მთლიანად ხარშავდნენ. მზის ჩასვლისთანავე საღამოს თასში დებდნენ ხორცს და ისროდნენ დასავლეთით. ამ დროს არავის არ უნდა სძინებოდა. მიცვალებულს „უმასპინძლდებოდნენ“ თუთუნით. ხდებოდა, რომ ცხენს სწორედ ორმოცზე კლავდნენ, ლაგამს საფლავის სვეტზე კიდებდნენ.

საფლავზე თითით ჩვენება არ შეიძლებოდა, არც პირდაპირ მიცვალებულზე ლაპარაკი შეიძლებოდა, იყენებდნენ აღწერილობით სიტყვას „ოლ კიჟი“ — ის ადამიანი.

უკანასკნელად მიცვალებულის სულს წლისთავზე „აჭმევდნენ“. ამის შემდეგ, სწვავდნენ დარჩენილ ტანსაცმელს.

იმ ალთაელთა შორის, რომლებსაც ქრისტიანობა ჰქონდათ მიღებული, ყველაფერი ქრისტიანული წესისამებრ ხდებოდა.

* * *

თავქვე მივყვებით ხეობას. ჩვენგან მარცხნივ გასიპული კლდეებია, ალაგ-ალაგ ნაშვავები რომ ჩაუდის ნაკეცებში. საშინელ დაღლას ვგრძნობ და სადავემიშვებულ ცხენზე კი არა ვზივარ, უფრო ნივთივით ვდევარ. ედიგოლის მთის მარჯვენა ჭიუხებში ბღოტიალისაგან ფეხები და ხელები მიბეჟის. თავი ჩაქინდრული მაქვს და აღარც კი მახსოვს, ვფიქრობ თუ არა რამეს. უცბად კოლიას ხმა მომესმა, რაღაცას მეძახდა. ერთბაშად ვერ გამოვერკვიე. მის ხმას ვალოდიას ხმაც შეუერთდა, მაგრამ სანამ მე გამოვერკვეოდი და შექმნილ სიტუაციას შევაფასებდი, უკვე გავარდა ვალოდიას ავტომატი. ცხენიდან გადმოვხტი, კარაბინი მოვიმარჯვე და იქით დავიწყე ყურება, საითაც ცალ მუსლზე დაჩოქილ ვალოდიას ჰქონდა მიშვერილი თოფი. ვიწრო ნაშვავის შუაწელზე უკანა ფეხებზე ჩაკეცილი ტეკე წამოდგა და წინ დაიძრა. ისევ გავარდა ვალოდიას ავტომატი, ტყვიამ ტეკეს ფეხებთან გაიწივლა, — ესროლე, რას უყურებო, ისე შემომბღავლა კოლიამ, კინაღამ დაუმიზნებლად გამივარდა თოფი. რამდენიმე ნაბი-

ჯით წინ წავიწიე, დავიჩოქე და ვესროლე... ისევ ვესროლე არაფერი გეტკინოთ, ტეკემ ნაშვავი გადაიარა და კლდეებში შევიდა. ვალოდიამ პატარა მდინარე გატოპა და კვალში ჩაუდგა. მე მდინარეს თავქვე დავუყევი, მერე მარცხნივ შევტრიალდი და იმ მხარეს მოვექეცი, სადაც წესით უნდა გამოსულიყო დაჭრილი ნადირი. ისევ გაისმა ვალოდიას ავტომატის ხმა და ჩემთვის დახურულ გასიპული კლდის დერეფნიდან გამოვიდა ვაცი. ეტყობა, მეორე ტყვიაც უკანა ფეხში ჰქონდა მოხვედრილი. მარჯვენა უკანა ფეხს ვეღარ დგამდა და მიათრევდა. შეჩერდა. ვესროლე და თვალნათლივ დავინახე როგორ აამტვრია ტყვიამ მის ფეხებს ქვემოთ ტინი. ახლოლა მოვედი გონს, რომ კორასთვის ხელი არ მიხლია. ტეკე, კი ჩემგან დაახლოებით ორას — ორასორმოცდაათ მეტრზე იყო. მე სანამ კორას ავწევდი და ნიშანში ამოვიღებდი, ტეკემ რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და უფრო ფართო ლავგარდანზე შედგა. იღლიაში დავუმიზნე და ვესროლე. ტეკე მარცხენა მხრით სიპ კედელს მიაწყდა, მაგრამ არ წაქცეულა. ცეცხლი მომეკიდა — ბრუციანად, დეგენერატად მოვნათლე თავი და ისევ ამოვიღე მიზანში, ახლა მის მხრებს ზემოთ ავამტვრიე ტყვიით ტინი. მთლად გადავირიე, ბოლო ვაზნა მივეცი პირში და ის იყო, უნდა მესროლნა, რომ გავარდა ვალოდიას ავტომატი. ნადირმა წინა ფეხებზე ჩაიჩოქა. უკანა მარჯვენა ფეხი მოტეხილი ეკიდა, ხოლო რადგან უკანა მარცხენა ფეხი გაჭიმული ედგა, კლდეზე გადმოაქანა. ერთხელ რაღაცა სასწაულით შეიკავა თავი, მაგრამ მეორე გადმოქანებაზე, ჯერ უკანა ნაწილი მოწყდა ფლატეს, მერე კი მთელი ტანი და ჰაერში რამდენიმე ბრუნის შემდეგ რიყეში მოადინა ზღართანი. ვარდნის დროს მისი გრძელი, ბოლოებში მოღუნული რქები ხმლებივით კვეთდნენ ჰაერს. მივვარდი. ოცდაერთი კორძი დავთვალე რქებზე. უზარმაზარი ვაცია. ჩემს ნასროლ ტყვიას მხრების თავში ტყავსა და ძვლებს შორის გაევლო, რაც, რა თქმა უნდა, ვერაფერს დააკლებდა მას. ვალოდიამ სწრაფად გაფატრა ნადირი, მუცელში ჩაგუბებული ცხელი სისხლი ტოლჩით ამოიღო ჩვეულებისამებრ მადიანად დალია...

...წინ, ისევ ვალოდია მიაჩაქჩაქებს ცხენს. მე და რეზო სალუქვაძე კვალში მივყვებით. ჩემი ცხენი თოფის ხმას არაა შეჩვეული და ამიტომ ცხენდაცხენ სროლაზე ფიქრიც არ შეიძლება. თორემ თვითონაც გადაიჩეხება დაფეთებული და მხედარსაც თან გადაიყოლებს. აქ სულ საზაფხულო საძოვრებია, ზევით დავტოვეთ კლდოვანი მთები. სერის შუაწელს მიჰყვებიან ჩვენი ცხენები. საცაა ბინას მივაღწევთ. ქვემოთ დამშრალი რუა, მარცხნივ — საკმაოდ ბალახიანი მაღლობი.

ვალოდიას ცხენის წინ წითელი ფერის ულამაზესი მელა წამოხტა და მარცხნივ დაეშვა.

— რევაზ ვასილიჩ, — გადმომძახა ვალოდიამ და თან საჩვენებელი თითით მიმანიშნებდა ფერდობისაკენ. ცხენი შევაჩერე და რამდენადაც შეიძლებოდა, სწრაფად გადმოვხტი. მელა გაიქცა და ჩაცუცქდა. მე სანამ თოფი გადმოვიღე და გავმართე, მელა ბალახებში გაუჩინარდა. არც კი მახსოვს, რეზო სალუქვაძე მარწმუნებს, თითქოს მითქვამს — უჰ, რა ლამაზი მელაა, ბაბოს როგორ გავახარებ-მეთქი (ბაბო ჩემი მეუღლეა).

ამის გაგონება აკლდა, ენამწარე რეზო სალუქვაძეს?

— მელას რომ იგი ცოდნოდა, რა კარგი ქალისათვის გინდოდა ძღვნად მისი ტყავი, ან თვითონ გაიძრობდა, ანდა, ძამა, აუცილებლად გაჩერდებოდა და დაგიძახებდა, მესროლეო, მაგრამ არ იცოდა იმ დაღუპულმა და ამიტომ გაშპა ასე.

კიდევ კარგი, ვერაფერი შვილი პუშკინი მყავს რუსულში, თორემ მთლად გამამასხრებდა მასპინძელთან.

მეორე დღეს უთენია ავდექით და კოშ-აგაჩისაკენ ავიღეთ გეზი.

სოსოია გზადაგზა წარამარა ხან ფოტოაპარატს გვიმარჯვებდა და ხან — კინოაპარატს. უღელტეხილზე თოვლში ძალზე გაუჭირდათ ცხენებს, მაგრამ ყველაფერი მშიდობით დამთავრდა. გვიან ღამით შევედით კოშ-აგაჩში, სადაც უკვე გველოდნენ, ორთქლის აბანო გაეხურებინათ და ვახშამიც კარგი მოემზადებინათ...

ვალერი ჩაპტინოვის წყალობით მონღოლეთში მივდივართ. საზღვარზე, საბაჟო პუნქტთან გვეგებებიან სასაზღვრო რაიონის აიმაკის პირველი მდივანი და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები. თბილი მისალმების შემდეგ ისევ მანქანებში ვსხდებით და ქვეყნის სიღრმისაკენ მივემართებით. ჯერ კიდევ ჩანს მდინარეთა ნაპირებზე ბუჩქნარები და ხეები, როგორც კი მდინარეს ვცილდებით, იწყება ხრიოკი ველები, რომელთა შორისაც ალაგ-ალაგ კლდოვანი გორები თითქოს უხილავ, უხეირო მხატვრის ხელს თეატრალურ დეკორაციასავით წამოუდგამთ. ერთ-ერთ მათგანთან გავჩერდით, ექვთიმე იურჩიკს ვთხოვე სურათი გადაეღო აი, ასე, უადგილო ადგილას ამოზრდილი, თუმცა, ამოზრდილი კი არა, თითქოს მიწაზე ფუძის გარეშე მდგარი კლდოვანი გორისათვის, რომელიც ისეა საბაზანო ღრუბელივით დაშაშრული და გამოფიტული, გეგონება, ხელს დავავლებ და ჰაერში ავისვრიო. თვალსაწიერზე არაფერი ჩანს, და, ალბათ, ქარმა თუ წვიმამ, ყინვამ თუ სიცხემ ასე გამოფიტეს ეს მარტოგორა. მივქრივართ ცნობილ მშიერ ველზე, რომელიც ათასი სხვადასხვა მიმართულების სამანქანო გზებით არის დაქსელილი. არავითარი საგზაო ნიშნები, არავითარი წარწერები, გაოცებული ვართ როგორ იკვლევენ გზას მძღოლები ამ ველზე, სადაც ძალზე დაბალი, ერთავად მომწვანო-მოჟანგისფრო ბალახისა და ერთნაირი ზომის, დაახლოებით მუშტისხელა ქვების მეტი არაფერი ჩანს.

დაახლოებით ორასი კილომეტრის შემდეგ გამოჩნდა საკმაოდ დიდი ტბა, ნაპირებზეც დაბალი ბუჩქნარია, რომელიც მერე და მერე ტყედ იქცა. ერთ ტბას მეორე მოჰყვა, მარჯვნივ პატარა დასახლება ჩამოვიტოვეთ. ტბები სავსეა გარეული იხვით, სტუმრები ავწრიალდით, მაგრამ მასპინძლები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ იხვებს და ჩვენც მორიდებით ვდუმვართ. ბოლოს შევდივართ ერთ წალკოტში, სადაც ორი მდინარის შესაყარია. მანქანებს აჩერებენ. გადმოვდივართ, კარვებს ვშლით, ბარგს ვალაგებთ. პირდაპირ კინაღამ ფეხი დავადგი კურდღელს, რომელიც გაიქცა და სულ ათიოდე ნაბიჯზე არხეინად დასკუპდა. მანქანიდან თოფი გადმოვიღე, კურდღლის საფანტით დატენილი ვაზნები ამოვალაგე და კორუმისაკენ გავიარე. სულ ნახევარ საათში, სანამ მასპინძლე-

ბი სიცილს დამაყრიდნენ, სამი კურდღელი მოვკალი, ისინი კურდღელს, ფრინველს და საერთოდ წვრილმან ნადირს ალთაელების მსგავსად არ ესვრიან. მეც, რაღა თქმა უნდა, უხერხულობაში ჩავარდნილი გავჩერდი.

ამ ჯიშის კურდღელს იქ ქვის კურდღელს ეძახიან, საკმაოდ პატარაა და იქაური ქვისა თუ ტინის ფერისაა, ასე, რომ თუ ქვიან ადგილას იმალება, ძალზე ძნელი დასანახია.

მეთევზეებმა ბადეები მოამზადეს და მდინარისაკენ გავწიეთ. ერთხანს ვუყურე, მაგრამ, როცა დაახლოებით ერთ საათში ასიოდე კილოგრამამდე კაპოეტი და „ოსმანი“ ამოყარეს წყლიდან, ინტერესი დამეკარგა, კარვისაკენ გამოვწიე და გაშლილ საძილე ტომარაზე წამოვწექი...

აჰა, ესეც მონღოლეთი, ქვეყნიერებაზე ბატონობას რომ აპირებდა. საოცარია, დრო, ხალხი, ქვეყნიერება, ყველაფერი როგორ იცვლება, იბადება, ვითარდება, კვდება, ისევ იბადება და...

აქ, მდინარე ონონის ნაპირზე, 1206 წელს მოწვეულმა არისტოკრატთა ყრილობამ — ყურულთაიმ, ნოინი თემუჩინი მონღოლთა უზენაეს მბრძანებლად აირჩია. ამან დასაბამი მისცა მონღოლეთის ველებში მცხოვრები მრავალი ტომის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას.

ლამის მთელი ევროპის ცაზე სისხლიანი წვიმების ღრუბელი შედედდა.

1219 წელს მონღოლთა 150 ათასიანი არმია ჩინგიზ-ხანის მეთაურობით შეიჭრა შუა აზიაში, ხოლო 1221 წელს მას შუა აზია უკვე დაპყრობილი ჰქონდა. შიშით შეპყრობილი მუჰამედ ხორეზმ-შაჰი შეუჩერებლად გარბოდა.

უზენაესმა მბრძანებელმა ჩინგიზ-ხანმა მუჰამედ ხორეზმ-შაჰს 30 ათასიანი ლაშქარი დაადევნა თავისი საუკეთესო სარდლების ჯებე და სუბუდაის მეთაურობით. კასპიის ზღვის ერთ-ერთ უსახელო კუნძულზე დალია სული სირცხვილნაჭამმა ხორეზმ-შაჰმა. აქედან მონღოლებმა სამხედრო მოქმედება გადაიტანეს ახლანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც ხორეზმ-შაჰის შვილი ჯალალ-ედ-დინი განაგრძობდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას. ჯალალ-ედ-დინმა ფარვანის ველზე, ფანჯშირ-ს ხეობაში (ახლანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე ქაბუ-

ლის ჩრდილოეთით) დაამარცხა ჩინგიზ-ხანის 30-ათასიანი ლაშქარი, ერთ-ერთი საუკეთესო სარდალი შიქი-ყუთუყუ რომ მეთაურობდა. გამძვინვარებულმა ჩინგიზ-ხანმა მას მდინარე ინდამდე სდია და საბოლოოდ დამარცხებული ჯალალ-ედ-დინი ქურთებმა მოკლეს მთებში.

ჩინგიზ-ხანის ძირითადი არმია მონღოლეთში დაბრუნდა, ხოლო ჯებეს და სუბუდაის 30-ათასიანი არმია ჩრდილოეთ ირანის გავლით ამიერკავკასიაში შეიჭრა. კასპიის ზღვის სანაპიროს გავლით დალაშქრეს ალანები და გავიდნენ პოლოვეცის ველებზე. 1223 წელს დაამარცხეს რუს-პოლოვცელთა გაერთიანებული არმია და მდინარე დნეპრამდე სდიეს მათ. ეს იყო მონღოლი ცხენოსანი არმიის ღრმა რეიდი, რომლითაც მომზადდა მომავალი დიდი ლაშქრობა დასავლეთში.

გარკვევით მესმის არაბი ისტორიკოსის იბნ-ალ-ასირის ხმა „...ადამის დროიდან დღემდე ქვეყნიერებას არ განუცდია ასეთი უბედურება. თათრები არავის არ ინდობდნენ. ისინი ხოცავდნენ ქალებს, მამაკაცებსა და ბავშვებს, სოლო ფეხმძიმე ქალებს მუცელს უფატრავდნენ“.

და გადმოთელეს მანამდე გაუგონარი ყივილით მთელი აღმოსავლეთი კუნთმაგარი, ხშირბეწვა, დაბალი ცხენებით, რომლებისთვისაც სულ ერთი იყო სილიანი ველები, ნახევრადუდაბნო თუ მთაგორიანი ადგილები, სიცხე თუ სიცივე. ეს ნაცრისფერი თუ წაბლა ცხენები თანაბრად გამოიყენებოდა საჯდომად, სასაპალნედ თუ შესაბმელად, სასორცედ თუ სარძეველ.

„შემოვიდნენ ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტაანს, ანისს და მოეფინენ მსგავსად მკალთა ოხვრებად და ხოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქვეყანა“.

არბევდნენ ქართლს, სამცხეს, ჯავახეთს, ტრაპიზონამდე; კახეთს, ჰერეთს, რანს, შარვანს — დარუბანდამდე.

მონღოლებს აუწერიათ ყველაფერი (ადამიანები, პირუტყვი, ხეები, მიწა, ყანა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, სათევზაო ადგილები, მდინარეები, ტბები, ზღვები და სხვა.), რასაც კი შემოსავლის მოცემა შეეძლო, რაკი მათ ლაშქარში წასაყვანი

მამაკაცები აინტერესებდათ, ამიტომ დავთარში შეუტანიათ 15-დან 60-წლამდე ასაკის მამაკაცები.

გადასახადი დაადეს ყველას და ყველაფერს: სოფლის მეურნეობას, ვაჭრებს, ხელოსნებს, მეთევზეებს, მაღაროში მომუშავეთ, მიწის ნაყოფს, ვაჭრობას და ა. შ.

საქართველომ რა იცოდა, რომ ჩინგის ხანის სარდლობის, მისი მომდევნო ხანებისა და სარდლების შემოსევები და სისასტიკე კეთილმოსაგონარი რამ იქნებოდა მათთვის, ვინც გათურქებული მონღოლური ტომის ნაშიერის, ბრძოლაში დახეიბრებული თემურის გაუგონარ სისასტიკეებს მოესწრებოდა.

რვაჯერ შემოესია თემურ-ლენგი (კოჭლი თემური) საქართველოს. ქართველ ერს პირწმინდა განადგურებას უქადდა. კაცთმოძულე ხეიბარს, შიშით უნდოდა დაემორჩილებინა კაცთა მოდგმა. სისთონში ციხის კედელს ჩააყოლა ხელფეხგაკრული ორიათასი კაცი; ისპაჰანში უმოწყალოდ გაჟლიტა დიდი და პატარა და გორაკები აღმართა 70-ათასი მოჭრილი თავისაგან; ინდოეთში სრულიად უმიზეზოდ, ცოლ-შვილის თვალწინ დახოცა 100 ათასი ტყვე; სიფაში ცოცხლად დამარხა 4 ათასი სომეხი მოქალაქე. საქართველოში არღვევდნენ ეკლესიებსა და მონასტრებს, წვავდნენ საცხოვრებელ სახლებს და დამხმარე ნაგებობებს, უმოწყალოდ ავლებდნენ მუსრს მოსახლეობას, ნაცარტუტად აქციეს ყველაფერი, სადაც კი ფეხი დაადგეს. თემურმა თავის ჯარს სივრცე დაუნაწილა და დაავალა ზედ ყოველივე არსებული მოესპოთ. ძირში კაფავდნენ ზვარ-ვენახებს, თუთისა და ნიგვზის ხეებს. დამწიფებულ ბაღ-ვენახებში ცხენების რემებს აძოვებდნენ.

„ქართველებს თავი მაღალ მთებსა და გამაგრებული მღვიმე-ქვაბებისათვის შეეფარებინათ და ძნელად მისადგომ ადგილებში თავშესაფრები და სიმაგრეები აეგოთ თავდაცვის მიზნით. ომში გამოცდილი მეომრები და სახელოვანი ბაჰადორები სიმნისა და მამაცობის ზღვარს გადადიოდნენ, ზანდუკებში სხდებოდნენ, ზანდუკებს თოკით დაბლა უშვებდნენ და გამოქვაბულებს რომ გაუსწორდებოდნენ, ისრით, ხმლითა და შუბებით ებრძოდნენ შიგ გამაგრებულ ურწმუნოებს, ცეცხლმოკიდებულ ნავთიან ქოთნებს ესროდნენ და უწვავდნენ ხის ნაგებობებს; ურწმუნოებიც თავგანწირვით იბრძოდ-

ნენ სიკვდილის შიშით". არ ტოვებდნენ კეთილ ნაშენის ნიშან-წყალს. ველური სისასტიკით ანგრევდნენ საკულტო ნაგებობებსა და ციხე-კოშკებს. წვავდნენ და ანადგურებდნენ საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე შენობებს, კაფავდნენ, ჭერქს აცლიდნენ და ძირიანად თხრიდნენ ნაყოფიერ ხეებსა და ზვარ-ვენახებს, ოთხფეხს, აძოვებდნენ და ანადგურებდნენ მოწეულ ყანებს, უმოწყალოდ ჟლეტდნენ ხალხს.

მტრის მიზანი იყო საქართველოს მთელი მოსახლეობის გათათრება ან პირწმინდად მისი განადგურება. აი სომეხი მეისტორიე თომა ძეწოფელი როგორ აღწერს ქართველი ტყვეების გადარეკვას: „ყოველ ხუთ მეომარს 20 ტყვე მიჰყავდა. მრავალი მათგანი გზაზე კვდებოდა, ხოლო თემურ ლენგის მეომრები წაქცეულებს ქვით უჰეჰყავდნენ თავს, რათა ცოცხალი არ დარჩენილიყვნენ"... ვაი-ვაგლახი გაისმოდა ქრისტიანთა ტომთა ზედა, ვხედავდით ტყვეენას და შველა კი ვერ შეგვეძლო".

ოფლში გაწუწულს გამომეღვიძა. კარავში არავინ იყო. გარეთ მხიარული სიცილი და საუბარი ისმოდა. ნელ-ნელა მოვუყარე თავი აზრს. გავიხსენე სად და რისთვის ვიყავი.

გარეთ ცეცხლის პირას სუფრა იშლებოდა. ირგვლივ გემრიელი კერძების მადისაღმძვრელი სურნელება ტრიალებდა. ჯერ შემომძახეს, მაგრამ პასუხი რომ არ გავეცი, ჩვენი ერთ-ერთი მასპინძელი, აიმაკის მდივანი და ვალერი შემოვიდნენ კარავში. მეგობრული შეძახილებითა და ქილიკით წამომაგდეს საძილე ტომრიდან. ჯერ კიდევ ვერ მიმეღო სტუმრისთვის შესაფერი სახე და მოზვერივით ვიბღვირებოდი. მდინარეზე ჩავედი, პირი დავიბანე, თავს ძალა დავატანე და გაშლილ სუფრასთან, კუნძზე ჩამოვჯექი. მხიარულ პურობას აიმაკის მდივანი სუბუდაი ხელმძღვანელობდა. რა სადღეგრძელოები არ შეისვა: გაცნობისა და დაახლოებისა, შემდგომი ძმობისა და მეგობრობისა, იმ გრძნობისა, რომელიც მოგვანატრებდა ერთმანეთს და წაგვიყვანდა ერთმანეთის სანახავად, და, ვინ მოთვლის, კიდევ რა არა. მე კი ვიჯექი ჯერ ისევ გაოგნებული და აღარ მახსოვს უკვე მერამდენედ ვკითხულობდი ჩვენი თამადის სახელს. მასპინძელს არ შეუმჩნევია ჩემი გულმავიწყობის გამო ნაწყენობა, პირიქით ცოტა არ იყოს, გაკვირვებული მომაჩერ-

და. ბოლოს რომ ვკითხე, რა გქვიათ-მეთქი, დამარცვლით მიპასუხა სუ-ბუ-დაი-ო. ჩემმა მეგობარმა ვალერიმ კი ვერ მოითმინა და საყვედურით წამჩურჩულა: კი, მაგრამ რა დაგემართა, მაგაზე ძნელად გამოსათქმელ სახელებს იმახსოვრებ და ახლა რაღა დაგემართა, რა ღმერთი გიწყრებაო. არაფერი-მეთქი, აბა, რა უნდა მეთქვა. რა იცოდა ვალერიმ, რა ღმერთი მიწყრებოდა.

იქ ყოფნის სამი დღის განმავლობაში ყურადღება და სითბო არ მოგვკლებია, საზღვრამდეც გამოგვაცილეს. რაღა თქმა უნდა, იქაც დავილოცეთ. ბედნიერება ვუსურვეთ ერთმანეთს წამსვლელ-დამრჩომმა.

— მშვიდობით, მონღოლეთო, მშვიდობით, სუბუდაი. — ვეუბნები ტანმორჩილ სუბუდაის, რომელიც ბედნიერი ღიმილით შემომყურებს სახეში.

მოსკოვის დროით სამი, ხოლო იქაური დროით დილის შვიდი საათია. ბარნაულის აეროპორტში ჯდება ჩვენი თვითმფრინავი. მშვენიერი ამინდია. ორ მანქანაში ვანაწილებთ ჩვენს ბარგს და გეზს მთიან ალთაისკენ ვიღებთ. ჩასულთაგან მთიან ალთაიში პირველად მხოლოდ ჩემი ცოლის ძმა ბესიკ მიქელაძეა და რაღა თქმა უნდა მას ყველაფერი აინტერესებს. თუმცა, რაღა ბესიკს, ჩვენ თვითონ ბარნაულიდან მთიან ალთაიში მუდამ თვითმფრინავით მივდიოდით და ამიტომ აქედან ქალაქ გორნო-ალთაისკამდე ბარე ორასორმოცდაათი კილომეტრი ჩვენთვისაც უცნობი და საინტერესოა.

ხიდით გადავდივართ მდინარე ობს. მარცხნივ და მარჯვნივ გვრჩება დასახლებული ადგილები. აი, მარცხნივ ნოვოსიბირსკის ავტოსტრადაა, ჩვენ მარცხნივ მივქრივართ.

სოფელი პოლკოვნიკოვო, ჩვენი №2 კოსმონავტისა და ჩემი კეთილი მეგობრის გერმანე სტეფანეს ძე ტიტოვის სამშობლო სოფელია.

დიახ, ალთაის მხარის კოსიხეს რაიონის სოფელ ვერხნე ჟილინოში 1935 წელს სოფლის მასწავლებლის სტეფანე ტიტოვის ოჯახში დაიბადა მომავალი კოსმონავტი. 1943 წელს კოლმეურნეობა „მაისკოე უტროსთან“ არსებულ დაწყებით

სკოლაში დაიწყო სწავლა, სადაც დედამისი, ალექსანდრა მიხეილის ასული, შვილებითურთ, ომის დაწყების შემდეგ გადავიდა თავისი მამის ოჯახში საცხოვრებლად.

1950 წელს დაამთავრა კოსიხეს რაიონის სოფელ პოლკოვნიკოვოს შვიდწლიანი სკოლა, რომელშიც მამამისი ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, ხოლო შემდეგ ამავე რაიონის ნალობიხინის სკოლა.

თვალწარმტაცია ალთაის მხარის პირველქმნილი სილამაზე, სადაც გერმანე დაიბადა. გაუვალი ტყეები, წყალუხვი მდინარეები, ნაკადულები, ტბები, უკიდეგანო ნაირბალახმოკიდებული ველები, თვალუწვდენელი ხოდაბუნები...

ალთაის მთიან რაიონებში არის ყველაფერი, რაც კი დასახელებულია მენდელეევის პერიოდულ სისტემაში... ერთი სიტყვით, იშვიათი მხარეა. მაგრამ მარტო მისი ბუნება როდია ლამაზი. მხარის დიდებული ისტორია ინახავს რუსული მიწის ურიცხვ პატრიოტთა სახელებს. ალბათ, ბევრს არც კი ესსომება, რომ პირველი ორთქლის ძრავა ალთაიშია გამოგონებული ივანე პოლზუნოვის მიერ. აქვე შრომობდა XVIII საუკუნის გამოჩენილი ჰიდროტექნიკოსი კოზმა ფროლოვი და, ვინ მოთვლის ამ კუთხის სხვა სახელოვან შვილთა სახელებს...

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ახალგაზრდა საბჭოების ქვეყნის დასაცავად აღსდგა მთელი ალთაის გლეხობა. სამოქალაქო ომის დროს დიდებით შეემოსნენ ექვთიმე მამონტოვის პარტიზანული არმიის მეომრები, ალთაელი ჩაპაევი — პეტრე სუხოვი, კოლიადოს და შევჩენკოს რაზმის წევრები, რომლებიც დაუნდობლად ანადგურებდნენ გენერალ ანენკოვის და ადმირალ კოლჩაკის რჩეულ ნაწილებს. აქა-იქ იქმნებოდა კომუნები. მათ შორის ბოლო ადგილზე როდი იყო სოფელ ვერხნე ჟილინოს კომუნა „მაისკოე უტრო“.

ამ კომუნის შემქმნელთა შორის იყვნენ პავლე ივანის ძე ტიტოვი და მიხეილ ალექსის ძე ნოსოვი — მომავალი კოსმონავტის პაპები. აქ ახალი ცხოვრების კარიბჭეზე შეხვდნენ ერთმანეთს მათი შვილები — სტეფან ტიტოვი და ალექსანდრა ნოსოვა.

მომავალი კოსმონავტის მამა აქედან წავიდა ფრონტზე. აი, როგორ დაამახსოვრდა გერმანს ეს წუთები.

„მეხსიერებაში ჩარჩა გვიანი ღამე. მამა ფრონტზე მიდიოდა. მძიმედ ტოვებდა იგი სახლს. იმ დღეს დედა გათენებამდე ადგა და გაუჩერებლად საქმიანობდა, ცდილობდა რაღაც ეკეთებინა.

მამა დინჯად და საქმიანად ემზადებოდა.

— აბა, დედი, დროა...

— ნუ ჩქარობ, — უთხრა გამოსათხოვრად ჩამოსულმა პაპა მიხაილომ.

...მხრებზე შემოიგდო შინაური საქმელით გატენილი ჩანთა მამამ და კარისკენ წავიდა. გულის ცემა შემიჩერდა. ნუთუ, აი, ასე წავა?

— აბა, დავსხდეთ წასვლის წინ... — ძლივს ამოთქვა ცრემლიანმა დედამ.

ყველანი ჩუმად, რუსული ადათ-წესის მიხედვით, დავსხედით. გავიდა ერთი-ორი წამი. მამა უცებ წამოდგა.

— შვილო! — დაიძახა.

მივედი.

— აი, ასე, — მშვიდად, თითქოს რაღაც ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმეზე ფიქრობდა, ასე ჩაილაპარაკა მამამ,—ომში მივდივარ, ბიჭო...

მამას ავხედე. სუფთად გაპარსული, ტანადი, წელში გამართული, ოდნავ ნაღვლიანად მიყურებდა.

— მისმინე, დედას მიეხმარე, ერთი სიტყვით, ოჯახში დარჩი კაცად, გაიგე?

მე თავი დავუქნიე. გავიგე. თუმცა, მაშინ მხოლოდ ერთი რამ გავიგე — მამა მიდის. და მიდის დიდი ხნით, დიდ საშიშროებასთან შესახვედრად.

ნაზად დამადო თმაზე ხელი, სიყვარულით ამიჩეჩა თმები, მერე მშვიდად გადააბიჯა ზღურბლს და გავიდა.

სახლი უცბად დაცარიელდა. სწორედ მაშინ იგრძნო ბავშვმა მთელი გულით, თუ რას ნიშნავდა მისთვის მამა. ოჯახი ბაბუა მიხაილ ნოსოვთან გადავიდა კოლმეურნეობა „მაისკოე უტრაში“.

მიხეილ ალექსის ძე უკვე თითქმის სამოცდაათი წლისა

იყო. მაგრამ მოხუცი ასაკთან შედარებით ძალზე მოძრავი კაცი გახლდათ კოლმეურნეობაში მუშაობას არ ანებებდა თავს. საყვარელი ქალიშვილის, საშას, შვილიშვილ გერმანისა და ჯერ კიდევ სულ ერთ ციცქნა შვილიშვილ ზემფირას მასთან გადასვლამ უზომოდ გაახარა. მისი პატარა ხის სახლი, ბაღჩა, მარტივი სამეურნეო ნაგებობებით და პატარა ბოსტანი ერთბაშად გამოცოცხლდა.

პაპას და შვილიშვილს შორის მაშინვე საქმიანი მამაკაცური ურთიერთობა დამყარდა. მოძრავ და ცნობისმოყვარე ბიჭუნაში მიხეილ ალექსის ძე რაღაც თავისას ნოსოვებისას ხედავდა და ამით ძალზე ამაყობდა.

ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულ ნოსოვს თანასოფლელებში ჭკვიანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ნოსოვებთან გერმანმა დაამთავრა პაპის ოთხწლიანი „უნივერსიტეტი“. უპირველესად, ბიჭუნამ ისწავლა შრომის პატივისცემა. მიხვდა, რომ თავიდათავი შრომაა. ადვილ დავალებებს გერმანი მუდამ დიდის კმაყოფილებით ასრულებდა, ახსოვდა რა მამის დანაბარები: „...მიეხმარე საოჯახო საქმეში, კაცად დარჩი ოჯახში“.

ყველაზე სასიხარულო ბიჭისათვის ის დღეები იყო, როცა პაპას საკოლმეურნეო ფერმაში მიყავდა, ან როცა მინდვრებში მაზიდათი რამე მიჰქონდათ. პაპა გადასცემდა ხოლმე შვილიშვილს სადავეს და ეტყოდა:

— ნუ გააწვალებ, ცხენი ჭკვიანი ცხოველია, დანარჩენი თვითონ იცის.

მაგრამ მალე მეურნეობაში ცხენები აღარ დარჩა. მაშინ მიხეილ ალექსანდრეს ძე ნოსოვმა დაიწყო ახალგაზრდა ხარებისა და ძროხების შებმა მაზიდაში.

იგონებს რა ამ წლებს, გერმან ტიტოვი ჰყვება, შიდასაკოლმეურნეო გზებზე ძროხის ნელ სიარულს პაპა როგორ უვსებდა სწავლით... ხან მარტივ არითმეტიკულ ამოცანებს ეკითხებოდა, ხან მეხსიერების შესამოწმებლად დაწვრილებით ეკითხებოდა, თუ რა ნახა კოლმეურნეობის ეზოში, ანდა, ეტყოდა რაიმე ნართაულ სიტყვას და მაშინვე შეეკითხებოდა, რა აზრი იყო შიგ ჩაქსოვილი.

1943 წელს გერმანე შეიყვანეს იმ სკოლის პირველ კლასში, რომელიც კომუნარების მიერ იყო აშენებული და რომელშიც თავის დროზე გერმანეს მშობლები სწავლობდნენ.

დედის და პაპის მცდელობით მომავალი კოსმონავტი კარგად მომზადებული აღმოჩნდა სკოლისათვის. მაგრამ პაპის „უნივერსიტეტში“ მეცადინეობა არ წყდებოდა. მიხეილ ალექსის ძე ბევრს კითხულობდა, მარქსის „კაპიტალიც“ კი დაძლია, და ერთხელ, როცა გერმანმა აიღო სქელი ტომი იმისათვის, რომ დაწებებული სათამაშოსთვის წნეხსავით დაედო ზემოდან, პაპა აღშფოთდა:

— დადე ადგილზე. შენ, ყმაწვილო, ამ წიგნს ნუ ეხუმრები. ეს ზღაპრები და იგავები როდია. ეს, ძამია, კარლ მარქსის თხზულებაა, კაცობრიობის გონებისა და გამოცდილების კაპიტალია.

სწორედ უფროსი ნოსოვისაგან გაიგო ბიჭუნამ, თუ როგორ იბრძოდნენ თანასოფლელები კოლჩაკის, მდიდრების წინააღმდეგ, როგორ შეიქმნა კომუნა „მაისკოე უტრო“.

— წავალ, მამას მივეხმარები! — ერთხელ რაღაც არაბავშვურად უთხრა დედას გერმანმა.

— მეც სიამოვნებით წავიდოდი, მოხუცი რომ არ ვიყო, ფეხები აღარ მემორჩილება, — მხარი დაუჭირა შვილიშვილს პაპა მიხეილმა და განაგრძო ბიჭუნას ნაბდის ჩექმის დაკერება, — ხოლო საინტერესოა, როგორ მიეხმარები მამას? ფაფას თუ მოუხარშავ... მაგალითად, თუ შეძლებ ჩექმის დაკერებას?

— ვერა, — ჩაიდუდუნა გერმანმა.

— ჰოდა, ჯარისკაცი კი, როგორც წესი, ხელმარჯვეა, ყველაფერი თვითონ უნდა იცოდეს — ტყვიამფრქვევიდან ქვემეხიდან სროლა, ტანკის ტარება. და, უნდა თუ არა, ფაფის მოხარშვაც და ჩექმის დაკერებაც.

ალექსანდრა მიხეილის ასულმა გაიღიმა, ბავშვი გულთან მიიხუტა და წყნარად უთხრა:

— პაპა მართალია. შენი საქმე ჯერ სწავლაა. მამაშენმა სოფელში პირველმა ისწავლა ტრაქტორის მართვა. ომშიც საჭესთანაა.

პაპამ დააკერა ქეჩის ჩექმა და ღუმელთან მჯდომ შვილიშვილს დაუდო წინ.

— ჩაიცვი. სამშობლოს დაცვა წმინდათაწმინდა საქმეა. ჩვენ ბურჟუებს გამოვგლიჯეთ იგი, მამაშენი ფაშისტებისგან იცავს მას. შეიძლება კიდევ გამოჩნდნენ სხვისი სიმდიდრის მოყვარულნი. გაიზრდები და წახვალ ისევე, როგორც სხვები, საბჭოთა სამშობლოს დასაცავად.

სამუდამოდ ჩარჩა გულში ბიჭუნას პაპის სიტყვები. შემდგომში შეუყვარდა წიგნები და რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ პირველი მოთხრობების კითხვა მფრინავებზე დაიწყო.

1945 წელს ომგადახდილი სტეფანე ტიტოვი დაბრუნდა სახლში და ჩქარა გადაიყვანა ოჯახი ისევ სოფელ პოლკოვნიკოვოში, თვითონ კი მასწავლებლის პროფესიას მიუბრუნდა.

გერმანეს ცხოვრებაში დადგა ყრმობის წლები, როცა ადამიანში ყალიბდება მისი ძირითადი თვისებები. და ამ დროს ძნელია გაზვიადება მამის როლისა, — მამა პედაგოგი ამ სიტყვის საუკეთესო და მაღალი მნიშვნელობით, და არა მარტო სკოლაში, არამედ სახლშიც.

განსაკუთრებულად და მრავალმხრივ დაჯილდოებულ ადამიანს — სტეფანე პავლეს ძე ტიტოვს განგებისგან არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭიც დაჰყვა. გლეხის შვილი კომუნა „მაისკოე უტროდან“ ოცდათიან წლებში წავიდა მოსკოვში და ჩაირიცხა მოსკოვის კონსერვატორიაში, კლასში, რომელსაც გამოჩენილი კომპოზიტორი რ. გლიერი ხელმძღვანელობდა. მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება... სტეფანს მამა მოუკვდა და ის იძულებული გახდა დაბრუნებულიყო მშობლიურ სოფელ პოლკოვნიკოვოში. აქედან იწყება მისი განმანათლებლური მოღვაწეობა, რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა მრავალ ასეულ ადამიანში. აი, რას ბოგვითხრობს თავის დღიურში მსოფლიოში ნომერ ორი კოსმონავტი მამაზე:

„ღატაკი გლეხის შვილი — მამაჩემი — საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა პედაგოგი. ასწავლიდა ენასა და ლიტერატურას, გვარიანად ხატავდა, უყვარდა მუსიკა, უკრავდა ვიოლინოზე. ის იყო ჩვენი სოფლის მასწავლებლებისა და კოლმეურნეების დრამატული წრეების ორგანიზატორი... თვითონ მიკეთებდა სათამაშოებს, მეხმარებოდა მარტივი ბიჭური პრობ-

ლემების გარკვევაში, მოთმინებით და დაჟინებით ზრდიდა ჩემში ადამიანების, ოჯახის, ამხანაგების, შრომის პატივისცემას. დღემდე მგონია, რომ რაც კი არის ჩემში კარგი, მამისგანაა.

მამა ბავშვობიდანვე ავტორიტეტულ და საყვარელ ადამიანად რჩება ჩემთვის. როცა გავიზარდე, გავიგე, თუ საიდან ჰქონდა მამას ასეთი ერთგულება მშობლიური მხარისადმი, ბავშვთა სულის, მათი თანაგრძნობის და დარდის ფაქიზი გაგება. ის აქვე აღიზარდა... თავის მამასთან — ჩემს პაპასთან ერთად არაერთი ქოხი ააშენა სოფელში. ისეთივე მერხზე წაიკითხა დედა-ენა, როგორზეც ჩვენ ვსწავლობდით.

ფრონტიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში მამა წერდა:

«С каким бы радостным томлением
К земле бы грудью я припал,
С каким бы трепетным волнением
Знакомым полем прошагал...»

...მამა მე თანატოლსავით მექცეოდა. საუბარი სკოლას ეხებოდა თუ კლუბში მომავალ ლექციას, ყოველთვის ისე ლაპარაკობდა, თითქოს მეც ვიღებდი მონაწილეობას „უფროსების საქმეში". ძალზე მიყვარდა ეს საღამოები, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ვერ ვიგებდი მშობლების ლაპარაკიდან. მაგრამ იმის შეგრძნება, რომ მე ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ვარ, სიამაყის და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობის გრძნობით მავსებდა".

კოსმოსში გაფრენის წინ გერმანს გაახსენდა სიტყვები, ცოტა ხნის წინ მიღებული მამის წერილიდან „...Я не хочу строить догадки о том, что у тебя затевается. Но если едут к нам люди, вероятно, дело серьезное. Каким бы оно там ни было малое или большое, — сделай его, сын, с толком, как подобает делать всякое дело, к которому ты приставлен. Сил у тебя должно хватить, по моим расчетам, уменьем ты позапасся, разумеется, а средствами народ обеспечит. Покажи, что порода наша может послужить общему делу в меру своих сил и возможностей».

ბარნაულიდან დაახლოებით მეასე კილომეტრზე არის ძველი ქალაქი ბიისკი, რომლის რვა კილომეტრით დაბლა უერთდება ყადნი მდინარე ბიას და წარმოიშობა მდინარე ობი. შაბათია და არცაა გასაკვირი, რომ მდინარის სანაპიროზე, პატარ-პატარა კუნძულებსა და ნავებზე მეთევზეები ჩანან. ბიისკს გავცდით, მაგრამ ჯერ ისევ ალთაის მხარის ტერიტორიაზე ვიმყოფებით. ბოლო სოფლამდე არ ვიყავით მისული, რომ მანქანები გზიდან უხვევენ და შესანიშნავ არყის ტყეში ვჩერდებით.

— აბა, აქ კი წავისაუზმოთ. ჩვენგან სულ სამ-ოთხ კილომეტრზეა სოფელი სროსტკი — ვასილი შუკშინის ადგილის დედა. აი, მას ამ ტყეებში, ამ წარმტაც ბუნებაში უყვარდა ხეტიალი.

მასპინძლებმა ცეცხლი სწრაფად გააჩაღეს. სახელდახელოდ დათლილ შამფურებზე, ზოგზე — მოზრდილი ქვაბით წამოღებული თევზები, ზოგზე კი მწვადები აასხეს. ალთაური ბალზამით დავილოცეთ, ცხელი ჩაიც დავაყოლეთ და გზა განვაგრძეთ. სროსტკიში რომ შევედით, ბესიკმა ხვეწნა დაგვიწყო, ვასილის სახლ-მუზეუმი დამათვალიერებინეთო, მაგრამ მასპინძლებმა უთხრეს, ეგ ამბავი უკან დაბრუნებისასაა გამიზნული, ახლა კი მაიმაში გველოდებიან და დროზე უნდა ავიდეთო.

აქ, ამ პატარა ლამაზ სოფელში, რომელიც განლაგებულია ალთაის მხარის ბარისა და მთიანი ალთაის საზღვრების ველზე, რომელსაც თავისუფლების ველი ეწოდება, დაიბადა და გაიზარდა ვასილი შუკშინი. გასაოცრად ნიჭიერი, მრავალმხრივი და მრავალმადლცხებული კაცი — მსახიობი, პროზაიკოსი, კინოსცენარისტი, რეჟისორი..., აქ, ომის წლებში, უმამოდ დაამთავრა შვიდი კლასი. ნაადრევი დამოუკიდებლობა, სხვადასხვა სამუშაო სხვადასხვა ქალაქში—ზეინკალი, მღებავის შეგირდი, მტვირთავი. ჯარში გაწვევა და სამსახური ფლოტში. ოთხი წელი ის საბრძოლო ნაღმოსნის მეზღვაური რადისტია.

დემობილიზაციის შემდეგ ბრუნდება მშობლიურ ალთაიში, ექსტერნად აბარებს გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე, მასწავლებლობს სკოლაში — ასწავლის რუსულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას.

1954 წელს ერთბაშად ყველაფერს თავს ანებებს და მიდის მოსკოვში სასწავლებლად. სწავლობს ბრწყინვალედ მიხეილ რომთან სარეჟისორო ფაკულტეტზე კინემატოგრაფისტთა სრულიად საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში. აქვე აღმოაჩნდა მსახიობის ნიჭი.

აქ, ამ მიწას და ამ ხალხს იყო მიჯაჭვული ის, და ვერც წარმოედგინა უმათოდ ცხოვრება. აქ ძერწავდა, თუმცა არა, კი არ ძერწავდა, უბრალოდ, ქაღალდზე გადაჰქონდა ანდა თვითონ ანსახიერებდა იმ სოფლელი ბიჭების სახეებს, რომლებიც აქ, მის გარშემო ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ, შრომობდნენ და წარმოაჩენდნენ თავიანთ თავს ცხოვრების სარკეში.

კინოტიტრებში, ჟურნალ-გაზეთების გვერდებზე სულ უფრო ხშირად გვხვდება მისი სახელი. მასზე დაიწყეს ლაპარაკი. კინოსა და ლიტერატურაში მოვიდა ბრწყინვალე ტალანტი თავისი თემითა და თავისი გმირით.

1963 წელს ეკრანებზე გამოვიდა მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარი (თვითონვეა სცენარის ავტორი) „ცხოვრობს ასეთი ბიჭი“,

ორი წლის შემდეგ თავისი მოთხრობების „სტეპკა“, „გველის შხამი“, „იგნატა ჩამოვიდას“ მიხედვით გადაიღო ფილმი „თქვენი ვაჟიშვილი და ძმა“. ამავე პერიოდში, მრავალრიცხოვანი საჟურნალო პუბლიკაციების გარდა, გამოიცა მოთხრობების კრებული „სოფლის მცხოვრებნი“ და პირველი რომანი „ლუბავინები“.

დღე და ღამეს ასწორებს, თავაუღებლივ მუშაობს რუსეთის ისტორიის შესასწავლად და წერს კინოსცენარს „მოვედი, რათა მოგცეთ თავისუფლება“ სტენკა რაზინის ცხოვრებაზე, მაგრამ ფილმს გადაღება არ ეწერა. ხოლო დაგროვილმა უამრავმა მასალამ საშუალება მისცა ავტორს შეექმნა რომანი „სტენკა რაზინი“. მას მოჰყვა მოთხრობების წიგნი „იქით, შორს“, „თანამემამულენი“. თავისივე მოთხრობების მიხედვით იღებს ფილმს „უცნაური ადამიანი“.

ვ. შუკშინს ისევ აღელვებს „...ეს მდგომარეობა სულისა, რომელშიც დღეს ჩვენი რუსი ადამიანი, გლეხი ცხოვრობს“.

ადამიანის ღირსებებს, ჭეშმარიტსა და მოჩვენებითს, ინ-

ტელიგენტობას ნამდვილსა და შეთხზულს, შინაგან ღირსებებსა და მაამებლობას, — აი, რას წააწყდა მოთხრობებისა და ფილმის გმირი.

„წითელი ძახველი“ სწორი გზიდან აცდენილი ადამიანის საშინელი ცხოვრებაა, ცხოვრება, რომელიც გამრუდდა, სიცრუის არაბუნებრივი კანონებით მიმდინარეობს — აღარ სწორდება, ხელახლა ვეღარ გაივლი. და კიდევ წინააღმდეგობის მეორე მხარე: კარგ, კეთილ ადამიანად დაბადებული, წვალებით აღსდგება თავისი ცხოვრების ბოროტი, სასტიკი არსის წინააღმდეგ; მშრომელი ხალხის შვილი ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას.

აქ შუკშინი ახალ სიღრმეებში ჩადიოდა, ოცნებობდა აეხსნა არსი ქვეყნიერების, თავისი დროისა. სამწუხაროდ, ნაადრევმა სიკვდილმა უამრავის გაკეთების საშუალება წაართვა მას.

ადრეც გაგახსენეთ, მაიმა ალთაის ავტონომიური ოლქის კარიბჭეზე პირველი რაიონული ცენტრია. აქედან მარცხნივ სულ ხუთიოდე კილომეტრზე მდებარეობს ოლქის დედაქალაქი გორნო-ალთაისკი, ყოფილი ინროთ-ტური, პირდაპირ კი მდინარე ყადნის სანაპიროთი ცნობილი ჩუის ტრაქტით სულ ზევით მიიწევს მონღოლეთამდე. მაგრამ ამჯერად ამ გზის გავლა აღარ მოგვიხდა მანქანით. მაიმაში წავისაუზმეთ და აეროპორტისკენ ავიღეთ გეზი. კარკახანს მოგვიხდა იქ ყოფნა, ბოლოს, როცა დაგვარწმუნეს, რომ მთები საშინელი ნისლით იყო დაბურული და ჩვენი ვერტმფრენი დილამდე ვერ გაფრინდებოდა, გორნი-ალთაისკის სასტუმროში წამოგვიყვანეს.

დილით ისევ მივადექით აეროპორტს. ამჯერად გაგვიმართლა, ჩავლაგდით და გეზი მთებისკენ ავიღეთ. სემენის უღელტეხილზე, ონგუდაის რაიცენტრის მახლობლად დაეშვა ვერტმფრენი, სადაც იქაური რაიკომის პირველი მდივანი ანატოლი ჩიჩინოვი, სარაიონთაშორისო მონადირეთმცოდნე ვიქტორ კაიმინი და ამავე რაიონის დამზადების კანტორის უფროსი მიხეილ ბიშტაკოვი შემოგვიერთდნენ. ნახევარი საათის ფრენის შემდეგ დავეშვით სუმულტის ხეობაში, სადაც მონადირის პატარა სახლი და ხორცის შესაბოლი ქოხი დგას. ეს

კი სიახლე იყო ჩემთვის, რადგან ამდენი ხანია ალთაიში დავდივარ სანადიროდ და მონადირის სახლი არსად მინახავს. ამიტომ სულ კარავში ან ღია ცის ქვეშ გვიხდებოდა ყოფნა. თუმცა, ერთგან — კადრილის ხეობის სათავეშიც ვნახეთ პაწაწინა, მორებით შეკრული სახლი ბეწვეულზე მონადირისა, სადაც გაჭირვებით ორ ადამიანს შეეძლო ღამის გათევა. სამაგიეროდ, იქ ერთ პატარა გადახურულში უზარმაზარი ქვა იყო ამოთლილი, რომელშიც თავისუფლად შეეძლო კაცს ჩამჯდარიყო და ებანავა. იქვე, ზედადგარის გვერდზე, დაახლოებით ორმოცდაათ ლიტრიანი ქვაბი იყო დაპირქვავებული. ზამთრობით სარეწად წამოსულ მონადირეს ამგვარად, მოეწყო თავისი აბაზანა. ქოხის კედლები აჭრელებული იყო ათასი ჯურის ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ფურცლებით, რომლებიდანაც სცენისა თუ ეკრანის ცნობილი მსახიობების, სახელმოხვეჭილი მეცნიერებისა თუ შრომის გმირების, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენებისა თუ პოლიტიკოსების სახეები იცქირებოდნენ.

დავდივართ და კიდევ ერთხელ ვეძლევი გაოცებას აქაური გაუგონარი სილამაზის გამო. ალთაიში, ხანმოკლეობის მიუხედავად, ზაფხული ძალზე ინტენსიურია. არსად არ შემხვედრია ასეთი მძაფრი მცენარეული, ყვავილთა ასეთი გასაოცარი მრავალფეროვნება და სიუხვე, როგორც აქაა. ადამიანი იფიქრებს, რომ ბუნება ჩქარობს ორ-სამ თვეში გაჩვენოს ყოველივე, რისი უნარიც აქვს. უხვად მოუბნევია ირგვლივ ფორმისა და ფერების გასაოცარი სიმდიდრე, რომელიც წლის სხვა დროში თეთრი და ცივი საფარველით არის დაფარული.

ეგერები არ დაგვხვდნენ, არ ჩამოსულან, რამაც ცოტა ხასიათი გაგვიფუჭა. ქოხზე მიჭედებულ ლურსმნებზე ტყვიით გახვრეტილი შოტლანდიური ვისკის „მოქეიფე ჯოს“ ბოთლები ეკიდა. ხეობის მდუმარებას მხოლოდ მდინარის შხუილი და ყორნების ყეფა არღვევდა.

მთელი მთიანი ალთაი ბუნებრივი ნაკრძალია. ამიტომაც გვიკვირს, რომ არც კაკბები ჩანან და არც გნოლის გუნდები.

— რეზოია, ძამა, ნაკრძალი იმიტომ ხომ არ ჰქვია ამ ადგილს, რომ გვეკრძალება რაიმეს მოკვლა, — მეუბნება ენამ-

წარე რეზო სალუქვაძე, როცა ჭოგრიტებით ხეობის ყველა კალთა და მწვერვალი გადავჩხრიკეთ და ვერაფერი დავინახეთ.

მონადირის სახლის წიგნაკში სამი ოც-ოც ბოთლიანი მუყაოს ცარიელი ყუთი დაგვხვდა, სწორედ იმ ვისკის ნამყოფები რომლის ტყვიით გახვრეტილი ბოთლები აქა-იქ ეკიდა ლურსმნებზე.

— აქ, ნადირობის გარდა, მიზანში სასროლეთი გაუმართიათ და, აბა, რომელი ნადირი გაჩერდებოდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ბესიკმა. ანატოლი ჩიჩინოვი და სარაიონთაშორისო მონადირეთმცოდნე ვიქტორ კაიმინი დუმან. შემდეგ წამოწითლებული ანატოლი მაინც ეკითხება კაიმინს:

— ვინ ოხრები იყვნენ ნეტავ აქა, ან შენ სად იყავი?

ანატოლი შეეცადა გუნება გამოეკეთებინა ჩვენთვის. ნუ მოიწყენთ, აქ ჩვენი წილიც დარჩებოდა რამეო. ბესიკი და ვიქტორი მდინარეზე ჩავიდნენ ანკესებით. რეზო სალუქვაძემ სადილის კეთება დაიწყო. ამ დროს ჩვენი ეგერებიც მოვიდნენ ცხენებით.

— ხეობის დასაწყისში ორი მარალის თავმოჭრილი ლეში ვნახეთ. არ გვესიამოვნა. ნამუსგარეცხილ ადამიანებს რქების გულისთვის ორი უზარმაზარი მარალი მოეკლათ, მაგრამ, თურმე, ჯერ სად ვიყავით. შემდეგ დღეებში, ამათ გარდა, ცხრა მარალი ვნახეთ მოკლული და ასე მიტოვებული. ზოგს მხოლოდ თავი ჰქონდა მოჭრილი, ზოგს ერთი ბარკალი, დანარჩენი ხორცი კი ოხრად იყო მიტოვებული. აი, რა მოუმოქმედებიათ გათავხედებულ ბრაკონიერებს.

გუნებაწამხდარს გამახსენდა ჩვენი მთამსვლელისა და მონადირის, ვაჟა გიგაშვილის სიტყვები წიგნიდან „ნადირობა ჩონ-ტაშში“.

„მივიხედ-მოვიხედე. ფართო მრგვალქვაბულში ვიყავი, მდინარე აქ სვლას ანელებდა, სითბო იდგა და სიწყნარე. გარშემო დაყუდებულიყვნენ ქვიშის ფერი, გვერდებაბურცული, გლუვი კლდეები. რიყის კიდეზე, ხმელეკლიან ბალახში დავინახე რამდენიმე დამპალი თავის ქალა, გრძელი დახეთქილი რქებით. ნელა გავყევი ქვევით და თანდათან გამოჩნდა მთელი ქვაბულის მოყვანილობა: მოყვითალო გლუვი კლდეები

ორივე მხრიდან ერთდებოდნენ და იკვრებოდნენ ზედ მდინარის კალაპოტზე. მათ ძირში დახორავებულ ლოდებში იწურებოდა და იკარგებოდა მაი-ბულაკის მთელი წყალი. გარშემო კი რიყეზე, ლოდებში, გამხმარი, ეკლიანი ბალახით დაფარულ თიხნარზე, შლამში ჩარჩენილი, ქვებში გაჩხერილი, ყველგან ეყარა დამტვრეული, დროისაგან დახეთქილი და დაშლილი ტეკების რქები და თავის ქალები. ზოგ ქალას ზედ შერჩენოდა დამპალი და დამსკდარი რქის ნახეთქები, ზოგს გასცლოდა და რქის შიდა ძვლის ამარა დარჩენილიყო. ეს იყო „ტეკების ტომარა", „ტეკების სასაფლაო" — რისკელდის მიერ ამას წინათ აღწერილი.

მძიმე სანახავი იყო ეს ბარბაროსული ნამუსრევი".

ტეკების ამ ტომარა-სასაფლაოს ბასმაჩები იყენებდნენ, თურმე. აქ იმარაგებდნენ ხორცს გასაჭირში ჩავარდნილი ბანდიტები. მაგრამ ეს სულ სხვა ამბავი იყო: ქვევით ბრძოლებში დამარცხებული და დედაწულიანად ამ მიუვალ ადგილებში ამოსული მხეცადქცეულ ბასმაჩების ბანდებს არსებობის სხვა წყარო არ გააჩნდათ და ამიტომ მონადირის ეტიკეტსა და ფლორისა თუ ფაუნის მოვლას ვინღა დაგიდევდა. აქ, ალთაიში, რაღა მოხდა, შიოდათ და ხორცი არსებობისათვის სჭირდებოდათ ბრაკონიერებს? არა.

პირველ დღეს ქოხიდან სულ ორასი მეტრის დაშორებით შველი წამოგვიხტა და ტყიანს მისცა თავი. მოულოდნელობისგან დაბნეულმა მე და ტოლიამ თითო ვესროლეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, დაგვიანებით და ორივემ ავაცილეთ. ხელმოცარვის დაჯერება არ მინდოდა. სირბილით მივედი იმ ადგილზე, სადაც შველს ვესროლეთ, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ვნახე, პირიქით, კვალს ისეთი კამარა ეტყობოდა, რომ ჩემს გასროლას მთლად გადაურევია ნადირი.

დავითარსეთ, ტოლია და მე ერთმანეთს ვეღარ ვუყურებთ. სხვები ჩუმად არიან. რეზო სალუქვაძე ჯერჯერობით

ზრდილობისთვის იკავებს თავს, თორემ, სახეზე ისეთი დამ-ცინავი ღიმილი დასთამაშებს, რომ საცაა რაღაც გესლიანს გვეტყვის. ჰოდა, მის ამ თავშეკავებას და იქ ყოფნას ყველა-ფერი სჯობს და მეც ცხენს მოვაჯექი და ხეობას ავუყევი თოვლიანი მწვერვალებისაკენ...

ტოლია, ცოტა არ იყოს, ალთაელისთვის უჩვეულოდ ზორბა, მაღალი და მხარბეჭიანია, კეთილი ჭროღა თვალები-დან ჭკუა და სიკეთე გამოსჭვივის. ჩვენ ჯერ კიდევ შარშან გავიცანით ერთმანეთი, როცა ტეკებზე სანადიროდ ვიყავით ჩასული. გვარი რომ მითხრა, ყურს არ დავუჯერე და გავე-ხუმრე, რუსეთში ასეთი გვარი არ მსმენია და წარმოშობით ჩიჩინაძე ხარ, ალბათ, ბაბუაშენი ან კიდევ უფრო ადრეული კანონსგამოქცეული შენი წინაპარი შეეფარა-მეთქი აქაურო-ბას. ჯერ გულიანად იცინა, მერე ეშმაკურად მოხუჭა თვალე-ბი და მიპასუხა: იქნებ, პირიქით მოხდა და საქართველოში გადახვეწილი ჩიჩინოვები გახდნენ ჩიჩინაძეებიო. დავმეგობ-რდით და გამოთხოვებისას შესანიშნავი საძილე ტომარაც ვა-ჩუქე. მან მაშინვე გამაკვირვა თავისი ფიზიკური ძალითა და გამძლეობით. დღის განმავლობაში მისი გაჩერება არ იყო. უთენია უკვე სამზირზე იყო გასული ჭოგრიტითურთ, და, როგორც კი დალანდავდა ტეკების ჯოგს, მაშინვე მისივე შე-მუშავებული გეგმით ვიწყებდით მათ შემოვლას.

ვიქტორიც მაშინ გავიცანი. ეს ტანმორჩილი, გამხდარი ბიჭი საოცრად მოძრავი და ენერგიულია. შესანიშნავად ისვ-რის. რაღაც ფილმიც გადაუღიათ ბრაკონიერებზე და სხვადა-სხვა ძნელი მდგომარეობიდან სროლისათვის ბრაკონიერ „მკვლელად“ ეს მიუწვევიათ. გაუმართლებია რეჟისორის იმედები. არ ვიცი, ამან იმოქმედა თუ ადრეც ასეთი იყო, ცოტა ტრაბახაა და ამით უფუჭებს ადამიანს მასზე შექმნილ შთაბეჭდილებას. სხვა მხრივ, გონებაგახსნილი, გულკეთილი და ენამოსწრებული ადამიანია.

სულ სხვა შესახედაობისაა მიშა-ონგუდაის დამზადების კანტორის უფროსი, საშუალოზე დაბალი, ჩადგმულ-ჩატყვიებული, ყველაფერზე იცინის. ხორცის თითოკილოიან ნაჭრებს ისე იღებს ქვაბიდან და აჭრობს ხახაში, თითქოს მზესუმზირა იყოს, — პური რად მინდა, როცა ხორციაო. ექვსნი ვიყავით. ჩაი მოვადუღეთ ვედროში. დალიეთ და დამიტოვეთო, გვითხრა. ჩვენ, ხუთმა, დიდი-დიდი, თუნუქის შვიდი-რვა ტოლჩა თუ დავლიეთ და როცა დაინახა, რომ მეტი აღარ გვინდოდა, ვედრო გვერდზე მიიდგა და შეუდგა თავის საყვარელ საქმეს. სულ რაღაც ნახევარ საათში ვედრო დაცალა, მაგრამ ამას ისეთი ხმაურით, ხვნეშით და ბოყინით აკეთებდა, რომ დამსწრესთვის ძნელი გასაძლები იყო. ჩასულები იდიოტის გამომეტყველებით ვუყურებდით ერთმანეთს, ის კი სიცილით კვდებოდა. — ეს რაა, მთელ ვედროსაც დავცლიო. ჩაის ასეთ სიყვარულს კი შევურიგდით, მაგრამ, როცა ცეცხლივით აჯიკისკენ გააქანა კოვზი და პირთამდე სავსე ხახაში გადაუშვა, მაშინ სულ გამოვშტერდით. რამდენიმე წამში მან ქოთქოთი დაიწყო — უბოლოდ ვიწვი, უბოლოდ ვიწვიო, წარამარა იძახდა და სიცილს განაგრძობდა: ამაღამ რანაირი ყინვაც არ უნდა იყოს, არ შემცივდებაო.

— ამ შობელძაღლს პირში და გულმუცელში, ალბათ, ხარის ტყავი აქვს გამოკრული, — ჩაიდუდუნა რეზომ.

მიშასი ერთი რამ მოგვწონდა ყველას: სრულებით არ სვამდა არაყს. ადამიანს რაც ასულელებს, ის რა შესაყვარებელიაო. სამაგიეროდ, ფანერის ფიცარგადაფარებულ ვედროდან, რომელშიც წყალი გვედგა და ზედ სუფთა ჩამჩა გვედო, რომ ვედროდან იმით ამოღებული წყალი ტოლჩაში გადმოგვესხა დასალევად, ჩამჩითვე მოიყუდებდა, დალევდა და შიგ რაც ჩარჩებოდა, ისევ ვედროში ჩააბრუნებდა. ჯერ იყო და, ახლად მოტანილი წყალი მის თვალწინ გადავაქციეთ და ხელახლა მოვიტანეთ. ამით რომ ვერაფერს გავხდით, მერე

ბირდაპირ ვუთხარით, ასეთი რამ აღარ გაეკეთებინა. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არცა სწყენია და არც უღალატნია თავისი ჩვევისათვის. ამიტომ წარამარა წყლის ზიდვაში ვიყავით. საქმლის ქვაბს არ ვაკარებდით, საქმლის გამკეთებელი და გამნაწილებელი ყველა იქ მყოფზე ასაკით უფროსი რეზო სალუქვაძე იყო და მისი „ბრძანებით“ სხვას არავის ჰქონდა ქვაბთან მიკარების უფლება.

სუმულტის ხეობაში ცეცხლის ახლოს თექალთოზე წამოწოლილი მიშა საოცარ ამბავს გვიყვება...

შარშან გაზაფხულზე არგუთის ხეობაში ვიყავით სანადიროდ. ერთ ადგილას პატარა ჩანჩქერი გადმოდის კლდიდან. გადმოსული წყალი ერთი მეტრონახევარი სიგრძის ღარადქცეულ ტინს მიჰყვება დაბლა. სწორედ ამ წყაროს ვუახლოვდებოდით მე და ჩემი ორი მეგობარი, რომ რაღაც საეჭვო ხმაური მოგვესმა. უფრო ფრთხილად დავიწყეთ მოძრაობა. წვრილ-ტყიანიდან ფრთხილად გავიხედე და საოცარი სურათი წარმომიდგა თვალწინ: ერთ უზარმაზარ, ცისფერ თოშად ქცეულ, გაყინულ წყალსა და ტინის ღარზე გადამჯდარ ძუ დათვს ერთი ბელი გულზე მიეხუტებინა, მეორე ზურგზე შემოჯდომოდა და ისე დაცურავდნენ თავქვე. სასრიალოს ბოლოში მალაყი გადაიარეს და ერთმანეთში აირივნენ. თამაშითა და ერთმანეთისაკენ ბღლაძუნით ისევ ავიდნენ წყაროს თავში და ისევ დასრიალდნენ. მართლაც საოცარი სურათი იყო: დედა დათვი და ბელები ერთმანეთს ეფერებოდნენ, ეთამაშებოდნენ, მხიარულობდნენ. ახლაც ისე მგონია, ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებოდნენ და იცინოდნენ კიდეც. განებივრებული ოსავრები ხან ქეჩოზე შემოასხდებოდნენ დედას, ხან ყურზე დაეკიდებოდნენ ხოლმე კბილებით. სიცილი რომ შემეკავებინა, ისე ვიკბინე ტუჩზე, კინაღამ სისხლი დავიდინე.

ტემირსა და კოლიას ვანიშნე, არ ესროლათ. დავიწყეთ ამ

ოშვიათი საცირკო სანახაობის ყურება. კარგახნის შემდეგ ძუ დათვს თითქოს მოსწყინდა თამაში, ცდილობდა ბელების მოცილებას, მაგრამ ონავრები მოსვენებას არ აძლევდნენ და ისიც უკვე ხალისდაკარგული განაგრძობდა თამაშს.

მოულოდნელად ჩვენის მხრიდან დაუბერა ნიავმა და წამში ყველაფერი შეიცვალა. დათვმა ერთბაშად მოიწყვიტა მკერდზე ატორღიალებული ბელი, ჩვენსკენ გამოიხედა, მძლავრად შეისუნთქა ჰაერი, უკანა თათებზე აღიმართა და, აქამდე საოცრად მხიარულმა და ერთის შეხედვით უწყინარმა, ისეთი შემზარავი ღრიალი ამოუშვა ხახიდან, რომ სისხლი გაგვეყინა ძარღვებში. ჰოდა, აი, ასეთი ღრიალით დაიძრა ჩვენსკენ. დაიძრა და იგრიალა კიდეც ტემირის თოფმა. დათვმა მარჯვენა წინა თათი ძალუმად აიქნია ჰაერში და ნელ-ნელა ჩაიკეცა. ხახაში სიმშრალე ვიგრძენი, ნერწყვი ვეღარ გადავყლაპე, გულში თითქოს რაღაც ჩამწყდა. იმ წუთში ჩვენსკენ ღრიალით მომავალს კი არა, ბელებთან მოთამაშეს, უწყინარსა და მხიარულს ვხედავდი მას. ამიტომ იყო, რომ ეს გასროლა მეხის დაცემას ჰგავდა, საწყენსა და გულსატკენს, მაგრამ საყვედური მეგობრის მიმართ არ მეთქმოდა. ტემირი გამოცდილი მონადირეა და კარგად იცოდა, რომ იმ დროს ან ჩვენ უნდა ვყოფილიყავით, ან დათვი.

ბელები სადღაც გაუჩინარდნენ. თოფები იქვე მივაყუდეთ ხეზე. ზურგჩანთები მოვიხსენით, შევშილიფდით და ტყავებს შევუდექით. რამდენიმე წუთის შემდეგ ტემირმა თავის გაქნევით გამახედა გვერდზე. ქონდარა არყის ბუჩქებთან ბელები წამოსკუპებულიყვნენ და საცოდავად გვიყურებდნენ. მე თვითონ არც კი მახსოვს, რამდენი დათვი მყავს მოკლული, მაგრამ იმ დღეს რა მემართებოდა, ვერ გამეგო... ცრემლის უზარმაზარი გორგალი ყელში მქონდა გაჩრილი და ვერაფერს ვუხერხებდი. ტყავებს თავი მივანებე და თავი რომ არ გამეცა, რაღაცის ყვირილით გავეკიდე ბელებს. ისინი უც-

ბად გაუჩინარდნენ, მე კი იმ ჯაგნარში შევჯლაგუნდი, პირქვე დავემხე და ლაზათიანად ავზლუქუნდი. რაც უფრო მეტს ვცდილობდი შემეკავებინა თავი, ამხანაგებს რომ არ შეეტყოთ ჩემი სისუსტე, მით უფრო მიჭირდა ამის გაკეთება. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით შევიმშრალე თვალები და გამოვედი ჯაგნარიდან. არავის არაფერი უთქვამს. მე კი სახეს ვარიდებდი მათ.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოძვრნენ საიდანღაც ბელები და ისევ ისე საცოდავად წამოსკუპდნენ შორიახლოს. ვერც შეძახილებითა და ვერც ხელების ქნევით ვეღარ ვიშორებდით მათ. ერთადერთი, თუ წავიდოდით მათკენ, გარბოდნენ, თუ არადა, საოცარი სევდიანი თვალებით იყურებოდნენ ჩვენსკენ. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა ტემირმა წამოავლო კოლიას თოფს ხელი. მე ადგილზე გავშეშდი, ხმა ჩამივარდა, იმან კი — მე თქვენი პატრონი დედა, მეც ხომ ადამიანი ვარო, — ეს სიტყვები ცრემლნარევი ხმით ამოიხრიალა, დაუმიზნა და სანამ რამეს მოვისაზრებდი, „გეკომ" გაიტკაცუნა.

ერთმა ბელმა გამეტებით შემოირტყა თავში თათები და დაღუპულ დედას რომ ეკადრებოდა, ისეთი ბღავილით დაგორდა თავქვე. მეორეც, რაღა თქმა უნდა, დაგვიანებულ მოზარესავით გაჰყვა თან.

ტემირმა თოფი განზე მიაგდო და სანამ მე და იქვე ჩაცუცქული კოლია ლანძღვა-გინებით დავესხმოდით თავს, ბურტყუნით წარმოთქვა: „როდემდე უნდა გაეწყალებინათ გული?! ყურში ვესროლე, აქაურობას რომ გასცლოდნენ.

— ნეტავ, თუ ესმოდათ ბელებს, რაც მოხდა? — იკითხა ბესიკმა.

— აბა, რა ვიცი, ტიროდნენ კია და, — უპასუხა მიშამ.

— „გეკოს" ტყვიით ყური წაგიგლეჯია და იტირებდა, აბა, რას იზამდა, ძამია, — დამცინავი ღიმილით ჩაილაპარაკა რეზომ.

— არა, არა, მანამდეც ტიროდნენ. ეგეც ხომ არ მომჩვენებია. ისხდნენ და ცრემლიანი თვალებით გვიცქეროდნენ, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა. ეგეც არ იყოს, ჩვენ ხომ აგვატირეს. — რაღაც უხერხულად, სიცრუეზე წასწრებულ ბავშვივით ჩაილაპარაკა მიშამ და ცრემლებით სავსე თვალები მუშტებით ამოიწმინდა.

ხეობიდან კარგა ხანს ისმოდა დაობლებული ბელების ბღავილი.

იმ საღამოს ფეხბედნიერმა ვიქტორმა მოინადირა ერთი მარალი. რეზო სალუქვაძე ვახშმის მზადებაშია. ზოგი შეშას ეზიდება, ზოგი წყალს. ჩვენმა „შეფმზარეულმა“, პირველ რიგში, ჯიგრის ყაურმა ჩაადგა, მიშა კი გადაყრილ ნაწლავებში ფათურობს, რაღაცას ეძებს. ბოლოს, სწორი ნაწლავი გამოარჩია, შიგნით პატარა კაუჭიანი გრძელი ჯოხი გაუყარა, მდინარესთან ჩავიდა და ნაწლავი ნელ-ნელა გადმოაბრუნა, ამის შემდეგ ჯოხი გადააგდო, თვითონ ნაწლავი კი ცივი წყლით გარეცხა და ასე „გასუფთავებული“ ისევ გათლილ შამფურზე სიგრძივ წამოაგო, მარილი წააყარა და ცეცხლზე შემოდო შესაწვავად. გარშემო, მოგეხსენებათ, როგორი „სასიამოვნო“ სუნი დატრიალდებოდა. ჩვენ გაკვირვებულნი ვუყურებდით. მიშამ როგორც კი გადაწყვიტა, რომ ეს არნახული მწვადი მზად იყო, მხიარული სიცილით მიგვიპატიჟა, — აბა, გასინჯეთ, როგორი დელიკატესიაო. მე რაღაც მოვიმიზეზე და ქოხისაკენ წავედი, ის კი წარამარა აქებდა თავის ნახელავს და ვერ გაეგო, ასეთ გემრიელ კერძზე რატომ ვამბობდით უარს...

მე, ტოლია და მიშა სიმულტის ხეობის ზემო მწვერვალზე აგვიყვანა დათქმულ დროს სპეციალურად მოსულმა ვერტმფრენმა. იქ დათვზე უნდა გვენადირა, მაგრამ გაუთვალისწინებელი წვიმა გვიფუჭებს ხასიათს და არ გვიტოვებს წარმატების იმედს. მთებზე სქელი ღრუბლები დაცურავენ, ხან

ყველაფერი უჩინარდება ჩვენს ქვევით, ხან კი ძლივს გამოჩნდება მთის პატარა ნაგლეჯი. მინის საწმენდები გამალებით მუშაობენ, მაგრამ ძლივ-ძლივობით ასრულებენ მოვალეობას. ბარე ორჯერ, სამჯერ შემოიარეს მფრინავებმა ის ადგილები, სადაც უნდა დაესვათ ვერტმფრენი, მაგრამ რამდენჯერაც დაუპირეს დასმა, იმდენჯერ ისე ჩამოიქუფრა იქაურობა, რომ აღარაფერი ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, ოსტატობამ თავისი გაიტანა და ჩვენი კალია ხტუნვა-ხტუნვით დასკუპდა ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილზე.

ის იყო, მთის თავზე, ქოჩორივით პატარა კედარნარი რომ ჰქონდა, გავშალეთ კარავი და წვრილი, გულისგამაწვრილებელი წვიმა კოკისპირულმა თავსხმამ შეცვალა. ღამე ისეთი ალიაქოთი ასტეხა განგებამ, კარავი ლამის თავზე დაგვახია. ერთმანეთში იყო არეული კივილი, მოთქმა, კვნესა და ქვითინი. ერთხანს მიჩუმდებოდა ირგვლივ ყოველივე, დამძიმებული ქუთუთოებიც დაიხუჭებოდნენ და ახლა მთის ქვედა, ტყიან კალთებიდან ატყდებოდა ფარ-ხმალთა, ბექთარ-ჩაჩქანთა ჯახანი და ზრიალი, დაფეთებულ ცხენთა ჭიხვინსა და დაჭრილთა ოხვრა-კვნესას ხანდახან გადარეული ხარხარიც მოჰყვებოდა ხოლმე.

სამი დღეღამის განმავლობაში სულ ერთხელ გადაიღო წვიმამ ორიოდე საათით.

ამხელა ხეობის ყველა მთის იალაღზე ვიყავით. არცერთი მზის გული არ გამოგვიტოვებია გაუხილავი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კვალით, ნაწოლებითა და ნეხვით სავსე იყო იქაურობა, ვერცერთ დათვს ვერ დავკარით თვალი.

ტანსაცმლის შრობასა და ცვლას ვერ აუდიოდით. ბოლოს მოგვაკითხა ვერტმფრენმა და ძირითად ბანაკში ჩამოგვსხა ხეობაში.

ვიქტორი ბესიკის მოკლულ ირმის ხორცს ბოლავდა და თან ასწავლიდა ამ საქმეს. რეზო სადილის კეთებით იყო გარ-

თული. შარშანდელთან განსხვავებით ბესიკი მამალი ინდაურივით იყო გაფხორილი და კითხვა — რომელმა მოკლა ირემიო — არც კი გვაცალა, ისე გვიპასუხა ირონიული ღიმილით — რეზომ მოკლა, აბა სხვა ვინ შეძლებდა ამასო.

— ერთი ამას დამიხედეთ, ძლივს იცნო ირემი და ძლივს მოახერხა სროლა და არ გაიკრიფა ენად ყაზილარი? შეუბრუნა რეზომ.

ამ ქილიკის მიზეზი კი უბრალო რამ იყო: შარშან ამავე ხეობაში დარჩნენ ისინი. ბესიკი პირველად იყო მსხვილ ნადირზე სანადიროდ, და ტყვიის თოფი არც არასოდეს ჰკავებია ხელში. ეხლა, როცა უკითხავთ რომელი თოფი გირჩევნია, რომელით ინადირებო, ოპტიკურსამიზნიანი სანადირო კარაბინი ურჩევია. ჰოდა, კაცი, რომელიც ათი სროლით ათ მწყერს ან ხოხობს კლავს, რის მოწმეც მე თვითონ ვარ, აქ დაიბნა და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა. სამზირებიდან უკან ბრუნდებოდნენ ის და რეზო, სადგომს უახლოვდებოდნენ თურმე, რომ შვიდიოდე წლის მობალახე ფურირემს წაადგნენ ოცდაათიოდე ნაბიჯზე. რეზოს საფანტის თოფი წაეღო, იქნებ კაკბები დავხოცოო, ბესიკს კი თავისი ამორჩეული ოპტიკურსამიზნიანი სანადირო კარაბინი. ჯერ ისე დაბნეულა ირმის დანახვისას, რომ რეზოსთვის უკითხავს — რა არისო. რეზოს უნიშნებია — ესროლეო, ბესიკს ისევ უკითხავს, მაშინ რეზომ უყვირა თურმე, რა არის და ცხენია, მაგრამ ესროლეო. ირემს მათთვის შეუხედავს და ფოთლების ჭამა გაუგრძელებია. ბესიკს ოპტიკურ სამიზნეში ვერაფერი ვერ დაუნახავს, და ვერც დაინახავდა ასე ახლო, ოპტიკური სამიზნის გარეშე ჩვეულებრივ, სამიზნედან უნდა დაემიზნებინა, მაგრამ ეს ველარ მოუხერხებია და როცა რეზოს დაუღრიალია — ესროლე რას უყურებო, ისე ალალბედად გამოუკრავს სასხლეტისთვის თითი. ირემს რამოდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს და ისევ შეჩერებულა. ბესიკს მეორე უსვრია, ისევ ისე დაუმიზნებლად. ირემი წასულა.

მთიდან დაბრუნებულებს ბესიკი საცოდავი სანახავი დაგვხვდა. ხმას არ იღებდა, ოხუნჯობაზე არც კი იღიმებოდა და ღამეც თითქმის არ ეძინა.

რეზო, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ განა იმიტომ, რომ ეცოდებოდა ბესიკი, არა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, უზრდელად არაფერი ეპასუხა მისთვის. მაგრამ ეს მოთმინება როგორც იქნა მეორე დღემდე ეყო სალუქვაძეს, მეორე დღეს კი, იცოცხლე, აიშვა ენა.

— რაიაო? შემეკითხა, ძამა. რაი უნდა ყოფილიყო, ნეტავი, რა ეგულებოდა, ცხენები ჩვენ არ გვყავდა (ეგერები ჯერ არ იყვნენ ამოსულები) და ძროხები. სხვა რა უნდა ყოფილიყო ამ დასაკარგავში, ნეტავი. ახლა სროლა, სროლას არ იკითხავთ, ძამა? ე, რაცხა ლექსი რომაა ძაიმუნი და სათვალე, ხან ერთი თვალით გაიხედა, ხან მეორით და, რომ ვეღარ მოირგო ის ოხერი, დაუმიზნებლად არჩია სროლა და იმიტომ მოახვედრა პირდაპირ შუბლში. არა, არა, ისიც რომ სულ გარეცხილი და უნამუსო გამოდგა, ყურიც არ გააპარტყუნა, არც აჩქარდა, ალბათ იცოდა, რა მონადირეც გახლდათ შენი სიკეთისა და მელიის არ იყოს. მეც გადმომწვდა, ენადქცეული სალუქვაძე...

— ჰო, ჰო, შენ მყავხარ, ბიჭო, ვილჰელმ ტელი რაღა. შენი სალაპარაკო გავხდი სროლაში. — უპასუხა წამოჭარხლებულმა ბესიკმა.

— გაჩერდი, გაჩერდი, ნუ წეიკიდე, ბიძია, თავზე ცეცხლი. გნახეთ, რა შვილი მსროლელებიც ხართ.

ჩვენდა სამწუხაროდ, იმ დროს რეზო იყო მართალი და მე და ბესიკმა ისევ გაცლა ვამჯობინეთ.

...დიდხანს ველოდი ამ დღეს. და აი, ბოლოს და ბოლოს დადგა.. მივიღე უფლება თოვლის ჯიქსე ნად რობისა.

მარტია. ვიცი, რომ მთიან ალთაიში ცივა, მაგრამ ამას ვინ დაგიდევს. ორ დღეში მოვემზადე და უკვე ადგილზე ვარ.

კოშ-აგაჩში ჩასულს, ვალოდია ციგანკოვი დარიგებას მაძლევს. მიყვება ჯიქის ჩვევებზე, მოქმედებაზე, ადგილებზე, სადაც მას უფრო მეტად უყვარს ყოფნა, მის დაუნდობლობასა და სივერაგეზე.

ვატყობ, ვალოდია და ჩემი მეგობარი, კოშ-აგაჩის რაიკომის პირველი მდივანი ვალერი ჩაპტინოვი, ძალიან ღელავენ, თაგიდან ისიც კი ითქვა, რომ ჩემი უშიშროებისათვის მე და ვალოდიას ერთად — წყვილად გვევლო, მაგრამ მე კატეგორიულად უარვყავი ეს აზრი, რაზეც ძლივს დავითანხმე ისინი.

მეორე დღეს უთენია გავედით მანქანით იმ ადგილისკენ, სადაც გველოდებოდა ცხენები, რომლებსაც არგუთის ხეობის გარკვეულ მონაკვეთამდე უნდა მივეყვანეთ, შემდეგ კი მთიანი ალთაის ამ ყველაზე ძნელად სასიარულო ხეობაში ჯერ ცხენით, ხოლო შემდეგ ფეხით უნდა გვევლო.

აქ გადის ყადნის და ჩუის მთავარი უღელტეხილები, რომლებიც ორიათასი მეტრის სიღრმის ნაპრალით არის შუაზე გაჩეხილი და მის ძირში ღრიალით მიედინება არგუთი. გასიპული კლდეების ციცაბო ფლატე ვარდება ხეობის ვიწრო ღრმულში, მეორე ნაპირზე კიდევ უფრო ციცაბო და მაღალი კლდეებია აზიდული. მოწითალო ტონების მქონე გიგანტური კლდოვანი ფლატეებისგან შექმნილი პირქუში ხეობა და უძირო უფსკრულში მოღრიალე არგუთი შეაძრწუნებს ადამიანს.

ვიწრო ხეობა შემოზღუდულია მთებით. მთის გადმოკიდებული კალთები თავდაღმა იჩეხებიან მდინარისკენ. თოვლი ხეობაში სრულიად არაა ახლა, მხოლოდ არგუთს არ გაუქვრია ბოლომდე თავისი ყინულის სამოსი. ციცაბო კლდეზე ვიწრო ლავგარდნად მიკრული ბილიკი სულ უფრო მაღლა-მაღლა მიცოცავს. მარჯვენა უზანგის ფოლადი ხანდახან

ნაპერწკლებს ყრის კლდის ხორკლიან კედელზე, მარცხენა ფეხი უძირო ფრიალოზე ჰკიდია...

ცივა. მზის გულზე ალაგ-ალაგ გამდნარია ყინვა და მიწას ოხშივარი ასდის. არგუთის ხეობაში ამ დროს, თურმე, უფრო ცივა. ცივა, მე კი მცხელა, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, საკმაოდ დამრეც აღმართს მივყვები, აგერ უკვე საათია, ფეხით და, მეორეც, იმიტომ, რომ თოვლის ჯიქს ხუმრობა არ უყვარს, მცირეოდენ შეცდომას არ გაპატიებს. ეს თითქმის ვეფხის ტოლი მტაცებელი ძლიერი, ძალზე სწრაფი და დაუნდობელია. როგორც კატათა ოჯახის ყველა წარმომადგენელი, ისიც მარტში მძუკნაობს და ამ დროს იწყებს აქტიურ ხეტიალს, კნავილს. ამიტომ სწორედ ამ დროს ავლენს ყველაზე უფრო თავის ადგილსამყოფელს და მონადირისათვის ამ პერიოდშია ყველაზე ხელსაყრელი მასზე ნადირობა. თუმცა, ხელსაყრელის რა მოგახსენოთ, სწორედ ამ დროსაა ჯიქი ყველაზე მეტად გაღიზიანებული და საშიში. ის, ჩასაფრებული, ხშირად ესხმის თავს მონადირეს ან საქონელს, ამიტომაა საჭირო უკიდურესი სიფრთხილე და მზადყოფნა, — ყოველ წუთს შეუძლია რაღაც მოულოდნელობა მოგიტანოს.

ყინულით მოპრიალებულ მდინარის კლდოვან ნაპირებს ზათქითა და ზრიალით ეხეთქება ქაფადქცეული, რძისფერი არგუთი. სმენადქცეული აქეთ-იქით ვიმზირები. უკვე ყურსშეჩვეულ წყლის ხმაურში უნდა გამოვარჩიო უმნიშვნელო ჩქამიც კი.

ოდნავ წინწახრილი მოზომილად ვდგამ ნაბიჯებს. ხელში, ფეხზე შემდგარი კარაბინი მიჭირავს. ვჩერდები, ოხშივარი ამდის. ვგრძნობ, ოფლში ვარ გახვითქული. მარცხენა ხელით საკინძეს ვიხსნი. არაფერი მესმის, მაგრამ რაღაც წინათგრძნობა მკარნახობს, რომ მარტო არ ვარ. სადღაც, სულ ახლოს, ვიღაც არის ჩემს გარდა. თოფი ისევ მზად მაქვს, ლითონის ცივ სასხლეტზე ლამის თითი მიმეყინოს, მაგრამ ხელ-

თათმანს მაინც არ ვიცვამ, ხელთათმანში ისე ვერ ვგრძნობ თოფს, როგორც საჭიროა, მითუმეტეს, მის სასხლეტს. თოფი ფრთხილად გადამაქვს მარცხენა ხელში, მარჯვენას ვიორთ-ქლავ და ცოტა ხნით თბილი ქურქის ჯიბეში ვიყოფ. დამთბა, სისხლმა ნორმალურად დაიწყო მოძრაობა, სამაგიეროდ, ტან-ზე უცბად შემაშრა ოფლი და შემცივდა. ისევ წინ დავიძარი, ვიცი, რომ ამ დროს ხეობის მეორე ნაპირს ვალოდია ციგან-კოვი, გამოცდილი და გამბედავი მონადირე მოჰყვება. „ახლა ის ჩემზე უფრო ფიქრობს, ვიდრე თავის თავზე", — გამიელ-ვა თავში და უცბად ულარი[1] აფრინდა ხმაურით. მოულოდნე-ლობისაგან სისხლი გამეყინა ძარღვებში, კინაღამ სასხლეტს გამოვკარი თითი. მერე ისევ დამცხა, გაღიმება მინდოდა, მაგრამ შევატყე თავს, რომ ვერ შევძელი. მარცხენა ხელით ცხვრის ქუდი მოვიხადე და გაოფლილი შუბლი მოვიწმინდე, მარჯვენაში კონდახის ყელში ჩაბღუჯული, სასროლად გამზა-დებული კარაბინი მიჭირავს და ისევ აღმართს მივყვები.

— კაცის ხასიათი ნადირობის დროს ყალიბდები, — მახსენ-დება მამაჩემის სიტყვები და ცოტა ვმხნევდები, თითქოს, ის იყოს ჩემს გვერდით, ის, უნაკლო მსროლელი და ბრწყინვალე მონადირე...

თოთხმეტი წლისა ვიყავი, როცა მამამ და ჩემმა სიძემ, ვახტანგ შავგულიძემ, ყვარლის მთებში მიმატოვეს მარტო. დამიბარეს, პატარა დაბალგორს ამოივლი და მწყემსების ნა-ბინავართან დაგხვდებითო. საშინელმა სეტყვამ და ღვართქაფ-მა მომისწრო გზაში. იალაღზე ხეც კი არ იყო, რომ შევფა-რებოდი. საჩეხივით ოდნავ გადმოზნექილ კლდეს შევაფარე თავი. ძაფი რა არის, ძაფი არ მქონდა მშრალი. ტანზე გავი-ხადე, გავწურე ტანსაცმელი, არაფერმა მიშველა. ასანთი არ აღმომაჩნდა, რომ ცეცხლი დამენთო. როგორც იყო, ღვარ-

---

[1] ულარი — შურთხი (მთის ინდაური) ჩვენებური შურთხისგან განს-ხვავებით უფრო მოზრდილია და ფერადი ბუმბული აქვს.

ცოფმა გადაიღო, მაგრამ ისე ბნელოდა, რომ იმ ვიწროებში სიარული აღარ შეიძლებოდა. რამდენჯერმე გავძახე სიბნელეს, ერთხელ თოფიც დავცალე, მაგრამ, ექოს გარდა, არავის უპასუხია არც ერთზე და არც მეორეზე. მთელი ღამე ვარჯიშში გავათენე. იმავე ხევს გადაღმა სულ ასორმოცდაათ-ორას მეტრზე ყოფილან ჩემგან ორივენი, მაგრამ არ მიპასუხეს, გამომცადეს, ავიცრუებდი თუ არა გულს ნადირობაზე. ვახტანგმა მშრალი წინდები და საცვლები მომცა, ნაბადში გავეხვიე. ტანსაცმელი ცეცხლზე გააშრეს და თუნუქის ტოლჩით ჩაიც კი მომიდუღეს...

არა, არ მეჩვენება, ნამდვილად ვგრძნობ, ვიღაც მიყურებს, ხელმარცხნივ აღმართულ პატარა კლდოვან უნაგირს ავაყოლე თვალი, თოფიც იქით მაქვს ლულით მიშვერილი, მარცხენა ხელში ისევ ცხვრის ბეწვის ქუდი მიჭირავს. წყვილი ჭროღა თვალი ნაპერწკალს აელვებს. ნახტომისთვის გამზადებული ლამაზ ფერებად აჭრელებული დაკუნთული ტანი ორი მეტრის სიგრძეზეა დაძაგრული. მისი თავის მარცხნივ, ქვემოთ პატარა მოედანია. ფიქრის დრო აღარაა, მაგრამ თოფის ორივე ხელში გამართვას ვერ მოვასწრებ. გონება ავტომატურად მუშაობს, და, როცა დავინახე, რომ უკანა ფეხებზე ოდნავ წამოიწია, ჩემი ბეწვის ქუდი, წეღან რომ შევნიშნე, იმ პატარა მოედნისკენ გაფრინდა, თითქმის ჰაერშივე შეცვალა მიმართულება გამოფრენილმა ცისარტყელამ და ერთდროულად დაეშვნენ მოედანზე. შემობრუნება აღარ ვაცალე, სულ რაღაც ოციოდე მეტრი იქნებოდა ჩვენს შორის, იჭექა თოფმა...

ნელ-ნელა დავეშვი მზისგან გამდნარ გათოშილ მიწაზე. ოფლში ვარ გაწუწული. მცხელა. საკინძეს კიდევ უფრო ვიხსნი. თოფი მუხლებზე მიდევს. საფეთქლებში ჩაქუჩებს მცე-

მეწ, გული ნელ-ნელა ნორმალურ რიტმს უბრუნდება. სიხა-
რულისაგან მინდა ვიყვირო, მაგრამ სისუსტე არ მაძლევს სა-
შუალებას.

ახლაღა გავიხედე იქით.

გაქიმულ ცისარტყელას მზით გაბრწყინებული ბეწვის ქუ-
დი ბურთივით გაეჩარა პირში.

რედაქტორი ე. მოისწრაფიშვილი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ლ. არეშიძე
გამომშვები ა. ხაკაძე

ავტორის პორტრეტი გარეკანის მეოთხე
გვერდზე ეკუთვნის კ. იგნატოვს

ს. ბ. № 6446

გადაეცა წარმოებას 18.08.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.88.
უე 02179. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტური ვენა.
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,02+ ჩაკვრა 0,84. პირ.
საღ.-გატ. 13,44. სააღრ.-საგამომც. თაბახი 12,07.
ტირაჟი 40.000. შეკვ. № 1717.

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის
სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.